პიროვნება
კულტურა
საზოგადოება

სოციალურ მეცნიერებათა აქტუალური პრობლემები

თსუ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ახალგაზრდა მეცნიერთა და დოქტორანტთა სამეცნიერო
კონფერენციის მასალები

პიროვნება
კულტურა
საზოგადოება

სოციალურ მეცნიერებათა აქტუალური პრობლემები

(ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ახლაგაზრდა მეცნიერთა და დოქტორანტთა 2010 წლის 21 მაისის კონფერენციის მასალები)

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2010

სამეცნიერო რედაქტორი: ფილოსოფიის დოქტორი
ამირან ბერძენიშვილი

რეცენზენტები:

ვალერიან რამიშვილი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი

რევაზ ჯორბენაძე, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

გამომცემლობა „უნივერსალი", 2010
თბილისი, 0179, ი. ვაჟა-ფშაველას გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-118-5

სარჩევი

1. **წინათქმა** – ამირან ბერძენიშვილი 6

2. ***ეკა დარბაიძე*** – საქართველოს იმიჯი დასავლეთის ქვეყნებში 18

3. ***ფლორა ესებუა*** – პოლიტიკის ველისა და ჟურნალისტიკის ველის შეხვედრის ადგილი: საქართველოს ენერგოსექტორი ომისშემდგომ ქართულ პრესაში 30

4. ***ლია თეთრაძე*** – 2010 წლის ადგიოლობრივი თვითმმართველობის არჩევნების ძირითადი ტენდენციები.....48

5. ***ანა კუჭუხიძე*** – სამართლის სტატისტიკის თავისებურებანი და მისი როლი სამართლებრივი რეჟიმის უზრუნველყოფის საქმეში.....70

6. ***მაია მანჩხაშვილი*** – სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების საკითხი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ 82

7. ***ხათუნა მარწყვიშვილი*** – ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის საკვლევი კითხვარის ადაპტაცია ქართულ პოპულაციაზე.....92

8. ***ნანი მაჭარაშვილი*** – საპარლამენტო დემოკრატიის პრობლემები საქართველოში.....119

9. ***ნათია მესტვირიშვილი*** – მორალის განვითარების თეორიები: პიაჟედან ნეოკოლბერგიანელებამდე 135

10. ***ნინო პოპიაშვილი*** – პოსტსაბჭოთა იდენტობა შავი ზღვის აუზის ქვეყნების დისკურსში.....147

11. ***თამარ ქარაია*** – ისტორიის სახელმძღვანელო და ეთნიკური უმცირესობები: პრობლემები და პერსპექტივები 155

12. ***გიზო ჭელიძე*** – პოლიტიკური ინტეგრაცია ევროკავშირში 168

13. ***ლია წულაძე*** – ახალგაზრდული იდენტობები ბრიკოლაჟის გზით ცვალებად საზოგადოებაში: საქართველოს შემთხვევა 192

14. ***მაია წურწუმია*** – ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში.....209

ანოტაცია

კონფერენციის მოხსენებების კრებული მოიცავს თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა და დოქტორანტთა ნაშრომებს,სადაც მოცემულია განაზრებანი სოციალური მეცნიერებების აქტუალურ პრობლემებზე, ყურადღება გამახვილებულია ჩვენი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური რეალიების კვლევაზე: რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომი და პოლიტიკური ინტეგრაცია ევროკავშირში, საქართველოს იმიჯის ფორმირების პრობლემა და პოლიტიკისა და ჟურნალისტიკის ველის ურთიერთობა აგვისტოს ომის შემდგომ პერიოდში, დანაშაულის სტატისტიკა და ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების როლი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში, ინდივიდის ემოციური ინტელექტისა და მორალის განვითარების საკითხები. ავტორები პრობლემების ხედვის ორიგინალურ მიდგომებს და ხშირად მათი გადაჭრის ოპტიმალურ გზებსა და საშუალებებს გვთავაზობენ.

ვიმედოვნებთ კრებული საინტერესო აღმოჩნდება ყველა თაობის მოაზროვნე მკითხველისთვის და სარგებლობას მოუტანს ქართულ საზოგადოებას.

წინათქმა

საქართველოში სოციალური მეცნიერებების განვითარებისათვის შედარებით ხელსაყრელი პირობები მას შემდეგ შეიქმნა, რაც ქვეყანამ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა მოიპოვა. კომუნისტური იდეოლოგიის 70 წლიანი ბატონობის მთელ მანძილზე სხვა მეცნიერებებთან შედარებით ამ იდეოლოგიის ტოტალიტარული წნეხის ქვეშ ყველაზე მეტად სოციალური მეცნიერებები აღმოჩდნენ. სოციალური მეცნიერებების განვითარებას უწინარეს ყოვლისა ის გარემოება უშლიდა ხელს,რომ მეცნიერი კვლევისას იძულებული იყო იდეოლოგიური დოგმები მიეღო ამოსავალ პრინციპად და კვლევის მეთოდოლოგიად. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ხვედრი სავალალო აღმოჩნდებოდა როგორც მეცნიერული კარიერის, ისე სიცოცხლისა და თავისუფლების თვალსაზრისით. საკმარისია გავიხსენოთ XX საუკუნის ავბედითი 30-იანი წლები,როდესაც არა მხოლოდ ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის,არამედ ქართული მეცნიერების და პირველ რიგში ფილოსოფიისა და სოციალური მეცნიერებების "მოთვინიერება" ხდებოდა.

მეცნიერი იძულებული იყო ეზოპეს ენით ელაპარაკა ან ნახევრად სიმართლე ეთქვა,რაც ნახევრად სიცრუის თქმაზე უფრო უარეს სოციალურ შედეგებს იწვევდა. მოკლედ,საბჭოური სოციალური მეცნიერებისათვის "პალიატურობა", ანუ ნახევრად სიმართლის თქმა იყო დამახასიათებელი, რამაც ძალიან ჩამოარჩინა ქართული სოციალური მეცნიერებები საზოგადოდ სოციალური მეცნიერებების განვითარების მაგისტრალურ მიმართულებას.

მხოლოდ, XX საუკუნის 90-იანი წლეებიდან იწყება ქართული სოციალური მეცნიერებების პალიატურობისაგან გათავისუფლება. ქართველი მეცნიერები ეუფლებიან დასავლეთში აპრობირებულ მეცნიერული კვლევის მეთოდებსა და მიდგომებს, საფუძველი ეყრება სოციალური სინამდვილის კვლევის ახალ მიმართულებებს. შეიძლება ითქვას, რომ სოციალური

მეცნიერებები ხელახლა იდგამს ფეხს და სწორი მიმართულებით ვითარდება. სადაც მეთოდოლოგიურ თუ მსოფლმხედველობრივ პლურალიზმთან ერთად მეცნიერული ობიექტურობა კვლავ იბრუნებს თავის სტატუსს. საგულისხმოა,რომ სოციალური მეცნიერების განვითარების ფლაგმანებად საქართველოში ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ილიას სახელობის უნივერსიტეტის მეცნიერები გვევლინებიან. ყალიბდება ახალი დასავლური ტიპის სოციალური მეცნიერება,რაზეც ყველაზე უკეთ ახალგაზრდა მეცნიერთა და დოქტორანტთა მოხსენებები მეტყველებენ. ერთ-ერთ ასეთ დადასტურებას სწორედ წინმდებარე პუბლიკაცია წარმოადგენს.

თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სწავლება და კვლევა შვიდი: პოლიტიკური მეცნიერების, საერთაშორისო ურთიერთობების, ფსიქოლოგიის, საზოგადოებრივი გეოგრაფიის, ჟურნალისტიკის, სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის მიმართულებით მიმდინარეობს. თითქმის ყველა მიმართულების ახალგარდა მეცნიერთა და დოქტორანტთა მოხსენებებია აქ წარმოდგენილი.ისინი ქართული სინამდვილის აქტუალურ სოციალურ და პოლიტიკურ პრობლემებს ეხებიან და საინტერესო დასკვნებსა და რეკომენდაციებს გვთავაზობენ,რომელთა გათვალისწინება ხელს შეუწყობს ზოგიერთი რთული და მტკივნეული პრობლემის გადაჭრასა და დარეგულირებას.რასაკვირველია, ახალგაზრდა მკვლევარების ყურადღების ცენტრში რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი და მის შედეგად გამოწვეული ცვლილებები მოხვდა. ომის შემდეგ მწავედ დადგა სამხრეთ კავკასიისა და კერძოდ საქართველოს უსაფრთხოების საკითხი. რუსეთის აგრესიამ დაარღვია მხარეების მიერ დაცული სტატუს-ქვო და რეგიონული უსაფრთხოების თვალსაზრისით გაჩნდა როგორც ახალი გამოწვევები-რუსეთის მიერ საქართველოს ორი რეგიონის ოკუპაცია და მათი "დამოუკიდებელ" სახელმწიფოებად აღიარება, ისე პერსპექტივებიც – "თურქეთ-სომხეთის "საფეხბურთო" დიპლომატია და ციურიხის

პროტოკოლები".მომხსენებელი,სამართლიანად თვლის მოძველებულად რეგიონული უსაფრთხოების ადრინდელ მოდელებს და ახალი, უფრო მოქნილ, რეგიონის ინტერესებს მორგებული მოდელის შემუშავებისა და მისი რეალიზების გზების ერთობლივ ძიებას გვთავაზობს. სადაც კონსტრუქციული როლი არა მხოლოდ რეგიონის ქვეყნებმა,არამედ ისეთმა გავლენიანმა აქტორებმა უნდა ითამაშონ როგორებიც აშშ, ევროკავშირი და ეუთოა.

აგვისტოს ომს გაშუალებულად ეხება მოხსენება "პოლიტიკის ველისა და ჟურნალისტიკის ველის შეხვედრის ადგილი: საქართველოს ენერგოსექტორი ომის შემდგომ ქართულ პრესაში". ეს თემა იმითაც არის აღსანიშნი, რომ საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ პროექტებში მონაწილეობა,საქართველოს პოზიციონირება როგორც ენერგოდერეფნისა არის თემა,რომელზეც თითქმის ყველა პოლიტიკური ძალა აპელირებს.

ამ თემამ განსაკუთრებული აქტუალობა აგვისტოს მოვლენების შემდგომ შეიძინა. გაჩნდა ბევრი კითხვა საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ პროექტებში მონაწილეობის შესაძლებლობებთან დაკავშირებით, ენერგეტიკა ხომ ქვეყნის დამოუკიდებლობის ერთერთ უმნიშვნელოვანეს გარანტად აღიქმება. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აგვისტოს მოვლენებში მთელ მსოფლიოს მოუწია ანგარიში გაეწია რუსეთის, როგორც მსოფლიოს უმსხვილესი ენერგეტიკული მოთამაშისათვის,რაც მათ აიძულებდა გარკვეულ დათმობებზე წასვლას სწორედ რუსეთზე ენერგეტიკული დამოკიდებულების გამო. ყოველივე ამან ეჭვის ქვეშ დააყენა საქართველოს ენერგეტიკულ პროექტებში მონაწილეობის საკითხი.იგი როგორც მნიშვნელოვანი პოლიტიკური პრობლემა ქართული პრესის მთავარ თემად აგვისტოს მოვლენების შემდეგ იქცა. ენერგოსექტორი როგორც ქვეყნის ეკონომიკის შემადგენელი სეგმენტი, არის მნიშვნელოვანი პოლიტიკური თამაშის ნაწილი. მაგრამ, როგორც გამოკვლევამ აჩვენა, ძალიან ძნელია ერთმნიშვნელოვნად იმის დადგენა საქართველოში ენერგეტი-

კა,როგორც ეკონომიკური ინსტიტუტი,თავად ახდენს გავლენას პოლიტიკურ თამაშზე, თუ პირიქით, ის არის იარაღი პოლიტიკოსთა ხელში. გამოკვლევამ ერთი რამ ნათლად აჩვენა,რომ მათზე ნაკლებ ძალაუფლებას არც ჟურნალისტიკის ველი ფლობს, იმით, რომ ორივეს საკუთარი შესაძლებლობების დემონსტრირების საშუალებას აძლევს,გარკვეული,საზოგადოებისათვის ღირებული მიმრთულებით წარმართავს მათ შორის ურთიერთობას. სწორედ ჟურნალისტიკის ველის აქტორები სთავაზობენ აუდიტორიას სურათს ენერგოპოლიტიკაზე და თან ისე, რომ ხან თავად ჟურნალისტები, ხან ექსპერტები, ხანაც პოლიტიკური აქტორები გვევლინებიან საზოგადოებრივი აზრის ლიდერების როლში, რომლებიც სათავეს უდებენ დისკუსიებს და განხილვებს აქტუალურ საკითხებზე, რათა პრობლემები ქვეყნისათვის სასარგებლოდ გადაწყდეს. რასაკვირველია, გლობალიზაციისა და ინფორმაციონალიზმის ეპოქაში,როდესაც საზოგადოებას ინფორმაციათა უსასრულო ნაკადი მიეწოდება, თანაც ისე, რომ მისი ანალიზის დრო არ რჩება, ამგვარ განხილვებსა და დისკუსიებს სერიოზული საზოგადოებრივი მნიშვნელობა ენიჭება. მოხსენებაში კარგად გამოჩნდა თუ როგორ შეუძლია ობიექტურ და მიუდგომელ მედიას წამყვანი პოზიციები დაიჭიროს თვით პოლიტიკასთან მიმართებაშიც კი.

საზოგადოება ადამიანთა მორალური ერთიანობაა.შესაბამისად, მორალს და ადამიანთა მორალურ განვითარებას საზოგადოებისთვის პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ ეს საკითხი განიხილება მოხსენებაში "მორალის განვითარების თეორიები". მორალი საზოგადოების გამოცდილებიდან, მსჯელობებიდან და შეთანხმებებიდან გამომდინარე ისეთი სოციალური კონსტრუქციაა, რომელსაც საზოგადოება უჭერს მხარს. მაგრამ მორალის განვითარებაში არანაკლებ როლს თავად პიროვნებები თამაშობენ, რომელთა ქცევები და მოქმედებები მორალურ განახლებას ედება საფუძვლად. დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა, რომ პიროვნება მორალურია იმ შემთხვევაში, თუ ის კარგად ასრულებს საზოგადოების მი-

ერ დადგენილ ქცევის წესებს ან აქვს მორალურად გამართლებული განზრახვები. სხვაგვარად, მორალური ქცევა მთლიანად განიხილებოდა აფექტურ სფეროში, რომელსაც შემეცნებასთან და სხვა ადამიანურ უნარებთან კავშირი არ ჰქონდა. მართალია არსებობს გამოკვლევები, რომლებიც ასაბუთებენ,რომ დამნაშავე და უდანაშაულო ადამიანები ერთნაირად გმობენ ქურდობას, ანუ, სხვაგვარად, რომ ვთქვათ, მორალურ ღირებულებებზე დაყრდნობით არ შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ, ვთქვათ, არასრულწლოვანთა დამნაშავეობა, და რომ ალტრუისტული დამოკიდებულებები და ღირებულებები თითქმის არ იყო დაკავშირებული ალტრუისტულ ქცევასთან; მაგრამ მორალის თანამედროვე თეორიებზე დაყრდნობით მტკიცდება, რომ მორალური ქცევა თავისთავში აერთიანებს აფექტურ, კოგნიტურ და ქცევით ასპექტს და მათ ერთ მთლიანობად განიხილავს, სადაც სწორედ მორალური იდეალები წარმართავენ მორალურ ქცევას. თანამედროვე მეცნიერებმა შექმნეს ინსტრუმენტი, რომლის დახმარებითაც შესაძლებელი ხდება მორალური პრობლემების მიმართ პრო- და კონტრარგუმენტების განსჯის უნარის შეფასება.

საგულისხმოა მომხსენებლის დასკვნა, რომლის მიხედვითაც მორალური მსჯელობის შესახებ არსებულ თეორიებში "კოგნიცია და ძირითადი ეპისტემოლოგიური კატეგორიები(უფლებები,მოვალეობები,სამართალი,სოციალური წყობა, რეციპროკულობა (თანაზიარობა) კვლავ ამოსავალ წერტილად რჩება." თუმცა ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს,რომ მორალური განვითარების სფეროში არსებული თანამედროვე კვლევები მეტ ყურადღებას ინდივიდუალური გამოცდილების მნიშვნელობას აქცევენ. მორალური განვითარების თეორიების შესწავლა გვეხმარება თანამედროვე ქართული საზოგადოების მორალურ-ზნეობრივი სულისკვეთების, ღირებულებათა იერარქიული სკალის გაზომვის, ქართული საზოგადოების მორალური სახისათვის დამახასიათებელი პრობლემების ანალიზისა და დარეგულირების საქმეში.

თანამედროვე სოციალურ მეცნიერებებში (კერძოდ,ფსიქოლოგიაში) ემოციური ინტელექტის ცნება შედარებით ახალი კონსტრუქტია და მასთან დაკავშირებული კვლევებიც XXI საუკუნის პირველი ათწლეულის დამსახურებაა; ძირითადად იგი დასავლური მეცნიერული კვლევის არეალში იკავებს წამყვანი კონცეფციის სტატუსს.ქართველი ფსიქოლოგების დამსახურებაა კი არის ის,რომ მათ შეძლეს ამ კონსტრუქტის ქართულ სინამდვილესთან ადაპტირება და გადმოტანა,რომლის ერთერთი წარმატებული ვარიანტიც წინამდებარე გამოცემაშია მოცემული. ეს არის თეორიული და ემპირიული კვლევის ერთერთი საუკეთესო სინთეზის ანალოგი ქართულ სოციალურ მეცნიერებებში; ნაშრომიდან ჩანს,რომ კვლევის შედეგად მიღებულია ემოციური ინტელექტის,როგორც პიროვნული ნიშნის,საკვლევი კითხვარის ქართული ვერსია,რომელიც საკმაოდ გამართულ ფსიქოდიაგნოსტიკურ ინსტრუმენტს წარმოადგენს და მისი გამოყენება სავსებით შესაძლებელია ეფექტური შედეგების მისაღებად. უკვე მიღებული შედეგები,თუ ავტორის სიტყვებით ვიტყვით, ქართულ პოპულაციაზე ემოციური ინტელექტის,როგორც პიროვნული ნიშნის საკვლევი კითხვარის შემდგომი გამოყენების თვალსაზრისით საკმაოდ ოპტიმისტური პროგნოზის გაკეთების საშუალებას გვაძლევს. საკვლევი კითხვარის ქართული ვერსია ნამდილად ღირებული ინსტრუმენტია განათლების ფსიქოლოგიის,ადამიანური რესურსების მართვის და კლინიკური ფსიქოლოგიის სფეროში მოღვაწე მეცნიერთათვის. მთავარი კი ისაა,რომ კითხვარი ქართული სოციალური მეცნიერებების წარმომადგენლებს საშუალებას აძლევს ჩაერთონ " ემოციურ ინტელექტთან დაკავშირებულ საერთაშორისო კვლევით სივრცეში და მეცნიერებაში ამ შედარებით ახალი კონსტრუქტის თავისებურება ვიკვლიოთ ქართულ პოპულაციაზეც." ასეთი ახალი კონცეფციების და შესაბამისი კვლევის მეთოდოლოგიების ათვისება იმის საწინდარია, რომ წარმატებით დავძლიოთ "პალიატურობა" და მეცნიერული შრომის მსოფლიო დანაწილების აქტორი გავხდეთ.

დღეს, გლობალური კომუნიკაციების არსებობის პირობებში ნებისმიერი ქვეყანა ცდილობს საკუთარი თავის დადებითი იმიჯის შექმნაზე, სხვაგვარად მსოფლიო ეკონომიკურ ბაზარზე დამკვიდრება წარმოუდგენელია. დადებითი იმიჯის შემუშავება ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვას და ტურიზმის განვითარებას, ეკონომიკასა და მსოფლიო ბაზარზე პროდუქტის რეალიზებას,საბანკო საქმიანობაში კლიენტების მოზიდვას, გატარებული პოლიტიკის მიმართ დადებითი დამოკიდებულების შემუშავებას და მრავალ სხვას. ჩვენი ავტორები თანამედროვე მეცნიერების მიღწევების გადასახედიდან აანალიზებენ იმიჯის ფორმირების ფაქტორებს, გასაკუთრებით იმ ინფორმაციებს, რაც ჩვენს ქვეყანაზე იწერება და ვრცელდება საერთაშორისო სივრცეში. მოხსენებაში ნათლად არის ნაჩვენები თუ რა ფორმისა და შინაარსის ინფორმაციები ვრცელდება საქართველოს შესახებ, რა პერიოდულობით ხდება მათი განახლება,ჩანაცვლება ახალი ინფორმაციით და რაც მთავარია როგორ იცვლება ქვეყანაზე არსებული წარმოდგენა უკეთესობისაკენ თუ, პირიქით, უარესობისაკენ. აქაც თავს იჩენს აგვისტოს ომი, რამაც დიდი დარტყმა მიაყენა საქართველოს, როგორც სტაბილური სატრანზიტო და ტურისტული ქვეყნის იმიჯს. მოხსენებაში გამოყოფილია ის ფაქტორები, რომლებიც ყველაზე უარყოფითად მოქმედებს საქართველოს იმიჯზე: ეკონომიკური მიმზიდველობის დაბალი დონე (მიუხედავად იმისა,რომ დღეს საქართველოს ხელისუფლება ყველაზე ლიბერალურ ეკონომიკურ პოლიტიკას ატარებს, რაც სამომავლოდ მაინც შეუწყობს ხელს ეკონომიკის სფეროში სასურველი იმიჯის ჩამოყალიბებას), გადაუჭრელი კონფლიქტები (ახლა უკვე ოკუპირებული ტერიტორიების არსებობა), ქვეყანაში არსებული დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების დაბალი დონე, ქვეყნის ტურისტული სარეკლამო კამპანიებისა მარკეტინგული ღონისძიებების არასაკმარისობა და დაბალი პროფესიონალიზმი.ამ პრობლემების გადასალახად საჭიროა მეტი ენერგია და მაღალი პროფესიონალიზმი,უფრო მეტი დინამიკა და შემარ-

თება. თუ დავაკვირდებით ქვეყნის მესვეურთა ქმედებებს დავინახავთ,რომ ისინი სწორედ ამ მიმართულებით მოძრაობენ და ავტორთან ერთად იმედს გამოვთქვამ,რომ მათი მომავალი საქმიანობა მხოლოდ წარმატებული PR კამპანიებით არ შემოიფარგლება და აქტიურ აღმშენებლობით საქმიანობას უფრო გააძლიერებენ.

ჩვენი ავტორების ყურადღებას არ გამორჩენია ისეთი ისეთი აქტუალური საერთაშორისო პრობლემა, როგორიცაა ევროკავშირის ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაცია.დიდძალი ფაქტობრივი მონაცემების ანალიზის საფუძველზე საბუთდება,რომ ეკონომიკური ინტეგრაცია XX საუკუნის 90-იანი წლების შემდეგ ნამდვილად გადაიზარდა პოლიტიკურ თანამშრომლობაში. ნელი ტემპებით, მაგრამ აღმავალი პროგრესიით,მიმდინარეობს პოლიტიკური კავშირის გაძლიერება. მოხსენებაში არგუმენტირებულად და საფუძვლიანად არის ნაჩვენები სწორედ პოლიტიკური ინტეგრაციის კუთხით არსებული თანამედროვე დინამიკა, რომელიც საბოლოოდ ევროპული გაერთიანების ჩამოყალიბების პირველივე დღეებიდან იღებს. მომხსენებელს არ აქვს იმის ილუზია, რომ ევროკავშირი წარმოაჩინოს, როგორც უხარვეზო და მძლავრი პოლიტიკური ერთობა. თუმცა იმის მტკიცებაში ნამდვილად შეგვიძლია დავეთანხმოთ, რომ პოლიტიკური ინტეგრაცია უკვე აქტიურად მიმდინარეობს და წლიდან წლამდე ევროპულ სახელმწიფოთა გაერთიანება სულ უფრო ძლიერ საერთაშორისო აქტორად ყალიბდება.

საქართველოსთვის დღემდე აქტუალური რჩება ღია, სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიული ინსტიტუტებისა და პროცედურების დამკვიდრების პრობლემა. მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე ქვეყანაში მრავალი რეფორმა გატარდა, საქართველო ჯერაც ვერ მიუახლოვდა დემოკრატიის სასურველ მოდელს. დემოკრატიული მმართველობა წარმოუდგენელია განვითარებული სამოქალაქო საზოგადოების გარეშე; ასეთი სოციალური პირობების არ არსებობის შეთხვევაში იგი შინაარსს კარგავს.

ამიტომ, როცა ვლაპარაკობთ დემოკრატიის სასურველი მოდელის დამკვიდრებაზე ქვეყანაში, ცენტრალურ საკითხად მაინც სამოქალაქო და ღია საზოგადოების ჩამოყალიბების პრობლემა რჩება. თავად სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში გადამწყვეტი თუ არა ერთერთი უმნიშვნელოვანესი როლი ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას ენიჭება. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო ორგანიზაციებს თანაბრად შეუძლიათ თავისი წევრების, კაცების და ქალების საჭიროებების გამოთქმა, კვლევებმა აჩვენეს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილი და მედია, როგორც საინფორმაციო სამოქალაქო ინსტიტუტი საქართველოში, ნაკლებად ინტერესდება გენდერული პრობლემებით, ამიტომ ამ ფუნქციის შესრულება საქართველოში არსებულმა ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებმა იკისრეს. მათი საქმიანობის პრიორიტეტებია: ქალთა მიმართ ძალადობა, მათ შორის ოჯახური ძალადობა, დისკრიმინაციული სამსახურეობრივი პრაქტიკა, გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, ნეგატიური გენდერული სტერეოტიპები.როგორც მომხსენებელი თვლის, ამ ორგანიზაციების საქმიანობის მთავარი მიღწევა არის ის, რომ ქართულ საზოგადოებაში თანდათანობით ხდება გენდერული უთანასწორობის პრობლემის გაცნობიერება და აღიარება. სწორედ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები აღწევენ წარმატებებს გენდერული თანასწორობის მიღწევაში, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების ერთერთი შემადგენელი ელემენტია. საყურადღებოა მომხსენებლის დასკვნა, რომ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებმა მიაღწიეს გარკვეულ სიმწიფეს და საკუთარი ადგილი დაიმკვიდრეს ქართულ არასამთავრობო სექტორში. დღეს ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები განვითარების იმ ეტაპზე იმყოფებიან, როდესაც შეუძლიათ ქვეყანაში მიმდინარე ცალკეულ პროცესებზე ზეგავლენის მოხდენა. თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ წარმატებებს ფრაგმენტული ხასიათი აქვს, ქალთა ორგანიზაციები ჯერჯერობით ვერ ახერხებენ სახელმწიფო დონე-

ზე აქტიური ლობირება გაუწიონ ქალთა ინტერესებს, ასევე სუსტია მათი ზეგავლენა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე. დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების არასასურველ დონეზე მეტყველებს საპარლამენტო დემოკრატიის სისუსტე და საკანონმდებლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის დაბალი ინდექსი. სოციოლოგიურმა გამოკვლევებმა აჩვენა,რომ სწორედ საზედამხედველო ფუნქციის განხორციელებაა საპარლამენტო საქმიანობის ყველაზე სუსტი რგოლი. შესაბამისად, გამოიკვეთა საპარლამენტო დემოკრატიის განვითარების ხელისშემშლელი საფრთხეები: ეროვნული უმცირესობების და ქალთა წარმომადგენლობის არაპროპორციულობა, საზოგადოდ პარლამენტისადმი, როგორც ინსტიტუტისადმი საზოგადოებრივი ნდობის დაბალი დონე, საპარლამენტო ინიციატივების ნაკლებობა, კანონმდებლობისა და მათ შორის კონსტიტუციის ხშირი ცვლა. ყველაზე დამაფიქრებელ საფრთხეს კი კონტროლისა და ბალანსის სისტემის სისუსტე წარმოადგენს, რომლის პირობებშიც საქართველოს პარლამენტი ვერ ასრულებს აღმასრულებელი ხელისუფლების საპირწონე ინსტიტუტის ფუნქციას. დემოკრატიის განვითარებას საქართველოში თავისი სპეციფიკა აქვს, მას ძალიან ბევრი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პრობლემები ეღობება წინ, რომელთა გადაჭრაც და დაძლევა თანდათანობით უნდა მოხდეს. მთავარი კი მაინც ისაა, რომ ახალგაზრდა მკვლევარები მიუკერძოებლად იკვლევენ ქართული დემოკრატიის განვიარების თანამედროვე დონეს და ხშირად ოფიციოზის თვალსაზრისისაგან განსხვავებულ ვითარებას აფიქსირებენ. ასეთი ობიექტური კვლევის შედეგების გამოქვეყნება თავად მეტყველებს იმას, რომ საქართველოში დემოკრატიული ღირებულებები ძნელად,მაგრამ მაინც მკვიდრდება ქართული საზოგადოების საქმიანობის ყველა სფეროში.

დაბოლოს, მინდა შევეხო ჩვენი ქვეყნისათვის დამაფიქრებელ და მტკივნეულ პრობლემას ეთნიკურ უმცირესობებ-

თან დაკავშირებით. ერთ-ერთი მოხსენება, რომელმაც დიდი დაინტერესება გამოიწვია, ეხება ჩვეს ქვეყანაში არსებულ ეთნიკურ უმცირესობების წარმომადგენელთა საქართველოს მოქალაქეებად ჩამოყალიბების პროცესს. როგორც ცნობილია ქვეყნის მოქალაქეებად აღზრდასა და ჩამოყალიბებაში ლომის წილი მშობლიურ ლიტერატურასთან ერთად ქვეყნის ისტორიის შესწავლას მიუძღვის. როგორც მომხსენებელი აღნიშნავს, სწორედ ამ კუთხით არის სავალალო მდგომარეობა კომპაქტურად ჩასახლებულ ეროვნულ უმცირესობებში. იმის გამო,რომ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში ძირითად საურთიერთობო ენას რუსული წარმოადგენდა და ქართულის როგორც სახელმწიფო ენის სწავლება ეთნიკური უმცირესობებისათვის პრიორიტეტული არ იყო, შესაბამისად რუსული ენის ცოდნა აძლევდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს საზოგადოებასთან ინტეგრაციისა კარიერული წინსვლის საშუალებას. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ განსაკუთრებულად რთულ ვითარებაში სასაზღვრო რეგიონებში კომპაქტურად ჩასახლებული ეთნიკური უმცირესობები აღმოჩნდნენ. მართალია, რუსული ქართულმა ენამ ჩაანაცვლა, მაგრამ ამით პრობლემები კი არ შემცირდა, პირიქით გაიზარდა. რადგან ქართული ენა არ იციან, ეს ქვეყნის ისტორიის სწავლებაზეც უარყოფითად აისახება. ეთნიკური უმცირესობებისათვის (ძირითადად სომხები და აზერბაიჯანელები) ისტორიის სახელმძღვანელოები მეზობელი სახელმწიფოებიდან შემოაქვთ, რომლებშიც საქართველოს ისტორია ტენდენციურადაა გაშუქებული და როგორც მომხსენებელი აღნიშნავს, მათი შესწავლა შესაძლოა საქართველოს მოქალაქის ნაცვლად, პოტენციური "მტრის" აღზრდის ხელშემწყობი ფაქტორი აღმოჩნდეს. ამიტომ, აუცილებელია, სახელმძღვანელოების შინაარსში აისახოს,რომ საქართველოში გარდა ქართველებისა ასევე ცხოვრობდნენ სხვა ეთნოსის წარმომადგენლები და რომ მათ გარდა უარყოფითისა დადებითი წვლილიც შეიტანეს ქვეყნის განვითარებაში. მსგავსი დამოკიდებულება ხელს შეუწყობს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ-

თა ინტეგრაციას საზოგადოებაში და საქართველოს სრულუფლებიან მოქალაქედ აღქმას. ამიტომ, მისაღებად მიმაჩნია მომხსენებლის რჩევა-რეკომენდაცია: ერთიანი, სახელმწიფოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია საგანმანათლებლო პოლიტიკის იმ კუთხით წარმართვა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სკოლებში იზრდებოდეს არა ქართველი, არა სომეხი, ან აზერბაიჯანელი, არამედ საქართველოს მოქალაქე.

თსუ-ს ახალგაზრდა მეცნიერები ყოველგვარი იდეოლოგიური წნეხისაგან თავისუფალი მეცნიერული ობიექტურობით, კეთილსინდისიერებითა და მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით უდგებიან ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარ რთულ სოციალურ და პოლიტიკურ პრობლემების ანალიზს; ეს კი იმის საწინდარია, რომ ქართული სოციალური მეცნიერებები სწორი მიმართულებით წარიმართონ და მყარად დაადგნენ მსოფლიო მეცნიერების განვითარების მაგისტრალურ გზას.

ამირან ბერძენიშვილი

საქართველოს იმიჯი დასავლეთის ქვეყნებში

ეკა დარბაიძე
თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტი, პოლიტიკურ მეცნიერებათა
მიმართულება, დოქტორანტი

საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია ძლიერი ეკონომიკის მქონე დემოკრატიული ქვეყნის იმიჯის არსებობა. დადებითი ქვეყნის იმიჯის ფორმირებაზე მუშაობა ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლების მხრიდან სერიოზულ მუშაობასა და ძალისხმევას საჭიროებს, ვინაიდან ქვეყნის წარმატებული იმიჯის შემუშავება და ჩამოყალიბება, მსოფლიო ეკონომიკურ ბაზარზე მის დამკვიდრებასა და გარკვეული პოზიციის დაკავებას გულისხმობს, ეს კი საქართველოსათვის ძალზედ მნიშვნელოვანია, რადგანაც წარმატებული იმიჯი ქვეყნისათვის ძლიერი ეკონომიკური მდგომარეობის მყარი გარანტი გახლავთ. სწორედ ამიტომ შემთხვევითობას როდი წარმოადგენს ის ფაქტი, რომ დღეს საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთ პრიორიტეტს ქვეყნის საინვესტიციო და ტურისტული კლიმატის გაუმჯობესებაზე მუშაობა წარმოადგენს. ქვეყნის დადებითი იმიჯის შემუშავება და ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვასა და ტურიზმის განვითარებას, რაც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მთავარი გარანტი გახლავთ.

სახელმწიფოს საერთაშორისო იმიჯს გლობალიზაციისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მძლავრი განვითარების პირობებში დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც წარმატებული იმიჯის არსებობა ქვეყნის ძლიერი ეკონომიკური მდგომარეობის მყარი საფუძველია.

საქართველოში საერთაშორისო იმიჯის ფორმირების აქტუალობა კიდევ უფრო გაიზარდა, რადგან ბოლო ათწლეულების განმავლობაში საქართველოს მიმართ დამოკიდებულე-

ბა საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან რადიკალურად იცვლებოდა და მერყეობდა ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით. ეს კიდევ უფრო საგრძნობი გახდა ბოლო წლების განმავლობაში. საქართველოში მიმდინარე პროცესები შუქდებოდა და შუქდება დღესაც ბოლო ათწლეულის მანძილზე ამერიკულ და ევროპულ მედია საშუალებებში.

იმიჯი როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური კატეგორია გახლავთ. იგი ეკონომიკაში პროდუქტის რეალიზებას უწყობს ხელს, საბანკო საქმიანობაში იზიდავს კლიენტებს, პოლიტიკურ სფეროში ეხმარება პოლიტიკურ ფიგურას საზოგადოების მხრიდან დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში, ქვეყნის წარმატებული იმიჯი იზიდავს მეტ ტურისტს, ქმნის ინვესტირებისთვის შესაბამის კლიმატს და ა.შ. ქვეყნის იმიჯის ფორმირების საკითხში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ის ინფორმაციები რაც ჩვენს ქვეყანაზე იწერება და ვრცელდება საერთაშორისო სივრცეში. სწორედ ამიტომ არის საჭირო რომ არსებობდეს და ვრცელდებოდეს პოზიტიური ინფორმაცია საქართველოს შესახებ. უცხოელი ტურისტისათვის მთავარი ფაქტორი სტაბილურობა გახლავთ. ქვეყანაში არსებული კრიმინალური გარემო საფრთხეს არ უნდა წარმოადგენდეს, ეს ფაქტორები კი ხელს შეუწყობს საქართველოში ტურისტული ნაკადების გაზრდას.

ტურიზმი წარმოადგენს ეკონომიკის ერთ-ერთ უმსხვილეს, მაღალ შემოსავლიან და ძალიან დინამიურ სფეროს, რომლის წილად მოდის ინვესტიციების საერთო მოცულობის 7%-ი, ყველა საგადასახადო შემოსავლების 5-%-ი და სავაჭრო მომსახურების მესამედი. ტურიზმი სამართლიანად ითვლება ეკონომიკის ერთ-ერთ მსხვილ, მაღალშემოსავლიან და დინამიკურად განვითარებად დარგად, უცხოური ვალუტის შემოდინების აქტიურ წყაროდ და ზეგავლენას ახდენს ქვეყნის საგადასახადო ბალანსზე. ტურიზმი ასევე უდიდეს გავლენას ახდენს მეურნეობის ისეთ საკვანძო სექტორებზე, როგორიცაა ტრანსპორტი და კავშირგამბულობა, ვაჭრობა, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა. იგი გახლავთ სოციალურ – ეკონომიკუ-

რი კომპლექსის ერთ-ერთი სფერო, რომელიც მრავალ ქვეყანაში გადაიქცა სწრაფად განვითარებად ინდუსტრიად. საერთაშორისო ტურიზმის განვითარებაში ორი ტენდეცია არსებობს: გარე ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების ზეგავალენის ამთვისებლობა, ამ საკითხში არც ჩვენი ქვეყანა არ წარმოადგენს გამონაკლისს.

ყველაზე სანდო წყარო უცხო ქვეყანაში ჩამოსვლის მსურველი ტურისტისა თუ ინვესტორისათვის, რომელიც კაპიტალის დაბანდებას სრულიად მისთვის უცხო ქვეყანაში აპირებს, ამ ქვეყნის გასაცნობად, კვლავ რჩება ოფიციალური მედია და მათივე ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციები.

ჩვენთვის საინტერესო იყო მოგვეძია, შეგვესწავლა და გაგვეანალიზებია თუ რომელ ქვეყნებს აქვთ ასეთი ინფორმაციები, რა სახის ინფორმაციები ვრცელდება საქართველოს შესახებ, რა პერიოდულობით ხდებოდა მათი განახლება და ჩანაცვლება უახლესი ინფორმაციით და ბოლოს, როგორ იცვლება ქვეყანაზე არსებული წარმოდგენა, უკეთესობისაკენ, თუ პირიქით, უარესობისაკენ.

ასეთი სახის ინფორმაციები აქვთ საფრანგეთის, ინგლისის, კანადის, აშშ-ს, ბელგიის, შვეიცარიის, ავსტრალიის, ავსტრიის საგარეო უწყებებს.

აღნიშნული მასალების საფუძველზე ტურისტებისათვის საქართველო ნაკლებად მიმზიდველ და მეტად არასტაბილური ქვეყნის იმიჯის მატარებელია, რასაც მათივე საიტებზე გადმოცემული და ქვეყანაში დეტალურად აღწერილი მიმდინარე მძიმე კრიმინალური მდგომარეობა ადასტურებს.

„ქვეყანა, სადაც ღამით თავისუფლად გადაადგილება, სამკაულებით ქუჩაში სეირნობა საშიშია“ – დაახლოებით ასეთი სახის ინფორმაციებს ავრცელებენ საგარეო უწყებები საქართველოს შესახებ, რასაც თავიანთ მოქალქეებზე განხორციელებული დანაშაულის მაჩვენებლით ხსნიან.

ავსტრალიის საგარეო უწყება უცხოეთის ქვეყნებს უსაფრთხოების დონის თვალსაზრისით შემდეგ საფეხურებად ჰყოფს (იხილე: 5):

1. გამოიჩინონ სიფრთხილე პირად უსაფრთხოებასთან დაკავშირებით

2. გამოიჩინონ სიფრთხილე

3. სიფრთხილის მაღალი დონე

4. კიდევ ერთხელ გადაამოწმონ და გადაავლონ თვალი მოგზაურობის საჭიროებას ამ ქვეყანაში

4. არ გაემგზავრონ

უსაფრთხოების თვალსაზრისით მეზობელი სომხეთი და აზერბაიჯანი მე-2 გრაფაშია შესული, მაშინ როდესაც საქართველოს უსაფრთხოების მე-3 გრაფაში ათავსებენ, რაც იმას გულისხმობს, რომ საგარეო უწყება ფაქტიურად ურჩევს ავსტრალიის მოქალაქეებს, რომ საქართველოში ჩამოსვლისაგან თავი შეიკავონ. ეს ინფორმაცია 2008 წლის აგვისტოს რუსეთ - საქართველოს ომის შემდეგ დაიდო მათ საიტზე. ეს გახლავთ ის რეკომენდაციები, რასაც ისინი საკუთარ თანამოქალაქეებს საქართველოში ჩამოსვლისას სთავაზობენ:

• საჭიროა, რომ უარი თქვან დედაქალაქში ღამით გადაადგილებაზე;

• შებინდებისას თავი აარიდონ დედაქალაქის ქუჩებში მარტო გასვლასა და გასეირნებას. ასევე ურჩევენ, რომ გადაადგილდნენ წითელი ფერის ოფიციალური ტაქსის საშუალებით.

• შეიარაღებული თავდასხმის დროს არანაირი სახის წინააღმდეგობა არ გაუწიონ თავდამსხმელს, რომელიც ძირითადად მათი გაძარცვით უნდა იყოს მოტივირებული.

აღსანიშნია ის გარემოება, რომ დაახლოებით 2007 წლამდე ოფიციალურ საიტებზე იდო დეტალური ინფორმაცია მათი მოქალაქეების მიმართ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედებებისა, როგორიც იყო: მათი გატაცება, ფიზიკური ანგარიშსწორება და ასევე მათი სიცოცხლის ხელყოფის

ამსახველი ფაქტები, თუმცა ჩვენდა სასიხარულოდ ეს ინფორმაციები უკვე რამდენიმე წელია, რაც აღარ დევს.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებით, დანაშაული საქართველოსთვის ძალიან სერიოზულ პრობლემად რჩება. (იხილე: 2) არსებობს დიდი განსხვავება უცხოელი მოქალაქეებისა და ქართველების უმრავლესობის ფინანსურ შემოსვლებთან დაკავშირებით. ქართველები განსაკუთრებულად მდიდრად ამერიკის მოქალაქეებს აღიქვამენ და სწორედ ამიტომაც მათი დანაშაულებრივი ქმედების სამიზნე ეკონომიკური მოტივით ხშირად ამერიკის მოქალაქეები ხდებიან. ამერიკელ მოქალაქეებზე განხორციელებულ დანაშაულებათა უმრავლესობა, როგორც საელჩო აცხადებს გახლდათ შემდეგი ხასიათის: დაყაჩაღება საცხოვრებელ ადგილსა თუ ავტომობილში, მათთვის ავტომობილის მოპარვა და იარაღის გამოყენებით სხვადასხვა სახის ქურდობები.

უსაფრთხოება ასევე ყველაზე მნიშვნელოვანი და უმთავრესი საკითხია ნებისმიერი ადამიანისათვის, განსაკუთრებით კი იმ უცხოელისათვის, რომელიც მისთვის სრულიად უცხო ქვეყანაში აპირებს ჩამოსვლას და მითუმეტეს საკუთარი ბიზნესის წარმოებას. უსაფრთხოების მდგომარეობის მხრივ, საქართველო მეტად არასტაბილური და ნაკლებად უსაფრთხო ქვეყნის იმიჯით წარმოგვიდგება. უცხოეთის ქვეყნების საგარეო უწყებები ძალიან კარგად არიან ინფორმირებულნი საქართველოში მიმდინარე გარე და შიდა პოლიტიკური პროცესებით და იმ მდგომარეობით რაც დღეს კონფლიქტურ რეგიონებშია. სწორედ ამიტომ თავიანთ მოქალაქეებს საქართველოში ყოფნის დროს ყოველგვარი სახის გადაადგილებას შეიძლება ითქვას, რომ პირდაპირ უკრძალავენ ე. წ. სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთის და პანკისის ხეობის ტერიტორიებზე. უცხოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროების ვებ – გვერდზე განთავსებული ინფორმაციები საქართველოში არსებული უსაფრთხოების მდგომარეობის ამსახველი ფაქტებით თითქმის იდენტურია და ბევრად არაფრით განსხვავდება ერთმანეთისაგან, თუმცა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ

ზოგადი სურათი იცვლება და ამჯერად აკრძალულ რეგიონებს უკვე სხვა ტერიტორიებიც ემატება და აცხადებენ, რომ რუსული სამხედრო ნაწილები კვლავაც რჩებიან ახალგორში, პერევში, აფხაზეთში კოდორის ხეობაში, ასევე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სხვა დანარჩენ ტერიტორიებზეც.

მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო ოპერაციები შეწყდა, დაძაბული მდგომარეობა კვლავაც რჩება და ისინი არ გამორიცხავენ რომ საბრძოლო მოქმედებები ნებისმიერ დროს შეიძლება განახლდეს. თითქმის ყველა უწყება ხაზს უსვავს იმ ფაქტს, რომ ე.წ სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი საქართველოს ტერიტორიები გახლავთ და რომ მათი დამოუკიდებლობის აღიარება არ მომხადარა საერთაშორისო დონეზე რომ საქართველოს მთავრობა არ ცნობს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ცალმხრივ დამოუკიდებლობას საერთაშორისო სამართლის გათვალისწინებით და აგრძელებს პრეტენზიას და მოითხოვს ამ ორ რეგიონს. ინგლისის გაერთიანებული სამეფოს მთავრობა და ასევე აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი, ყველა ევროკავშირის ქვეყნებთან ერთად ამართლებს მის ამ უფლებას, თუმცა ერთ-ერთი გახლდათ ავსტრალიის საგარეო საქმეთა სამინისტრო, რომელიც თითქმის არსად არ უსვამს ხაზს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას (იხილე **4**).

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი და ასევე ინგლისის გაერთიანებული სამეფო პირდაპირ აფრთხილებს თავის მოქალაქეებს, რომ არ შეიძინონ ე.წ. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონება, რადგანაც ასეთ შემთხვევაში იმ პირებს, რომლებიც საქართველოს ხელისუფლების ნებართვის გარეშე განახორციელებენ ამგვარი სახის ოპერაციებს დაეკისრებათ მსხვილი ფულადი ჯარიმა საქართველოს სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონის შესაბამისად. მათივე თქმით, კერძო საკუთრების მფლობელობის საკითხი გაურკვეველია ორივე რეგიონში. ბევრი იძულებით გადაადგილებული პირი გამოთქვამს პრეტენზიას საკუთარ ქონებაზე. აღნიშნული საკუთრების გასხვისებას მოჰყვება სერიოზული ფინანსური და სამართლებრივი გართულე-

ბები. ამ უძრავი ქონების შემსყიდველები იძულებულნი შეიქმნებიან პასუხი აგონ საქართველოს კანონის წინაშე, ანდა წარდგენ ევროპის სასამართლოში და მათ შორის ბრიტანეთის სასამართლოში. სწორედ ამიტომაც, პოტენციურმა მყიდველებმა უნდა გაითვალისწინონ მოსალოდნელი შედეგები სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ქონების შესყიდვასთან დაკავშირებით.

რამოდენიმე წლის წინ საფრანგეთის საგარეო უწყებას საიტის მთავარ გვერდზე ჩამოთვლილი ქონდა ტურისტებისათვის აკრძალული ქვეყნების სია, სადაც ტურისტებს ფაქტიურად არ ურჩევდნენ გამგზავრებას და სწორედ ამიტომაც უსაფრთხოების თვალსაზრისით ეს მეტად საყურადღებო ქვეყნები წითელი ძახილის ნიშნით იყვენენ აღნიშნულნი. დაახლებით 2004 წლამდე ამ ქვეყნებს შორის საქართველოც ფიგურირებდა (სამხრეთ ოსეთი, აფხაზეთი და პანკისის ხეობა), მაგრამ 2005 წლიდან საქართველო ტოვებს ამ სახელმწიფოთა რიგებს.

უცხო ქვეყანაში ჩასული ტურისტისათვის ასევე მნიშვნელოვანია ქვეყანაში არსებული ინფრასტრუქტურა და მისი განვითარების დონე, საერთოდ რა მდგომარეობაში იმყოფება ამ სახელმწიფოში მოქმედი სატრანსპორტო სისტემა და საერთოდ ინფრასტრუქტურა, სწორედ ამდენად მნიშვნელოვანია თუ რა სახის ინფორმაციებს ავრცელებენ საგარეო უწყებები საქართველოში არსებული სატრანსპორტო სისტემის მდგომარეობის შესახებ. მათი განცხადებით, ქვეყანაში აქტიურად ხდება ადგილობრივი პოლიციის კონტროლი მთლიან საგზაო ქსელზე. საქართველოში ჩამოსულ თანამოქალაქეებს საგარეო უწყებები ავტომობილის მართვის პროცესში სიფრთხილისკენ მოუწოდებენ, რადგანაც მათი აზრით, საქართველოში ძალიან ბევრი ადგილობრივი მძღოლი არ მართავს ავტომობილს საგზაო წესების შესაბამისად. შუქნიშნები და საგზაო ნიშნები ხშირად თითქმის იგნორირებულია. მძღოლები ხშირად მართავენ ავტომობილს გაუფრთხილებლად და გადაჭარბებული სიჩქარით. ხშირია ხოლმე სწრაფი სიჩქარით

მომავალი ავტომობილების მიერ მომხხდარი ავარიები, რომლებიც ცდილობენ წინ გაუსწრონ უცბად გამომხტარი ბრმა მოსახვევიდან მომავალ ავტომობილს. ქუჩები ძირითად ცუდ მდგომარეობაში იმყოფება და აკლიათ საგზაო ნიშნები და გამყოფი ხაზები. უფრო მეტიც, საგზაო შუქნიშნები შეიძლება არ ფუნქციონირებდნენ და მწყობრიდან იყვნენ გამოსული. სამწუხაროდ აშკარაა, რომ საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გამოკლებით (იხილე 3), რომელიც კარგად არის ინფორმირებული ამ საკითხში, დანარჩენი ქვეყნების ოფიციალური უწყებები არ არიან ინფორმირებული ქვეყანაში სატრანსპორტო და საავტომობილო გზებზე ჩატარებული ფართო მასშტაბიანი სამუშაობის შესახებ.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებით, საქართველოში რელიგიური უმცირესობები ხშირად არიან ხოლმე სამიზნე, კერძოდ კი მათი მსხვერპლი ძალიან ხშირად იეღოვას მოწმეები აღმოჩნდნენ, მათ შორის იყვნენ ასევე ბაპტისტები და ღვთის კავშირის მიმდევრები. ინციდენტებში იგულისხმება მათი ლიტერატურის განადგურება, კერძო საკუთრების დამტვრევა და ზოგჯერ მათი ფიზიკური ანგარიშსწორება (ზოგჯერ საკმაოდ მძიმედ), ასეთი სახის ინციდენტებს ჰქონდა ადგილი ამერიკელ მოქალაქეებზეც. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობამ 2005 წელს დააკავა, დამნაშავედ ცნო და დააპატიმრა დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფი, ამერიკის მთავრობა საქართველოში მყოფ თანამოქალაქეებს თავიანთი რელიგიური აღმსარებლობის შესრულებისას მაინც სიფრთხილისაკენ მოუწოდებს.

საქართველოს, რომელსაც უამრავი მიმზიდველი მდიდარი რესურსები გააჩნია, მისი ამ ტურისტული პოტენციალის შესახებ თითქმის არაფერი არ არის ნახსენები უცხოეთის საიტებზე. ერთადერთი ინფორმაცია, რასაც ისინი ავრცელებენ გახლავთ ინფორმაცია ალპინიზმთან დაკავშირებით. საგარეო უწყება ალპინიზმის მოყვარულებს არ ურჩევს საქართველოს მთებში მარტო მოგზაურობას, საჭიროა რომ ისინი შეუერთდნენ სპეციალურ ორგანიზებულ ტურისტულ ჯგუფებს,

რადგანაც რთულია საქართველოში ზუსტი ინფორმაციის მიღება მთების მდგომარეობის შესახებ, ვინაიდან მთაში ამინდი არაპროგნოზირებდია და შესაძლოა, რომ საჭიროების შემთხვევაში ვერ მოხერხდეს შესაბამისი დახმარების აღმოჩენა (იხილე 6).

ჩვენი კვლევის მიზანი იყო შეგვესწავლა, თუ რამდენად მიმზიდველი ტურისტული იმიჯი აქვს დღეს საქართველოს საზღვარგარეთ, რომლის საფუძვლად გამოვიყენე მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების საგარეო საქმეთა სამინისტროების ოფიციალური ვებ – გვერდები. ვთვლი, რომ საქართველოს შესახებ გავრცელებული ინფორმაციები და მათი შეფასებები ძალიან ახლოს დგას რეალობასთან. მიუხედავად საქართველოს მთავრობის მიერ გადაგმული სერიოზული პოზიტიური ნაბიჯებისა და გატარებული რეფორმებისა, საქართველო მათთვის მაინც რჩება „ზომიერად საშიშ" ქვეყნად. დასავლეთის ქვეყნების მიერ ყველაზე მეტი აქცენტი კეთდება ქვეყანაში არასტაბილურ კრიმინალურ გარემოსა და კონფლიქტური რეგიონების მიმართ. მათივე განცხადებით, ე. წ სამხრეთ ოსეთი, აფხაზეთი, პანკისის ხეობა კვლავაც რჩება სხვადასხვა სახის ტერორისტული აქტების სამიზნედ, სადაც ადამიანთა გატაცება, აფეთქება და სიცოცხლის ხელყოფა ჩვეულ მოვლენას წარმოადგენს. ქვეყანაში არსებული კრიმინალური გარემო, გადაუჭრელი კონფლიქტები, შიდა პოლიტიკური დაძაბულობა ხელს უშლის ტურიზმის განვითარებსა და ინვესტიციების შემოსვლას ქვეყანაში.

აგვისტოს ომის შემდგომ დიდი კითხვის ქვეშ დადგა საქართველოს, როგორც სტაბილური სატრანზიტო და ტურისტული ქვეყნის იმიჯი. მნიშვნელოვნად გაუარესდა ინვესტორთა დაცვის გარანტიები, რის გამოც უამრავმა ინვესტორმა უარი განაცხადა საქართველოში ინვესტიციების ჩადებაზე, რის გამოც საქართველომ დაკარგა სტაბილური ქვეყნის იმიჯი. უცხოეთის ოფიციალურ საიტებზე განთავსებულ და შესწავლილ მასალათა საფუძველზე შეიძლება გამოვყოთ შემდე-

გი ფაქტორები, რომლებიც ყველაზე ნეგატიურად მოქმედებენ საქართველოს იმიჯზე, ეს ფაქტორები გახლავთ:

- ქვეყანაში არსებული კრიმინოგენული მდგომარეობა;
- ქვეყნის ტურისტული სარეკლამო კამპანიებისა და მარკეტინგული ღონისძიებების არასაკმარისობა;
- ეკონომიკური მიმზიდველობის დაბალი დონე;
- არასათანადო საინვესტიციო კლიმატი;
- გადაუჭრელი და გაყინული კონფლიქტები;
- ქვეყანაში არსებული დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების დაბალი დონე;

თანამედროვე გარემოში ტურიზმს სულ უფრო და უფრო მეტი და საპასუხისმგებლო ამოცანები ეკისრება, რომელთაგანაც გამოვყოფთ ტურიზმის, როგორც ტერიტორიის იმიჯის ფორმირების ფაქტორს. ტერიტორიის დადებით სახე ანუ იმიჯი, ბრენდი, ყალიბდება უამრავი ფაქტორის ზემოქმედების შედეგად – ეს არის ეკონომიკის განვითარების დონე, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტის, მომსახურების სფეროს განვითარების ხარისხი, რეკრეაციული რესურსების არსებობა, ტერიტორიის ეკოლოგიური შედგენილობა, ასევე მისი საერთო ინვესტიციური მიმზიდველობა. ტერიტორიის დადებითი იმიჯის ფორმირებაზე უფრო მეტ ზეგავლენას ახდენს ეკონომიკის ზოგადი მდგომარეობა და ინფრასტრუქტურისა და მომსახურების სფეროს განვითარების ხარისხი. ამ მხრივ ტურიზმის მარკეტინგმა სათანადო მუშაობა უნდა ჩაატაროს. ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით ამას შესაძლებელია გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს ინვესტიციების მოსაზიდად.

საქართველოში ტურისტული ინდუსტრიის განვითარებისათვის საჭიროა შემდეგი ღონისძიებების გატარება ხელისუფლების მხრიდან:

- ტურისტული რესურსების ხელახალი შეფასება;
- სათანადო ინფრასტრუქტურის შექმნა;

• ქვეყნის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და მოსახლეობის ეკოლოგიური განათლების დონის ამაღლება;

• საერთაშორისო ბაზარზე საქართველოსა და აზერბაიჯანის ტურისტული რესურსების შესახებ ფართო სარეკლამო საქმიანობის ორგანიზაცია.

სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს საქართველოს ხელისუფლების მხრიდან, საქართველოს, როგორც ტურიზმისა და საინვესტიციო ნაკადებისათვის უსაფრთხო და მიმზიდველი ქვეყნის იმიჯზე მუშაობას. აშკარაა, რომ საქართველოს დადებითი იმიჯის ფორმირებისათვის საჭიროა უფრო მეტი და სერიოზული ენერგიის დახარჯვა, კიდევ უფრო მეტი დინამიკის გამოვლენა საკუთარი ქვეყნის იმიჯის მშენებლობის პროცესში.

Abstract

Eka Darbaidze – PhD student of the Faculty of Social and Political Sciences of TSU.

The Image o Georgia in theWestern Countries

A positive country image has manifold advantages. There are several opportunities for the practical application of these findings by marketing professionals dealing with tourism and country image matters. Amongst direct political and economic benefits are the expansion of tourism, a better position in privatization transactions, foreign investors' increased interest, improved image and competitive position of our entrepreneurs abroad, a more positive external attitude to governmental credit and loan applications, stronger support and international reactions to foreign policy efforts, the strengthening of the national ties and the national consciousness of Hungarians living abroad.

The paper deals with the image of Georgia, based on the analyses of the infomration provided by the MFA's of the leading countries of the world. The particular emphasis is put on the modern circumstances of Georgia, pointing to the issues of security in the conflict regions and general criminal situation in the whole country. The main factors hampering the formation of the positive image of Georgia is provided in the paper.

გამოყენებული და ციტირებული ლიტერატურა :

1. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
www.mfa.gov.ge/index.pxp?sec_id=376&lang_id=GEO
2. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი
http://travel.state.gov/travel/cis_pa_tw/tw/tw_4327.html
3. საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო
http://www.diplomatie.gouv.fr/fr/conseils-aux-voyageurs_909/index.html
4. ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
http://www.fco.gov.uk/en/travel-and-living-abroad/travel-advice-by-country/europe/
5. ავსტრალიის საგარეო საქმეთა და ვაჭრობის სამინისტრო
http://www.smartraveller.gov.au/zw-cgi/view/Advice/
6. კანადის საგარეო საქმეთა სამინისტრო
http://www.voyage.gc.ca/index-fra.asp
7. www.economy.ge/allfiles/trade%20turnover%202008
8. http://www.regard-est.com/home/breve_contenu.php?id=742
9. http://www.ieim.uqam.ca/spip.php?page=article-cepes&id_article=5297
10. World Tourism Organization (UNWTO)

პოლიტიკის ველისა და ჟურნალისტიკის ველის შეხვედრის ადგილი: საქართველოს ენერგოსექტორი ომისშემდგომ ქართულ პრესაში

ფლორა ესებუა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტი, სოციოლოგიის მიმართულება,
დოქტორანტი.

ეპოქა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ბევრმა მეცნიერმა მონათლა როგორც ინფორმაციული. ამ დროში პოლიტიკაც ახალ თვისებებს იძენს; მას უწევს მოქმედება ახალ სიბრტყეში, სადაც თავად გვევლინება ერთდროულად როგორც დეტერმინატორის, ასევე დეტერმინირებულის როლში. დღეს უკვე საუბარია ავტონომიურ პოლიტიკურ ველზე, რომელზეც ყველაზე დიდ გავლენას მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები ახდენენ.

ველის ცნება ფრანგი სოციოლოგის პიერ ბურდიეს სოციოანალიზის ერთ-ერთი ძირითადი კატეგორიაა. არ არსებობს ველის ცალმხრივი და ერთმნიშვნელოვანი განმარტება. სოციალურ ურთიერთობათა ერთობლიობა არ არის რაღაც ამორფული ან ერთგვაროვანი რამ, არამედ წარმოადგენს გარკვეული სტრუქტურით განპირობებულ სისტემას. "ველი – ეს არის ძალთა ადგილსამყოფელი, მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი სივრცე, სტრუქტურირებული ოპოზიციებით...; ეს არის განსაკუთრებული ადგილი, სადაც ადგილი აქვს სრულიად მრავალფეროვან ბრძოლას" (4, 37).

"ველი არის ძალთა კონცენტრაციის ადგილი, რომლის ფარგლებშიც აგენტები ფლობენ გარკვეულ პოზიციებს, რაც სტატისტიკურად განსაზღვრავს მათ შეხედულებას ამ ველზე და მათ პრაქტიკებზე, რომლებიც ორიენტირებულია იმ ძალთა ურთიერთობის სტრუქტურის შენარჩუნებაზე ან შეცვლაზე, რომლებიც ქმნიან ამ ველს" (4,109). ველი წარმოადგენს

სოციალური სინამდვილის ერთგვარ მოდუსს. ეს არის ძალთა ურთიერთობა და ბრძოლის სივრცე, სადაც ბრძოლა და ძალთა გადანაწილება ხორციელდება ამ ძალთა ერთობლიობის ტრანსფორმაციისთვის. ველის შიგნით ადგილი აქვს კონკურენციას და ბრძოლას იმის ლეგიტიმირებისათვის, რისთვისაც მიმდინარეობს ბრძოლა ამ კონკრეტულ ველში.

ნებისმიერ ველს ჰყავს აგენტი. აგენტები, იმყოფებიან რა გარკვეული ველის ფარგლებში, რეაგირებენ ძალთა გადანაწილებაზე, სტრუქტურებზე, ახდენენ მათ კონსტრუირებას, და მიუხედავად იმისა, რომ განიცდიან გარკვეულ ზეწოლას, მათ მაინც აქვთ უნარი ზემოქმედება მოახდინონ ველზე; ისინი მოქმედებენ ველში წინასწარ დადგენილი წესების შესაბამისად, მაგრამ, იმავდროულად, გააჩნიათ თავისუფლების გარკვეული ხარისხი.

პიერ ბურდიე თვლის, რომ პოლიტიკური ველი არის ერთგვარი მიკროკოსმი და განმარტავს, რომ სიტყვა მიკროკოსმი მიუთითებს იმაზე, რომ პოლიტიკური უნივერსუმი ყველა ინსტიტუტთან და პარტიასთან, ფუნქციონირების წესთან და აგენტთან ერთად, წარმოადგენს ავტონომიურ სამყაროს, მიკროკოსმოსს, რომელიც სოციალურ მიკროკოსმშია მოთავსებილი; "პოლიტიკური მიკროკოსმი არის ერთგვარი უნივერსუმი, რომელიც ჩართულია დიდი უნივერსუმის ფუნქციონირების კანონებში და, მიუხედავად ამისა, ფლობს შედარებით ავტონომიას ამ უნივერსუმის შიგნით და ემორჩილება საკუთარ ნომოს-ს, ანუ, საკუთარ ავტონომიურ კანონს" (4,112). სწორედ ეს შედარებითი ავტონომია უნდა გავითვალისწინოთ ამ უნივერსუმის შიგნით აღმოცენებული პრაქტიკების გასაგებად.

პოლიტიკური ველი არ არსებობს სხვა ველებთან ურთიერთობის გარეშე. ის მუდმივ ინტერაქციაშია სხვა ველებთან; ველის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ საკუთარი პრინციპები თავს მოახვიოს სხვა ველებს, ამიტომაც ახორციელებს პოლიტიკურ კომუნიკაციას, რაც გულისხმობს "პოლიტიკური ინფორმაციის გადაცემის პროცესს, რომლის წყალობითაც

იგი მოძრაობს პოლიტიკური სისტემის ერთი ნაწილიდან მეორეში და ბრუნავს პოლიტიკურ სისტემასა და სოციალურ სისტემას შორის" (1,144). სოციალურ სისტემასთან კომუნიკაციის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას სწორედ ბეჭდური მედია წარმოადგენს. მართალია, ბეჭდური მედია ტელევიზიაზე ნაკლებადაა გავრცელებული, მაგრამ საკმაოდ ეფექტური ფორმაა. შედარებით ფართო აუდიტორიაზე გასვლას პოლიტიკის აგენტები და "აზრთა ლიდერები" სწორედ ბეჭდური მედიის საშუალებით ცდილობენ.

ნებისმიერი პოლიტიკური ჯგუფის თუ ცალკეული ფიგურის მიზანს საკუთარი აუდიტორიის გაზრდა და საჭირო ან საჭიროზე მეტი ხმის მიღება წარმოადგენს. ინფორმაცია, რომელსაც ამომრჩეველს თუ პოტენციურ ამომრჩეველს აწვდიან პრესის საშუალებით, უქმნის აუდიტორიას შთაბეჭდილებას და უყალიბებს გარკვეულ პოზიციას.

თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ თანამედროვე სამყაროში პოლიტიკურ სივრცეში წარმატების მისაღწევად მედიის საუკეთესო ფორმას ტელევიზია წარმოადგენს, რადგანაც პოლიტიკის ველი ცდილობს ელექტორატის მაქსიმალური რაოდენობა მოიცვას; თუმცა პოლიტიკურ თამაშში მხოლოდ ტელევიზია როდი მონაწილეობს. ბეჭდური მედია, მიუხედავად იმისა, რომ მისი აუდიტორია ნაკლებად მრავალრიცხოვანია, ჩართულია ახალი დროის "მედია-ლოგიკაში", რაც სიახლეზე, საინტერესოსა და მიმზიდველზე ორიენტაციას გულისხმობს.

ახალი დროის პოლიტიკა, სარჩინელის თქმით, "არ არის კომპეტენტური, თუ ის არ არის კომპეტენტური მკს-ის სფეროში" (8,41). ახალ ეპოქაში ძირითადი პოლიტიკური დისკურსი ღიაა იმისათვის, რომ იგი წარმოდგენილ იქნას მედიაში. ეს არის არა მხოლოდ სურვილი, არამედ აუცილებლობა; სწორედ ამიტომ, პოლიტიკოსები ნებისმიერ განცხადებას, ნებისმიერ თემაზე საუბარსა თუ გამოჩენას საინფორმაციო ველში, პოლიტიკური სიტყვის თქმის ჟანრში აქცევენ და ცდილობენ ხშირად მოხვდნენ ამ ველში, რადგანაც ესმით "პოლიტიკის მედიატიზაციის" მნიშვნელობა. ეს მოვლენა ზოგჯერ აღიქმე-

ბა პოლიტიკის კოლონიზაციად მედიის მიერ, ზოგჯერ კი პირიქით, მედიის კოლონიზაციად პოლიტიკის მიერ (14,200).

ლოგიკურად ჩნდება კითხვა ველის ავტონომიურობის შესახებ. რეალობაში არსებული მრავალი ველიდან ჟურნალისტიკის ველი ფლობს ავტონომიურობის საკმაოდ დაბალ ხარისხს. ამ ველის გაგება შეუძლებელია მხოლოდ გარე ან შიდა კონტექსტის გათვალისწინებით; აქ ერთნაირად მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ ვინ აფინანსებს მას, ვინ არის რეკლამის დამკვეთი და ა.შ. და ისიც, თუ როგორ ზემოქმედებენ თავად ის ადამიანები ერთმანეთზე, რომლებიც ამ ველში ფლობენ გარკვეულ პოზოციებს.

რაც შეეხება პოლიტიკის ველს, დღეს იგი არის ერთ-ერთი ყველაზე ავტონომიური ველი (4,115). რაც მეტადაა ავტონომიური ველი, მით მეტადაა შესაძლებელი მისი ახსნა ველის ლოგიკით. თუმცა, ავტონომიურიბის მაღალი ხარისხი იმას როდი ნიშნავს, რომ პოლიტიკის ველს არა აქვს საერთო სხვა ველებთან და მას მხოლოდ საკუთარი ლოგიკით ავხსნით. თითქმის ყველა ველს აერთიანებს პრეტენზია სხვებს თავს მოახვიონ სოციალური სამყაროს ლეგიტიმური ხედვა და თითოეული მათგანი აწარმოებს ბრძოლას "ხედვისა" და "დაყოფის" გაბატონებული პრინციპის სხვებისათვის თავსმოსახვევად. პოლიტიკური ველი ჟურნალისტიკის ველის განსაკუთრებული ზეგავლენის ქვეშ ექცევა და მისი ახსნა კონტექსტის გათვალისწინების გარეშე წარმოუდგენელია, რამდენადაც ჟურნალისტიკის ველი, მიუხედავად ნაკლები ავტონომიურობისა, სულ უფრო მეტ გავლენას ახდენს პოლიტიკის ველზე.

პოლიტიკური სუბიექტებისათვის საინფორმაციო ველი, ამ ველზე ხშირი გამოჩენა, გარკვეული საინფორმაციო დომინირების მიღწევა და იმ პირობების შესრულება, რომელსაც ინფორმაციული ეპოქა აყენებს, "სასიცოცხლო მნიშვნელობის" მატარებელია.

მე-20 საუკუნიდან დღემდე მსოფლიო რადიკალურ ტრანსფორმაციებს განიცდის და ამას, სხვა ბევრ მიზეზთან ერთად, კომუნიკაციის ფორმებიც (პრესა, რადიო, ტელევი-

ზია, კომპიუტერი) განაპირობებენ. თითოეული მათგანი თავისებურად ახდენს ზეგავლენას ადამიანის ცხოვრების წესზე. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები (მკს) არის განათლების, ინფორმაციის გაცვლისა და გართობის საშუალება, რომელიც იჭრება თითოეული ინდივიდის ცხოვრებაში დაუკითხავად.

დღეს კომუნიკაციას სამი ძირითადი ინტერპრეტაცია გააჩნია:

1. საშუალება მატერიალური და სულიერი სამყაროს ობიექტების დაკავშირებისა;

2. ინფორმაციის გაცვლაზე დაფუძნებული ურთიერთობა;

3. ინფორმაციის მასობრივი მიწოდება და გაცვლა საზოგადოებაზე ზემოქმედების მიზნით (10, 53).

საზოგადოება თავადაა კომუნიკაციის ფორმა, რომლის მეშვეობითაც ხდება გამოცდილების აღწერა, მოდიფიცირება თუ გაცვლა. ის, რასაც ჩვენ საზოგადოებას ვუწოდებთ არ არის მხოლოდ პოლიტიკური ან ეკონომიკური ქსელი, არამედ არის კომუნიკაციისა და სწავლის პროცესი. კომუნიკაცია იწყება ბრძოლით სწავლასა და აღწერას შორის; "ვიწყებთ რა ამ პროცესს გონებაში და გადავცემთ რა მის შედეგებს სხვებს, ჩვენ დამოკიდებულნი ვართ კომუნიკაციის გარკვეულ მოდელებზე, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია კონტაქტი საერთოდ. ჩვენ შეგვიძლია შევცვალოთ ეს მოდელები, როცა ისინი არაადექვატურია არსებული სიტუაციისათვის. მთელი ჩვენი ცხოვრება, საბოლოო ჯამში, არის ამ მოდელების ცვლა, რაზედაც ჩვენი ენერგიის უდიდესი ნაწილი იხარჯება. იგი ცვლის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინსტიტუტებს. მეტიც, კომუნიკაციური მოდელების უმრავლესობა სოციალურ ინსტიტუტად იქცევა. სწორედ მათ უნდა უზრუნველყონ სხვადასხვა სფეროს არსებობა და ფუნქციონირება" (15, 45).

თავის დროზე, კომუნიკაციის ფორმების გავრცელება სწორედ განათლების სისტემას უკავშირდებოდა; მე-18 საუკუნიდან, მას შემდეგ, რაც ადამიანებმა გააცნობიერეს, რომ

წერა-კითხვის ცოდნა აუცილებელია არა მხოლოდ ელიტარული წრის წარმომადგენელთათვის, არამედ ნებისმიერი მოქვდავისათვის, შეიქმნა შესაბამისი პირობები, რომლებიც ხელს უწყობდა ადამიანების სწავლა-განათლებას; ადამიანებმა მიიღეს მეტი ინფორმაცია ამ სამყაროსა და მასში მიმდინარე მოვლენებზე. ეს პროცესი უშუალოდ იყო დაკავშირებული სკოლათა ქსელის შექმნასთან და საბეჭდი საშუალებების გავრცელებასთან. კომუნიკაციის თანამედროვე ფორმებს, თავდაპირველად, მე-18 საუკუნეში, გაჩნდა გაზეთი, რომელიც ინფორმაციის გადაცემის ძირითად საშუალებას წარმოადგენდა; მე-19 საუკუნეში ჩნდება გაზეთის ყოველდღიური გამოცემები აშშ-ში, რომელთა ღირებულება ერთ ცენტს არ აღემატებოდა და ხელმისაწვდომი იყო ყველასთვის (5, 415).

მე-20 საუკუნეში თანმიმდევრულად ჩნდება რადიო, ტელევიზია და კომპიუტერი. დროთა განმავლობაში, კომუნიკაციის საშუალებები მართლაც იქცა მასობრივად; დღეს უკვე საუბარია მსოფლიო საინფორმაციო წესრიგზე. თანამედროვე სამყაროში არსებობს "ერთიანი სამყაროს" განცდა, რასაც მკს ქმნიან. მსოფლიო საინფორმაციო სისტემაში წამყვანი ადგილი დასავლურ ინდუსტრიულ ქვეყნებს უკავიათ, მაგრამ "გლობალური სოფელი" მაინც არსებობს და მის ფუნქციონირებაში ყველას შეაქვს საკუთარი წვლილი.

ინფორმაცია არის ახალი ეპოქის მთავარი მამოძრავებელი ძალა; ის არის წარმოების ძირითადი ფორმა და პროდუქტი. სხვა მატერიალურ პროდუქტებთან შედარებით ინფორმაციას, როგორც პროდუქტს, მრავალი უპირატესობა აქვს (2,34). ინფორმაცია არ ცვდება; მისი მრავალჯერადი გამოყენება ავტომატურად არ იწვევს მის გაქრობას. ინფორმაციის სწრაფი ტირაჟირება მარტივად არის შესაძლებელი. მისი კორექტული გადაცემის შემთხვევაში ის არ კარგავს საკუთარ არსს; იგი ეკონომიურია: თუ მატერიალური პროდუქტი მუდმივად საჭიროებს კვლავწარმოებას, ინფორმაციას ეს არ სჭირდება; საკმარისია მისი ერთხელ წარმოება და, სწორად შენახვის შემთხვევაში, მას არაფერი ემუქრება.

თანამედროვე სამყაროში მკს-ის მნიშვნელოვან როლზე არავინ დავობს. ამ მნიშვნელობის გასაზომად მეცნიერები სამ "სიდიდეს" იღებენ:

1. მედიის როლი და ადგილი ყოველდღიურ ცხოვრებაში;
2. ეროვნულ ეკონომიკაში მკს-ის როლი;
3. მედია, როგორც პოლიტიკური განცხადებების მაუწყებელი.

პირველი სიდიდე – ყოველდღიურ ცხოვრებაში მედიის ადგილი, ნამდვილად მნიშვნელოვანია. სტატისტიკური მონაცემებით, ბრიტანეთსა და აშშ-ში მოსახლეობის 97-98%-ს აქვს ტელევიზორი და ყოველდღე თითოეული ადამიანი ცის-ფერ ეკრანთან 3-4 საათს ატარებს (15, 332).

შესაბამისად, ტელევიზია არის უმნიშვნელოვანესი ადამიანთა სოციალიზაციის პროცესისათვის. რაც შეეხება ეკონომიკურ სიდიდეს: მედია თამაშობს უმნიშვნელოვანეს როლს ეროვნული პროდუქტის წარმოებასა და გავრცელებაში; აგრეთვე, დიდია ბიუჯეტში შეტანილი გადასახადის მაჩვენებელიც. მესამე სიდიდე – პოლიტიკური – არის ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვენ შემთხვევაში, რადგანაც მედია აქ გვევლინება ბრძოლის იარაღად პოლიტიკურ ვალზე. აქ კი უნდა აღინიშნოს მკს-სადმი ფუნქციონალური მიდგომა. იგი ხაზს უსვამს მედიის ერთ კონკრეტულ-პოლიტიკურ ფუნქციას. ინგლისელი სოციოლოგის, მერდოკის პოლიტიკურ თეორიაში მკს-ის მოღვაწეობის უმნიშვნელოვანეს სფეროს პოლიტიკა წარმოადგენს. რობერტ მერტონიც მკს-ს განიხილავს, როგორც თვითორგანიზებად და თვითკონტროლირებად ქვესისტემას, რომელიც დადგენილი პოლიტიკური ჩარჩოების ფარგლებში ფუნქციონირებს (10, 57).

პიერ ბურდიე საუბრობს მკს-ის დიდ როლზე თანამედროვე სამყაროში და აცხადებს, რომ ჟურნალისტიკის ველი, რომელიც მჭიდრო კავშირშია პოლიტიკურ ველთან, მიუხედავად ავტონომიურობის შედარებით დაბალი ხარისხისა, სულ უფრო მეტ გავლენას ახდენს სხვა ველებზე. ეს ველი ორ პოლუსს შორის არსებული ოპოზიციის საფუძველზეა სტრუქ-

ტურირებული: სახელმწიფოს (აგრეთვე, პოლიტიკური თუ ეკონომიკური) ზეგავლენისაგან შედარებით დამოუკიდებელი პოლუსი და ამ ძალებზე დამოკიდებული პოლუსი (4, 129).

მართალია, მას-მედია ბევრი ფუნქციის მატარებელია და ძირითადად ერთი მიზანი – მოგების მიღება ამოძრავებს, მაგრამ კარგად იცის, რომ მას ისევე კარნახობს საკუთარ წესებს აუდიტორია, როგორც თავად მედია ამ უკანასკნელს. მკს არის ბიზნესი, რომელიც წარმატებული მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს, როცა იგი ითვალისწინებს აუდიტორიის მოთხოვნებს; წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი დაკარგავს ძალაუფლებას და, საერთოდაც, შეწყვეტს არსებობას. კომუნიკაცია აუცილებლად გულისხმობს ორი მხარის არსებობას – რეციპიენტი-კომუნიკატორი და მათ შორის ურთიერთობას არა ცალმხრივი, არამედ ორმხრივი ხასიათი აქვს და ამ ფაქტის უგულებელყოფა წამგებიანია თითოეულ პოლუსზე განლაგებული ძალისათვის.

მიუხედავად ქართულ მედია-სივრცეში არსებული ბევრი პრობლემისა, საქართველოში მაინც არსებობს ტელეკომპანიები თუ გაზეთები, რომელთა მფლობელებიც კერძო პირები არიან. იმის მიუხედავად, რომ პრესას მთელ მსოფლიოში და, მათ შორის საქართველოშიც აუდიტორიის მხოლოდ 10-15% თუ ეცნობა აქტიურად, პრესა მაინც მნიშვნელოვანი მედიასაშუალებაა. ის, სულ მცირე, აქტიურად მონაწილეობს მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. "მიუხედავად შექმნილი ვითარებისა, მედიაც და პოლიტიკური ძალებიც ქმნიან ილუზიას, თითქოს ისინი გავლენას ახდენენ მთელ საზოგადოებაზე სწორედ მედიის საშუალებით" (3, 27).

პრესის შემთხვევაში კარგად მუშაობს პოლ ლაზარსფელდის "ორმხრივი კომუნიკაციის თეორია", რომლის თანახმადაც პოლიტიკური ძალები საკუთარ იდეებს აცნობენ "აზრთა ლიდერებს", რომლებიც, თავის მხრივ, გავლენას ახდენენ კონკრეტულ ჯგუფებზე; ანუ, ხდება მიღებული ინფორმაციის განხილვა და ინტერპრეტაცია იმ ადამიანების მიერ, რომლებიც გარკვეული ავტორიტეტით სარგებლობენ

ჯგუფებში და იქცევიან აზრთა გენერატორებად იმით, რომ მხარს უჭერენ (ან არ უჭერენ) კონკრეტულ იდეას, გადაწყვეტილებას; "აზრთა ლიდერები" შეიძლება განვიხილოთ მედიატორების როლში. მედიატორის როლში გვევლინებიან, როგორც კონკრეტული ავტორები, ასევე რესპონდენტები, რომლებიც კონკრეტულ საკითხებზე ექსპერტულ შეფასებებს აკეთებენ.

აქვე შეიძლება მივუთითოთ ჰ. ლასუელის მიერ ჩაფიქრებული კონფიგურაცია, რომელიც მოიცავს ინფორმაციის გადაცემის მთელ გზას: "ვინ აცნობებს, რას აცნობებს, როგორი არხებით, ვის და როგორი ეფექტით" (1, 149). ამ სქემის მიხედვით, კონკრეტული ჟურნალისტები კონკრეტული ექსპერტების საშუალებით ცდილობენ გაუგზავნონ აუდიტორიას კონკრეტული გზავნილი პრესის საშუალებით. თავად პრესის მკითხველთაგან ბევრი შესაძლოა იყოს "აზრთა ლიდერი" საკუთარ სოციალურ ჯგუფში და თავად გახდეს იდეის გენერატორი. ყოველი კონკრეტული სტატიის შემდეგ გაჩენილი კითხვები და დისკუსია არის იმის გარანტი, რომ კონკრეტულ თემაზე მოხდება აქცენტის გადატანა იმაზე გაცილებით მეტი ადამიანისა, ვიდრე კონკრეტული გაზეთის ან თუნდაც სტატიის მკითხველია.

ამ სტატიაში ჩემი კვლევის საგანს წარმოადგენს არა მხოლოდ პიერ ბურდიეს ხედვა პოლიტიკის, ეკონომიკისა და ჟურნალისტიკის ველებზე, ან მედია-საშუალებების როლზე, არამედ ამ კონტექსტში კონკრეტული საკითხის გაანალიზება. კერძოდ, კვლევის საკითხად ავირჩიე საქართველოს ენერგოსექტორის გაშუქება აგვისტოს ომის შემდგომ ქართულ პრესაში.

საქართველოს ენერგოსექტორი ქართული პოლიტიკური დისკურსის შემადგენელი ნაწილია. საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ პროექტებში მონაწილეობა, საქართველოს პოზიციონირება, როგორც ენერგოდერეფნისა არის თემა, რომელზეც თითქმის ყველა პოლიტიკური ძალა აპელირებს.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ნებისმიერი პოლიტიკური ძალა თუ ლიდერი საკუთარი იმიჯის პოზიციონირებისას ცდილობს თუნდაც ერთი "გრანდიოზული" იდეის გენერირება მოახდინოს და საკუთარ პოლიტიკურ პროგრამაში დებს მუხლს კონკრეტული დიდი გეგმის განხორციელების შესახებ, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა და მისი როგორც ენერგოდერეფნის პოზიციონირება არის საქართველოს პოლიტიკური ელიტის სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი.

ამდენად, ქვეყნის ენერგოსექტორი და სექტორში მიმდინარე პროცესები, საქართველოს საერთაშორისო ენერგოპროექტებში მონაწილეობა როგორც უცხოური, ასევე ქართული პრესისთვის არამიმზიდველი თემა სულაც არ არის. ამ თემამ განსაკუთრებული აქტუალურობა აგვისტოს მოვლენების შემდეგ შეიძინა. გაჩნდა ბევრი კითხვა საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ პროექტებში მონაწილეობის შესაძლებლობებთან დაკავშირებით, ეს ფაქტი კი ქვეყნის დამოუკიდებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს გარანტად აღიქმება.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ამ მოვლენებში აქტიურად იყო ჩართული არა მხოლოდ სამი (საქართველო-სამხრეთ ოსეთი-რუსეთი) მხარე, არამედ დასავლეთიც.

გლობალიზაციის პირობების გათვალისწინებით, მსოფლიოს მსხვილი პოლიტიკური მოთამაშეების ჩართვა ამ ომში გასაკვირი არც არის. მთელს მსოფლიოს მოუწია თამაში იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ რუსეთი მსოფლიოს უმსხვილესი ენერგეტიკული მოთამაშეა. როგორც ექსპერტები და დასავლური მედია წერდა, დასავლეთს მოუწევდა გარკვეულ დათმობებზე წასვლა სწორედ რუსეთზე ენერგეტიკული დამოკიდებულების გამო. ამასთანავე, ეჭვქვეშ დგებოდა საქართველოს ენერგეტიკულ პროექტებში მონაწილეობის საკითხი.

შესაბამისად, ეს თემა, როგორც მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხი, ქართული პრესის ერთ-ერთი მთავარი თემა უნდა ყოფილიყო აგვისტოს მოვლენების შემდეგ. ქართულ

პრესაში საქართველოს ენერგეტიკული პრობლემების გაშუქებაა ჩემი კვლევის საგანიც. კვლევის მეთოდად პრესის მონიტორინგი და კონტენტ-ანალიზია გამოყენებული. საკვლევად კი ოთხი გაზეთი შეირჩა. კერძოდ, "რეზონანსი", "24 საათი", "ალია" და "კვირის პალიტრა". ამათგან, ორი გაზეთი (რეზონანსი და 24 საათი) ყოველდღიური, ერთი (ალია) გამოდის კვირაში სამჯერ, ერთიც (კვირის პალიტრა) – ყოველკვირეულია. შესაბამისად, შერჩეული იქნა გამოსვლის სიხშირის მიხედვით ყველა ტიპის გაზეთი, რომლებიც სხვადასხვა გამოკითხვებით, რეიტინგულ გაზეთთა ხუთეულში სხვადასხვა თანმიმდევრობით, მაგრამ ხვდებიან.

კვლევის ამოცანა იყო დაგვედგინა, თუ რა სიხშირით გაშუქდა საქართველოს ენერგოსექტორი, ქვეყნის საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა, რა საკითხებზე მოხდა აქცენტირება, ვინ იყვნენ კომენტატორები, რომლებიც "აზრთა ლიდერებად" გვევლინებიან და რა ტენდენციები გამოვლინდა საკითხის გაშუქების დროს.

პრესის მონიტორინგი განხორციელდა ერთი თვის მასალაზე. კვლევის პერიოდად შეირჩა 5 სექტმებრიდან 5 ოქტომბრამდე მონაკვეთი. აგვისტოს მოვლენების შემდეგ მედიისთვის გარკვეული შეზღუდვები დაწესდა, რომელიც სწორედ 5 სექტემბერს მოიხსნა და ჟურნალისტიკის, პოლიტიკისა და ეკონომიკის ველის წარმომადგენლებს მიეცათ საშუალება შეეფასებინათ მოვლენები.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ყველაზე დიდი სიხშირით ენერგოსექტორი გაშუქდა გაზეთში "რეზონანსი". მთელი თვის მანძილზე გაზეთი ყოველდღე უთმობდა გვერდს თემას; ყოველკვირეულ გაზეთში "კვირის პალიტრა" დაიბეჭდა ორი სტატია; გაზეთმა "ალია" ენერგეტიკას ოთხი სტატია მიუძღვნა, გაზეთმა "24 საათი" კი თემას მიუძღვნა სამი სტატია და ერთი ჩანართი, რომელიც ფონდ საერთაშორისო გამჭვირვალეობა საქართველოს პროექტის ფარგლებში განხორციელდა.

თუ შევაჯამებთ შედეგებს ცელკეული გაზეთების მიხედვით, "კვირის პალიტრამ" ორივე სტატია დენისა და გაზის ტარიფს მიუძღვნა. გაზეთმა ყურადღება გაამახვილა საწარმოებისთვის გაზის ტარიფის გაზრდაზე და იმ ფაქტზე, გაიზრდებოდა თუ არა ელექტროენერგიის ტარიფი მოსახლეობისთვის. ორივე შემთხვევაში გაზეთმა კომენტარისთვის ენერგეტიკის მინისტრს მიმართა.

საინტერესოა, რომ ყოველკვირეულ, ერთ-ერთ ყველაზე გაყიდვად და მაღალტირაჟიან გაზეთს არ მიუძღვნია ვრცელი სტატია ქვეყნის ენერგოპოლიტიკის, საერთაშორისო პროექტებში ჩართვისა და ზოგადად ამ სექტორის პერსპექტივებისათვის და არ წარმოუდგენია არც ერთი ექსპერტის ანალიზი ამ საკითხზე.

გაზეთი "ალია" ენერგოსექტორს ოთხ ვრცელ სტატიას უძღვნის და თითოეულ მათგანში ერთი სექტორის სხვადასხვა პრობლემატიკაზეა საუბარი. გაზეთში საუბარია ზოგადად საქართველოს ენერგეტიკულ როლზე, ასევე საერთაშორისო პროექტებში ქვეყნის მონაწილეობის პერსპექტივებზე; გაშუქდა ასევე კონკრეტული კომპანიების – "ყაზტრანსგაზისა" და "ენერჯი-ინვესტის" მიმართ გატარებული ღონისძიებები, გაზის ტარიფის ცვლილება და აფხაზების მიერ ენგურჰესის შესაძლო გაკონტროლების საკითხები.

ვრცელ სტატიებში წარმოდგენილია ისტორიული ექსკურსი და მკითხველს შეუძლია გაიხსენოს რუსული ენერგოკომპანიების ქართულ ბაზარზე შემოსვლის ისტორია, ასევე გაეცნოს ფაქტებს გაზისა და ნავთობის ევროპისთვის მიწოდების ალტერნატიულ მარშრუტებსა და მოცულობებზე.

საინტერესოა ის გარემოება, რომ "ალია", მიუხედავად ვრცელი სტატიებისა, არ სთავაზობს მკითხველს არც ერთი ექსპერტის კომენტარს ამ საკითხებთან დაკავშირებით. ის სტატიებში ეყრდნობა ფაქტებს, ენერგეტიკის მინისტრის საჯარო კომენტარებს და "საკუთარი წყაროს" ინფორმაციას.

როგორც მოგახსენეთ, გაზეთი "24 საათი" ენერგეტიკულ პრობლემებს სულ სამ სტატიასა და ერთ ჩანართს უძღვნის. გაზეთი გვერდებს უთმობს ზოგადად ენერგოდამოუკიდებლობის საკითხს, საერთაშორისო პროექტს NABUCCO და მის პერსპექტივებს, და ენგურჰესთან აფხაზური ძალების მობილიზებას.

უნდა აღინიშნოს, რომ გაზეთის სტატიები არის საკმაოდ ვრცელი, მოყვანილია ბევრი ფაქტი, როგორც ენგურჰესის მშენებლობის, ელექტროენეგრიის წარმოების მოცულობების, ასევე გაზსადენ NABUCCO-ს მშენებლობის პერსპექტივებისა და მისი გამტარუნარიანობის შესახებ; მოყვანილია ასევე დასავლური მედიისთვის ევროკავშირის წარმომადგენელთა კომენტარები, თუმცა თავად გაზეთს არ აქვს წარმოდგენილი არც ერთი ექსპერტის კომენტარი და საკუთარი ანალიზი ამ სექტორის პერსპექტივების შესახებ. ერთადერთი, ვისი კომენტარიც არის წარმოდგენილი გაზეთში, არის ენერგეტიკის მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური.

როგორც მონიტორინგის შედეგად გაირკვა, გაზეთმა "რეზონანსი" საქართველოს ენერგოსექტორი ყველაზე აქტიურად გააშუქა. მან ამ თემას გვერდი თითქმის ყველა ნომერში დაუთმო და გააშუქა სექტორის მრავალი პრობლემატიკა.

საკითხები, რომლებიც "რეზონანსმა" გააშუქა:

- გაზის ტარიფის გაძვირება საწარმოებისთვის;

- დენის ტარიფის შესაძლო გაძვირებასთან დაკავშირებით არსებული კითხვები;

- ენგურჰესი და აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების პოზიცია ჰესთან დაკავშირებით;

- გაზის რეგიონებში განაწილება და ახალი "მონსტრი" - "სოკარი" ქართულ ბაზარზე;

- რუსეთის დაპირება ოსეთში გაზსადენის გაყვანასთან დაკავშირებით;

- ყაზახური პროექტის – ბათუმში ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობის პერსპექტივები;

- რუსეთის ენერგოპოლიტიკა და ევროპის რეაქციები;

- დასავლეთის შეტევა რუსულ ეკონომიკაზე;

- ნავთობკომპანიების მიერ აგვისტოს მოვლენებით დაზარალებულთათვის გაწეული დახმარება;

- ენერგეტიკული უსაფრთხოება და საქართველოს როლი.

"რეზონანსი" შეეცადა ერთი თვის მანძილზე მოეცვა მთელი ენერგოსექტორი. მკითხველს მიეცა შესაძლებლობა გაცნობოდა ამ სექტორში არსებულ პრობლემებს, საერთაშორისო ტენდენციებს, ქვეყანაში შექმნილ ვითარებას; სტატიებში მოყვანილია არა მხოლოდ ფაქტები კონკრეტულ პროექტებთან დაკავშირებით, არამედ მოყვანილია როგორც ერთი მხარის, ასევე მეორე მხარის დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხზე. გაზეთში წარმოდგენილია არა მხოლოდ ენერგეტიკის მინისტრის პოზიცია, არამედ კონკრეტული კომპანიების (რომპეტროლი, სოკარი) ხელმძღვანელთა, ასევე ექსპერტთა (გია ხუხაშვილი, სოსო ცინცაძე, დავით ებრალიძე, ლიანა ჯერვალიძე) პოზიციები. გაზეთი მკითხველს ასევე შესაძლებლობას აძლევს გაეცნოს მეორე მხარის პოზიციებსაც, რომელსაც ცალკეულ შემთხვევებში დე-ფაქტო რესპუბლიკების ლიდერები – ედუარდ კოკოითი და სერგეი ბაღაფში წარმოადგენენ, ასევე კომპანიების – "გაზპრომისა" და "ყაზმუნაიგაზის" პოზციები.

"რეზონანსში" მკითხველს ასევე შეუძლია გაიგოს, თუ როგორ გაშუქდა კონკრეტული თემა (გაზსადენი NABUCCO, რუსეთის წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები, "გაზპრომის" ენერგოპოლიტიკა და აზიასა და აფრიკასთან შესაძლო თანამშრომლობა) დასავლურ მედიაში, ასევე რა კომენტარები გაკეთდა ევროკავშირისა თუ აშშ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა მიერ კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით.

და რაც ყველაზე საინტერესოა, გაზეთი "რეზონანსი" სთავაზობს მკითხველს უბრალო მომხმარებელთა მოსაზრე-

ბებს დენის ტარიფის შესაძლო გაძვირებასთან და კონკრეტულად ზამთრისათვის მზადებასთან დაკავშირებით.

პრესის მონიტორინგის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ, მიუხედავად, ზოგადად საკითხის აქტუალურობისა, ქართული პრესისთვის ენერგეტიკა წამყვანი თემა არ ყოფილა. ყველაზე აქტიურად ენერგოსექტორი გაშუქდა გაზეთში "რეზონანსი", რომელსაც ეს თემა ხშირად პირველ გვერდზეც ჰქონდა გამოტანილი.

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ "აზრთა ლიდერების" ფუნქციას თავად ჟურნალისტები ასრულებენ, რადგანაც ყველაზე ხშირად სტატიაში მხოლოდ მათი მოსაზრებებია წარმოდგენილი. ყველაზე ხშირად გაზეთებში წარმოდგენილია ენერგეტიკის მინისტრის ალექსანდრე ხეთაგურისა და ექსპერტ გია ხუხაშვილის კომენტარები. ყველაზე აქტუალური თემა გაზისა და დენის ტარიფი და გაზ- და ნავთობსადენების ალტერნატიული მარშრუტების პერსპექტივებია. თუ ვისაუბრებთ ზოგად განწყობებზე, ჟურნალისტები საკმაოდ სკეპტიკურად არიან განწყობილნი როგორც მიმდინარე ზამთრის უპრობლემოდ შეხვედრასთან, ასევე საქართველოს საერთაშორისო პროექტებში ჩართვასთან დაკავშირებით და ყველაზე ხშირად ამის არგუმენტად რუსეთის ენერგორესურსები, მისი აგრესიული პოლიტიკა და დასავლეთის რუსულ გაზზე დამოკიდებულება მოყავთ.

პრესა, როგორც ჟურნალისტიკის ველის აგენტი, არის ეკონომიკის, პოლიტიკისა და თავად ჟურნალისტიკის ველების შეხვედრის ადგილი. ენერგოსექტორი, როგორც ქვეყნის ეკონომიკის შემადგენელი ნაწილი, არის მნიშვნელოვანი პოლიტიკური თამაშის ნაწილი. ძალიან რთულია დაადგინო ზღვარი, საქართველოში ენერგეტიკა, როგორც ეკონომიკური სივრცე, თავად ახდენს გავლენას პოლიტიკურ თამაშზე თუ პირიქით, ის არის იარაღი პოლიტიკოსთა ხელში. აქ თავს მთავარი სოციოლოგიური პრობლემა – სუბიექტ-ობიექტი, აგენტი-რეციპიენტი – იჩენს თავს. თუმცა, ამ კვლევის მიზანს არ წარმოადგენდა იმის დადგენა, თუ რომელი ველი

ფლობს მეტ ძალაუფლებას: ეკონომიკა კარნახობს საკუთარ წესებს პოლიტიკას თუ პირიქით, თუ ყველაზე დიდი ძალაუფლების მქონე ჟურნალისტიკის ველია, რომელიც ორივე ველს საკუთარი შესაძლებლობების დემონსტრირების საშუალებას აძლევს.

კვლევის მიზანი იყო დაგვედგინა, ეთმობა თუ არა ყურადღება ენერგოსექტორს, რა პრობლემატიკაზე ხდება აქცენტირება, ვინ არიან "აზრთა ლიდერები" და რა პერსპექტივებზეა საუბარი.

ცხადია, რომ არსებობს ენერგოსექტორი, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყნის ადგილს მსოფლიო გეოპოლიტიკაში და ამ საკითხებზე დისკუსია მედიაში მნიშვნელოვანია როგორც პოლიტიკური აქტორების, ასევე აუდიტორიისთვის. იმის მიუხედავად, რომ ეს არ არის ყველაზე პოპულარული თემა ხმის მისაღებად არჩევნებში, რაც თანამედროვე პოლიტიკური თამაშის ძირითად მიზანს წარმოადგენს, ეს არის საკითხი, რომელზეც საკუთარი პოზიცია ყველა პოლიტიკურ ძალას და ე.წ. მოაზროვნე ელექტორატს გააჩნია. ხშირად სწორედ ეს უკანასკნელი ასრულებს "აზრთა ლიდერის" ფუნქციას საკუთარ სოციალურ ჯგუფში. შესაბამისად, ჟურნალისტიკის ველის აქტორები სთავაზობენ აუდიტორიას სურათს ენერგოპოლიტიკაზე და თან ისე, რომ აზრთა ლიდერების როლში ხან თავად, ხან ექსპრტები, ხანაც თავად პოლიტიკური აქტორები გვევლინებიან. თუმცა, მხოლოდ ამ თემის გაშუქებაც კი, ავტომატურად ნიშნავს პოლიტიკური ველისა და ჟურნალისტიკის ველის კომუნიკაციას. პრესის მცირერიცხოვანი აუდიტორიის დიდი ნაწილი შემდეგ უკვე თავად არის გარკვეული იდეების გენერატორი და აზრთა ლიდერი საკუთარ ჯგუფში; ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ საკითხებზე დისკუსიაში გაცილებით ფართო სოციალური ჯგუფია ჩაბმული.

რა შედეგი მოაქვს ამ დისკუსიებს, ეს სხვა კვლევის საგანია. გლობალიზაციისა და ინფორმაციონალიზაციის ეპოქაში, როდესაც საზოგადოებას ინფორმაციათა უსაზღვრო ნაკა-

დი მიეწოდება, თან ისე, რომ მისი ანალიზის დრო არ რჩება, თავად საკითხის გარშემო დისკუსიის დაწყება უკვე დადებითად შეიძლება შეფასდეს. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ქათულ პრესაში ენერგოსექტორი მთავარი თემა სულაც არ ყოფილა, თემის გაშუქების ყოველი მცდელობა პოლიტიკური დისკურსისთვის ამ საკითხის აქტუალურობას მაინც ადასტრურებს.

Abstract

Flora Esebua –PhD Student of the Faculty of Social and Political Sciences of TSU.

The Energy Sector of Georgia in the Georgian Press after the war – the meeting place of the fields of politics and Journalism

We can imagine a social reality as structured by fields where each field is partially autonomous. Political field is the most autonomous one but it mainly depends on the field of journalism. Georgian printed media is the meeting place of three fileds – political field, economic field and field of journalism. Despite of the urgency of the issue, the energy policy of Georgia after the August incidents has not become the main issue of Gèorgian published media. As a result of content-analyse of four representatives of printed media the main stresses are revealed; it's fixed that the "opinion leaders" are media agents themselves and not political actors or experts.

გამოყენებული და ციტირებული ლიტერატურა:

1. ბერძენიშვილი ა. პოლიტიკური სოციოლოგია, თბ. 2000;
2. იბერი ე., "სახელმწიფო ტელევიზია საპრეზიდენტო არჩევნებში" // ტელე-რადიოჟურნალისტიკის საკითხები (თსუ-ს ტელე-რადიოჟურნალისტიკის კათედრის შრომები) – 2001 –№5;

3. თევზაძე გ., "საქართველო: ძალაუფლების სიმულაციები"// "თავისუფლება" – 2003 – №2(14);
4. Бурдье П., Поле политики, поле социальных наук, поле журналистики // Социо анализ Пъера Бурдъе, СПБ.2001;
5. ГидденсЭ., Социология, М.1999;
6. Мехлер Г., Власть и Магия PR, Питер,2004
7. Политическая социология, М.1999;
8. Сарчинелли У., "Старые СМИ-Новые СМИ. К вопросу об отношениях между журналистикой и политиков" //Сборнике рефератов, - 2002-#2;
9. СергеевВ., СергеевК., "Некоторые подходы к анализу языка политики" //Полис – 2001 – #5;К
10. Шарков Р., "Истоки и парадигмы исследований социальных коммуникаций" //Социс –2001–#8;
11. JPS (American Journal of Political Science) _ 2001_#2;
12. Castells M, The Information Age: Economy, Society, and Culture, Volume 1: The Rise of the Network Society, Blackwell Publishers (Oxford, and Malden, MA), 1996;
13. Fairclough N., Media Discourse, London.1995;
14. Media studies/a reader, second edition, edited by Marris P,/Thornham S, Edinbourgh University Press, 2002;
15. Nordenstrang K.,"Mass Communication" // Understanding Contemporary Society, Sage;
16. Taking Sides/Clashing Views on Controversal Issues in Mass Media and Society, edited by Alexsander A,/Hanson J, fourth edition, 1997;
17. Wilson J., Wilson S.Le Roy., Mass Media/Mass culture, fourth edition, 1998.

2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ძირითადი ტენდენციები

ლია თეთრაძე
თსუ- ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, პოლიტიკურ მეცნიერებათა მიმართულება, დოქტორანტი

2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მოახლოებასთან ერთად პოლიტიკური პარტიებს შორის ვნებათაღელვა დღითიდღე მატულობს. საარჩევნო კამპანია აქტიურ ფაზაში გადადის. 2010 წლის ადგილობრივი არჩევნებისადმი ინტერესი ძალიან დიდია, რასაც უფრო მეტად ამძაფრებს საარჩევნო კოდექსის დახვეწის და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების რეფორმირების მიზნით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები.

იმ ჭეშმარიტების გათვალისწინებით, რომ არჩევნები არ იწყება კენჭისყრის დღეს, ცხადზე ცხადია, ნებისმიერი არჩევნების კანონიერების, დემოკრატიულობის და გამჭვირვალობის დასადგენად აუცილებელია, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს წინასაარჩევნო კამპანიას.

ნებისმიერი დონის არჩევნებში ერთერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური სუბიექტების უზრუნველყოფა თანაბარი სასტარტო პირობებით წინაასაარჩევნო კამპანიის წარმოებისას, რომელიც რეგულირებულია საარჩევნო კოდექსით.

მოგეხსენებათ საქართველოს საარჩევნო კოდექსი საარჩევნო კანონმდებლობის დახვეწის და სრულყოფის მიზნით მუდმივად განიცდის სახეცვლილებას. აქედან გამომდინარე საინტერესოა იმ ცვლილებების განხილვა, რომელიც უშუალოდ ეხება საარჩევნო კამპანიის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებს, რამდენად უზრუნველყოფს კონკურენტუნარიან საარჩევნო გარემოს.

2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წინასაარჩევნო პერიოდი რამოდენიმე ასპექტით, ძალიან გავს 2006

წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წინასაარჩევნო პერიოდს, თუმცა მიმდინარე წინასაარჩევნო კამპანია ბევრად დახვეწილია, აქედან გამომდინარე აღნიშნული არჩევნების შედარებითი ანალიზი შესაძლებლობას მოგვცემს ვიმსჯელოთ საარჩევნო კამპანიის და ზოგადად არჩევნების დადებით და უარყოფით მხარეებზე.

მოკლედ შევეხები პოლიტიკურ მდგომარეობას, რომელიც წინ უსწრებდა არჩევნებს, პოლიტიკურ პარტიებს შორის არსებულ დამოკიდებულებას როგორც 2006 წლის, ასევე 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისადმი და ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის რეფორმირების მიზნით განხორციელებულ ცვლილებებს რამაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა საარჩევნო კამპანიის ხასიათი.

კანონის თანახმად, კანდიდატთა წინასაარჩევნო კამპანია და აგიტაცია იწყება არჩევნების დანიშვნის დღიდან, ანუ 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის საარჩევნო კამპანიისა და აგიტაციის განხორციელება 40 დღიანი ვადით განისაზღვრა.[1] თავისთავად არასაარჩევნო პერიოდიც იძლევა პოლიტიკური პარტიებისათვის შესაძლებლობას გააცნონ საკუთარი საქმიანობა და გეგმები ამომრჩევლებს; თუმცა შეიძლება ითქვას, რომ 5 ოქტომბრის არჩევნების სუბიექტებმა მიზანმიმართული კამპანია, არჩევნების დანიშვნის დღიდან დაიწყეს. აქვე ავღნიშნავ, რომ პრეზიდენტის განკარგულებით[2] არჩევნები ზუსტად 40 დღით ადრე დაინიშნა, რამაც ერთის

---

[1] სარათველოს საარჩევნო კოდექსი. უხლი 73.პუნქტი 1. წინასაარჩევნო კამპანია/აგიტაცია იწყება არჩევნების დანიშვნის მომენტიდან. საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატები ამ დღიდან სარგებლობენ თანასაწორი უფლებებით ამ კანონით დადგენილი წესით.(21.03.2008)

[2] წლის 26 აგვისტოს, საქართველოს პრეზიდენტის №480 განკარგულებით, საქართველოს კონტიტუციის 73-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 129[1] მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს — საკრებულოს არჩევნების დანიშვნის პროცედურა კანონის ჩარჩოებში განხორციელდა.

მხრივ შექმნა გარკვეული პრობლემები პროცედურული თვალსაზრისით, ხოლო მეორეს მხრივ გარკვეულწილად შეზღუდა, როგორც ცენტრალური საარჩევნო კომისიის, ასევე პოლიტიკური სუბიექტების ქმედებები. ამასთან დაკავშირებით შენიშვნები გამოითქვა სადამკვირვებლო მისიის მხრიდანაც. მაგალითად, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა (ODIHR) თავის შუალედურ მოხსენებაში განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, რომ არჩევნებისათვის ტექნიკური მზადება მიმდინარეობს, "ცესკო სირთულეების წინაშე დგას მჭიდრო ვადების გამო" ხელისუფლებამ არჩევნების დღე 27 აგვისტოს გამოაცხადა, რამაც "საარჩევნო ადმინისტრაცია ვადებში მნიშვნელოვნად შეზღუდა და ცესკო-მ ვერ შეძლო რიგ შემთხვევებში, ვადებში ჩატევა" ცესკო-მ ვერ შეძლო გაერკვია საარჩევნო კოდექსის ბუნდოვანი მხარეები, საარჩევნო კამპანიისათვის თანმიმდევრულად და დროულად სახსრების გამოყოფის მოთხოვნასთან დაკავშირებით. შედეგად ზოგიერთ მაჟორიტარ კანდიდატს რეგისტრაციაზე უარი ეთქვა. საბოლოო ჯამში, ზოგიერთ მაჟორიტარულ ოლქში მხოლოდ ერთი კანდიდატი დარეგისტრირდა.[1] 2006 წლის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 6 პოლიტიკურმა სუბიექტმა.[2]

2006 წლის არჩევნებისაგან განსხვავებით. 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის საარჩევნო კამპანიის წარმოების ვადა 60 დღემდე[3] გაიზარდა, ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ რამოდენიმე პოლიტიკურმა სუბიექტმა საარჩევნო კამპანია არჩევნების გამოცხადებამდე გაცილებით ადრე დაიწყო, ამას გარკვეულწილად ხელი შეუწ-

---

[1] არჩევნებზე დამკვირვებელი ორგანიზაციები შუალედურ დასკვნებს აქვეყნებენ. /3ოქტ.' 06/16:41 http://www.civil.ge/geo/article.php?id=13866

[2] http://www.cec.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=22&info_id=1325

[3] კანონის თანახმად წინასაარჩევნო აგიტაცია იწყება არჩევნების დანიშვნის დღიდან, საარჩევნო კოდექსის თანახმად. პრეზიდენტი მერისა და საკრებულოს არჩევნებს ნიშნავს მერის უფლებამოსილების გასვლამდე არაუგვიანეს 60 დღისა, საქართველოს საარჩევნო კოდექსი. მუხლი 108. პუნქტი-2. თუმცა რასაკვირველია შესაძლებელია არჩევნების თარიღის დანიშნვა უფრო ადრეც.

ყო არჩევნების სავარაუდო თარიღის განსაზღვრამ. კერძოდ, პირველი განცხადება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების 2010 წლის 30 მაისს ჩატარების შესახებ ჯერ კიდევ 2009 წლის 20 ივნისს პარლამენტის წინაშე ანგარიშის წარდგენის დროს გააკეთა, ხოლო მიმდინარე წლის 12 მარტს მიღებული კანონით, ჩაიწერა რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ამავე წლის 30 მაისს უნდა ჩატარდეს.[1]

არჩევნების თარიღის დროულად გამოცხადება ქართული და საერთაშორისო ორგანიზაციების ერთ-ერთი ძირითადი რეკომენდაცია იყო, რადგან გარდა იმისა, რომ არჩევნების თარიღის გამოცხადება პირდაპირ კავშირშია ოფიციალური საარჩევნო კამპანიის დაწყებასთან, არჩევნების ზუსტი თარიღის ცოდნა პოლიტიკური პარტიების თაბანარ პირობებში ჩაყენებასაც უწყობს ხელს.

თუმცა მიუხედავად ამისა ოპოზიციურ პარტიებს შორის გამართულმა გაუთავებელმა კონსულტაციებმა და შეუთანხმებლობამ გაერთიანების თაობაზე, რომელიც საბოლოოდ უშედეგოდ დასრულდა, დიდი ზიანი მიაყენა ერთის მხრივ ოპოზიციური პარტიების იმიჯს, ხოლო მეორეს მხრივ დროის თვალსაზრისით, რომელიც როგორც რესურსი არარაციონალურად იქნა გამოყენებული.

2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს წინ უსწრებდა ცვლილები საარჩევნო კოდექსში, რომლის შედეგად საქართველოს მოსახლეობამ მიიღო სახეშეცვლილი, განსხვავებული უფლებამოვალეობების მქონე ადგილობივი თვითმმართველობის ორგანოები, მერის თანამდებობა გახდა არჩევითი,[2] თუმცა ამ შემთხვევაში, მერის არჩევა ხდებოდა არაპირდაპირი გზით, ანუ საკრებულოში უმრავლესობით მოსული პარტიიდან.

ამავე დროს ეს იყო პროფესიული ნიშნით არჩეული ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის პირველი საერთო ეროვნული არჩევნები.

---

[1] საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 129[13] მუხლის 1-ლი პუნქტი.

[2] საქართველოს საარჩევნო კოდექსი. მუხლი 123. პუნქტი მე-2.

რაც შეეხება 2010 წლის არჩევნებს, ისევე როგორც 2006 წლის არჩევნებს წინ უძღოდა საარჩევნო კოდექსში განხორციელებული მთელი რიგი ცვლილებებისა, რომელიც შეეხო საკრებულოების დაკომპლექტების წესს, და რაც ყყველაზე მნიშვნელოვანია მერის თანამდებობა გახდა არჩევითი.[1] (თუმცა არა ყველა მსხვილ ქალაქში.) რაც ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისაკენ წინ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს.

ისევე როგორც 2006 წლის არჩევნების წინ, ასევე 2010 წლის არჩევნებისთვის ოპოზიციაში მარცხი განიცადა ბოიკოტის თემამ. განსხვავებით წინა არჩევნებისაგან პოლიტიკური პარტიების ჩართულობა საარჩევნო კამპანიში გაცილებით მაღალი იყო. 2010 წლის არჩევნებში მონაწილების მისაღებად ცეესკოში რეგისტრაცია გაიარა 26-მა პოლიტიკურმა პარტიამ მათ შორის არჩევნებისათვის შექმნა 3 საარჩევნო ბლოკი, ხოლო 14 პოლიტიკური პარტია დამოუკიდებლად იღებს მონაწილეობას.[2] რაც შეეხება თბილისის მერის არჩევნებს ცეესკო-ში თბილისის მერობის 9 კანდიდატის განაცხადი შევიდა.[3]

2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების საარჩევნო კამპანია წინა არჩევნებთან შედარებით მშვიდ გარემოში მიმდინარეობს, ერთის მხრივ არჩევნებში მონაწილე მერობის კანდიდატებს და პარტიებს საშუალება აქვთ ამომრჩევლებს მიაწოდონ თავისი საარჩევნო პროგრამები, ხოლო მეორეს მხრივ, კერძოდ კი, საარჩევნო კამპანიის გაშუქების თვალსაზრისით პოლიტიკური სუბიექტები არათანაბარ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, ამას ემატება ის გარემოებაც, რომ მერის არჩევნებში მონაწილე სახელისუფლებო კანდიდატი ამავდროულად ინარჩუნებს თბილისის მერის სტატუსს და უფლებამოსილებას, რაც არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს არჩევნებში მონაწილე სხვა კანდიდტებს.

საარჩევნო კამპანიის წარმოებისას აუცილებელი პირობაა კონკურენტუნარიანი საარჩევნო გარემოს შექმნა.

---

[1] საქართველოს საარჩევნო კოდექსი 126^{13} პუნქტი 2.

[2] http://www.cec.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=62&info_id=6554

[3] http://www.cec.gov.ge/files/biuletenebi/biuleteni_27_-_3_maisi.pdf

მათ შორის მნიშვნელოვანია არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ სუბიექტთა საინფორმაციო უზრუნველყოფა.

არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ სუბიექტთა საინფორმაციო უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება საარჩევნო კოდექსის 73-ე და 73[1]-ე მუხლით.

2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილებები მასმედიის საშუალებებსაც შეეხო და წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების საინფორმაციო უზრუნველოყოფისათვის განახლებული წესები განისაზღვრა. საარჩევნო კანონმდებლობა ავალდებულებს, როგორც საზოგადოებრივ, ისე კერძო მაუწყებლებს წინასაარჩევნო კამპანიის საწარმოებლად გამოყონ უფასო საეთერო დრო მხოლოდ კვალიფიციური სუბიექტებისათვის, შექმნან თანაბარი პირობები ფასიანი სააგიტაციო განცხადებების განსათავსებლად და დებატებში მონაწილეობის მისაღებად.[1]

იმის მიუხედავად, რომ საარჩევნო კანონმდებლობა განსაზღვრავს საარჩევნო სუბიექტის კვალიფიციურობის სტატუსის გარკვეულ კრიტერიუმებს,[2] 2006 წლის არჩევნებისათვის თავდაპირველად გაურკვეველი იყო, თუ რომელი საარჩევნო სუბიექტი უნდა მიეჩნიათ მაუწყებელთ კვალიფიციურ სუბიექტად. ამასთან აღსანიშნავია, რომ კანონით საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია, კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების გარდა, ყველა სხვა პარტიასა და საარჩევნო ბლოკის წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების მიზნით გამოყოს დრო, რომელიც თანაბრად განაწილდება ამ სუბიექტებს შორის.[3]

2006 წლის არჩევნების საარჩევნო კამპანიის საინფორმაციო უზრუნველყოფას სხვადასხვაგვარად აფასებენ, როგორც საერთაშორისო ისე ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები. მაგ: ეუთოს სადამკვირვებლო მისიის შეფასებით "მე-

---

[1] საქართველოს საარჩევნო კოდექსი 73 —ე და 73[1] მუხლი

[2] საარჩევნო სუბიექტის კვალიფიციურობის საკითხი კრიტერიუმები განისაზღვრება საარჩევნო კოდექსი 73[1] მუხლის მე-4, მე-4[1], მე-5, მე-6, მე-7 პუნქტებით.

[3] საარჩევნო კოდექსი 73[1] მუხლის მე-10 პუნქტი

დია ამომრჩევლებს აზრთა მრავალფეროვნებას სთავაზობდა და არჩევნებთან დაკავშირებული მნიშვნელოვან მოვლენებს აშუქებდა, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ხელისუფლების საქმიანობას. სამაუწყებლო კომპანიები უფასო სატელევიზიო დროის განაწილებასთან და დებატების ორგანიზებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო მოთხოვნებს იცავდნენ. სამწუხაროა, რომ ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ უარი განაცხადა აღნიშნულ დებატებში მონაწილეობაზე". თუმცა მასში ასევე ნათქვამია, რომ "რუსთავი 2-მა პოლიტიკური ამბებისთვის გათვალისწინებული საეთერო დროის 36% მთავრობას და 30% კი პრეზიდენტს დაუთმო.[1] ანალოგიური შეფარდებაა საზოგადოებრივ მაუწყებელშიც. ორივე არხის ინფორმაცია ხელისუფლების შესახებ ნეიტრალური ან პოზიტიური იყო. გაზეთებმა მკითხველებს უფრო კრიტიკული აზრი შესთავაზეს. თუმცა მცირე ტირაჟის გამო ისინი მკითხველთა მხოლოდ შეზღუდულ რაოდენობას მოიცავენ."

რაც შეეხება 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წინასაარჩევნო კამპანიის საინფორმაციო უზრუნველყოფას, მართალია პოლიტიკური სუბიექტების კვალიფიციურობის განსაზღვრასთან დაკავშირებით პრობლემები არ შექმნილა თუმცა დაბალანსების და ტენდენციურობის საკითხები კვლავ აქტუალურია. მაგალითად ეუთოს სადამკვირვებლო მისიის მონიტორინგის შუალედურ ანგარიშში[2] ნათქვამია, რომ "კანდიდატებს საშუალება ქონდათ წარმოედგინათ საკუთარი პლატფორმა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლისა და სხვა სახელმწიფო და კერძო მაუწყებლების მიერ

[1] თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ პრეზიდენტი იმ დროისათვის იმავ დროულად იყო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე, აღნიშნული გარემოება ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მხარდაჭერის და რეკლამირებისა დამატებით უმნიშვნელოვანეს რესურსად შეიძლება ჩაითვალოს.

[2] ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი. არჩევნების სადამკვირვებლო მისია. საქართველო, ადგილობრივი არჩევნები 2010 წელი. 21 მაისი. შუალედური ანგარიში №2 (4-15 მაისი)
http://www.osce.org/documents/odihr-el/2010/05/44046_ka.pdf

მოწყობილი სისტემატიური დისკუსიებისა და თოქ შოუების საშუალებით." აქვე ნათქვამია, რომ "OSCE/ODIHR-ის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის 18 აპრილი-12 მაისი მედია მონიტორინგის წინასწარ ანგარიშში მითითებული იყო, რომ სატელევიზიო არხების უმეტესობა არათანაბარ დროს უთმობდა პრაიმ-ტაიმის ახალი ამბების ეთერში სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტებისა და კანდიდატების გაშუქებას, ზოგიერთი მათგანი უპირატესობას ანიჭებდა სამთავრობო კანდიდატებს, ზოგი-კი ოპოზიციისას. აქამდე მხოლოდ სსმ1 სთავაზობს მაყურებელს საარჩევნო კამპანიის შედარებით დაბალასებულ სურათს პრაიმ-ტაიმის ახალ ამბებში. სსმ1-მა პოლიტიკური და საარჩევნო ახალი ამბების 19% დაუთმო "ერთიან ნაციონალურ მოძრაობას", და 13% "ალიანსს საქართველოსთვის" ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობის თაოსნობით შექმნილ ქრისტიან-დემოკრატიულ გაერთიანებას და ეროვნულ საბჭოს დაეთმოთ 12-12%. სსმ-ს მეორე არხი მუდმივად უთმობს ეთერს ყველა პოლიტიკურ პარტიას, აშუქებს მათ საარჩევნო კამპანიას – დღემდე ეს საშუალება გამოიყენა ქრისტიან-დემოკრატიულმა კავშირმა, "ალიანსმა საქართველოსათვის" და ეროვნულმა საბჭომ.

ქვეყნის მასშტაბით მაუწყებელი, დღეისათვის ყველაზე პოპულარული ორი კერძო სატელევიზიო არხი - "რუსთავი-2" და "იმედი" გამოხატავენ მმართველი პარტიისა და მის მიერ წარდგენილი თბილისის მერობის კანდიდატის მხარდაჭერას. ორივე არხი ფართოდ და დადებითად აშუქებს ხელისუფლების საქმიანობას საარჩევნო კამპანიის კონტექსტის გარეშეც, რითაც, არაპირდაპირი გზით, სამსახურს უწევს სამთავრობო კანდიდატებს. თვალში საცემია სახელმწიფო მოხელეთა საქმიანობის დადებითი კუთხით გაშუქების ტენდენცია. მათი მიღწევებისა და წარმატებების წინა პლანზე წამოწევა. თბილისის მერისა და მთავრობის წარმომადგენელთა გამოჩენა სხვადასხვა ცერემონიების, მათ შორის ავტობუსის ახალი სამარშრუტო ხაზის, სპორტული მოედნებისა და სავაჭრო ცენტრების გახსნის, აგრეთვე თბილისის ლიფტების შეკეთების თბილისის მერიის თანადაფინასებით) გაშუქებისას, როგორც

წესი, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატების თანდასწრებით, არაპირდაპირ ემსახურება ენმ-ს საარჩევნო კამპანიას."

თბილისის ადგილობრივი ტელე სადგურები "კავკასია და "მაესტრო" კი პირიქით, დღემდე ოპოზიციის, კერძოდ კი "ალიანსი საქართველოსათვის" პლატფორმის როლს ასრულებენ. ორივე არხი ასევე აკრიტიკებდა "ერთიან ნაციონალურ მოძრაობას და ხელისუფლებას. ქვეყნის მასშტაბით მაუწყებელ ძირითად სატელევიზიო არხებზე ფასიანი სატელევიზიო რეკლამის ძალიან მაღალი ტარიფი[1] კანდიდატებს მედია საშუალებებში საარჩევნო კამპანიის წარმოების საშუალებას უზღუდავს. დღემდე მხოლოდ ბატონმა უგულავამ მოახერხა "რუსთავი 2-ზე და "იმედზე" ფასიანი სარეკლამო რგოლების განთავსება. "კვალიფიციური სუბიექტები აქტიურად იყენებენ უფასო საეთერო დროს, რომელიც მათთვის როგორც სახელმწიფო ისე კერძო მაუწყებლებმა გამოყვეს სარეკლამო რგოლების განსათავსებლად. სსმ-ს პირველი არხი, მიუხედავად იმისა კანონით არ არის ვალდებული, უფასო საეთერო დროს მაინც უთმობს არაკვალიფიციურ სუბიეტქებს."

აღნიშნული ტენდენცია ფიქსირდება ასევე მედია მონიტორინგის[2] ანგარიშებში[3] და ასევე ცალკეული ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ მომზადებულ წინასაარჩევნო კამპანიის მონიტორინგის ანგარიშებში, ამ დროის

---

[1] http://www.ambebi.ge/politika/19486-opoziciisthvis-miutsvdomeli-nacionaluri-arkhebis-politikuri-reklamis-tarifebi.html

[2] წინასაარჩევნო კამპანიის მედია მონიტირინგის განხორციელების მიზნით ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაიქირავა უკრაინული მონიტორინგის ჟგუფი პრო მოვა (pro mova), და ასევე სამი ქართული კომპანია აიპიემი (IPM), ბისიჯი BCG და პრაიმ-ტაიმი (PRIME-TIME)

[3] იხ. მედია მონიტორინგი 2010. პირველი ტალღა 26 აპრილი- 5 მაისი.

სატელევიზიო არხების მონიტორინგი შედეგები. მეორე ტალღა. 6-12 მაისი.

სატელევიზიო არხების მონიტორინგის შედეგები. მესამე ტალღა. 13-19 მაისი, 2010

მანძილზე ტელევიზიების მისამართით გაკეთდა არაერთი შენიშვნა ტენდენციურობასა და დროის არათანაბარ განაწილებაზე ცალკეული ორგანიზაციებისა და პირების მიერ. მაგ: მედია მონიტორინგის შუალედურ ანგარიშში ნათქვამია, რომ "Pro.mova-ს მიერ მედია მონიტორინგის მონაცემთა ანალიზი უკვე დაწყებულია. ზუსტი მონაცემები თვის ბოლოსთვის იქნება წარმოდგენილი, თუმცა ამ ეტაპზე შეიძლება ითქვას, რომ საინფორმაციო სიახლეები დაბალანსებულია და შეესაბამება დადგენილ რაოდენობრივ კრიტერიუმებს (ხანგრძლივობა, გაშვების სიხშირე). ამავე დროს საინფორმაციო სიახლეების პირველი თვისობრივი კვლევები ქმნის მედიის მიერ კანდიდატთა არათანაბრად წარმოჩენის საშიშროებას, რაც გამოიხატება დღის წესრიგში ზოგიერთი კანდიდატისათვის სხვებთან შედარებით უპირატესობის მინიჭებაში, მენეჯმენტის მხრივ არათანაბარი პირობების შექმნას, ასევე სხვადასხვა მნიშვნელობის და შესაბამისობის ქვოტების არათანაბრად გადანაწილებაში. ამიტომ მონიტორინგის განმახორციელებელი კომპანიების მხრიდან მაქსიმალური ძალისხმევაა საჭირო რათა ამომრჩევლეთათვის საუკეთესოდ იქნას მიწოდებული ყველა სიახლე.[1]"

რაც შეეხება სატელევიზიო დებატებს აღსანიშნავია, რომ 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს "ხელისუფლებამ ნებაყოფლობით დათმო სატელევიზიო დისკუსიის არენა და ის ოპოზიციას გადაულოცა. დღეს ყველა არხზე პოლიტიკურ თოქ-შოუებში მხოლოდ ოპოზიციაა წარმოდგენილი, რომელიც ასეთ უჩვეულო გარემოში ცოტა უხერხულადაც კი გრძნობს თავს და არ იცის როგორ შეებრძოლოს უხილავ მოწინააღმდეგეს."[2] თუმცა ამავე დროს აღნიშნული თოქ-შოუები ოპოზიციისათვის თავისი თავის რეკლამირების დამატებით საშუალებად იქცა.

---

[1] წინასარჩევნო პერიოდის მედია მონიტორინგის პირველი შუალედური ანგარიში. 11 მაისი. 2010 წელი

[2] იხ. "უცნაური არჩევნები: დისტანციაზე ბრძოლის' სტრატეგია და ტაქტიკა", გიორგი ასანიშვილი, 24 საათი" 20 სექტემბერი 2006 ,№207 (1359)

2006 წლის არჩევნებისგან განსხვავებით 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის საარჩევნო კამპანიის დროს, პირველად საქართველოს არჩევნების ისტორიის მანძილზე საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელზე შედგა სატელევიზიო დებატები[1] თბილისის მერობის კანდიდატებს შორის, დებატები მოეწყო ორ ეტაპად, პირველ ეტაპზე დებატებში მონაწილეობა მიიღო კვალიფიციურმა სუბიექტებმა,[2] ხოლო მეორე ეტაპზე დებატები შედგა არაკვალიფიციურ სუბიექტებს[3] შორის.[4] მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დებატები განვითარების თვალსაზრისით შორს არის ევროპასა და ამერიკაში დანერგილი დებატების ტრადიციებისგან, აღნიშნული მოვლენა მაინც წინ გადადგმული ნაბიჯია, როგორც ამომრჩეველთა ინფორმირების, ასევე საარჩევნო ტექნოლოგიების განვითარების თვალზრისით.

საქართველოს საარჩევნო კოდექსით დაშვებულია წინასაარჩევნო აგიტაცია, როგორც რომელიმე საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად, ისე საწინააღმდეგოდ. 2006 წლის ადგილობრივ არჩევნებში წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებისას პოლიტიკური პარტიები/ბლოკები საკუთარი პროგრამებისა და წინადადებების უკეთესად წარმოდგენის ნაცვლად, ოპონენტების უარყოფით მხარეებზე აკეთებდნენ აქცენტს.

ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ 2006 წლის არჩევნებისაგან განსხვავებით 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური სუბიექტები ორიენტირე-

---

[1] დებატები ჩატარდა აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის თანადაფინანსებით. USAID-მა დაახლოებით 40 000 აშშ დოლარი გამოყო დებატების ორგანიზებისათვის, დებატების შემდგომი გამოკითხვისა და ფოკუს ჯგუფების ჩატარებისთვის. კანდიდატთა წინასწარი მომზადებისა და სხვა სახის დახმარებისთვის.

[2] http://www.1tv.ge/Video-View.aspx?VID=1266&Loc=82&CatID=1&LangID=1

[3] http://www.1tv.ge/Video-View.aspx?VID=1274&Loc=82&CatID=1&LangID=1

[4] http://www.civil.ge/geo/article.php?id=22682&search=ს ა ტ ე ლ ე ვ ი ზ ი ო დ ე ბ ა ტ ე ბ ი

ბული არიან ამომრჩევლებზე და არა სხვა კანდიდატთა ნეგატიური მხარეების მხილებაზე. არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური სუბიექტები მაქსიმალურურად ცდილობენ ძირითადი საპროგრამო დებულებები მიიტანონ ამომრჩევლებამდე. თუმცა არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური სუბიექტები არაპირდაპირი გზებით მაინც ცდილობენ კონკურენტების დისკრედიტაციას.

რაც შეეხება ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების საკითხს, 2006 წლის ადგილობრივი არჩევნები არ გამოირჩეოდა სახელმწიფო და პარტიული სტრუქტურების გამიჯვნის კუთხით. საარჩევნო კამპანიის წარმართვის თვალსაზრისით სახელისუფლებო პარტია, როგორც ხელისუფლება, მომგებიან პოზიციაში იმყოფებოდა და კანონმდებლობის აკრძალვებმა ვერ უზრუნველყო მმართველი პარტიის მიერ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების კონტროლი; შედეგად, მმართველმა პარტიამ ეს შესაძლებლობა საკმაოდ ეფექტურად და მიზანმიმართულად გამოიყენა. ამასთან დაკავშირებით შენიშვნები გამოითქვა ეუთოს სადამკვირვებლო მისიის მხრიდანაც. მაგალითად, ეუთოს სადამკვირვებლო მისიის შუალედურ დასკვნაში ნათქვამია, რომ: "მმართველმა პარტიამ ფართოდ გამოიყენა ხელისუფლებაში ყოფნის უპირატესობა და განახორციელა მეტად თვალშისაცემი სოციალური დახმარების პროექტები, რომლებიც მოიცავდნენ კომუნალური გადასახადების ვაუჩერების გამოშვებას, საპენსიო დანამატების გაცემას და დროებითი სამუშაო პროგრამების შემუშავებას. საარჩევნო კამპანიის პარალელურად წარმართულმა და მედიის მიერ ფართოდ გაშუქებულმა ზემოაღნიშნულმა პროგრამებმა სახელმწიფო საქმიანობასა და საარჩევნო კამპანიას შორის ზღვარი მეტად ბუნდოვანი გახადა. ბეჭდვით და ელექტრონულ საარჩევნო მასალებში იდენტური ლოზუნგების, დიზაინისა და გამოსახულებების გამოყენებამ გაართულა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო კამპანიის მასალებსა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებულ მასალებს შორის განსხვავებების მოძებნა. გარდა ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ფილიალები

განთავსებული იყო ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლების შენობებში და ცალკეული საარჩევნო კომისია მმართველი პარტიის საარჩევნო კამპანიაში იყო ჩართული."[1]

იმის მიუხედავად, რომ საარჩევნო კოდექსით აკრძალულია წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიისთვის იმ ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენება, რომლებიც ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ასევე აკრძალულია თანამდებობრივი და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება სააგიტაციოდ, 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის ასეთი ზღვარი რეალურად არ არსებობდა. (მაგალითად, წინასაარჩევნოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული ღონისძიებების შესრულების გახშირება და მათი გამოყენება და ა.შ) ასეთ ვითარებაში გამორიცხული იყო სამუშაო საათების განმავლობაში აგიტაციის წარმოების აკრძალვის წესების დაცვა. ხელისუფლების მიერ ჩატარებული ყველა პოზიტიური ღონისძიება მმართველი პარტიის მიერ შესრულებულად ცხადდებოდა და აღიქმებოდა, რაც შეუძლებელს ხდიდა წინასაარჩევნო აგიტაციისა და ადმინისტრაციული რესურსის გამიჯვნას[2]

მიუხედავად იმისა, რომ ადამინისტრაციული რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებებისა, კერძოდ ჯერ კიდევ 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდომ როგორც საერთაშორისო ასევე ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის მიერ გაკეთდა არაერთი შენიშვნა, შემუშავდა არაერთი რეკომენდაცია, 2008 წლის არჩევნებში როგორც საპრეზიდენ-

---

[1] იხ. "ძირითად თავისუფლებებს პატივს სცემენ, მაგრამ სახელმწიფოსა და მმართველ პარტიას შორის განსხვავება არასაკმარისია" ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების დაცვის ოფისის პრეს მდივნის მიერ გავრცელებული პრესრელიზი, თბილისი, 6 ოქტომბერი 2006 წელი.

[2] დამატებით იხ. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია "ადგილობრივი არჩევნები საქართველოში: სამართლიანი თამაში" წინასაარჩევნო კამპანიის მონიტორინგის ანგარიში " თბლისი 2006

ტო ისე საპარალამეტო არჩევნების საარჩევნო კამპანის დროს კვლავ პრობლემურ საკითხად რჩებოდა ადნისიტრაციული რესურსების გამოყენება საარჩევნო კამპანიის მიზნებისათვის სახელისუფლებო კანდიდატების მხრიდან.

2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს წინ უძღოდა საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილებები, ასევე საარჩევნო კამპანიის საწყის სტადიაზე, კერძოდ, 2010 წლის 8 აპრილს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და 5 არასამთავრობო ორგანიზაციას ("ახალი თაობა–ახალი ინიციატივა", "სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, "საერთაშორისო გამჭვირვალობა–საქართველო" და საერთო სამოქალაქო მოძრაობა – მრავალეროვანი საქართველო) შორის ხელი მოეწერა მემორანდუმს ""2010 წლის არჩევნებისათვის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შესახებ"[1], მოგვიანებით, აღნიშნულ მემორანდუმს შეუერთდა თოთხმეტი პოლიტიკური პარტია,[2] რომლის მიზანი იყო ხელმომწერი მხარეების ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ურთიერთშეთანხმება. თუმცა მიუხედავად აღნიშნული ღონისძიებებისა ეს საკითხი კვლავ პრობლემატურია, რასაც გარკვეულწილად ხელს უწყობს კანონმდებლობაში ნებსით თუ უნებლიედ გაპარული ხარვეზები.

არასამთავრობო ორგანიზაცია საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო"-მ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით პირველი ანგარიში ჯერ კიდევ საარჩევნო კამპანიის ოფიციალურ დაწყებამდე გამოაქ-

---

[1] საიამ და ოთხმა არასამთავრობო ორგანიცაზიამ ცესკოსთან მემორანდუმი გააფორმა /სამშაბათი, 13 აპრილი 2010 /http://www.gyla.ge/attachments/702_memorandumi.pdf

[2] ცენტრალური საარჩევნო კომისია /ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 2010 / საინფორმაციო ბიულეტენი/4 — 10 მაისი "ცესკომ და თორმეტმა პოლიტიკურმა პარტიამ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე მემორანდუმს მოაწერეს ხელი" http://www.cec.gov.ge/files/biuletenebi/biuleteni_4_-_10_maisi.pdf

ვეყნა[1], ანგარიში შეეხებოდა 2010 წლის ბიუჯეტში ადგილობრივი თვითმმართველობისათვის გამოყოფილი თანხების უპრეცენდენტო ზრდას. საერთაშორისო გამჭვირვალობა–საქართველოს მიერ გამოქყვეყნებულ მონიტორინგის მეორე[2] ანგარიშში დაფიქსირებულია ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების არაერთი შემთხვევა. ჩემი აზრით "საკანონმდებლო ხარვეზი", რომელიც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს შემდომი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის, შეეხება მერისა და საკრებულოს უფლებამოსილების საკითხს, კერძოდ დღეს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად მერი და საკრებულო უფლებამოსილებას ახორციელებს ახალი საკრებულოს პირველ შეკრებამდე.[3] პირველ შემთხვევაში "თბილისის მერის არჩევნებს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი თბილისის მერის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 60 დღისა. ანალოგიური მდგომარეობაა საკრებულოსთან მიმართებაშიც.

ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით საინტერესოა ეუთოს სადამკვირვებლო მისიის მონიტორინგის ანაგრიშში გამოთქმული შენიშვნები და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების ფაქტები, მაგ: "თბილი-

---

[1] ადმინისტრაციული რესურსების საარჩევნო კამპანიის მიზნებისათვის გამოყენების მონიტორინგის პირველი ანგარიში. http://www.transparency.ge/post/report/pirveli-angarishi-administratsiuli-resursis-gamoqenebis-shesakheb-tsinasaarchevno-kampan

[2] "საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო"ს ადმინისტრაციული რესურსების საარჩევნო კამპანიის მიზნებისათვის გამოყენების მონიტორინგის მეორე შუალედური ანაგირიში 2010 წლის 15 მარტიდან 5 მაისამდე პერიოდს მოიცავს და ადმინისტრაციული რესურსების ოთხ ძირითად სახეობაზე ამახვილებს ყურადღებას, ესენია: ხისტი, ფინანსური მატერიალურ ტექნიკური და ადამიანური რესურსები. დაწვრილებით. იხ. http://www.transparency.ge/post/report/meore-shualeduri-angarishi-administratsiuli-resursis-gamoqenebis-shesakheb-tsinasaarchev

[3] საქართველოს საარჩევნო კოდექსი. მუხლი 129/13 (28.12.2009.№2525) პუნქტი 2. 2006 წელს არჩეულ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს უფლებამოსილება შეუწყდეთ ახალარჩეული საკრებულოების პირველი შეკრებისთანავე.

სის მერიის მიერ წარმოებული საზოგადოებრივი კამპანია, რომლის სლოგანი იყო "მე მიყვარს თბილისი" და რომელიც ამ არჩევნების გამოცხადებამდე იქნა ინიცირებული შემდგომში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ თბილისში წარმოებული წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილი გახდა."

ამასთან დაკავშირებით შენიშვნა გამოითქვა ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის "საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" მიერ მომზადებულ არჩევნების მონიტორინგის მეორე ანაგრიშში "მმართველი პარტიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების სააგიტაციო მასალებში გამოყენებულია თბილისის მერიის მიერ დაფინანსებული ე.წ. რებრენდინგის ფარგლებში შექმნილი ლოგო "მე მიყვარს თბილისი" რომელიც თბილისის მერიის მიერ დაფინანსებული პროექტების პრეზენტაციისას გამოიყენებოდა. ეს პროექტებია: ქალაქის პარკირების გადასახადის გადახდის დამადასტურებელი ნიშანი, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები წინასაარჩევნო კამპანიისას იყენებენ ფლაიერებს, რომლებზედაც იგივე ლოგოა გამოსახული. თბილისის მერიის განცხადებით, ეს ლოგო არ არის მერიის საკუთრება და მასზე საავტორო უფლება არ არსებობს, შესაბამისად მისი გამოყენება არ არის კანონის დარღვევა, მაგრამ, როგორც დასაწყისში აღინიშნა, 1990 წლის კოპენჰაგენის კონფერენციის დოკუმენტის თანახმად, უნდა არსებობდეს "ნათელი განსხვავება სახელმწიფოსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის, კერძოდ, არ უნდა მოხდეს პოლიტიკური პარტიებისა და სახელმწიფოს აღრევა" (მუხლი 5.4) ეს ლოგო კი პირდაპირ თბილისის მერიასთან ასოცირდება." ამას ემატება სარჩევნო კამპანიიის ოფიციალური დაწყებამდე მერიის მიერ განხორციელებული სხვადასხვა სოციალური პროექტები და ასევე უშუალოდ საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის დროს მერიის მიერ ინიცირებული პროექტი "კინომანია"[1], რაც ბუნებრივად აჩენს კითხვებს და ეჭვებს ადმნის-

[1] დამატებით იხ. ახალგაზრდა იურისტტა ასოციაცია. 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების სადამკვირ-

ტრაციული რესურსების საარჩევნო კამპანიის მიზნებისათვის გამოყენებასთან დაკავშირებით.

წლების მანძილზე საქართველოს საარჩევნო კოდექსი სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელ პირებს უკრძალავდა წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობას, 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებით კი აღნიშნული ცვლილებები კანონმდებლობაში გაუქმდა, რამაც სხვადასხვა დონის ხელისუფლების აღმასარულებელი ორგანოების ხელმძღვანელებს, მაგალითად, მინისტრებს, უფლება მიანიჭა ეწარმოებინათ რომელიმე საარჩევნო სუბიექტის მხარდამჭერი, ან საწინააღმდეგო აგიტაცია. ასეთი საკანონმდებლო სივრცის პირობებში შეუძლებელია წინასაარჩევნო კონკურენციის თანაბრობის კრიტერიუმით შეფასება; განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ხელისუფლების ხელმძღვანელი ორგანოები მმართველი პარტიის წარმომადგენლებითა და მხარდამჭერებითაა დაკომპლექტებული.

ასევე ყურადსაღებია საარჩევნო სუბიექტად და თანამდებობის პირად ერთდროულად ყოფნის შესაძლებლობა, რაც კანონმდებლობით არ იკრძალებოდა 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის. ნიშანდობლივია, რომ პარლამენტის წევრს კანონმდებლობა ავალდებულებს უფლებამოსილების შეჩერებას, თუ იგი ადგილობრივ არჩევნებში რეგისტრირდება და კენჭს იყრის კანდიდატად; ზემოხსენებული აკრძალვა ასევე ვრცელდებოდა ადგილობრივი თვითმმართველობის ქვედა დონის ხელმძღვანელ პირებზე: სოფლის, თემის, დაბის საკრებულოს თავმჯდომარე/გამგებელი ან ნებისმიერი წევრი, რაიონის საკრებულოს მდივანი და წევრები (თუ არ არიან საკრებულოს კომისიის ან ფრაქციის თავმჯდომარეები). თუმცა, აბსოლუტურად დაუსაბუთებლად, კანონმდებლობა უშვებს სრულიად საპირისპიროს და უფლებამოსილების შეუჩერებლად, სამსახურებრივი მოვალეობის

ვებლო მისია. წინასაარჩევნო გარემოს მონიტორინგის ანგარიში. 23 აპრილი.2010.

შესრულების პარალელურად თვითმმართველობის არჩევნებში კანდიდატებად რეგისტრირებისა და საარჩევნო კამპანიის წარმოების უფლებას აძლევს ქალაქის მერს, რაიონის გამგებელს და მოადგილეს, რაიონის საკრებულოს თავმჯდომარეს და მოადგილეს, რაიონის საკრებულოს კომისიებისა ან ფრაქციების თავმჯდომარეებს, ცხადია ამგვარი საკანონმდებლო საფუძველი ადმინისტრაციული რესურსის და თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენების მომგებიან ვითარებას ქმნიდა მმრთველი პარტიის კანდიდატებისთვის; განსაკუთრებით კი მათთვის, ვისაც ზემოხსენებული თანამდებობები ეკავა (მაგალითად თბილისის მერი).

2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდგომ საარჩევნო კოდექსმა ამ მხრივაც განიცადა ცვლილება, კერძოდ 2008 წელს საარჩევნო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმად სახელმწიფო თანამდებობის პირებს ეკრძალებათ აწარმოონ კამპანია სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას. [1]

ასევე საგულისხმოა, რომ ჯერ კიდევ 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების საარჩევნო კამპანიის საწყის სტადიაზე, კერძოდ 12 აპრილს გამართულ პარლამენტის ბიუროს სხდომაზე პარლამენტის თავმჯდომარე არჩევნების პროცესში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების საკითხსაც შეეხო. თავმჯდომარემ გააფრთხილა სახელმწიფო მოხელეები ემოქმედათ მხოლოდ თავიანთი კომპეტენციისა და კანონის ფარგლებში. ხოლო პოლიტიკურ ძალებს კი პარლამენტის თავმჯდომარემ საკუთარი საქმიანობის სწორედ მემორანდუმის შესაბამისად წარმართვისაკენ მოუწოდა[2].

თუმცა მიუხედავად არაერთგზის განცხადებისა და ღონისძიებებისა მიმდინარე საარჩევნო კამპანიისას დაფიქსირდა საჯარო მოხელეთა მხრიდან საარჩევნო კამპანიაში უკანონოდ ჩარევის ფაქტები.

---

[1] საქართველოს საარჩევნო კოდექსი. მუხლი 76[1] წინასაარჩევნო აგიტაციისას და კამპანიისას თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენების აკრძალვა. (21.03.2008 №6013).

[2] http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=56&info_id=27332

მაგალითად, ბევრმა კანდიდატმა მათ შორის მაღალი თანამდებობის პირებმა აიღეს შვებულება "ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის" საარჩევნო კამპანიის საწარმოებლად. ოპოზიციონერმა პოლიტიკოსებმა კი ამის თაობაზე პროტესტი გამოთქვეს, რადგან ეს ხელს აძლევს მხოლოდ "ერთიან ნაციონალურ მოძრაობას.

საარჩევნო კოდექსის 76[1] მუხლის დარღვევის არაერთი ფაქტი დაფიქსირდა, როგორც ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების ასევე საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების მონიტორინგის ანგარიშებში. მაგ: "კახეთის საინფორმაციო ცენტრის ჟურნალისტის გელა მთივლიშვილის განცხადებით, სიღნაღის საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე მამუკა კორაშვილი ნაციონალური მოძრაობის რაიონული ორგანიზაციის თათბირებს ესწრება და შვებულებაში გასულ მუნიციპალიტეტის გამგებელთან ნოდარ კოჭლამაზიშვილთან ერთად სამუშაო ოთახში შეხვედრებს მართავს."[1]

"22 აპრილს მცხეთაში "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" გენერალური მდივანი ზურაბ მელიქიშვილი მოსახლეობას შეხვდა სვეტიცხოვლის მიმდებარე ტერიტორიაზე და პარტიის კანდიდატები წარადგინა. შეხვედრას, რომელიც სამუშაო საათებში გაიმართა, გამგეობისა და საკრებულოს თითქმის ყველა თანამშრომელი, ტერიტორიული ერთეულების რწმუნებულები, ასევე № 1 და №2 საშუალო სკოლების დირექტორები და პედაგოგებიც (სასკოლო საათებში) ესწრებოდნენ. მათ შეკრება დღის 12 საათიდან დაიწყეს. რამდენიმე მათგანის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ისინი "სასტიკად იყვნენ გაფრთხილებული" რომ შეხვედრაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ. საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" შესაბამისად. (73-ე მუხლის მე-5 პუნქტის "თ" ქვეპუნქტის და 76[1] მუხლის 1-ლი პუნქტის "გ"ქვეპუნქტი) და ცესკოს, არასამთავრობო ორგანიზა-

[1] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. 2010 წლის 30 მაისი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების სადამკვირვებლო მისია. წინასაარჩევნო გარემოს მონიტორინგის ანგარიში. 23 აპრილი 2010.

ციების და პოლიტიკური პარტიების მიერ ხელმოწერილი მემორანდუმის ერთ-ერთი განმარტების თანახმად, სამუშაო საათებში აგიტაციის გაწევა კანონით არის აკრძალული[1]" და სხვა არაერთი მსგავსი შემთხვევა გამოვლინდა.

სტატიაში მოყვანილი ფაქტები სრულად არ ასახავს საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობას, თუმცა გარკვეული დასკვნების გამოტანის საშუალებას მაინც იძლევა.

მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო კოდექსის სრულყოფის და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით საკანონმდებლო ცვლილებები ჯერ კიდევ 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე შევიდა, შემდგომ 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების წინ განხორციელდა რამოდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, ხოლო 2009 წლის 28 დეკემბერს, რამოდენიმეთვიანი მუშაობის შემდეგ, მიღებულ იქნა ახალი საარჩევნო კოდექსი, 2006 და 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების საარჩევნო კამპანიის ანალიზისას იკვეთება იდენტური პრობლემები. აქვე უნდა აღინიშნოს რომ საარჩევნო კამპანიის განვითარების თვალსაზრისით პროგრესი აშკარად შესამჩნევია. თუმცა მთელი რიგი საკანონმდებლო ნორმების გამო კითხვის ნიშნის ქვეშ დგება საქართველოს საარჩევნოს კოდექსის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან და ნორმებთან. აქედან გამომდინარე საარჩევნო კანონმდებლობის დახვეწის და კონკურენტუნარიანი საარჩევნო გარემოს შესაქმნელად სერიოზული ცვლილებებია განსახორციელებელი.

---

[1] საერთაშორის გამჭვირვალობა – საქართველო. ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება წინასაარჩევნო კამპანიის მიზნებისათვის. 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები. II ანგარიში. 2010 წლის 11 მაისი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ორგანული კანონი "საქართველოს საარჩევნო კოდექსი
2. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. 2010 წლის 30 მაისი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების სადამკვირვებლო მისია. წინასაარჩევნო გარემოს მონიტორინგის ანგარიში. 23 აპრილი 2010.
3. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია "ადგილობრივი არჩევნები საქართველოში: სამართლიანი თამაში" წინასაარჩევნო კამპანიის მონიტორინგის ანგარიში " თბილისი 2006
4. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი. არჩევნების სადამკვირვებლო მისია. საქართველო, ადგილობრივი არჩევნები 2010 წელი. 21 მაისი. შუალედური ანგარიში №2 (4-15 მაისი)
5. მედია მონიტორინგი 2010. პირველი ტალღა 26 აპრილი- 5 მაისი.
6. სატელევიზიო არხების მონიტორინგი შედეგები. მეორე ტალღა. 6-12 მაისი.
7. სატელევიზიო არხების მონიტორინგის შედეგები. მესამე ტალღა. 13-19 მაისი, 2010
8. საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო"ს ადმინისტრაციული რესურსების საარჩევნო კამპანიის მიზნებისათვის გამოყენების მონიტორინგის მეორე შუალედური ანგარიში
9. ადმინისტრაციული რესურსების საარჩევნო კამპანიის მიზნებისათვის გამოყენების მონიტორინგის პირველი ანგარიში.
10. "უცნაური არჩევნები: დისტანციაზე ბრძოლის' სტრატეგია და ტაქტიკა", გიორგი ასანიშვილი, 24 საათი" 20 სექტემბერი 2006 ,№207 (1359)
11. ცენტრალური საარჩევნო კომისია /ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 2010 / საინფორმაციო ბიულეტენი/4-10 მაისი

http://www.civil.ge/geo/article.php?id=13866
http://www.1tv.ge/Video-View.aspx?VID=1266&Loc=82&CatID=1&LangID=1
[1] http://www.1tv.ge/Video-View.aspx?VID=1274&Loc=82&CatID=1&LangID=1
[1] http://www.civil.ge/geo/article.php?id=22682&search=
სატელევიზიო დებატები
http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=56&info_id=27332
.http://www.transparency.ge/post/report/meore-shualeduri-angarishi-administratsiuli-resursis-gamoqenebis-shesakheb-tsinasaarchev
http://www.transparency.ge/post/press-release/saertashoriso-gamchvirvaloba-sakartvelo-tsinasaarchevno-periodis-monitoringis-mes
http://www.transparency.ge/post/report/pirveli-angarishi-administratsiuli-resursis-gamoqenebis-shesakheb-tsinasaarchevno-kampan
http://www.cec.gov.ge/files/biuletenebi/biuleteni_4_-_10_maisi.pdf
http://www.gyla.ge/attachments/702_memorandumi.pdf
http://www.ambebi.ge/politika/19486-opoziciisthvis-miutsvdomeli-nacionaluri-arkhebis-politikuri-reklamis-tarifebi.html

lia tetradze PhD student of the Faculty of Social and Politicial Sciences of TSU

Main trends of the 2010 local government election campaign

summary

The article deals with the legislative changes in the election code. The article highlights the fact that though the progress in the filed is obvious there is great number of issues to be settled in order to maintain competitive pre-election environment.

სამართლის სტატისტიკის თავისებურებანი და მისი როლი სამართლებრივი რეჟიმის უზრუნველყოფის საქმეში

ანა კუჭუხიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
სოციალურ-ჰუმანიტარული ფაკულტეტის დოქტორანტი

შესავალი. სტატისტიკური საქმიანობა უკვე საუკუნეებია სახელმწიფოებრივი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ისტორიული წყაროების მიხედვით სტატისტიკური ცნობების მოპოვება საქართველოში XIII საუკუნიდან იწყება. 1254-1258 წლებში მონღოლმა ნოინმა არღუნმა აღწერა საქართველოს მოსახლეობა და მათი ქონება. 1689 წლიდან, ერეკლე I-ის მეფობის ხანაში, საქართველოს სადროშოების სარდლები შვიდ წელიწადში ერთხელ ატარებდნენ თავიანთ სადროშოებში ხალხის აღწერას. სტატისტიკის სფეროში ახალი ეტაპი 1918 წლის 15 ნოემბერს დაიწყო, როდესაც მიწათმოქმედების სამინისტროსთან შეიქმნა სტატისტიკის დროებითი ბიურო. მას შემდეგ სტატისტიკურ აღრიცხვასა და ანალიზს სხვადასხვა ორგანოები ახორციელებდნენ. 1997-2003 წლებში სტატისტიკურ საქმიანობას ახორციელებდა საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, რომელიც 2003 წლიდან ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შეუერთდა და შესაბამისად, აღნიშნული თარიღიდან 2009 წლის 11 დეკემბრამდე მოქმედებდა როგორც ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სტატისტიკის დეპარტამენტი. დღესდღეობით კი საქსტატი წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სტატისტიკის წარმოებისა და სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელების მიზნით შექმნილ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც დამოუკიდებლად ახორციელებს თავის საქმიანობას საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

როგორც მოწმობს ისტორია, სტატისტიკური მონაცემების გარეშე შეუძლებელია სახელმწიფოს, როგორც სოციალური ორგანიზმის მართვა, მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ცალკეული მიმართულებების განვითარება, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შემუშავება, სოციალურ-სამართლებრივ სფეროში სამართალდარღვევებზე კონტროლი და მათ შორის ოპტიმალური პროპორციების უზრუნველყოფა.

სტატისტიკის უდიდეს მნიშვნელობას სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროში ადასტურებს ისიც, რომ საკითხი შედის ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმაში. სამოქმედო გეგმაში დასახულია პრიორიტეტები და ჩვენთვის ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ერთ-ერთ ასეთ პრიორიტეტად მიჩნეულია სწორედ სტატისტიკის სფეროში არსებული სიტუაციის გაუმჯობესება, სისხლის სამართლის სფეროში ეფექტიანი სტატისტიკის შემუშავება, სტატისტიკური მონაცემების ხარისხის გაუმჯობესება, და სხვ.

სამართლის სტატისტიკა. მისი არსი და თავისებურებანი. ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია წარმოადგენს ეკონომიკის, დემოგრაფიის, ეკოლოგიისა და სოციალური სფეროების მდგრადი განვითარების აუცილებელ საფუძველს. როგორც ვხედავთ, სტატისტიკა შეეხება სახელმწიფოთა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროებს. შესაბამისად, იმისდა მიხედვით, თუ რა საზოგადოებრივ მოვლენას შეისწავლის სტატისტიკა, იგი იყოფა სხვადასხვა დარგებად. ასეთი დარგებიდან ერთს წარმოადგენს სამართლის სტატისტიკა, რომელიც თავისი მონაცემებით ასახავს, თუ როგორ არის დაცული საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილება, საკუთრება, ცალკეული მოქალაქის, საწარმოების, დაწესებულებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები და თავისუფლებები. სამართლის სტატისტიკის ძირითად ამოცანას წარმოადგენს კანონდარღვევების, სასამართლო ორგანოების მიერ განხილული საქმე-

ების, დანაშაულისა და დამნაშავეთა წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების აღრიცხვა და ანალიზი. სამართლის სტატისტიკამ უნდა მოიცვას ინფორმაცია არა მხოლოდ ქვეყანაში არსებულ დანაშაულებრიობის შესახებ, არამედ ასევე გამოავლინოს მათი კავშირები და ურთიერთდამოკიდებულება ქვეყანაში არსებულ მორალურ, პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან და მათი განვითარების დონეების ცვალებადობასთან. ეს არის ის, რაც შესაძლებელია მხოლოდ სტატისტიკური მეთოდოლოგიის მეთოდებისა და ხერხების მთლიანი არსენალის კეთილსინდისიერი ათვისების საფუძველზე.

სტატისტიკა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეისწავლის საზოგადოებრივი მოვლენების რაოდენობრივ მხარეს და გვაძლევს ციფრებსა და პროცენტებში გამოხატულ შედეგებს, თუმცა ამ შედეგებს უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. სტატისტიკური მონაცემების ფლობა ისეთი ფაქტების შესახებ, როგორიცაა: დროის სხვადასხვა მონაკვეთში დანაშაულის ჩადენის ფაქტების ზრდა ან შემცირება, სასამართლოში სააპელაციო და საკასაციო წესით განსახილველ საქმეთა რაოდენობა და მიღებული გადაწყვეტილებები საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი გარემოებები, დანაშაულის აღკვეთისა და შემცირების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების ეფექტურობა, საგამომძიებლო, სასამართლო და სხვა ორგანოთა მუშაობის ეფექტურობა და მიღებული შედეგების საფუძველზე დავსახოთ შემდგომი მოქმედების გზები. სტატისტიკა, რიგ შემთხვევაში, ასაბუთებს კონკრეტული კანონპროექტის ძალაში შესვლის, კანონის გაუქმების ან მასში ცვლილებების შეტანის აუცილებლობას. რასაკვირველია, სტატისტიკა ამ შემთხვევაში თამაშობს არა ძირითად, არამედ დამხმარე, მაგრამ მაინც მნიშვნელოვან როლს. თავისი მაჩვენებლებით ილუსტრირებს პრაქტიკას, ადგენს კანონის მოქმედების ეფექტურობას, რითაც საბუთდება ამა თუ იმ კანონის ძალაში შესვლის, მისი გაუქმების, ან მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის

აუცილებლობა. აქ შეიძლება მოვიყვანოთ აშშ-ს მაგალითი, სადაც სწორედ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით 1933 წელს ალკოჰოლზე აკრძალვა მოიხსნა. საქმე ისაა, რომ იმ წლებში, როდესაც აშშ-ში მოქმედებდა ე.წ. მშრალი კანონი, მკვლელობის მუხლით ჩადენილ დანაშაულთა ფაქტების მაჩვენებელმა 100 ათას სულ მოსახლეზე შეიძლება ითქვას რეკორდულ მაჩვენებელს 9.7%-ს მიაღწია[1]. ზუსტად ალკოჰოლის აკრძალვის პერიოდს ემთხვევა ამ ქვეყანაში ჩვენს საუკუნეში მომხდარი ყველაზე სასტიკი დანაშაულების ჩადენის ფაქტები. სწორედ აღნიშნულმა სტატისტიკურმა მონაცემებმა აიძულა აშშ-ს მთავრობა შეეცვალა თავისი მიდგომა ალკოჰოლურ სასმელებთან მიმართებაში, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ მკვლელობის მაჩვენებელმა მომდევნო წლებში საგრძნობლად იკლო. ეს არის ნათელი მაგალითი იმისა, თუ რა პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს სტატისტიკურ მონაცემებს. სწორედ ამიტომ, საჭიროდ მიგვაჩნია ვისაუბროთ სამართლის სტატისტიკის სპეციფიკურობაზე და სამართლის სტატისტიკის წარმოების თავისებურებებზე.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ სამართლის სტატისტიკა თავის მხრივ იყოფა რამდენიმე დამოუკიდებელ დარგად. აღნიშნულ სტატიაში შევეხებით სამართლის სტატისტიკის მხოლოდ ერთ დარგს, კერძოდ სისხლის სამართლის სტატისტიკას.

ძირითადი ნაწილი. სისხლის სამართლის სტატისტიკა იყოფა შემდეგ შემადგენელ ნაწილებად:

ა) **წინასწარი გამოძიების სტატისტიკა** შეისწავლის იმ სახელმწიფო ორგანოების საქმიანობას, რომლებიც ახორციელებენ დანაშაულთა გამოძიებასა და დანაშაულის ჩამდენ პირთა გამოვლენას.

---

[1]ბროშურა "საინტერესო ფაქტები ნარკოტიკებთან დაკავშირებით" გამოცემულია ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის პროექტით "საადვოკატო კომპანიის" ფარგლებში. 2007წ.

მოცემული განაყოფი მოიცავს იმ დანაშაულებრიობათა აღრიცხვას, რომელთა ჩადენის შესახებ ცნობილი გახდა გამოძიების ორგანოებისათვის, ასევე დანაშაულის ჩადენაში გამოვლენილი პირების აღრიცხვას. წინასწარი გამოძიების სტატისტიკა აღრიცხავს ასევე ისეთ საკითხებს, როგორიცაა: გამოძიების ვადა, გახსნილი დანაშაულების რაოდენობა, დანაშაულში ეჭვმიტანილ და დაკავებულ პირთა რაოდენობა და სხვ.

ბ) **სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების სტატისტიკა** ასახავს პირველი ინსტანციის, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოების მუშაობას.

ეს განაყოფი მოიცავს შემოსულ და განხილულ სისხლის სამართლის საქმეთა აღრიცხვას, ასევე განსასჯელების რაოდენობის აღრიცხვას, სასამართლოების ისეთი პროცესუალური მოქმედებების აღრიცხვას, როგორიცაა – სისხლის სამართლის საქმეთა შეწყვეტა, გამამტყუნებელი და გამამართლებელი განაჩენის გამოტანა, და სხვ.

გ) **განაჩენის აღსრულების სტატისტიკა** ასახავს სასჯელაღსრულებითი დაწესებულებების მუშაობას. მას ასევე მიეკუთვნება თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოების საქმიანობის აღრიცხვა. მოცემული განაყოფი მოიცავს პატიმართა აღრიცხვას სხვადასხვა კატეგორიების მიხედვით (დანაშაულებრიობის და პროცესუალური ნიშნების მიხედვით – თავისუფლების აღკვეთის ვადების და სხვ.), ასევე სასჯელაღსრულებითი დაწესებულებების საქმიანობის ანალიზს. აქ ასევე აისახება სასამართლოების მუშაობა პირობით ვადამდე განთავისუფლებასა და სასჯელის შედარებით მსუბუქი სასჯელით შეცვლასთან დაკავშირებით.

როგორც ვხედავთ, სისხლის სამართლის სტატისტიკის მაჩვენებლები ახასიათებენ, ერთის მხრივ, წინასწარი გამოძიების ორგანოების, სასამართლოებისა და სასჯელაღსრულებითი დაწესებულებების საქმიანობას, ხოლო მეორეს მხრივ, ქვეყანაში არსებულ კრიმინოგენულ მდგომარეობას. ყველაფერი ეს, სერიოზულ როლს თამაშობს ამ ორგანოების მუშა-

ობის გაუმჯობესების, ასევე დანაშაულებრიობათა შესწავლისა და პრევენციის საქმეში.

გავერკვიეთ რა სისხლის სამართლის სტატისტიკის შესწავლის ობიექტებში, აუცილებელია შევჩერდეთ მისი მასალების თავისებურებაზე, რაც ყოველთვის მხედველობაში უნდა ვიქონიოთ მათი შესწავლისას.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის სტატისტიკა არ მოიცავს სინამდვილეში მომხდარ ყველა ჩადენილ დანაშაულს და იძულებულია შემოისაზღვროს მხოლოდ დარეგისტრირებულ დანაშაულთა აღრიცხვით[1]. შესაბამისად, ცხადია, რომ დანაშაულობათა მნიშვნელოვანი ნაწილი, ე. წ. ფარული დანაშაულები, რჩება გამოუვლენელი (მაგალითად, ის დანაშაულები, რომელთა შესახებ დაზარალებული არ აცნობებს შესაბამის ორგანოებს).

აუცილებელია აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ დანაშაულის რიცხოვნობის მონაცემთა გაანალიზებისას, მუდმივად გასათვალისწინებელია, სისხლის სამართლის პროცესის რომელ სტადიაზე მოხდა ამ მონაცემების აღრიცხვა-გაანალიზება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი შედარებისას, ისინი შეიძლება გამოიყურებოდნენ იმდენად წინააღმდეგობრივად, რომ მათი გამოყენების შესაძლებლობა შეიძლება საეჭვოც გახდეს. თუმცა, ეს განსხვავებები სისხლის სამართლის პროცესის სხვადასხვა სტადიაზე აღრიცხულ მონაცემებს შორის აბსოლუტურად ლოგიკურია.რაც უფრო დაშორებულია პროცესუალური ღონისძიება დანაშაულის ჩადენის დროისაგან, მით უფრო ნაკლებად ასახავს აღრიცხული მონაცემები ჩადენილი დანაშაულობების რეალურ რიცხვს. ყველაზე უფრო ზუსტად ასახავს ამ ნამდვილ ციფრს წინასწარი გამოძიების, ორგანოების სტატისტიკური მაჩვენებლები (რეგისტრირებულ დანაშაულთა რაოდენობა და მათ შესრულებაში გამოვლენილ პირთა რიცხვი).

---

[1] ა. კუჭუხიძე, რ. კუჭუხიძე "სამართლის სტატისტიკა", თბილისი 2008;

დანაშაულობების რიცხვი მოცემულ სტადიაზე იქნება, რასაკვირველია, გაცილებით მაღალი, ვიდრე სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეთა წარმოებისა და სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემულ პირთა რიცხვი, ან იმ პირთა რიცხვი, რომლებიც რეალურად სასჯელს იხდიან სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან გარკვეული რაოდენობის საქმე, რომლებზეც მიმდინარეობდა გამოძიება შეიძლება არ აღმოჩნდეს სასამართლოში, ვინაიდან, შესაძლოა საქმე გაუხსნელი დარჩეს, მოსარჩელემ უარი თქვას სარჩელზე, საქმე შეწყდეს შესაბამისი ნორმის გაუქმების გამო და სხვ. მეორეს მხრივ, საბოლოოდ იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც სასჯელს იხდიან სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში, როგორც წესი კიდევ უფრო ნაკლებია, ვიდრე დამნაშავეთა რეალური რაოდენობა, ვინაიდან იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქმე განიხილა სასამართლომ, პირს შეიძლება ვერ დაეკისროს პასუხისმგებლობა ასაკობრივი ცენზის გამო, პირი შესაძლოა გათავისუფლდეს ამნისტიის ან შეწყალების საფუძველზე და სხვ.

მაშასადამე, ცხადია, რომ დანაშაულობათა მნიშვნელოვანი ნაწილი ე.წ. ფარული დანაშაულებრიობაა. ფაქტიური დანაშაულებრიობა ყოველთვის მაღალია გამოვლენილ დანაშაულებრიობაზე, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება გამოტანილ განაჩენებს, ხოლო ეს რიცხვი, თავის მხრივ, ყოველთვის დიდია მსჯავრდებულთა რიცხვზე.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ დანაშაული და მასთან ბრძოლა აღირიცხება სისხლის სამართლის პროცესების სხვადასხვა სტადიაზე, ისინი მაინც არ შეიძლება წინააღმდეგობრივი იყვნენ ერთმანეთის მიმართ. რაც უფრო წარმატებულია წინასწარი გამოძიების წარმოება, ბუნებრივია, მით უფრო, მაღალია მსჯავრდადებულთა რიცხვი ამ საქმეებში და პირიქით.

როდესაც ვლაპარაკობთ სისხლის სამართლის სტატისტიკური მასალების მახასიათებლებზე, აუცილებელია აღვნიშნოთ კიდევ ერთი თავისებურება. კერძოდ ის, რომ დროის

გარკვეულ პერიოდში გამოვლენილ დანაშაულებრიობაზე არსებული სტატისტიკური ცნობები სრული სიზუსტით არ ასახავს მის დონეს მოცემულ პერიოდთან შეფარდებით. ამის მიზეზი შეიძლება მრავალი იყოს. მაგალითისათვის, იმ სტატისტიკური მონაცემების სისწორეზე, რომელიც ასახავს სხვადასხვა სტატისტიკურ მონაცემს დროის გარკვეულ პერიოდში, შესაძლოა გარკვეულ ზეგავლენას ახდენდეს სასამართლო-საგამოძიებო ორგანოთა რიცხოვნობისა და მათი მუშაობის ხარისხის ცვლილება. სრულიად გასაგებია, რომ ამ ორგანოების საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესება აჩქარებს გამოძიების და სისხლის სამართლის საქმეთა გადაწყვეტის ვადებს, რაც იწვევს სტატისტიკური მონაცემების გადიდებას დროის მოცემულ პერიოდში, თუმცა რაღაც ნაწილი მათ შორის მიეკუთვნება წარსულ საქმეებს და პირიქით, შემდგომ პერიოდში სასამართლო-საგამოძიებო ორგანოების მიერ წინა საქმეთა ნარჩენებისაგან განტვირთვის გამო სტატისტიკური მონაცემები შემდგომ პერიოდში აჩვენებს დანაშაულებრიობათა შემცირებას, თუმცა სინამდვილეში, შესაძლებელია, ასეთი შემცირება არც იყო. იგივეს ექნება ადგილი საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების ან გაუარესების შემთხვევაში, რაც გამოიწვევს დანაშაულის გახსნისა და სასამართლოში ფაქტების გადაცემის რიცხვის გადიდებას ან შემცირებას. ეს, თავის მხრივ, პირდაპირ აისახება სისხლის სამართლის სტატისტიკის მაჩვენებლებში, რომელიც მოგვცემს დანაშაულებრიობათა თითქოსდა ზრდის ან კლების სურათს.

სისხლის სამართლის სტატისტიკური მონაცემების დამუშავებისას საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ ისიც, რომ ერთი და იგივე პირს შეიძლება წლის განმავლობაში რამდენიმე დანაშაულისთვის დაედოს მსჯავრი, რის გამოც ხელოვნურად იზრდება მსჯავრდებულთა რიცხვი. მეორე მხრივ, საყურადღებო როლს ასრულებს დანაშაულთა აღრიცხვაში დანაშაულთა ერთობლიობა და მასში თანამონაწილეობა. დანაშაულობათა ერთობლიობაში ჩვეულებრივად გაითვალისწინება

ერთი ყველაზე უფრო სერიოზული დანაშაული, რის გამოც ხელოვნურად მცირდება დროის მოცემულ პერიოდში ფაქტიურად შესრულებულ დანაშაულთა რიცხვი. თანამონაწილეობის დროს მსჯავრდებულთა რიცხვი აღმოჩნდება ჩადენილი დანაშაულების რიცხვზე მეტი. სწორედ ამიტომ, დანაშაულებრიობათა მდგომარეობის სტატისტიკური მაჩვენებლები აუცილებელია გაანალიზდეს არა იზოლირებულად, არამედ ყოველთვის სხვადასხვა მაჩვენებლებთან ერთად.

ვლაპარაკობთ რა, სისხლის სამართლის სტატისტიკის არსზე, აუცილებელია უკვე აღნიშნულ თავისებურებებს დავუმატოთ კიდევ ერთი სპეციფიკური ნიშანი. რამდენადაც, თვით ესა თუ ის ქმედება დანაშაულად მიიჩნევა სისხლის სამართლის კანონის საფუძველზე, ამდენად სისხლის სამართლის კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილება პირდაპირ აისახება სისხლის სამართლის სტატისტიკის მაჩვენებლებზე. ნათელია, რომ კანონში შეტანილი ცვლილება, რომელიც აუქმებს ქმედების დასჯადობას, გამოიწვევს მსჯავრდებულთა რაოდენობის კლებას და პირიქით.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულებრიობათა სტატისტიკურ მაჩვენებლებზე ზემოქმედებს მთელი რიგი ფაქტორები: სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის ცვლილება, ეკონომიკური მდგომარეობა, განათლების დონე, სისხლის სამართლის პოლიტიკა, სისხლის სამართლის კანონმდებლობა და ა.შ.

დასკვნა. ამგვარად, სამართლის სტატისტიკის მონაცემებს ახასიათებს გარკვეული თავისებურებები, რომლებიც არ იძლევიან შესაძლებლობას სტატისტიკური კვლევის შედეგად სრული სიზუსტით გამოვლინდეს ქვეყანაში არსებული დანაშაულებრიობის დონე და სისხლის სამართლის სტატისტიკისათვის საინტერესო სხვა მონაცემები. ამაშია, სამართლის სტატისტიკის მთავარი სირთულე და სპეციფიკურობა სტატისტიკის სხვა დარგებთან შედარებით. სწორედ ამიტომ, აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა გაანალიზდეს ყველა ის თავისებურება, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ და შემდგომ მაქსი-

მალურად კომპლექსური კვლევის შედეგად მოხდეს სტატისტიკის მონაცემების განხილვა და ანალიზი.

Abstract

Ana Kuchukhidze- PhD Student of the Faculty of Humanites and Social Sciences of GTU.

Peculiarities of the law statistics and their role in insuring the legal regime

Statistics, depending on this or that social event studied by it, are divided into different sectors. Out of such sectors is the law statistics, which in its turn consists of a few independent sectors. This work will deal only with one sector – statistics of criminal law, in particular. The work analysis the peculiarities, which are typical of statistics of criminal law.

First of all, it should be noted that statistics of criminal law do not cover all criminal offences committed and are only limited with the registered crimes. Thereafter, it is obvious that majority of criminal offences, the so-called concealed crimes, remains undetected. Of special importance is the fact that, while analysing the data on number of criminal offences, one should constantly take into consideration in which stage of the criminal proceedings the registration of these data took place. It is evident, that significant part of crimes represents the so-called concealed crimes. The number of actually committed crimes is always higher then the number of detected crimes, which significantly exceeds the number of sentences passed and this number, in its turn, is always much higher than the number of persons convicted.

Yet another peculiarity should be underlined, particularly, the fact that statistical data on criminal offences detected within a certain period of time do not reproduce precisely the rate of crimes in

regard to the given period of time. There are a lot of reasons for it. For instance, precision of statistical data, which cover different statistical information for a certain period of time, may be to a certain extent influenced by change of a number of judicial and investigative bodies and quality of their work. It is obvious that perfection of the quality of activity of these bodies reduces time-limits of investigation and settlement of criminal cases and is followed by expansion of statistical data within the given period of time, though, in fact, such expansion might not even have taken place. It should be taken into consideration that during one year, one and the same person may be convicted of several criminal offences; for this reason, number of convicted persons increases artificially. On the other hand, significant role in the process of registration of criminal offences is played by combination of crimes and complicity in crimes. Combination of criminal offences, usually, provides for one, the most serious crime, on account of which, number of crimes actually committed within the given period of time is artificially decreased. Number of persons convicted of complicity may be higher than the number of crimes committed. Therefore, it is necessary to analyse statistical data on the state of criminal offences not separately, but always with due regard for different factors.

One specific factor should be also noted. Since this or that action is considered by the criminal statute to be a crime, the amendments introduced into the criminal statute will directly exert influence on statistical data of criminal law. It is obvious, that amendments, which are introduced into the criminal statute and which abrogate criminality of such actions, will cause the reduction of number of the persons convicted and vice versa.

The aforesaid peculiarities account for the main complexity of the law statistics. Therefore, it is necessary to carry out examination and analysis of statistical data with due regard for the results of the most comprehensive research studies.

გამოყენებული და ციტირებული ლიტერატურა:

1. ა. კუჭუხიძე, რ. კუჭუხიძე "სამართლის სტატისტიკა", თბილისი 2008;

2. საქართველოს პარლამენტის 2009 წლის 11 დეკემბრის საინფორმაციო გამოშვება.

3. საქართველოს 11.12.09 კანონი "ოფიციალური სტატისტიკის შესახებ";

4. М.М. Бабаев. "Статистические методы анализа судимости". Советскаяюстиция, 1969 г.;

5. Совюк Л.К. "Правовая статистика", М., юрист. 2006 г.;

6. ბროშურა "საინტერესო ფაქტები ნარკოტიკებთან დაკავშირებით" გამოცემულია ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის პროექტით "საადვოკატო კომპანიის" ფარგლებში. 2007წ.

სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების საკითხი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ

მაია მანჩხაშვილი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის პოლიტიკური მეცნიერების მიმართულება,
დოქტორანტი.
პოლიტოლოგიის ინსტიტუტის
მეცნიერ-თანამშრომელი

2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომმა სამხრეთ კავკასიაში მანამდე არსებული ძალთა ბალანსის სისტემა ძირეულად შეცვალა. რუსეთის აგრესიამ დაარღვია მხარეების მიერ დაცული "სტატუს-ქვოს" მდგომარეობა. რეგიონული უსაფრთხოების თვალსაზრისით გაჩნდა როგორც ახალი გამოწვევები – რუსეთის მიერ საქართველოს ორი რეგიონის ოკუპაცია და მათი "დამოუკიდებელ" სახელმწიფოებად აღიარება; ისე პერსპექტივებიც – თურქეთ-სომხეთის "საფეხბურთო" დიპლომატია და ციურიხის პროტოკოლები.

ანუ რეგიონული უსაფრთხოების ადრინდელი მოდელები ამ დროისათვის შედარებით მოძველებულია და საჭიროებს ახალი, უფრო მოქნილი, რეგიონის ინტერესებს მორგებული მოდელის შემუშავებასა და მისი რეალიზების გზების ძიებას ერთობლივი ძალებით.

ამ მიმართულებით ძალზედ აქტიური მუშაობით გამოირჩევა თურქული დიპლომატია;

2008 წლის აგვისტოს ომის დროს, ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც წამოაყენა რეგიონული უსაფრთხოების პროექტი, იყო თურქეთი; იგი "კავკასიური უსაფრთხოების პლატფორმის" სახელწოდებითაა ცნობილი. ამ ინიციატივის შესახებ თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯეპ ტაიპ ერდოგანმა პირველად განაცხადა 2008 წლის 11 აგვისტოს მოსკოვში პრეზიდენტ დ.მედვედევთან შეხვედრისას; მას მოჰყვა სპეციალური

ვიზიტები ბაქოსა და თბილისში და კონსულტაციები მხარეებთან, გაერთიანებულიყვნენ ალიანსის ირგვლივ.

თურქეთის მიერ წამოყენებული გეგმის თანახმად, უსაფრთხოების პლატფორმის მონაწილედ მოიაზრებოდა ხუთი ქვეყანა - რუსეთი, თურქეთი, საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი – "3+2" ანუ "ხუთეულის ფორმატი". რ.ერდოგანის განცხადებით, ალიანსის ფორმატით გამართულ მოლაპარაკებებში უნდა ჩართულიყო გაეროც [2].

თურქეთის პრემიერ-მინისტრის ინიციატივას თავის დროზე მხარი დაუჭირა რუსეთმა. 2008 წლის 7ოქტომბერს, საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა "Российская Газета"-თვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: ,,თურქული იდეა იმის შესახებ, რომ კავკასიაში სტაბილურობასა და თანამშრომლობაზე სწორედ რეგიონის ქვეყნებმა მოიფიქრონ საერთო პლატფორმა, ასახავს თურქული დიპლომატიის მცდელობას" [3], ლავროვმა ასევე დასძინა – ,,თურქებმა, ჩემი აზრით, ძალიან დროულად გაიგეს მომენტის უნიკალურობა, რომელიც მათ ნებას აძლევს წარმოაჩინონ თავიანთი - ყოფნა ამ რეგიონში" [4].

თურქეთის უსაფრთხოების პლატფორმას მხარი დაუჭირეს აზერბაიჯანმა და სომხეთმა. სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ედ. ნალბანდიანმა დადებითად შეაფასა თურქეთის ინიციატივა და აღნიშნა, რომ ,,სომხეთი ყოველთვის იყო დიალოგის და მოლაპარაკებების მომხრე, განსაკუთრებით იმ საკითხებში, რომელიც რეგიონში თანამშრომლობას და უსაფრთხოებას ეხება" [5]. თუმცა, სომხეთის ოფიციალური მხარის ზოგიერთმა წარმომადგენელმა ამ პლატფორმაში ირანის ჩართვაც მოითხოვა. მაგალითად, საგარეო ურთიერთობათა საკითხებში მუდმივმოქმედი საპარლამენტო კომისიის თავჯდომარემ არმენ რუსტამიანმა 2008 წ. 4 სექტემბერს პრეს-კონფერენციაზე გაკეთებულ განცხადებაში აღნიშნა: ,,ირანის არმიღება კავკასიური პლატფორმის ამ ფორმატში, ნიშნავს შენელებული მოქმედების ნაღმის ჩადებას, რომელ-

მაც ნებისმიერ დროს შეიძლება ააფეთქოს უსაფრთხოების ეს სისტემა" [6].

აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი ერმალ მამედიაროვიც მიესალმა ინიციატივას, მაგრამ აღნიშნა, რომ რიგი საკითხების დეტალური განხილვაა საჭირო [7].

პრინციპული თანხმობა რეგიონულ ალიანსთან მიერთებაზე არ გააკეთა მხოლოდ თბილისმა. ქართული მხარე მიიჩნევდა, რომ არ შეიძლებოდა მონაწილეობა პროექტში, რომელშიც ჩართული იყო რუსეთი – ქვეყანა, რომელსაც ოკუპირებული აქვს მისი ტერიტორიების 20% [8]. გარდა ამისა, რეგიონის ქვეყნებიდან ყველაზე მეტად სწორედ საქართველოსთვის იყო მიუღებელი უსაფრთხოების პლატფორმიდან ევროკავშირისა და აშშ-ს გამორიცხვა.

აღსანიშნავია, რომ პრემიერ ერდოგანის საქართველოში ვიზიტისას პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დადებითად შეაფასა თურქეთის მცდელობა რეგიონში შეიქმნას უსაფრთხოების საერთო მექანიზმები და თხოვა ანკარას გაეგრძელებინა ეს მცდელობები [10].

თურქეთის ინიციატივას ცივად შეხვდა ვაშინგტონი. სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე მეთიუ ბრაიზას სიტყვებით, ის გაოცებული იყო თურქული მხარის წინადადებით: ,,ჩვენ არ ვიყავით ინფორმირებული იმის შესახებ, რაც ხდებოდა, მე მიმაჩნია, რომ უნდა ვიმუშაოთ უფრო მჭიდროდ ჩვენს მოკავშირე თურქეთთან. მითუმეტეს, რომ მასთან გვაქვს საერთო ინტერესები" [13]. ამ განცხადების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თურქეთმა აშშ-ის ინტერესების გარკვეულწილად იგნორირება სცადა.

სავსებით შესაძლებელია თურქეთი დამოუკიდებელ თამაშს თამაშობდეს; მას საკმაოდ დიდი გავლენა აქვს არამხოლოდ სამხრეთ კავკასიის რეგიონზე, არამედ მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირები აქვს ცენტრალური აზიის რესპუბლიკებთან; ამ კონტექსტში თურქეთის ამბიციები გასაგებია.

თურქეთის პრეზიდენტმა ა.გიულმა აგვისტოშივე – 2008 წლის 18 აგვისტოს "Guardian"-თან ინტერვიუში განაცხადა, რომ" კონფლიქტმა საქართველოში ცხადყო, აშშ ველარ განსაზღვრავს გლობალურ პოლიტიკას და უნდა დაიწყოს ძალაუფლების გადანაწილება სხვა ქვეყნებთან" [14].

თურქეთის მხარის ინიციატივაში საყურადღებოა ის ფაქტი, რომ რეგიონული უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობას აპირებს ნატოს წევრი თურქეთი, ქვეყანა, რომელიც გავლენის გავრცობის ძირითად ბერკეტად ეკონომიკას იყენებს და რუსეთი – სახელმწიფო, რომლისთვისაც "გავლენის სფერო" და "სამხედროყოფნა" იდენტური ცნებებია.

როგორც აღვნიშნეთ, ალიანსის წევრად არ მოიაზრებოდა ირანი, მაგრამ, ბოლო ეტაპისათვის თურქეთისა და ირანის პოზიციების დაახლოებამ განაპირობა ის, რომ რიგ საკითხებში თურქეთის პოზიცია გადაიხედა; ანკარა უკვე აღარ გამორიცხავს თეირანთან დაახლოებას [16].

2009წ. 2 ნოემბერს თურქეთსა და ირანს შორის გაფორმდა კიდეც შეთანხმება – ნავთობისა და გაზის სფეროში თანამშრომლობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმი. თურქეთის ენერგეტიკის მინისტრ ტანერ ილდიზის განცხადებით, დოკუმენტი ითვალისწინებს თურქული მხარის მონაწილეობას ირანის უმსხვილესი გაზის საბადოს – სამხრეთ ფარსის ათვისებაში. რამდენიმე წელიწადში მხარეები საბადოდან წლიურად 35 მილიარდი კუბური მეტრის მოპოვებას გეგმავენ; აქედან ნახევარს – 17,5 მილიარდ კუბურმეტრს – თურქეთი გეგმავს, რომ ევროპის ბაზარზე გაიტანს. ტ. ილდიზის განცხადებით, ამ პროექტის განხორციელების შედეგად, ირანი, შესაძლოა "ნაბუკოს" გაზსადენისთვის გაზის ერთ-ერთი მთავარი მიმწოდებელი გახდეს [17].

2009 წლის ნოემბრის დასაწყისში რ.ტ. ერდოგანმა ირანში ვიზიტისას კავკასიის სტაბილურობის პაქტში ირანის ჩართვაზე გააკეთა აქცენტი: "კავკასიაში სტაბილურობით დაინტერესებულია, როგორც თურქეთი, ასევე ირანი. ამიტომ პრობლემები უნდა გადაწყდეს რეგიონის ქვეყნების თანამ-

მაც ნებისმიერ დროს შეიძლება ააფეთქოს უსაფრთხოების ეს სისტემა" [6].

აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი ერმალ მამედიაროვიც მიესალმა ინიციატივას, მაგრამ აღნიშნა, რომ რიგი საკითხების დეტალური განხილვაა საჭირო [7].

პრინციპული თანხმობა რეგიონულ ალიანსთან მიერთებაზე არ გააკეთა მხოლოდ თბილისმა. ქართული მხარე მიიჩნევდა, რომ არ შეიძლებოდა მონაწილეობა პროექტში, რომელშიც ჩართული იყო რუსეთი – ქვეყანა, რომელსაც ოკუპირებული აქვს მისი ტერიტორიების 20% [8]. გარდა ამისა, რეგიონის ქვეყნებიდან ყველაზე მეტად სწორედ საქართველოსთვის იყო მიუღებელი უსაფრთხოების პლატფორმიდან ევროკავშირისა და აშშ-ს გამორიცხვა.

აღსანიშნავია, რომ პრემიერ ერდოგანის საქართველოში ვიზიტისას პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დადებითად შეაფასა თურქეთის მცდელობა რეგიონში შეიქმნას უსაფრთხოების საერთო მექანიზმები და თხოვა ანკარას გაეგრძელებინა ეს მცდელობები [10].

თურქეთის ინიციატივას ცივად შეხვდა ვაშინგტონი. სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე მეთიუ ბრაიზას სიტყვებით, ის გაოცებული იყო თურქული მხარის წინადადებით: ,,ჩვენ არ ვიყავით ინფორმირებული იმის შესახებ, რაც ხდებოდა, მე მიმაჩნია, რომ უნდა ვიმუშაოთ უფრო მჭიდროდ ჩვენს მოკავშირე თურქეთთან. მითუმეტეს, რომ მასთან გვაქვს საერთო ინტერესები" [13]. ამ განცხადების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თურქეთმა აშშ-ის ინტერესების გარკვეულწილად იგნორირება სცადა.

სავსებით შესაძლებელია თურქეთი დამოუკიდებელ თამაშს თამაშობდეს; მას საკმაოდ დიდი გავლენა აქვს არამხოლოდ სამხრეთ კავკასიის რეგიონზე, არამედ მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირები აქვს ცენტრალური აზიის რესპუბლიკებთან; ამ კონტექსტში თურქეთის ამბიციები გასაგებია.

თურქეთის პრეზიდენტმა ა.გიულმა აგვისტოშივე – 2008 წლის 18 აგვისტოს "Guardian"-თან ინტერვიუში განაცხადა, რომ" კონფლიქტმა საქართველოში ცხადყო, აშშ ველარ განსაზღვრავს გლობალურ პოლიტიკას და უნდა დაიწყოს ძალაუფლების გადანაწილება სხვა ქვეყნებთან" [14].

თურქეთის მხარის ინიციატივაში საყურადღებოა ის ფაქტი, რომ რეგიონული უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობას აპირებს ნატოს წევრი თურქეთი, ქვეყანა, რომელიც გავლენის გავრცობის ძირითად ბერკეტად ეკონომიკას იყენებს და რუსეთი – სახელმწიფო, რომლისთვისაც "გავლენის სფერო" და "სამხედროყოფნა" იდენტური ცნებებია.

როგორც აღვნიშნეთ, ალიანსის წევრად არ მოიაზრებოდა ირანი, მაგრამ, ბოლო ეტაპისათვის თურქეთისა და ირანის პოზიციების დაახლოებამ განაპირობა ის, რომ რიგ საკითხებში თურქეთის პოზიცია გადაიხედა; ანკარა უკვე აღარ გამორიცხავს თეირანთან დაახლოებას [16].

2009წ. 2 ნოემბერს თურქეთსა და ირანს შორის გაფორმდა კიდეც შეთანხმება – ნავთობისა და გაზის სფეროში თანამშრომლობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმი. თურქეთის ენერგეტიკის მინისტრ ტანერ ილდიზის განცხადებით, დოკუმენტი ითვალისწინებს თურქული მხარის მონაწილეობას ირანის უმსხვილესი გაზის საბადოს – სამხრეთ ფარსის ათვისებაში. რამდენიმე წელიწადში მხარეები საბადოდან წლიურად 35 მილიარდი კუბური მეტრის მოპოვებას გეგმავენ; აქედან ნახევარს – 17,5 მილიარდ კუბურმეტრს – თურქეთი გეგმავს, რომ ევროპის ბაზარზე გაიტანს. ტ. ილდიზის განცხადებით, ამ პროექტის განხორციელების შედეგად, ირანი, შესაძლოა "ნაბუკოს" გაზსადენისთვის გაზის ერთ-ერთი მთავარი მიმწოდებელი გახდეს [17].

2009 წლის ნოემბრის დასაწყისში რ.ტ. ერდოგანმა ირანში ვიზიტისას კავკასიის სტაბილურობის პაქტში ირანის ჩართვაზე გააკეთა აქცენტი: "კავკასიაში სტაბილურობით დაინტერესებულია, როგორც თურქეთი, ასევე ირანი. ამიტომ პრობლემები უნდა გადაწყდეს რეგიონის ქვეყნების თანამ-

შრომლობის გზით" [18]. კავკასიური სტაბილურობის იდეამ შესაძლოა ახალი განზომილებები შეიძინოს მასში ირანის ჩართვით და ამ პაქტმა ახალი სიცოცხლე დაიწყოს.

ირანის თემას ანუ ბირთვული განიარაღების პრობლემას ასევე დიდი ადგილი დაეთმო 2010 წლის 8 დეკემბერს რ.ტ. ერდოგანის აშშ-ში ვიზიტისას. ბარაქ ობამა ამ მხრივ თურქეთს მედიატორისა და მომლაპარაკებლის რილში მოიაზრებს: "მე მჯერა თურქეთს შეუძლია იყოს მნიშვნელოვანი მოთამაშე ამ მიმართულებით, ირანის შეცვლის ძალისხმევაში"[19].

"კავკასიური უსაფრთხოების პლატფორმა" პრობლემის აქტუალურობის მიუხედავად ვერ იქცა რეალური განხილვის საგნად, რადგანაც რუსეთის მიერ სამხრეთ კავკასიაში ორი "ახალი სახელმწიფოს" აღიარების პოლიტიკის გატარებამ, ეჭვქვეშ დააყენა თურქეთის მიერ წამოყენებული პლატფორმის ამოსავალი პრინციპი სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის შესახებ და შეიძლება ითქვას რეგიონული უსაფრთხოების საკითხების ირგვლივ დიალოგი სამ ნაწილად "დაშალა": საქართველო-რუსეთს, სომხეთ-თურქეთსა და სომხეთ-აზერბაიჯანს შორის;

საქართველო-რუსეთს შორის დიალოგი "ჟენევის ფორმატში" მიმდინარეობს, რომელიც უმთავრესად უსაფრთხოების (ასევე ჰუმანიტარულ) საკითხებს ეხება.

მასში მონაწილეობს საქართველოს, რუსეთის, აშშ-ის, ევროკავშირის, ეუთოს, ასევე, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის წარმომადგენლები იმ სუბიექტების დაკონკრეტების გარეშე, რომელსაც ისინი წარმოადგენენ. ამგვარი ფორმატი 2008 წლის ნოემბერში შეთანხმდა, მას შემდეგ, რაც უთანხმოება გამოიწვია დისკუსიებში სეპარატისტული რეგიონების წარმომადგენელთა სტატუსის საკითხმა.

მიუხედავად იმისა, რომ მოლაპარაკებები უკვე თითქმის ორი წელია მიმდინარეობს, მას მნიშვნელოვანი შედეგები ჯერ არ მოჰყოლია;

"ჟენევის ფორმატში" მოლაპარაკებათა თერთმეტი რაუნდი გაიმართა და ერთადერთი კონკრეტული შედეგი, რაც დღემდე მიღწეულია, იყო 2009 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილება,შექმნილიყო სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან მიმართებაში ცალ-ცალკე "ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმი", რაც ნიშნავს ადგილობრივ აქტორებთან რეგულარული შეხვედრების ფორმატში მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვის საკითხებზე დისკუსიას. ანუ, მხარეები შეთანხმდნენ დაძაბულობის კერებში ერთობლივ ვიზიტებზე. ევროპის ბერძნული თავმჯდომარეობის სპეციალურმა წარმომადგენელმა ხარლამპოს ხრისტეპოლუსმა ეს შეთანხმება შეაფასა როგორც "მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი"; გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა იოჰან ვერბეკემ კი როგორც "პირველი მნიშვნელოვანი შეთანხმება" [23].

„ჟენევის ფორმატში" მოლაპარაკებები მიმდინარეობს ასევე ჰუმანიტარულ საკითხებზე, რომლის ფარგლებშიც განიხილება ყოვლისმომცველი გეგმა დევნილთა ღირსეული დაბრუნებისა და ადგილზე მათთვის ცხოვრებისათვის ნორმალური პირობების შექმნის შესახებ.

თურქეთი ახალი "კავკასიური ალიანსის" შექმნასთან ერთად, ცდილობს ურთიერთობების დარეგულირებას სომხეთთან; შვეიცარიის შუამავლობით ანკარას დაწყებული აქვს დიალოგი ერევანთან, თანამშრომლობასა და საზღვრის გახსნაზე. 2009 წლის 24 აპრილს შეთანხმებული ,,საგზაო რუკა" წარმოადგენს ორი ქვეყნის სამოქმედო გეგმის მონახაზს [20], 10 ოქტომბერს კი ხელი მოეწერა პროტოკოლებს [21], მაგრამ ორივე ქვეყნის პარლამენტი აყოვნებს მის რატიფიცირებას. უნდა ითქვას, რომ ამ საკითხის დარეგულირება მნიშვნელოვანი რეგიონული მოვლენა იქნება. მან შესაძლოა გავლენა იქონიოს სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების საგარეო პოლიტიკური ორიენტირების შეცვლაზე.

მოსკოვში განაცხადეს, რომ მიესალმებიან ნებისმიერ ნაბიჯს, რომელიც რეგიონში ურთიერთობების ნორმალიზაცი-

ისკენაა მიმართული და ხაზი გაუსვეს, რომ ეს პირველ რიგში თურქეთისა და სომხეთის მთავრობებს შორის შესათანხმებელი საკითხია. მართალია რუსეთი ირგებს სომხურ-თურქული ურთიერთობების დამრეგულირებლის როლს, მაგრამ, თურქეთ-სომხეთის ურთიერთობების საკითხს აქვს მეორე მხარე: სომხეთ-თურქეთის საზღვრის გახსნა გამოიწვევს სომხეთის დაახლოებას დასავლეთთან და ნატო-სთან; ნატო-სთან დაახლოებამ კი შესაძლოა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს სომხეთში რუსეთის სამხედრო ბაზის არსებობის საჭიროება. ეს რუსეთისთვის ნიშნავს გავლენის დაკარგვას სტრატეგიულ მოკავშირეზე, რაც არანაირად არ შეესაბამება კრემლის გეგმებს.

ურთიერთობების ნორმალიზაციას მხარს უჭერს აშშ. მათი პოზიციით ეს უნდა მოხდეს ყოველგვარი წინაპირობების გარეშე და მოუწოდებენ ორივე ქვეყანას შესაბამისად იმოქმედონ, რათა მათი მთავრობების მუშაობამ ხელი შეუწყოს რეგიონში მშვიდობის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის დამყარებას.

გავლენიანმა ჟურნალმა "Экономист"-მა სტატიაც კი მიუძღვნა ამ თემატიკას, რომელშიც აღინიშნა, რომ თურქეთსა და სომხეთს შეუძლიათ უფრო კონსტრუქციული როლი ითამაშონ კავკასიაში, ვიდრე ითამაშა რუსეთმა [22].

ჯერ კიდევ 2009 წლის 8 დეკემბერს, აშშ-ში ვიზიტისას, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დავიდოღლუმ თურქულ-ხომხური ურთიერთობები მჭიდროდ დაუკავშირა ყარაბაღის პრობლემას და აღნიშნა: "მთიანი-ყარაბაღის პრობლემის გარეშე შეუძლებელია ხანგრძლივი მშვიდობის დამყარება რეგიონში" [23]; ანუ, სომხეთ-თურქეთისა და სომხეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობები მჭიდროდ დაუკავშირდა ყარაბაღის საკითხს; ორმხრივი მოლაპარაკებები ფაქტობრივად ჩიხშია შესული. რეგიონული თანამშრომლობის არც თუ წარმატებული თანამშრომლობის პერსპექტივები ახალი გამოწვევების საფრთხის წინაშეა;

თურქეთის ინიციატივა საქართველოს, ისევე როგორც რეგიონის სხვა ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი პატივისცემას ემყარებოდა. მაგრამ, 2008 წლის 26 აგვისტოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებით თურქეთის რეგიონული უსაფრთხოების პლატფორმას ყველაზე დიდი დარტყმა რუსეთმა მიაყენა; როგორც მოსკოვში ამბობენ ,,საქმე გვაქვს სრულიად სხვა კავკასიასთან. რეგიონში უკვე არსებობს ხუთი სახელმწიფო, ოთხ მათგანთან ჩვენ გვაქვს დიპლომატიური ურთიერთობა, საქართველოსთან კი ეს დროებით შეჩერებულია" [9].

ამდენად, რუსეთში განსხვავებულად ესმით სამხრეთ კავკასიის რეგიონის უსაფრთხოების საკითხი; და თურქული საგარეო უწყების ძალზედ აქტიური მუშაობის მიუხედავად, რეგიონული უსაფრთხოების ნებისმიერი მოდელი არარელური იქნება, მასში ისეთი გავლენიანი აქტორები გამორიცხვის გამო, როგორებიც არიან აშშ და შედარებით გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციები და დემოკრატიული ინსტიტუტები, მათ შორის ევროკავშირი და ეუთო. ამასთან, ვფიქრობთ, ძალზედ მნიშვნელოვანია რეგიონის დიდი სახელმწიფოების რეალური პოლიტიკური ნება კონფლიქტების მოგვარების პროცესში.

Abstract

Maia manchkhashvili-PhD Student of the Faculty of Social and Political Sciences of TSU.

The Issue of Regional Security of South-Caucasus after the 2008 August War

The system of power balance that existed in the South-Caucasus before the August 2008 was entirely changed by the war between Russia and Georgia. The Russian aggression has abolished

the status-quo followed by the sides. In light of the regional security new challenges such as the occupation of the two regions of Georgia and granting them the status of "independent states" as well as the perspectives like the Turkish-Armenian "football diplomacy" has occurred. The previous models of regional security are comparatively obsolete nowadays and are in need to be replaced by the new, more flexible, and region-oriented model. The finding and enforcing of such a model will need cooperation of sides.

Turkey was the only country, which has proposed the project of regional security after the 2008 August War. The project is known as "The Caucasus Security Platform".

Despite its relevance, "The Caucasus Security Platform" could not come up as the main discussion topic, as it did not encompass the participation of the USA, the EU and Iran. The declaration of the independence of two regions of Georgia by Russia has challenged the principle of the territorial integrity of the state – which is the cornerstone of the proposal.

გამოყენებულიდაციტირებულილიტერატურა:

1. Американцы ущемлены несогласованной активностью Турции на Кавказе и диалогом между Анкарой и Москвой. www.regnum.ru/news/ 30.09.2008
2. Stuck in a tight spot, Ankara calls for Caucasus pact. www. Today'sZaman. 12.08.2008.
3. Сергей Лавров расказал об Армении,Азербайджане,Турции и США. www.regnum.ru. /news/ 7.10.2008
4. .... იქვე
5. Анкара стремится уменьшить свою вину перед Москвой за вооружение Тбилиси: АРФД. www.regnum.ru. /news/ 5.09.2008
6. Виген Акопян: Война в Южной Осетии и новые перспективы армяно-турецких отношений. www.regnum.ru./news/6.09.2008

7. "Коммерсант": Медведев может заменить Минскую группу в переговорах Армении и Азербайджана. www.regnum.ru. /news/ 8.09.2008
8 . .... იქვე
9. Россия не желает вмешательства третьих стран в процессы на Кавказе: мнение. www.regnum.ru/news/24.10/2008.
10. Erdogan backs Georgian sovereignty, Caucasus platporm. www. Today'sZaman. 15.08.2008.
11. Иран вышел из тени: безопасност на Кавказе между Турцией и Ираном.www.regnum.ru. /news/ 17.09.2008
12. .... იქვე
13. Американцы..
14. თურქეთისპრეზიდენტი: საქართველოსკრიზისისშემდეგაშშ-მძალაუფლებაუნდაგადაანაწილოს. www.civil.ge. 18 აგვისტო, 2008.
15. Ankara 's Caucasus initiative to gain impetus this week. Today'sZaman. 19.08.2008
16. МИД Турции в Москве: уравнение с десятью неизвестнйми.www.regnum.ru. /news/01.07.2009
17. თამარ ივანიძე, ზამთრის მოახლოება ენერგოთემების მიმართ ინტერესს ამძაფრებს; 24 საათი 11.11.09
18. Стапислав Тарасов: Турция вводит Иран в "кавказское уравнение", www.regnum.ru/news/09.11.2009
19. US President Obama reaffirms support for Turkey's regional role. www.Today' Zaman.09.12.2009.
20. Армяно-турецкая "дорожная карта" - трагическая ошибка властей Армении: эксперт. www.regnum.ru/news/23.04.2009.
21. Посредники по карабахскому урегулированию едут на подписание армяно-турецких протоколов. www.regnum.ru/news/09.04/2009.
22. Турция и Армения могли бы играть более конструктивную роль на Кавказе чем когда-либо Россия. Мнение. www.regnum.ru/news/19.10.2008.
23. ჟენევა, ერთი წლის შემდეგ: როგორი მშვიდობა საქართველოსთვის? www.civil.ge, 15 ოქტომბერი, 2009.

ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის, საკვლევი კითხვარის ადაპტაცია ქართულ პოპულაციაზე

ხათუნა მარწყვიშვილი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის, ფსიქოლოგიის მიმართულება,
ასისტენტ-პროფესორი.

ემოციური ინტელექტი შედარებით ახალ კონსტრუქტს წარმოადგენს მეცნიერებაში და ამ კონცეპტთან დაკავშირებული კვლევებიც ბოლო ათწლეულის დამსახურებაა. არსებობს სამი ძირითადი მოდელი (Emmerling, Shanwal & Mandal 2008), რომელიც ემოციური ინტელექტის ცნების ქვეშ განსხვავებულ შინაარსს მოიაზრებს. ეს მოდელებია ემოციური ინტელექტი, როგორც უნარი (J. D. Mayer & P. Salovey, 1997), როგორც კომპეტენცია (Goleman, D. 1998). და როგორც პიროვნული ნიშანი (Bar-On, 2006, Petrides & Furnham, 2000). ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის ავტორები (Petrides & Furnham, 2000) ემოციურ ინტელექტს განიხილავენ, როგორც „ემოციებთან დაკავშირებულ თვით-პერცეპციების ერთობლიობას, რომელიც პიროვნული იერარქიის ქვედა დონეზე მდებარეობს" (Petrides, Furnham, & Mavroveli, 2007, Petrides, Pita, Kokkinaki, 2007). კონსტრუქტის ალტერნატიულ სახელწოდებად ავტორები გვთავაზობენ ტერმინს: „ემოციური თვით-ეფექტურობა, როგორც პიროვნული ნიშანი". კონსტრუქტის ამგვარი კონცეპტუალიზაცია ემოციური ინტელექტის ცნებას მთლიანად აცილებს კოგნიტური უნარების ტაქსონომიის ფარგლებს (Petrides, Pérez-González, & Furnham, 2007) და ხაზს უსვამს ქცევით დისპოზიციებს და უნარების თვით-აღქმას, რომელიც თვით-ანგარიშის ტიპის კითხვარით იზომება, განსხვავებით ემოციური ინტელექტის,

როგორც უნარის მოდელისგან, რომლის შესაფასებელი ინსტრუმენტი შესრულებაზე დაფუძნებულ ტესტს წარმოადგენს (ისევე, როგორც ეს კოგნიტური ინტელექტის შემთხვევაშია). შესაბამისად, ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის საკვლევი კითხვარი წარმოადგენს 153 დებულებიან თვით-ანგარიშის კითხვარს (Petrides, 2009b), რომელიც საშუალებას იძლევა შეფასდეს ემოციური ინტელექტის 15 ცალკეული ასპექტი, 4 ძირითადი ფაქტორი და ემოციური ინტელექტის გლობალური ქულა:

კითხვარის სკალები და ძირითადი ფაქტორები

სკალები

ემოციების გამოხატვა. . . . . ემოციების გამოხატვა და ,,ემოციური" კომუნიკაცია

ემპათია. . . . . სხვა ადამიანის თვალსაზრისის გათვალისწინება, ,,სხვის ტყავში შეძვრომა"

მოტივაცია. . . . . მიზანმიმართული შრომა მიუხედავად არახელსაყრელ გარემო პირობებისა

ემოციების რეგულაცია . . . . . ემოციების კონტროლი

ბედნიერება. . . . . ამჟამინდელი ცხოვრებით კმაყოფილება და ბედნიერება

სოციალური ცნობიერება. . . . . სოციალური ურთიერთობების უნარი

იმპულსურობა (დაბალი). . . . . სპონტანურობა და ცდუნებების აყოლა

ემოციების აღქმა. . . . . საკუთარი და სხვა ადამიანების ემოციების ცოდნა/გაგება

თვით-შეფასება. . . . . წარმატებულობა და საკუთარ თავში დარწმუნებულობა

ასერტულობა. . . . . პირდაპირობა და საკუთარი უფლებების, მოსაზრებების დაცვა

ემოციების მართვა. . . . . ადამიანთა გრძნობებზე გავლენის მოხდენა

ოპტიმიზმი. . . . . მომავლის ნათელ ფერებში ხედვა

სოც.ურთიერთობები. . . . . პირადი, ახლო ურთიერთობები მეგობრებთან ოჯახის წვერებთან, ნათესავებთან

ადაპტაცია. . . . . ახალ გარემო პირობებთან შეგუება და მორგება

სტრესის მართვა. . . . . სტრესის მართვა და სტრესთან გამკლავება

ფაქტორები

კარგად ყოფნა. . . . . კარგად ყოფნის გენერალიზებული განცდა, ცხოვრებით კმაყოფილება და ბედნიერების განცდა

თვით-კონტროლი. . . . . ცდუნებების და სურვილების კონტროლი, გარემოს ზეწოლასა და სტრესთან გამკლავება

ემოციურობა. . . . . მრავალფეროვანი ემოციური უნარების ფლობა. საკუთარი და სხვისი ემოციების აღქმა, გამოხატვა და ახლო ურთიერთობების დამყარების უნარი

სოციალურობა. . . . . სოციალური ურთიერთობების და სოციალური გავლენების უნარი

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის საკვლევი კითხვარის (TEIQue) ადაპტაცია ქართულ პოპულაციაზე. ტესტის საერთაშორისო რეკომენდაციის (guideline) თანახმად (Hambleton, 2001)კითხვარის ადაპტაციის პროცესი მოიცავდა რამოდენიმე ეტაპს: (1) პირველ ეტაპზე კითხვარის ქართული ვერსიის შესაქმნელად მომზადდა სამი ურთიერთდამოუკიდებელი თარგმანი. კითხვარის ორიგინალური ვერსია ითარგმნა ექსპერტების მიერ. დამოუკიდებელი თარგმანების შეჯერებისა და თითოეული თარგმნილი დებულების შედარების შედეგად შეიქმნა კითხვარის პირველი ქართული ვერსია; (2) პირველი ქართული ვერსიის შესაბამისობა ორიგინალურ ვერსიასთან გადამოწმდა ავტორის – კ. ვ. პეტრიდესის მიერ, საპირისპირო თარგმანის საშუალებით. ავტორის შენიშვნების

შემდეგ კითხვარის 17 დებულება შეიცვალა; (3) პილოტური კვლევის დაწყებამდე შინაარსობრივი ვალიდობის შესამოწმებლად, კითხვარის 153 დებულება შეფასდა 7 ექსპერტის (ფსიქოლოგების ან ფსიქოლოგიის მიმართულების პროფესორ-მასწავლებელთა) მიერ. ექსპერტები დებულებებს აფასებდნენ 3 ბალიან ლიკერტის ტიპის სკალაზე რამდენად შეესაბამებოდა/რელევანტური იყო/ დებულებები სკალას. დებულებები, რომლებიც ექსპერტების შეფასების დიდი გაფანტულობით გამოირჩეოდა, კიდევ ერთხელ გადამუშავდა; (4) პილოტური კვლევის (111 მონაწილე) შედეგად კითხვარის 47 დებულება, რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებდა სანდოობის დონეს, შეიცვალა და გადამუშავდა; (5) შემდეგ ეტაპზე ჩატარდა განმეორებითი პილოტური კვლევა, რომელშიც უკვე მონაწილეობას იღებდა 115 მონაწილე. 17 დებულების მოდიფიცირების შედეგად შემუშავდა კითხვარის საბოლოო ვერსია; (6) ენობრივი გამართულობის უზრუნველსაყოფად კითხვარის საბოლოო ვერსია შეასწორა ქართული ენის ფილოლოგმა.

კვლევის მონაწილეები

კითხვარის ადმინისტრირებაში მონაწილეობა მიიღო 922 ინდივიდმა. შერჩევის აღწერა:

- კვლევის მონაწილეთა სქესი – კვლევაში მონაწილეობდა 267 (28.95%) მამრობითი და 655 (71.05%) მდედრობითი სქესის წარმომადგენელი;
- ასაკი – კვლევის მონაწილეთა ასაკი ვარირებდა 17-დან 70 წლამდე (M=25.22, SD=11.47)
- განათლება – მონაწილეთა უმრავლესობას (70.6%) სტუდენტები წარმოადგენდნენ, თუმცა მათ შორის იყვნენ, როგორც დაწყებითი განათლების მქონე პირები (2%,), ასევე, საშუალო განათლების (9.3%), არასრული საშუალო (0.9%) და უმაღლესი განათლების მქონე პირები (17.2%).

➢ ოჯახური მდგომარეობა – მონაწილეთა უმრავლესობა (75.8%) დასაოჯახებელია, 18.4% – დაოჯახებული, 2.5% – განქორწინებული, 1.4% – ქვრივი, 1.9% – უცნობია.

➢ დასაქმების სფერო – კვლევის მონაწილეთა 9.4% დასაქმებულია კერძო ორგანიზაციაში, 2.5% – სახელმწიფო სექტორში, 0.2% – ჯარში, 1.0% – აკადემიურ სფეროში, 1.1% – თვითდასაქმებულია, 19.6% – უმუშევარია, ხოლო 61.1% – სტუდენტი და ამავდროულად უმუშევარია, 5.1% უცნობია.

➢ საცხოვრებელი ადგილი – მონაწილეთა 50% არის დიდი ქალაქის მაცხოვრებელი, 19.3% პატარა ქალაქის, ხოლო 28.5% არის სოფლის მაცხოვრებელი, 2.2% – უცნობია.

პროცედურა

კითხვარის საბოლოო ვერსიის მიღების შემდეგ კითხვარის შევსებაში მონაწილეობა მიიღო 922-მა მონაწილემ. კითხვარის შევსება ძირითადად, ხდებოდა ჯგუფში, იშვიათად, ინდივიდუალურადაც. კვლევის მონაწილეები კითხვარის პასუხების ფურცელს ავსებდნენ სტანდარტული ზეპირი ინსტრუქციის შემდეგ, რომელშიც მიწოდებული იყო მოკლე ინფორმაცია კვლევის მიზნისა და კითხვარის შესახებ და მითითებები კითხვარის შევსებასთან დაკავშირებით. კითხვარის შევსების ინსტრუქცია, ასევე, მოცემული იყო კითხვარის დასაწყისშიც.

მონაცემთა ფსიქომეტრული ანალიზის მეთოდები და შედეგების აღწერა

1. ფაქტორული ანალიზი - ძირითადი ღერძების ფაქტორული მეთოდი

ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის საკვლევი 153 დებულებიანი კითხვარის ფაქტორული ანალიზი არ არის განხორციელებული დებულებების დონეზე და მისი სტრუქტურა არის 15-4-1 და არა 153-15-4-1 (Petrides,

2009a), რადგან ავტორი იზიარებს ბერნშტეინის და ტენგის მოსაზრებას (Bernstein, I. H., & Teng, 1989), რომლის თანახმადაც, ფაქტორული ანალიზი დებულებების დონეზე პრობლემურია და არ არის სანდო, განსაკუთრებით, მაშინ როდესაც განაწილება არ არის ნორმალური. 15 სკალა ქმნის ემოციური ინტელექტის ცალკეულ სფეროებს და შეუძლებელია ინტერპრეტირებული იყოს, როგორც ფაქტორები სტატისტიკური მნიშვნელობით, მაგრამ როგორც კონცეპტუალური ნაკრები ქმნის ემოციური ინტელექტის ანალიზის ქვედა დონეს. შესაბამისად, 15 სკალის საფუძვლად მდებარე ფაქტორების გამოყოფის მიზნით გამოვიყენეთ ძირითადი ღერძების ფაქტორული ანალიზი (Principle Axis Analysis).

ძირითადი ღერძების ფაქტორული ანალიზის შედეგად, კაიზერის კრიტერიუმისა და დახრილობის მრუდის საფუძველზე, პრომაქსის ალგორითმული ბრუნვით (კაპპა პარამეტრით 4) გამოიკვეთა 4 ძირითადი ფაქტორი (პირველი ექვსი ფაქტორის საკუთარი მნიშვნელობა უდრიდა: 5.34, 1.62, 1.24, 1.16, 0.90, 0.60).

4 ძირითადი ფაქტორი ხსნის ცვლადების დისპერსიის საკმაოდ მნიშვნელოვან წილს. კერძოდ, მონაცემთა ვარიაბილობის 49.88 პროცენტს. ყველა სკალა წარმოდგენილია ემოციური ინტელექტის ფაქტორულ სივრცეზე საშუალო მაჩვენებლით (communality) 0.51.

ყველაზე უკეთ წარმოდგენილი სკალებია ბედნიერება (h^2 = .70), ოპტიმიზმი (h^2 = .69), სტრესის მართვა (h^2 = .68), სოციალური ცნობიერება (h^2 = .64) და ყველაზე ცუდად წარმოდგენილი სკალებია ემპათია (h^2 = .30), ადაპტაციის სკალა (h^2 = .32) და ემოციების აღქმა (h^2 = .42).

ცხრილი № 1. ემოციური ინტელექტის 15 სკალის ფაქტორული სტურუქტურა

ასერტულობა	.837			
ემოციების მართვა	.648			
სოც. ცნობიერება	.565			
თვით-შეფასება	.444			
ურთიერთობები (ნათესავებთან)		.623		
ემპათია		.616		
ემოციების აღქმა		.530		
მოტივაცია		.499	322	
იმპულსურობა		.480	.424	
ემოციების გამოხატვა		.458		
სტრესის მართვა			.805	
ემოციების რეგულაცია			.715	
ადაპტაცია			.300	
ოპტიმიზმი				.834
ბედნიერება				.829

ფაქტორების გამოყოფის მეთოდი: ძირითადი ღერძების ფაქტორული ანალიზი.
ბრუნვის მეთოდი: პრომაქსი, კაიზერის კრიტერიუმით
ბრუნვების რაოდენობა – 8

ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის საკვლევი კითხვარის ქართული ვერსია იმეორებს ბრიტანული

ვერსიისთვის დამახასიათებელ 4 ფაქტორიან სტრუქტურას (კარგად-ყოფნა, თვით-კონტროლი, ემოციურობა, სოციაბილობა), თუმცა, მცირეოდენი ცვლილებებით. (ცხრილი №1) ცალკეული სკალების ძირითად ფაქტორებზე დატვირთვა ფაქტობრივად იგივეა, როგორც ეს ბრიტანული ვერსიის შემთხვევაშია (Petrides, 2009a), გამონაკლისს წარმოადგენს შემდეგი სკალები: მოტივაციია (რომელიც ქართულ ვერსიაში მუშაობს ფაქტორზე – ემოციურობა, ხოლო ბრიტანული ვერსიის შემთხვევაში – თვით-კონტროლის ფაქტორზე) და იმპულსურობა (რომელიც ქართულო ვერსიისთვის მუშაობს ფაქტორზე – ემოციურობა, ხოლო ბრიტანული ვერსიის შემთხვევაში – თვით-კონტროლის ფაქტორზე), თუმცა, ამ ორ სკალას აქვს მეორადი დატვირთვა თვით-კონტროლის სკალაზეც.[1] როგორც ცხრილში წარმოდგენილი შედეგებიდან ჩანს, სკალების დატვირთვა გამოყოფილ ოთხ ფაქტორზე საკმაოდ მაღალია:

- სოციალურობა (Sociability) – ამ ფაქტორზე ყველაზე მაღალი დატვირთვა აქვს ასერტულობის სკალას, შემდეგ სკალებს – ემოციების მართვა და სოციალური ცნობიერება, ხოლო ყველაზე ნაკლები დატვირთვა ამ ფაქტორზე აქვს სკალას – თვით-შეფასებას, ასევეა, ბრიტანული ორიგინალური.

- ემოციურობა (Emotionality) - ამ ფაქტორზე ყველაზე მაღალი დატვირთვა აქვს სკალას – სოციალური ურთიერთობები (ნათესავებთან და ახლობლებთან), შემდეგ სკალას – ემპათია და ემოციების აღქმა, ასევეა, ბრიტანული ვერსიის შემთხვევაშიც. რაც შეეხება სკალებს – იმპულსურობა და მოტივაცია ქართული მონაცემებით ეს ორი სკალა იტვირთება ფაქტორზე – ემოციურობა, მაშინ როცა ეს ორივე სკალა ინგლისურ ვერსიაში თვით-კონტროლის ფაქტორზე მუშაობს.

---

[1] აღსანიშნავია, რომ ემოციური ინტელექტის საკვლევი კითხვარის ქულების დათვლისას ორი სკალის – მოტივაციის და ადაპტაციის ქულები არ ითვლება არც ერთ ძირითად ფაქტორზე, თუმცა, ამ ორი სკალის მონაცემი ემატება ემოციური ინტელექტის გლობალური ქულის მაჩვენებელს.

ყველაზე დაბალი დატვირთვა ამ ფაქტორზე აქვს სკალას – ემოციების გამოხატვა, ისევე, როგორც ეს ინგლისურ პოპულაციაზე სტანდარტიზაციის მონაცემების მიხედვითაა.

➢ თვით-კონტროლი (Self-control) – ამ ფაქტორზე ყველაზე მაღალი დატვირთვა აქვს სკალას – სტრესის მართვა, შემდეგ – ემოციების რეგულაცია, ხოლო ყველაზე ნაკლები დატვირთვა აქვს ადაპტაციის სკალას. აღსანიშნავია, რომ მოტივაციის და იმპულსურობის სკალას აქვს მეორადი დატვირთვა ამ ფაქტორზეც, მაშინ როცა ინგლისურ პოპულაციაზე სტანდარტიზაციის მიხედვით ეს ორი სკალა მხოლოდ თვით-კონტროლის ფაქტორზე იტვირთება.

➢ კარგად-ყოფნა (Well-being) - ამ ფაქტორზე ქართულ პოპულაციაზე სტანდარტიზაციის მონაცემების მიხედვით მხოლოდ ორი სკალა იტვირთება, ესაა: ოპტიმიზმი და ბედნიერება, ისევე, როგორც ეს ინგლისურ ენოვან პოპულაციაზე სტანდარტიზაციის მონაცემების მიხედვითაა, თუმცა, მესამე სკალა – თვით-შეფასება, რომელსაც ინგლისურენოვანი ვერსიის შემთხვევაში აქვს მეორადი დატვირთვა ფაქტორზე – კარგად ყოფნა, ქართულ პოპულაციაზე სტანდარტიზაციის მონაცემების მიხედვით, იტვირთება მხოლოდ ფაქტორზე – სოციალურობა.

2. ძირითად ფაქტორებსა და სკალებს შორის კორელაციები

ემოციური ინტელექტის ძირითად ფაქტორებს შორის კორელაციების გამოთვლის შედეგად (ცხრილი N2) (პირსონის *r* კორელაციის კოეფიციენტი)[1] (Pallant, J. 2003) აღმოჩნდა, ძირითადი ფაქტორები ერთამანეთთან კორელაციაშია.

---

[1] *r* =.10-დან *r* =.29-მდე ან *r* =-.10-დან *r* =-.29-მდე – ცლადებს შორის სუსტი (დადებითი/უარყოფითი) კორელაცია;
r = .30-დან *r* = .49-მდე ან *r* =-.30-დან *r* =-.49-მდე – ცლადებს შორის საშუალო ზომიერი სიძლიერის კორელაცია

ცხრილი № 2. ემოციური ინტელექტის ძირითად ფაქტორებს შორის კორელაციები

კარგად-ყოფნა	-			
თვით-კონ-ტროლი	.375 **	-		
ემოციურობა	.527 **	.381 **	-	
სოციალურობა	.519 **	.297 **	.499 **	-
** $p \leq .01$; * $p \leq .05$				

3. სანდოობა

სანდოობის შემოწმების ყველაზე გავრცელებულ საზომს წარმოადგენს კრონბახის ალფა (Peterson, 1994), რომელიც წარმოადგენს იმის მაჩვენებელს, თუ რამდენად ეფექტურად ზომავს ინსტრუმენტი ერთ მთლიან კონსტრუქტს. ცხრილში N3 მოცემულია სანდოობის მნიშვნელობები ემოციური ინტელექტის 15 სკალის, 4 ძირითადი ფაქტორის და ემოციური ინტელექტის გლობალური მაჩვენებლისათვის.

---

r=.50-დან r= 1.0-მდე ან r= - 50 დან r= -1.0_ მდე – ცლადებს შორის ძლიერი კორელაცია;

ცხრილი № 3. აღწერითი სტატისტიკა და შინაგანი კონსისტენტობის მაჩვენებლები

ადაპტაცია	4.45	0.93	.68	9	-.294	.240
ასერტიულობა	4.49	0.94	.62	9	-.091	.012
ემოციების გამოხატვა	4.55	1.19	.81	10	-.120	-.509
ემოციების მართვა	4.92	0.92	.67	9	-.067	-.297
ემოციების აღქმა	4.81	0.95	.74	10	-.227	-.131
ემოციების რეგულირება	4.32	0.90	.72	12	-.008	-.229
იმპლუსურობა (დაბალი)	4.54	0.93	.63	9	-.168	-.146
ურთიერთობები (ნათესაებთან)	5.31	0.80	.60	9	-.278	-.147
თვით-შეფასება	5.04	0.84	.71	11	-.293	.006
მოტივაცია	4.85	0.88	.66	10	-.133	-.241
სოციალური ცნობიერება	4.90	0.84	.70	11	-.215	.009
სტრესის მართვა	4.40	0.91	.64	10	-.101	-.252
ემპათია	5.16	0.86	.64	9	-.284	-.087
ბედნიერება	5.06	1.03	.77	8	-.505	.122
ოპტიმიზმი	5.09	1.06	.77	8	-.487	.115
ემოციურობა	4.95	0.69	.69	4 სკალა	-.079	-.125
კარგად-ყოფნა	5.06	0.80	.82	3 სკალა	-.427	411
სოციალურობა	4.77	0.72	.78	3 სკალა	.037	-.193
თვით-კონტროლი	4.42	0.72	.71	3 სკალა	.114	-.111
ემოციური ინტელექტი	4.7	0.55	.87	15 სკალა	.077	.113

$^{**}p \leq .01$; $^{*}p \leq .05$

4. ემოციური ინტელექტის გლობალური მაჩვენებლის, ცალკეული სკალების და ძირითადი ფაქტორების ქულების განაწილება

ემოციური ინტელექტის გლობალური მაჩვენებლის სიხშირეები შეესაბამება ნორმალური განაწილების მოდელს (KS(922) = .20, *p*s = .20) რაც შეეხება ოთხ ძირითად ფაქტორს – ემოციურობის (KS(922) = .20, *p*s = .20), თვით-კონტროლის (KS = .20, *p*s = .20) კარგად ყოფნის (KS(922)= .20, *p*s = .05) და სოციალურობის (KS(922) = .20, *p*s = .20) ფაქტორების ქულათა სიხშირეების განაწილება შეესაბამება ნორმალური განაწილების მოდელს.

სურათი 1 ემოციური ინტელექტის გლობალური მაჩვენებლის და ძირითადი ფაქტორების ქულების სიხშირეთა განაწილება




100
80
60
40
20
0
3.00
4.00
5.00
6.00
7.00


60
40
20
0
2.00
3.00
4.00
5.00
6.00
7.00


100
80
60
40
20
0
2.00
3.00
4.00
5.00
6.00
7.00


80
60
40
20
0
3.00
4.00
5.00
6.00
7.00

5. სქესთა შორისი განსხვავება ემოციური ინტელექტის ქულების განაწილების მიხედვით

შედეგები არ აჩვენებს სქესთა შორის სტატისტიკურად სანდო განსხვავებას ემოციური ინტელექტის გლობალური მაჩვენებლის მიხედვით, თუმცა, ძირითადი ფაქტორებისათვის (ემოციურობის ფაქტორის გარდა) სქესთა შორისი განსხვავება სტატისტიკურად სანდო აღმოჩნდა (სურათი N2), კერძოდ:

- კარგად ყოფნის ფაქტორის მაჩვენებლები უფრო მაღალია ქალებთან (M = 5.13, SD = 0.81), ვიდრე მამაკაცებთან (M = 4.91, SD = 0.78), $t(914) = -3.83$, $p < .0001$);
- თვით-კონტროლის მაჩვენებლები უფრო მაღალია მამაკაცებთან (M = 4.56, SD = 0.71), ვიდრე ქალებთან (M = 4.37, SD = 0.72), $t(914) = -3.83$, $p < .0001$);
- სოციალურობის მაჩვენებელი უფრო მაღალია მამაკაცებთან (M = 4.87, SD = 0.70), ვიდრე ქალებთან (M = 4.73, SD = 0.73), $t(914) = -3.83$, $p < .0001$);

სურათიN2 სქესთა შორისი განსხვავებები ემოციური ინტელექტის ფაქტორისათვის



სტატისტიკურად სანდო აღმოჩნდა ცალკეული სკალების მიხედვით სქესთა შორისი განსხვავებებიც. კერძოდ:

➢ ოპტიმიზმის სკალის მაჩვენებელი უფრო მაღალია ქალებთან (M = 5.19, SD = 1.05), ვიდრე მამაკაცებთან (M = 4.85, SD = 1.05), t(914) = -4.45, p< .0001);

➢ ემპატიის სკალის მაჩვენებელი უფრო მაღალია ქალებთან (M = 5.23 SD = 0.86), ვიდრე მამაკაცებთან (M = 4.96, SD = 0.81), t(914) = - 4.38, p< .0001);

➢ ბედნიერების სკალის მაჩვენებელი უფრო მაღალია ქალებთან (M = 5.15, SD = 1.04), ვიდრე მამაკაცებთან (M = 4.84, SD = 0.98), t(914) = -4.09, p< .0001);

➢ ახლო სოციალური ურთიერთობების (ნათესავებთან) სკალის მაჩვენებელი უფრო მაღალია ქალებთან (M = 5.35, SD = 0.80), ვიდრე მამაკაცებთან (M = 5.21, SD = 0.80), t(914) = -2.33, p< .05);

➢ ასერტულობის სკალის მაჩვენებელი უფრო მაღალია მამაკაცებთან (M = 4.71, SD = 0.86), ვიდრე ქალებთან (M =4.40, SD = 0.95), t(914) = 4.45, p< .0001);

➢ სტრესის მართვის სკალის მაჩვენებელი უფრო მაღალია მამაკაცებთან(M = 4.63, SD = 0.86), ვიდრე ქალებთან (M = 4.32, SD = 0.91), t(914) = 4.79, p < .0001);

➢ ემოციების რეგულაციის სკალის მაჩვენებელი უფრო მაღალია მამაკაცებთან (M = 4.52 SD = 0.83), ვიდრე ქალებთან (M = 4.25, SD = 0.91, t(914) = 4.23, p < .0001);

ცხრილში N4 წარმოდგენილია სქესის მიხედვით აღწერითი სტატისტიკის და შინაგანი კონსისტენტობის მაჩვენებლები ემოციური ინტელექტის 15 ცალკეული სკალის, 4 ძირითადი ფაქტორის და ემოციური ინტელექტის გლობალური მაჩვენებლისათვის

ცხრილი № 4. აღწერითი სტატისტიკა და შინაგანი კონსისტენტობის მაჩვენებლები ცალკეული ასპექტებისთვის სქესთა შორისი განსხვავებების მიხედვით

	M	SD	α	M	SD	α	t
ადაპტაცია	4.45	0.93	.68	4.48	0.93	.69	0.46
ასერტიულობა	4.40	0.95	.63	4.71	0.86	.60	4.45
ემოციების გამოხატვა	4.55	1.23	.82	4.58	1.06	.78	0.41
ემოციების მართვა	4.92	0.93	.67	4.95	0.91	.67	0.39
ემოციების აღქმა	4.81	0.97	.74	4.82	0.92	.74	0.13
ემოციების რეგულირება	4.25	0.91	.72	4.52	0.83	.67	4.23
იმპლუსურობა (დაბალი)	4.55	0.92	.63	4.52	0.96	.66	-0.37
სოც. ურთიერთობები	5.35	0.80	.60	5.21	0.80	.60	-2.33
თვით-შეფასება	5.05	0.85	.71	5.03	0.84	.72	0.40
მოტივაცია	4.84	0.89	.67	4.89	0.84	.64	0.80
სოციალური ცნობიერება	4.88	0.85	.71	4.97	0.81	.69	1.38
სტრესის მართვა	4.32	0.91	.64	4.63	0.86	.61	4.79
ემპათია	5.23	0.86	.65	4.96	0.81	.61	-4.38
ბედნიერება	5.15	1.04	.78	4.84	0.98	.72	-4.09
ოპტიმიზმი	5.19	1.05	.77	4.85	1.05	.75	-4.45**
კარგად-ყოფნა	5.13	0.81	.76	4.91	0.78	.75	-3.83
თვით-კონტროლი	4.37	0.72	.69	4.56	0.70	.71	3.59
ემოციურობა	4.98	0.71	.70	4.89	0.65	.69	-1.80
სოციალურობა	4.73	0.73	.72	4.87	0.70	.74	2.61*
ემოციური ინტელექტის გლობალური მაჩვენებელი	4.80	0.55	.86	4.80	0.55	.88	0.04

** $p \leq .01$; * $p \leq .05$

6. ასაკობრივი ჯგუფების შედარება

კვლევის მონაწილეები ასაკის მიხედვით დავყავით 4 ასაკობრივ ჯგუფად: I ჯგუფი 17 წლიდან 25 წლამდე; II ჯგუფი – 26 წლიდან 35 წლამდე; III ჯგუფი – 36 წლიდან 45 წლამდე; IV ჯგუფი – 46 წლიდან ზევით. განსხვავება ემოციური ინტელექტის გლობალური ქულის მიხედვით სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში სტატისტიკურად სანდო არ აღმოჩნდა. თუმცა, ცალკეული სკალების და ძირითადი ფაქტორების მიხედვით ასაკობრივ ჯგუფებს შორის განსხვავება სანდოა (იხ. ცხრილი N5). კერძოდ, სტატისტიკურად სანდო აღმოჩნდა განსხვავება ასაკის მიხედვით შემდეგი სკალებისთვის:

მოტივაციის სკალა – ცალმხრივმა დისპერსიულმა ანალიზმა აჩვენა სტატისტიკურად სანდო განსხვავება მოტივაციის მაჩვენებლის მიხედვით ასაკობრივ ჯგუფებში $F(3, 886) = 42.70$, $p < .001$, Eta Squared=.1). კერძოდ, Post hoc შედარება(Tukey HSDტესტი) მოწმობს, რომ I ასაკობრივ ჯგუფს ($M = 4.68$, $SD = 0.86$) აქვს ყველაზე დაბალი მაჩვენებელი მეორე ($M = 5.31$, $SD = 0.68$), მესამე ($M = 5.43$, $SD = 0.67$) და მეოთხე ასაკობრივ ჯგუფთან შედარებით ($M = 5.46$, $SD = 0.68$)

ბედნიერებისსკალა – ცალმხრივმა დისპერსიულმა ანალიზმა აჩვენა სტატისტიკურად სანდო განსხვავება ბედნიერების სკალის მაჩვენებლის მიხედვით ასაკობრივ ჯგუფებში$F(3, 886) = 15.01$, $p < .001$, Eta Squared = .04). კერძოდ, Post hoc შედარება (Tukey HSDტესტი) მოწმობს, რომ: (ა) ბედნიერების სკალის მაჩვენებელი I ასაკობრივ ჯგუფში ($M = 5.16$, $SD = 1.04$) უფრო მაღალია. ვიდრე II ასაკობრივ ($M = 5.07$ $SD = 0.94$) და IV ასაკობრივ ჯგუფში ($M = 4.42$, $SD = 0.91$); (ბ) სტატისტიკურად სანდოა განსხვავება II ასაკობრივი ჯგუფსა ($M = 5.07$ $SD = 0.94$) და IV ასაკობრივი ჯგუფს ($M = 4.42$, $SD = 0.91$) შორის.

იმპულსურობა (დაბალი) – ცალმხრივმა დისპერსიულმა ანალიზმა აჩვენა სტატისტიკურად სანდო განსხვავება იმ-

პულსურობის სკალის მაჩვენებლის მიხედვით ასაკობრივ ჯგუფებში $F(3, 886) = 7.99$, $p < .001$, Eta Squared = .02). კერძოდ, Post hoc შედარება (Tukey HSDტესტი) მოწმობს, რომ I ასაკობრივ ჯგუფს ($M = 4.46$, $SD = 0.94$) უფრო დაბალი მაჩვენებელი აქვს ამ სკალაზე, ვიდრე IV ასაკობრივ ჯგუფს ($M = 4.84$, $SD = 0.90$) და III ასაკობრივი ჯგუფს ($M = 4.89$, $SD = 0.76$).

სტრესის მართვა – ცალმხრივმა დისპერსიულმა ანალიზმა აჩვენა სტატისტიკურად სანდო განსხვავება სტრესის მართვის სკალის მაჩვენებლის მიხედვით ასაკობრივ ჯგუფებში $F(3, 886) = 6.88$, $p < .001$, Eta Squared = .02). კერძოდ, Post hoc შედარება (Tukey HSD ტესტი) მოწმობს, რომ I ასაკობრივ ჯგუფს($M=4.34$, $SD=0.91$) უფრო დაბალი მაჩვენებელი აქვს ამ სკალაზე, ვიდრე II ასაკობრივ ($M=4.66$, $SD = 0.83$) და IV ასაკობრივ ჯგუფს ($M = 4.71$, $SD = 0.84$).

ოპტიმიზმი – ცალმხრივმა დისპერსიულმა ანალიზმა აჩვენა სტატისტიკურად სანდო განსხვავება ოპტიმიზმის სკალის მაჩვენებლის მიხედვით ასაკობრივ ჯგუფებში $F(3, 886) = 9.71$, $p < .001$, Eta Squared = .03). კერძოდ, Post hoc შედარება (Tukey HSD ტესტი) მოწმობს, რომ I ასაკობრივ ჯგუფს ($M = 5.19$, $SD = 1.05$) უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვს ამ სკალაზე, ვიდრე III ასაკობრივ ($M = 4.74$, $SD = 0.93$) და IV ასაკობრივ ჯგუფს ($M = 4.64$, $SD = 1.11$).

ურთიერთობები ნათესავებთან – ცალმხრივმა დისპერსიულმა ანალიზმა აჩვენა სტატისტიკურად სანდო განსხვავება ოპტიმიზმის სკალის მაჩვენებლის მიხედვით ასაკობრივ ჯგუფებში $F(3, 886) = 4.90$, $p = .002$, Eta Squared = .02). კერძოდ, Post hoc შედარება (Tukey HSDტესტი) მოწმობს, რომ I ასაკობრივ ჯგუფს ($M = 5.25$, $SD = 0.80$) უფრო დაბალი მაჩვენებელი აქვს ამ სკალაზე, ვიდრე II ასაკობრივ ჯგუფს ($M = 5.51$, $SD = 0.80$).

ადაპტაცია – ცალმხრივმა დისპერსიულმა ანალიზმა აჩვენა სტატისტიკურად სანდო განსხვავება ოპტიმიზმის სკალის მაჩვენებლის მიხედვით ასაკობრივ ჯგუფებში $F(3, 886) = 3.96$, $p = .008$, Eta Squared = .01). კერძოდ, Post hoc შედარება (Tukey HSD ტესტი) მოწმობს, რომ I ასაკობრივ ჯგუფს ($M = 4.50$, $SD = 0.92$) უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვს ამ სკალაზე, ვიდრე IV ასაკობრივ ჯგუფს ($M = 4.20$, $SD = 0.95$).

ასერტულობა – ცალმხრივმა დისპერსიულმა ანალიზმა აჩვენა სტატისტიკურად სანდო განსხვავება ოპტიმიზმის სკალის მაჩვენებლის მიხედვით ასაკობრივ ჯგუფებში $F(3, 886) = 8.53$, $p < .001$, Eta Squared = .03). კერძოდ, Post hoc შედარება (Tukey HSD ტესტი) მოწმობს, რომ I ასაკობრივ ჯგუფს($M = 4.55$, $SD = 0.95$) უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვს ამ სკალაზე, ვიდრე III ასაკობრივ ($M = 4.17$, $SD = 0.86$) და IV ასაკობრივ ჯგუფს ($M = 4.09$, $SD = 0.78$). ასევე, II ასაკობრივ ჯგუფს ($M = 4.58$, $SD = 0.86$) უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვს ამ სკალაზე, ვიდრე III ასაკობრივ ($M = 4.17$, $SD = 0.86$) და IV ასაკობრივ ჯგუფს ($M = 4.09$, $SD = 0.78$).

სტატისტიკურად სანდო არ აღმოჩნდა ასაკობრივი განსხვავება ემოციური ინტელექტის სხვა სკალებისთვის. ხოლო ძირითადი ფაქტორებისთვის სტატისტიკურად სანდო აღმოჩნდა განსხვავება შემდეგ ასაკობრივ ჯგუფებში:

კარგად ყოფნა – სტატისტიკურად სანდოა განსხვავება ამ ფაქტორის მაჩვენებლის მიხედვით ასაკობრივ ჯგუფებში ($F(3,886)=8.57$, $p<.001$, Eta Squared=.03). კერძოდ, Post hoc შედარება (Tukey HSD ტესტი) მოწმობს, რომ I ასაკობრივ ჯგუფს ($M=5.12$, $SD=0.82$) უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვს ამ ფაქტორზე, ვიდრე III ასაკობრივ ($M=4.84$, $SD=0.70$) და IV ასაკობრივ ჯგუფს ($M=4.68$, $SD=0.69$); სტატისტიკურად სანდოა აგრეთვე განსხვავება მეორე ასაკობრივი ($M=5.10$, $SD=0.76$) და IV ასაკობრივი ჯგუფის მაჩვენებლებს შორის ($M=4.68$, $SD=0.69$);

თვით-კონტროლი – ცალმხრივმა დისპერსიულმა ანალიზმა აჩვენა სტატისტიკურად სანდო განსხვავება თვით-კონტროლის ფაქტორის მაჩვენებლის მიხედვით ასაკობრივ ჯგუფებში (F (3, 886) = 6.04, p < .001, Eta Squared = .02). კერძოდ, Post hoc შედარება მოწმობს, რომ I ასაკობრივ ჯგუფს (M = 4.37, SD = 0.73) უფრო დაბალი მაჩვენებელი აქვს ამ ფაქტორზე, ვიდრე III ასაკობრივ (M = 4.62, SD = 0.68) და IV ასაკობრივ ჯგუფს (M = 4.65, SD = 0.66).

სოციალურობა – სტატისტიკურად სანდოა განსხვავება თვით-კონტროლის ფაქტორის მაჩვენებლის მიხედვით ასაკობრივ ჯგუფებში (F (3, 886) = 7.53, p < .001, Eta Squared = .02). კერძოდ, Post hoc შედარება (Tukey HSD ტესტი) მოწმობს, რომ I ასაკობრივ ჯგუფს (M = 4.82, SD = 0.73) უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვს ამ ფაქტორზე, ვიდრე III ასაკობრივ (M = 4.56, SD = 0.63) და IV ასაკობრივ ჯგუფს (M = 4.47, SD = 0.60). ასაკობრივი განსხვავება მეოთხე ძირითადი ფაქტორისთვის (ემოციურობა) სტატისტიკურად სანდო არ აღმოჩნდა.

ცხრილი № 1. აღწერითი სტატისტიკა ემოციური ინტელექტის ცალკეული ასპექტებისთვის სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით

	M	SD	M	SD	M	SD	S M	SD	F
თვით-შეფასება	5.02	0.87	5.27	0.82	5.11	0.74	4.99	0.70	2.15
ემოციების გამოხატვა	4.52	1.25	4.74	1.04	4.69	0.94	4.58	0.86	1.17
მოტივაცია	4.68	0.86	5.31	0.68	5.43	0.67	5.46	0.68	42.70
ემოციების რეგულირება	4.31	0.91	4.36	0.78	4.40	0.96	4.42	0.87	0.52

ბედნიერება	5.16	1.04	5.07	0.94	4.68	0.90	4.42	0.91	15.01**
ემპათია	5.15	0.88	5.13	0.83	5.20	0.77	5.17	0.75	0.09
სოციალური ცნობიერება	4.86	0.86	5.05	0.82	5.05	0.71	5.02	0.78	2.65
იმპულსურობა (დაბალი)	4.46	0.94	4.59	0.91	4.89	0.76	4.84	0.90	7.99**
ემოციების აღქმა	4.80	0.97	4.84	0.92	4.91	0.90	4.79	0.88	0.36
სტრესის მართვა	4.34	0.91	4.66	0.83	4.57	0.87	4.71	0.84	6.88**
ემოციების მართვა	5.07	0.90	4.70	0.94	4.46	0.80	4.31	0.75	25.72
ოპტიმიზმი	5.19	1.05	4.98	1.00	4.74	0.93	4.64	1.11	9.71**
ურთიერთობები (ნათესავებთან)	5.26	0.80	5.51	0.80	5.48	0.73	5.49	0.85	4.90**
ადაპტაცია	4.51	0.92	4.54	0.81	4.24	1.03	4.21	0.95	3.96*
ასერტულობა	4.55	0.96	4.59	0.86	4.17	0.86	4.09	0.78	8.53**
კარგად-ყოფნა	5.12	0.82	5.10	0.76	4.84	0.70	4.68	0.69	8.57**
თვით-კონტროლი	4.37	0.73	4.54	0.61	4.62	0.68	4.65	0.66	6.40**
ემოციურობა	4.93	0.71	5.05	0.68	5.07	0.63	5.01	0.59	1.61
სოციალურობა	4.82	0.73	4.78	0.74	4.56	0.63	4.47	0.60	7.53**
გლობალური მაჩვენებელი	4.79	0.56	4.89	0.55	4.80	0.51	4.74	0.46	0.92

** $p \leq .01$; * $p \leq .05$

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება მოკლედ ჩამოვაყალიბოთ ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის საკვლევი ინსტრუმენტის ქართული ვერსიის ფსიქომეტრული მახასიათებლები: (1) ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის საკვლევი კითხვარის ქართული ვერსია იმეორებს ბრიტანული ვერსიისთვის დამახასიათებელ 4 ფაქტორიან სტრუქტურას. ეს ფაქტორებია: კარგად-ყოფნა (well-bieng), თვით-კონტროლი, ემოციურობა, სოციალურობა. (2) შედეგები არ აჩვენებს ასაკობრივ ჯგუფებს შორის განსხვავებას ემოციური ინტელექტის გლობალური ქულის მიხედვით, მაგრამ ზოგიერთი ცალკეული სკალის და ძირითადი ფაქტორის მიხედვით ასაკობრივ ჯგუფებს შორის განსხვავება სანდოა; (3) შედეგები არ აჩვენებს სქესთა შორის განსხვავებას ემოციური ინტელექტის გლობალური ქულის მიხედვით, მაგრამ ზოგიერთი ცალკეული სკალის (ოპტიმიზმი, ემპათია, ბედნიერება, ახლო სოციალური ურთიერთობები, ასერტულობა, სტრესის მართვა, ემოციების რეგულაცია) და ძირითადი ფაქტორისთვის (ემოციურობა, სოციალურობა, თვით-კონტროლი) სქესთა შორის განსხვავება სანდოა.

კითხვარის ფსიქომეტრული მახასიათებლების (ფაქტორული სტრუქტურა, შინაგანი კონსისტენტობის მაჩვენებლები) შეჯამების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენი კვლევის შედეგად მიღებულია კითხვარის ქართული ვერსია, რომელიც ამ ეტაპზე საკმაოდ გამართულ ფსიქოდიაგნოსტიკურ ინსტრუმენტს წარმოადგენს და მისი გამოყენება ნამდვილად შესაძლებელია შემდგომი კვლევებისათვის. ძირითადი ფაქტორული სტრუქტურისა და სკალების თავისებურებების რეპლიკაცია, ემოციური ინტელექტის 4 ფაქტორიანი სტრუქტურის კულტურული უნივერსალურობა, გამოვლენილი ლოგიკური კავშირები სხვა კონსტრუქტებთან - ქართულ პოპულაციაზე ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის საკვლევი კითხვარის შემდგომი გამოყენების თვალსაზრი-

სით საკმაოდ ოპტიმისტური პროგნოზის გაკეთების საშუალებას გვაძლევს.

ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის საკვლევი კითხვარის ქართულ ვერსია ღირებულია სხვადასხვა სფეროში მომუშავე პროფესიონალებისათვის (განათლების ფსიქოლოგიის, ადამიანური რესურსების მართვის და კლინიკური ფსიქოლოგიის სფეროს წარმომადგენელთათვის); კითხვარი საშუალებას მოგვცემს ჩავერთოთ ემოციური ინტელექტთან დაკავშირებულ საერთაშორისო კვლევით სივრცეში და მეცნიერებაში ამ შედარებით ახალი კონსტრუქტის თავისებურება ვიკვლიოთ ქართულ პოპულაციაზეც.

Abstract

Khatuna Martskvishvili - Assistant Professor of the Faculty of Social and Political Sciences of TSU.

THE ADAPTATION OF TRAIT EMOTIONAL INTELLIGENCE QUESTIONNAIRE ON GEORGIAN POPULATION

The goal of the presented work is the adaptation of the Trait Emotional Intelligence Questionnaire (TEIQue) (Petrides, 2009) on Georgian population. The theoretical framework for the given work is Trait Emotional Intelligence Model (Petrides & Furnam, 2000) according to this model Trait EI is "a constellation of emotional self-perceptions located at the lower levels of personality". Authors suggest that an alternative label for the same construct is trait emotional self-efficacy.

Trait Emotional Intelligence Questionnaire is a self-report inventory that covers the sampling domain of trait EI comprehensively. It comprises 153 items, measuring 15 distinct facets, 4 factors, and global trait EI. TEIQue was adapted into Georgian following the guidelines of the International Test

Commission (Hambleton,2001) The adaptation process included several steps: (1) translation of the inventory into Georgian; (2) back-translation; (3) Experts' assessments; (4) pilot study (111 participants); (5) re-pilot (115 participants); (6) inventory revision; (7) standardization of the questionnaire (922 participants, 267 male and 652 female, from 17 to 70 years).

(1) Principle axis factoring revealed four main factors. Georgian version of Trait Emotional Intelligence Questionnaire replicates the British factor structure of TEIQue: Emotionality, Sociability, Self-control, and Well-being. These factors explain 49.88% of the total variance.

(2) The reliabilities of the TEIQue factors are the following: Well-being (2 facets; a = .82); Self-control (2 facets; a = .71); Emotionality (5 facets; a = .69); Sociability (4 facets; a = .78). Reliabilities of each 15 facets were also acceptable.

(3) TEIQue scores were globally normally distributed

(4) There was no gender difference in Global TEI scores, but findings revealed significant gender differences: in TEI factors and facets.

(5) TEIQue scores were relatively independent of age but there was significantly difference in some TEI facets and factors

Trait Emotional Intelligence Questionnaire has theoretical as well as practical implication: the adapted inventory is valuable for professionals working in different fields of Psychology (educational, human reassures and clinical psychology). Georgian version of questionnaire gives possibility to be involved in international Emotional intelligence research space and to study characteristics of relatively new construct - emotional intelligence - on Georgian population too.

გამოყენებული და ციტირებული ლიტერატურა:

1. Bernstein, I. H., & Teng, G. (1989). Factoring items and factoring scales are different: Spurious evidence for multidimensionality due to item categorization. *Psychological Bulletin, 105*, 467- 477.
2. Goleman, D. (1998). *Workingwith emotional intelligence*. New York: Bantam Books
3. Emmerling, R. J., Shanwal, V. K., & Mandal, M. K. (Eds.) (2008). *Emotional intelligence: Theoretical and cultural perspectives*. Nova Science Publishers.
4. Hambleton, R. K. (2001). The next generation of the ITC Test translation and adaptation guidelines. *European Journal of Psychological Assessment,17*, 164–172.
5. Mayer, J. D. & Salovey, P. (1997). What is emotional intelligence? In P. Salovey & D. Sluyter (Eds). *Emotional Development and Emotional Intelligence: Implications for Educators* (pp. 3-31). New York: Basic Books.
6. Pallant, J. (2003) SPSS *Survival Manual: A Step by Step Guide to Data Analysis*. Philadelhpia: Open University Press.
7. Peterson, R.A. (1994). A meta-analysis of Crobach's alpha. *Journal of consumer Research, 21*, 381-391
8. Petrides, K.V. (2009a). *TEIQue technical manual*. University College of London
9. Petrides, K.V. (2009b) Psychometric Properties of the Trait Emotional Intelligence Questionnaire (TEIQue) in C. Stough et al. (eds.), *Assessing Emotional Intelligenc: theory research and application*, The Springer Series on Human Exceptionality.
10. Petrides, K. V., & Furnham, A. (2000). On the dimensional structure of emotional intelligence. *Personality and Individual Differences, 29*, 313–320
11. Petrides, K. V., Furnham, A. & Mavroveli, S. (2007). Trait emotional intelligence: Moving forward in the field of EI. In G.

Matthews, M. Zeidner, & R. Roberts, R. (Eds.). *Emotional intelligence: Knowns and unknowns* (Series in Affective Science). Oxford: Oxford University Press

12. Petrides, K. V., Pita, R., Kokkinaki, F. (2007). The location of trait emotional intelligence in personality factor space. *British Journal of Psychology, 98*, 273-289.
13. Petrides, K. V., Pérez-González, J. C., & Furnham, A. (2007). On the criterion and incremental validity of trait emotional intelligence. *Cognition and Emotion, 21*, 26-55.

საპარლამენტო დემოკრატიის პრობლემები საქართველოში

ნანა მაჭარაშვილი
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

შესავალი

დემოკრატიის საკმაოდ მცირედი გამოცდილების მქონე ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, საპარლამენტო დემოკრატიის პრობლემების არსებობა საკმაოდ ბუნებრივად გამოიყურება. ცხადია, პრობლემების ჩამონათვალი საკმაოდ დიდია და მოითხოვს კლასიფიცირებს, რაც, ხელს შეუწყობდა იმის გარკვევას, საპარლამენტო საქმიანობის რომელი რგოლი, წარმომადგენლობითი, საკანონმდებლო თუ საზედამხედველოა ყველაზე სუსტი და საჭიროებს ყველაზე მეტ ყურადღებას. საპარლამენტო დემოკრატიის პრობლემებზე საუბრისას, ცხადია, გვერდს ვერ ავუვლით თავად საქართველოს ინსტიტუციური წყობის სისტემაზე საუბარს, რომელიც ხშირ შემთხვევაში, გვევლინება სამივე ზემოთხსენებული მიმართულებით საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს ნაკლებეფექტური საქმიანობის მიზეზი და რომელზედაც ანალიტიკოსებისა და მკვლევრების მხრიდან ხდება აქცენტირება.

აღნიშნულ სტატიაში საქართველოს პარლამენტის საქმიანობისა და საპარლამენტო დემოკრატიის ხარისხის შესაფასებლად, გამოყენებულია საქართველოს პარლამენტის წევრთა ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიურებისა და საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს აპარატის თანამშრომელთა ფოკუს-ჯგუფის შედეგები, რომელიც განხორციელდა საპარლამენტო განვითარების ვესტმინისტერის დემოკრატიის ფონდის ფარგლებში ჩატარებული სიტუაციური ანალიზის დროს. მკვლევრების წინაშე დასმულ ამოცანას წარმოადგენ-

და იმის გარკვევა, საპარლამენტო საქმიანობის რა დადებითი და უარყოფითი მხარეები იკვეთება დღევანდელი მდგომარეობით და პარლამენტის წარმომადგენლობითი, საკანონმდებლო და საზედამხედველო ფუნქციებიდან რომლის შესრულებას ეშლება ყველაზე მეტად ხელი და რა მიზეზით. სტატიაში წარმოდგენილია საქართველოს დღევანდელი საკანონმდებლო ორგანოს მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება, ისევე როგორც ავტორიტეტებისგან აღნიშნული ინსტიტუტის დამოუკიდებლობის აღქმის ხარისხი, ასევე მოცემულია სამივე მიმართულებით საპარლამენტო საქმიანობის შეფასება სკალაზე დადებითი-უარყოფითი. გარდა ამისა, საქართველოს პარლამენტის სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით ხორციელდება საქართველოს პარლამენტის მიერ წამოყენებული საკანონმდებლო ინიციატივების შეფარდება აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ წამოყენებულ ინიციატივებთან მიმართებაში იმის დასადგენად, რამდენად დიდია აღმასრულებელი ხელისუფლების ზეგავლენა საკანონმდებლო ორგანოზე და აქედან გამომდინარე, საპარლამენტო სისტემებიდან რომელს შეიძლება მიეკუთვნოს საქართველოს პარლამენტი. სტატიაში ასევე ხორციელდება საპარლამენტო დემოკრატიის სხვა არაერთ სპეციფიკურ პრობლემაზე საუბარი, რომელიც უშუალოდ ინტერვიურირებისა და ფოკუს-ჯგუფის შედეგებიდან დადგინდა.

საქართველოს პარლამენტის საქმიანობის მტკიცებულებებზე დაფუძნებული შეფასება, რომელიც სტატისტიკურად გადამოწმებად ინფორმაციას დაეყრდნობოდა, დღემდე საქართველოში არ განხორციელებულა. მიუხედავად იმისა, აღნიშნულ სტატიაში ძირითადად თავმოყრილია ყველა ის მასალა, რომელიც მეორადი ინფორმაციის სახითაა მოპოვებული და ეყრდნობა საზოგადოებრივი კვლევის შედეგებს, თავად პარლამენტისა და მისი საქმიანობის შესახებ. კვლევის მეთოდოლოგია, რომელსაც ეფუძნება სტატიის მთავარი განაცხადი, კი ძირითადად თვისებრივი ანალიზის შედეგებზეა დაფუძნებული.

ჰიპოთეზა, რომელსაც კვლევის პროცესში ვიყენებთ, ეფუძნება შემდეგ განაცხადს: საქართველოს დღევანდელი პარლამენტი მიუხედავად ინსტიტუციური წინააღმდეგობისა, ვესმინსტერის მოდელის შესაბამისია, რისი ახსნაც საქართველოში არსებული პარტიული სისტემითა და პარტიასა და მთავრობას შორის არსებულ ისეთივე უნისონში უნდა ვეძებოთ, როგორიც ვესმტმინსტერის საპარლამენტო მოდელში ფიქსირდება. ამ მხრივ მაჟორიტარული და საქართველოს უახლესი ისტორიისთვის დამახასიათებელი პრივილიგირებული ერთპარტიული სისტემა გარკვეულ მსგავსებებს ავლენს ერთმანეთთან. თუმცა, ქართულ რეალობაში ეს მოდელი არა პარლამენტზე, არამედ აღმასრულებელი, კონკრეტულად კი პრეზიდენტის ინსტიტუტზე დამოკიდებულების მაღალი ხარისხით გამოირჩევა, რაც გამოიხატება საპარლამენტო საქმიანობის სამივე მიმართულებით, განსაკუთრებით კი საზედამხედველო საქმიანობის გაწევის თვალსაზრისით, პარლამენტის როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების საპირწონე ინსტიტუტისა და ფუნქციის შემსრულებლის როლის შესუსტებაში.

საქართველოს პარლამენტის მიმართ საზოგადოებრივი დამოკიდებულება

ვიდრე, აღნიშნული ჰიპოთეზის მტკიცებულებებს წარმოვადგენთ, პირველ რიგში გვინდა იმის ჩვენება, თუ რამდენად მნიშვნელოვანი როლი და ადგილი უჭირავს საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს და რამდენად დამოუკიდებლ ინსტიტუციად განიხილება ის საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების მიხედვით. ქვევით წამოდგენილ სქემაზე კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის მონაცემებზე დაყრდნობით ნაჩვენებია, რომ 2007-2009 წლების განმავლობაში საქართველოს პარლამენტის როგორც ინსტიტუტის მიმართ ნდობა მნიშვნელოვნად არ გაზრდილა (6-დან მხოლოდ 10-11 პროცენტის ფარგლებამდე აიწია). ამის მიუხედავად, უცვლელი რჩება ის დისპროპორცია, რომელიც არსებობს საქართვე-

ლოს პარლამენტსა და პრეზიდენტის ინსტიტუტს შორის. ნდობის თვალსაზრისით სხვაობა მათ შორის, ხშირად 15-20 პროცენტსაც კი შეადგენს. ამ მხრივ, დიდი განსხვავება პარლამენტსა და მთავრობას შორის არ შეინიშნება და ნდობის თვალსაზრისით ამ ორ ინსტიტუტს შორის თითქმის თანაბარი მდგომარეობაა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისათვის როგორც საქართველოს საკანონმდებლო ორგანო, ისე მთავრობის აპარატი ნაკლებად დამოუკიდებელი და პრეზიდენტის ინსტიტუტზე დამოკიდებულ ინსტიტუციებადაა აღქმული.

სქემა №1 პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ ნდობა[1]



პარლამენტის როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტის აღქმის ხარისხის შეფასება მოცემულია საზოგადობრივი პოლიტიკის ინსტიტუტის მიერ მომზადებულ ანგარიშში, სადაც რესპოდენტებს უნდა დაეფიქსირებინათ, არა ამა თუ იმ ინსტიტუტის მიმართ ნდობა, არამედ უნდა შეეფასებინათ სხვა ინსტიტუციებზე ამა თუ იმ ინსტიტუტის დამოკიდებულების ხარისხი, შესაბამისად, დადგენილიყო ის, თუ რამდენად განიხილავდნენ ისინი ამა თუ იმ ინსტიტუტს როგორც დამოუკიდებელ ინსტიტუციას. ქვევით წარმოდგენილ სქემაზე ნაჩვენებია,

რომ ყველაზე ნაკლები დამოუკიდებლობის მატარებელ ინსტიტუციად ეკლესიას, ომბუდსმენის ინსტიტუტს, სასამართლოსა და პარლამენტს შორის, გამოკითხულთა შორის სწორედ საპარლამენტო ორგანო აღიქმება. მისი დამოუკიდებლობის ხარისხი 2007 წელს 14,9 პორცენტით, ხოლო 2008 წელს 10,5 პროცენტითაა შეფასებული. აღნიშნული მონაცემები ემთხვევა კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის მონაცემებს, რომელიც ამ ინსტიტუციის ნდობას თითქმის იმავე მაჩვენებლებით აფასებს. საინტერესოა ისიც, რომ ტრადიციულად, საკმაოდ რთულ ინსტიტუციად შეფასებული სასამართლო საპარლამენტო ორგანოზე მაღალი მონაცემებითაა შეფასებული.

სქემა №2 სხვადასხვა ინსტიტუტების ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობის აღქმა[2]



საპარლამენტო დემოკრატიის შეფასება საპარლამენტო ფუნქციების მიხედვით

განვიხილოთ საქართველოს საპარლამენტო საქმიანობის დადებითი და ჯერაც დაუხვეწავი მხარეები საპარლამენტო ორგანოს სამი – წამომადგენლობითი, კანონშემოქმედებითი და საზედამხედველო ფუნქციების მიხედვით. **წარმომადგენლობითი ფუნქცია:** წარმომადგენლობითი ფუნქციის თვალსაზრისით დადებით მომენტებად შეიძლება შეფასდეს საარჩევნო ბარიერის 5 პროცენტამდე დაწევა, რაც 7 პროცენტიან ბარიერთან

შედარებით წარმომადგენლობის ხელშემწყობია; თითოეულ საარჩევნო ოლქს ჰყავს თავისი წარმომადგენელი პარლამენტში; ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს ჰყავთ თავიანთი წარმომადგენლები პარლამენტში; თითოეულ საპარლამენტო კომიტეტში პროპორციულადაა წარმოდგენილი ფრაქციები და უფრაქციო დეპუტატები; ინფორმაცია საპარლამენტო პროცესის შესახებ ხელმისაწვდომია მოქალაქეთათვის. თუმცა, საარჩევნო ოლქები ზომისა და ამომრჩეველთა რაოდენობის თვალსაზრისით არაერთგვაროვანია. პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ თითოეული მათგანიდან აირჩევა თითო დეპუტატი. ქალები პარლამენტში ფაქტობრივად არ არიან წარმოდგენილი: 136 დეპუტ ტიდან მხოლოდ 7 ქალი დეპუტატია. ეთნიკური უმცირესობებიც მხოლოდ მცირედით არიან წარმოდგენილი პარლამენტში: 136 დეპუტატიდან მხოლოდ 7 წარმოადგენს ეთნიკურ უმცირესობას. წარმომადგენლობის დაცულობის ისეთი გარანტიები როგორიც არაერთ სხვა ქვეყანაში არსებობს ეთნიკური უმცირესობებისათვის, საქართველოში ჯერ არაა შექმნილი.[3] 2008 წლის მაისის არჩევნების შემდეგ ოპოზიციის ნაწილმა უარი თქვა საპარლამენტო მანდატებზე. შესაბამისად, მათ ამომრჩევლებს დღეისათვის არ ჰყავთ საკუთარი წარმომადგენელი პარლამენტში. პრობლემას ქმნის ასევე სადავო კანონი პარტიების დაფინანსებაზე, რომელიც შეზღუდვებს უწესებს იმ პარტიებს, რომელთაც მიუხედავად 5%-იანი ბარიერის გადალახვისა 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებზე, უარი თქვეს პარლამენტში შესვლაზე. ასეთ პარტიათა კატეგორიაში აღმოჩნდნენ ახალი მემარჯვენეები, მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის, საქართველოს გზა, ხალხის პარტია, პარტია თავისუფლება და ეროვნული ფორუმი. გაერთიანებული ოპოზიციის ეს პარტიები წლიურად, დაახლოებით, 600 ათას ლარს ვეღარ იღებენ.

პარტიული სპექტრის წარმომადგენლობის საკითხი ასევე პრობლემატურია. თუკი გადავხედავთ საქართველოს უახლესი ისტორიის გამოცდილებას, პარტიული სპექტრის არა მარტო საპარლამენტო ორგანოში მოხვედრის სიხშირემ იკლო,

არამედ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პარტიული ორგანიზაციების რაოდენობამაც. ამ პროცესზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია 1999 წელს საარჩევნო ბარიერის 7 პროცენტამდე აწევამ და სწორედ ამიტომ პარტიული წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად 2007 წელს საარჩევო ბარიერის 5 პროცენტამდე დაწევის გაღაწყვეტილება პოზიტიურ ნაბიჯადაა შეფასებული. საპარლამენტო ორგანოში მოსახვედრად გამართულ არჩევნებში პარტიების მონაწილეობის სიხშირის კლება ასევე უკავშირდება პარტიული ინსტიტუტების ნაკლებად განვითარებასა და პარტიული ინსტიტუციონალიზაციის პრობლემას, რომლის პირობებში პარტიათა რაოდენობა, რომელიც ყველა ნიშნით (ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების არსებობა და გამართული მუშაობა, შიდა დემოკრატიისა და პარტიული როტაციის შესაძლებლობები, პარტიულ ფასეულობებზე პარტიის პოლიტიკის აგება და პარტიულ ლიდერებზე ნაკლებდამოკიდებულება, პოლიტიკის წარმოების უნარი) დააკმაყოფილებდა ინსტიტუციონალიზაციის პარამენტრებს, საკმაოდ მცირეა.

ცხრილი №1. საარჩევნო პროცესში მონაწილეობის სტატისტიკა (1990-2008 წლები)[4]

არჩევნებისჩატარების თარიღი	1990	1992	1995	1999	2003	2004	2008
საარჩევნობარიერი	4%	2%	5%	7%	7%	7%	5%
პროპორციულისისტემითმანდატებისრაოდენობა	2	24	5	3	6	2	4
მაჟორიტარულისისტემითმანდატებისრაოდენობა	5			5	9		3
არჩევნებშიმონაწილეპოლიტიკურიპარტიებისდასაარჩევნობლოკებისრაოდენობა	14	36	53	45	18	17	12

საკანონმდებლო ფუნქცია: საკანონმდებლო საქმიანობის თვალსაზრისით განსაკუთრებულ პოზიტიურ შეფასებას იმსახურებს საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის საკანონმდებლო სივრცესა და რეგულაციებთან, რაც წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს და ხორციელდება სწრაფი ტემპებით; ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ საკანონმდებლო პროცესი ექვემდებარება მკაცრად გაწერილ პროცედურებს, რომელიც მოცემულია პარლამენტის რეგლამენტში; ასევე, ამა თუ იმ კანონდებლობაზე მუშაობის პროცესში აქტიურად გამოიყენება სხვა ქვეყნების გამოცდილება, ხოლო კომიტეტები იყენებენ მრჩეველთა საბჭოებს საკანონმდებლო ინიციატივების დასახვეწად. ამ დადებით მომენტებთან ერთად, გასათვალისწინებელია შემდეგი ნაკლოვანებებიც: კანონდებლობაზე მუშაობის პროცესი იმდენად სწრაფ ტემპებში მიმდინარეობს, რომ ხშირად დეპუტატებს უჭირთ თითოეული საკითხის დეტალური ანალიზი და კანონპროექტების სკურპულიოზური შესწავლა; ოპოზიციის ზეგავლენის ნაკლებობის პირობებში საკანონმდებლო ინიციატივები ასევე ნაკლებად ხდება სერიოზული განხილვის საგანი;

საკანონმდებლო ინიცირება ნებისმიერი საკანონმდებლო ორგანოს მუშაობის შემადგენელი ელემენტია, თუმცა გაერთიანებულ სამეფოში კანონპროექტების უმრავლესობა სწორედ მთავრობის ინიცირებულია. ასევეა პოლონეთიც, რომლის საკანონმდებლო ორგანოშიც 2001-2005 წლებში წარდგენილი 1264 კანონპროექტიდან 808 ინიცირებული იყო მთავრობიდან და მხოლოდ 356 თავად პარლამენტიდან. ანალოგიური ტენდენცია ვრცელდება პოლონეთში სამთავრობო პროექტების უმრავლესობაზეც. იმავე წლებში წარდგენილი 744 სამთავრობო პროექტებიდან მხოლოდ 184 იყო დეპუტატების მიერ ინიცირებული. კანონპროექტების წარდგენაზე სამთავრობო უპირატესობის რამდენიმე განმაპირობებელი ფაქტორი არსებობს: პირველ რიგში, მთავრობას უფრო მეტად მიუწვდება ხელი კანონშემოქმედებით ცოდნაზე. ამასთან, მთავრობას, რომელიც ჩვეულებრივ, ფლობს პარლამენტში უმრავ-

ლესობას და შესაბამისად, გამოირჩევა წარმატების მაღალი კოეფიციენტით, დეპუტატებს მხოლოდ მის მიერ მომზადებული კანონმდებლობის განხილვისა და დამტკიცების უფლებას უტოვებს.

ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს პარლამენტი, განსხვავებით დიდი ბრიტანეთის პარლამენტისგან[5], რეგლამენტის თანახმად, თავად განსაზღვრავს საპარლამენტო დღის წესრიგს. რაც შეეხება ისეთ ინსტიტუციას, როგორიცაა პარტიული მდივნები, რომლებიც დიდი ბრიტანეთის პარლამენტში ფართო უფლებამოსილებებით სარგებლობენ და წარმოადგენენ პარლამენტის თითოეული წევრის ქმედებაზე კონტროლის ოფიციალურ ბერკეტს, საქართველოს პარლამენტში არ გვხვდება. თუმცა, ეს სულაც არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ანალოგიური მექანიზმი არაფორმალურ დონეზე საქართველოშიც აქტიურად მუშაობდეს.

ზედამხედველობითი ფუნქცია: ამ მხრივ, მიუხედავად, იმისა, რომ საქართველოს პარლამენტის ხელთ არსებული რესურსები, ისევე როგორც დამატებითი ინსტიტუციები კონტროლის პალატისა და ომბუდსმენის სახით მრავლად გააჩნია, საკმაოდ მწირად გამოიყურება და უმეტესწილად პარლამენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლამდე იზღუდება.[6] საზედამხედველო ფუნქციის თვალსაზრისით, დადებით მომენტებად შესაძლებელია აღინიშნოს ის, რომ ყოველწლიურად პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს ევალებათ პარლამენტის წინაშე ანგარიშით წარდგენა; ასევე, პარლამენტმა შესაძლებელია მოითხოვოს მთავრობის მეთაურისა და სხვა საჯარო მოხელეების თანამდებობიდან დათხოვნა; პარლამენტი ზედამხედველობას უწევს აღმასრულებელი ხელისუფლების მიღებული ნორმატიული აქტების განხორციელების პროცესს; მინისტრთა კაბინეტსა და პრეზიდენტს ჰყავთ თავიანთი წარმომადგენლები პარლამენტში (საპარლამენტო მდივნების სახით). თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ პარლამენტი შედარებით პასიურია აღ-

მასრულებელი ხელისუფლების ქმედებათა გაკონტროლების თვალსაზრისით; დეპუტატებსა და პარლამენტის აპარატის მუშაკებს აქვთ ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელების ნაკლები გამოცდილება და საჭირო უნარ-ჩვევები; არსებობს თვალშისაცემი დისბალანსი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ხელთ არსებული ინფორმაციის თვალსაზრისით, რაც პარლამენტის მიერ საზედამხედველო და საკონტროლო ფუნქციის განხორციელების შესაძლებლობებს ამცირებს.

საზედამხედველო ფუნქციაზე მსჯელობისას აუცილებელი გასათვალისწინებელია საკონტროლო ფუნქცია, რაც პარლამენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მიღებული ნორმატიული აქტების შესრულებაზე კონტროლს გულისხმობს. აღნიშნიშნული საქმიანობა საქართველოს პარლამენტში ძირითადად შესაბამისი კომიტეტების მეშვეობით წარიმართება. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით, კომიტეტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებს მის სფეროში მოქმედი პარლამენტის მიერ მიღებული ნორმატიული აქტების აღსრულების მდგომარეობას. პარლამენტი პლენარულ სხდომაზე რეგულარულად ისმენს შესაბამისი კომიტეტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების თანამდებობის პირებისგან ინფორმაციას მის მიერ მიღებული ნორმატიული აქტების აღსრულების მდგომარეობის შესახებ. პარლამენტის ბიურო უფლებამოსილია სესიის სამუშაო გეგმის საფუძველზე, პარლამენტის სასესიო კვირის პლენარული სხდომების დღის წესრიგში შეიტანოს იმ ნორმატიული აქტების ნუსხა, რომელთა აღსრულების მდგომარეობაზეც პარლამენტმა უნდა მოისმინოს ინფორმაცია. აღნიშნულ ინფორმაციას პარლამენტს წარუდგენს ის კომიტეტი, რომელიც პასუხისმგებელი იყო შესაბამისი ნორმატიული აქტის მომზადებაზე. კომიტეტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულების მოხსენება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას შესაბამისი ნორმატიული აქტის აღსრულების მდგომარეობის, ეფექტიანობის, მისი მოქმედების პერიოდში გამოვ-

ლენილი ხარვეზებისა და მათ აღმოსაფხვრელად საჭირო საკანონმდებლო შესწორებების შესახებ, ასევე ნორმატიული აქტის სრულფასოვნად ამოქმედების ხელის შემშლელი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ანალიზს. კომიტეტის ინფორმაციის მოსმენის შემდეგ შეიძლება მოხსენებით გამოვიდნენ ფრაქციების, უმრავლესობისა და უმცირესობის წარმომადგენლები. ნორმატიული აქტის აღსრულების მდგომარეობის შესახებ საპარლამენტო მოსმენის შემდეგ პარლამენტი საჭიროების შემთხვევაში იღებს დადგენილებას, რომელშიც შეიძლება აისახოს პარლამენტის შეფასება ნორმატიული აქტის აღსრულებასთან დაკავშირებით, ნორმატიულ აქტში შესწორებების შეტანის დავალება შესაბამისი კომიტეტისათვის ან დაისვას აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულების თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის საკითხი. კომიტეტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში კონტროლს უწევს თავის სფეროში მოქმედი სამინისტროს, მინისტრისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელის ნორმატიული აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობას, მათი შესრულების მდგომარეობას, შეისწავლის და აანალიზებს ამ აქტების გამოყენების პერიოდში გამოვლენილ ხარვეზებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც უგზავნის შესაბამის უწყებას. რეკომენდაციების განხილვის ან მიღებული ზომების შესახებ უნდა ეცნობოს კომიტეტს არა უგვიანეს 1 თვისა ან მის მიერ დადგენილ ვადაში. კომიტეტი კონტროლს უწევს კანონებისა და პარლამენტის დადგენილებების გარდამავალი დებულებებით კომიტეტის სფეროში შემავალი აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებისათვის განსაზღვრული დავალებების შესრულებას დადგენილ ვადაში.[7]

საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის 2004-2007 წლების საქმიანობის სტატისტიკას, თუკი ავიღებთ პარლამენტის საკონტროლო ფუნქციის შესაფასებლად, აღმოვაჩენთ, რომ კომიტეტისა და მისი წევრების მიერ ინიცირებულ კანონპროექტების რაოდენობასა

(27) და იმ კანონპროექტების რაოდენობასთან მიმართებაში, რომელზედაც კომიტეტი იყო წამყვანი ან/და სავალდებულო დასკვნის ავტორი (53), პარლამენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე შესრულების კონტროლი, საკმაოდ შთამბეჭდავად გამოიყურება (251).[8] მსგავსი ტენდენცია შეიმჩნევა სხვა კომიტეტებთან მიმართებაშიც. შესაბამისად, იკვეთება საზედამხედველო საქმიანობის უგულებელყოფა „კონტროლისა და ბალანსის" სისტემის მხოლოდ კონტროლის ფუნქციამდე დაყვანა და ფოკუს-ჯგუფის შედეგების მიხედვით, საზედამხედველო ფუნქციის განხორციელება მიჩნეულია როგორც საპარლამენტო საქმიანობის ყველაზე სუსტი რგოლი. აღნიშნულის ახსნა სხვადახვა აქტორის მიერ სხვადასხვანაირად ხდება: თავად პარლამენტის აპარატის წარმომადგენლების აზრით, საზედამხედველო ფუნქცია გამოიყენება არარეგულარულად და დამოკიდებულია თავად საკითხის სიმწვავეზე.იმ შემთხვევაში, თუკი ის ფართო საზოგადოებრივ ინტერესს იმსახურებს, საპარლამენტო კონტროლის განხორციელება ფართო საზოგადოებრივი განხილვის საგანი ხდება. თუმცა, რიგი საკითხები, რომელიც საზედამხედველო საქმიანობის ფარგლებში ხორციელდება, რესპოდენტების აზრით, ნაკლები სიმწვავის გამო, მედიის, შესაბამისად, საზოგადოების ყურადღების არეალში ნაკლებად ხვდება.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები საზედამხედველო ფუნქციის ნაკლებად გამოყენებას უკავშირებენ თავად პარლამენტის როგორც ინსტიტუტის სისუსტეს. ასევე აღიარებენ ისეთი ფაქტორების ზეგავლენას, როგორიცაა ზედამხედველობისა და კონტროლის განსახორციელებლად საჭირო რესურსების, გამოცდილებისა და საჭირო უნარჩვევების ნაკლებობა. მმართველი პარტიის საპარლამენტო უპირატესობის პირობებში, მათი აზრით, პარლამენტი აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული საკანონმდებლო ინიციტივების ფორმალური დამამტკიცებლის როლში გამოდის და მასზე რეალური ზედამხედველობის გაწევის საშუალებებს არ ფლობს.

თავად პარლამენტარები ნაკლებად საუბრობენ მსგავს პრობლემაზე და აცხადებენ, რომ დღეს საქართველოს პარლამენტის მიერ საზედამხედველო ფუნქცია გაცილებით აქტიურად გამოიყენება, ვიდრე ეს ერთი შეხედით შეიძლება ჩანდეს. მათი შეფასებით, საზედამხედველო ფუნქციის გამოყენების შემთხვევაში, იმის გამო, რომ საზოგადოებას არ შეექმნას მცდარი წარმოდგენა მმართველი პარტიის გუნდში არსებულ კონფლიქტსა და განხეთქილებაზე, მიზანმიმართულად თავს არიდებენ, რომ მოხდეს, ასეთი შემთხვევების საზოგადოებისთვის მიწოდება და გახმაურება. მათი, შეფასებით, სწორედ ამის გამო იქმნება საზედამხედველო ფუნქციის ნაკლებად გამოყენებაზე "მცდარი წარმოდგენა".

დასკვნა

საფრთხეები, რომელიც შესაძლებელია დაფიქსირდეს საპარლამენტო საქმიანობის სამივე მიმართულებით და რომელიც მნიშვნელოვან წინააღმდეგობას ქმნის მომავალში საპარლამენტო დემოკრატიის ჩამოსაყალიბებლად შეჯამებული სახით შემდეგნაირად შეიძლება დაფიქსირდეს: წარმომადგელობითი ფუნქციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ის, რომ ამომარჩეველთა კონკრეტული ჯგუფები, და ეს, პირველ რიგში პარტიულ პოლიტიკურ სპექტრს, ეთნიკურ უმცირესობასა და ქალთა წარმომადგენლობას ეხება, არ არის პროპორციულად წარმოდგენილი პარლამენტში. ასევე, იგრძნობა საზოგადოებრივი ნდობის ნაკლებობა, ისევე როგორც იკვეთება საპარლამენტო ოპოზიციის ლიმიტირებული შესაძლებლობები პარტიული ინსტიტუციების სისუსტის გამო. საკანონმდებლო ფუნქციის თვალსაზრისით საფრთხეებად შეიძლება აღვიქვათ, პარლამენტის მხრიდან ინიციატივების ნაკლებობა, კანონმდებლობის, მათ შორის კონსტიტუციის ხშირი ცვლა. რაც შეეხება საზედამხედველო ფუნქციას, ამ მხრივ განსაკუთრებულ საფრთხედ უნდა განიხილებოდეს კონტროლისა და ბალანსის სისტემის სისუსტე, რომლის პირობებშიც საქართვე-

(27) და იმ კანონპროექტების რაოდენობასთან მიმართებაში, რომელზედაც კომიტეტი იყო წამყვანი ან/და სავალდებულო დასკვნის ავტორი (53), პარლამენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე შესრულების კონტროლი, საკმაოდ შთამბეჭდავად გამოიყურება (251).[8] მსგავსი ტენდენცია შეიმჩნევა სხვა კომიტეტებთან მიმართებაშიც. შესაბამისად, იკვეთება საზედამხედველო საქმიანობის უგულებელყოფა „კონტროლისა და ბალანსის" სისტემის მხოლოდ კონტროლის ფუნქციამდე დაყვანა და ფოკუს-ჯგუფის შედეგების მიხედვით, საზედამხედველო ფუნქციის განხორციელება მიჩნეულია როგორც საპარლამენტო საქმიანობის ყველაზე სუსტი რგოლი. აღნიშნულის ახსნა სხვადახვა აქტორის მიერ სხვადასხვანაირად ხდება: თავად პარლამენტის აპარატის წარმომადგენლების აზრით, საზედამხედველო ფუნქცია გამოიეყენება არარეგულარულად და დამოკიდებულია თავად საკითხის სიმწვავეზე.იმ შემთხვევაში, თუკი ის ფართო საზოგადოებრივ ინტერესს იმსახურებს, საპარლამენტო კონტროლის განხორციელება ფართო საზოგადოებრივი განხილვის საგანი ხდება. თუმცა, რიგი საკითხები, რომელიც საზედამხედველო საქმიანობის ფარგლებში ხორციელდება, რესპოდენტების აზრით, ნაკლები სიმწვავის გამო, მედიის, შესაბამისად, საზოგადოების ყურადღების არეალში ნაკლებად ხვდება.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები საზედამხედველო ფუნქციის ნაკლებად გამოყენებას უკავშირებენ თავად პარლამენტის როგორც ინსტიტუტის სისუსტეს. ასევე აღიარებენ ისეთი ფაქტორების ზეგავლენას, როგორიცაა ზედამხედველობისა და კონტროლის განსახორციელებლად საჭირო რესურსების, გამოცდილებისა და საჭირო უნარჩვევების ნაკლებობა. მმართველი პარტიის საპარლამენტო უპირატესობის პირობებში, მათი აზრით, პარლამენტი აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული საკანონმდებლო ინიციტივების ფორმალური დამამტკიცებლის როლში გამოდის და მასზე რეალური ზედამხედველობის გაწევის საშუალებებს არ ფლობს.

თავად პარლამენტარები ნაკლებად საუბრობენ მსგავს პრობლემაზე და აცხადებენ, რომ დღეს საქართველოს პარლამენტის მიერ საზედამხედველო ფუნქცია გაცილებით აქტიურად გამოიყენება, ვიდრე ეს ერთი შეხედით შეიძლება ჩანდეს. მათი შეფასებით, საზედამხედველო ფუნქციის გამოყენების შემთხვევაში, იმის გამო, რომ საზოგადოებას არ შეექმნას მცდარი წარმოდგენა მმართველი პარტიის გუნდში არსებულ კონფლიქტსა და განხეთქილებაზე, მიზანმიმართულად თავს არიდებენ, რომ მოხდეს, ასეთი შემთხვევების საზოგადოებისთვის მიწოდება და გახმაურება. მათი, შეფასებით, სწორედ ამის გამო იქმნება საზედამხედველო ფუნქციის ნაკლებად გამოყენებაზე "მცდარი წარმოდგენა".

დასკვნა

საფრთხეები, რომელიც შესაძლებელია დაფიქსირდეს საპარლამენტო საქმიანობის სამივე მიმართულებით და რომელიც მნიშვნელოვან წინააღმდეგობას ქმნის მომავალში საპარლამენტო დემოკრატიის ჩამოსაყალიბებლად შეჯამებული სახით შემდეგნაირად შეიძლება დაფიქსირდეს: წარმომადგელობითი ფუნქციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ის, რომ ამომარჩეველთა კონკრეტული ჯგუფები, და ეს, პირველ რიგში პარტიულ პოლიტიკურ სპექტრს, ეთნიკურ უმცირესობასა და ქალთა წარმომადგენლობას ეხება, არ არის პროპორციულად წარმოდგენილი პარლამენტში. ასევე, იგრძნობა საზოგადოებრივი ნდობის ნაკლებობა, ისევე როგორც იკვეთება საპარლამენტო ოპოზიციის ლიმიტირებული შესაძლებლობები პარტიული ინსტიტუციების სისუსტის გამო. საკანონმდებლო ფუნქციის თვალსაზრისით საფრთხეებად შეიძლება აღვიქვათ, პარლამენტის მხრიდან ინიციატივების ნაკლებობა, კანონმდებლობის, მათ შორის კონსტიტუციის ხშირი ცვლა. რაც შეეხება საზედამხედველო ფუნქციას, ამ მხრივ განსაკუთრებულ საფრთხედ უნდა განიხილებოდეს კონტროლისა და ბალანსის სისტემის სისუსტე, რომლის პირობებშიც საქართვე-

ლოს საპარლამენტო ორგანო ვერ ასრულებს აღმასრულებელი ხელისუფლების საპირწონე ინსტიტუციის ფუნქციას. აქვე შესაძლებელია აღინიშნოს საპარლამენტო აპარატის ერთპარტიულ გარემოში პოლიტიკური ნეიტრალიტეტის შესუსტების საფრთხე და პარლამენტში პოლიტიკური ცვლილებების განხორციელების მზადყოფნის ნაკლებობა.

გამოყენებული და ციტირებული ლიტერატურა:

1. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი. – 2007-2009 წლების შეჯამებული ანგარიში
2. ნანა სუმბაძე, საქართველო აგვისტოს ომამდე და ომის შემდეგ. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები: ბარომეტრი 2007 და 2008. თბილისი 2009, საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი. გვ.26.
3. სხვადასხვა ქვეყანაში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის დაწესებულია კვოტები, შექმნილია განსაკუთრებული გარანტიები ან წესდება შეღავათები მათი წარმომადგენლების საპარლამენტო ორგანოში მოსახვედრად. რუმინეთსა და სლოვაკეთში დაწესებულია შეღავათები უმცირესობათა წარმომადგენლებისთვის. მაშინ, როცა სერბეთსა და პოლონეთში წარმომადგენლობითობის უზრუნველსაყოფად დაწესებული მექანიზმი მდგომარეობს იმაში, რომ ორივე ქვეყანაში არსებული ხუთპროცენტიანი საარჩევნო ბარიერი არ ვრცელდება უმცირესობათა წარმომადგენლებზე. ხორვატიასა და მონტენეგროში უმცირესობებისათვის შეთავაზებულია პოზიტიური დისკრიმინაციის ფორმა და ორივე საპარლამენტო ორგანოში გამოყოფილია საპარლამენტო მანდატების გარკვეული რაოდენობას პეციალურად ეთნიკური უმცირესობებისათვის.
4. ცხრილი შედგენილია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებზედაყრდნობით. მასში არაა მოცემული ზოგიერთი წლის მონაცემი იმის გა-

მო, რომ ოფიციალური სტატისტიკა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიას არ ჰქონია წარმოდგენილი.

5. გაერთიანებულ სამეფოში ხელისუფლება, ხშირად (მაგრამ, არაყოველთვის) ადგენს და აკონტროლებს პარლამენტის დღის წესრიგს, მაგრამ ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს დებატები ცვლილების განხორციელების თაობაზე, რაც განიხილება როგორც პარლამენტის გაძლიერების საშუალება.
6. პარლამენტის საკონტროლო მექანიზმებიდან, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით, გამოიყენება: იმპიჩმენტის წესი; ინფორმაციის გამოთხოვისუფლება – პარლამენტის პლენარული სხდომისმიერ დანიშნულ მომხსენებელს უფლება აქვს ადმინისტრაციული ორგანოსაგან გამოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური) და ნებისმიერ საკითხზე ახსნა-განმარტება; პეტიცია – პეტიცია არის პირთა ჯგუფის წერილობითი მიმართვა, რომელიც შეეხება სახელმწიფოებრივ და საერთო პრობლემებიდან გამომდინარე საკითხებს; სპეციალური ჯგუფი – პარლამენტის თავმჯდომარემ საკუთარი ინიციატივით ან შესაბამისი კომიტეტის წარდგინებით შეიძლება შექმნას საკითხის შემსწავლელი სპეციალური ჯგუფი; მოქალაქეთა მიღება; პარლამენტის წევრის კითხვა, პარლამენტის წევრთა ათკაციანი ჯგუფისა და ფრაქციის შეკითხვა; სამთავრობო საათი — ყოველითვის პლენარული სხდომის ბოლო ხუთშაბათი; საქართველოს კონტროლის პალატა; საქართველოს სახალხო დამცველი;
7. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი. http://www.parliament.ge/ special/kan/files/339.pdf
8. საპროცედურო საკითხთა დაწესების კომიტეტის 2004-2007 წლების საკანონმდებლო საქმიანობის სტატისტიკა. http://www.parliament.ge/files/1276 20114 521503 shesacvleli -daijesti1.pdf

Abstract

Problems of Parliamentary Democracy in Georgia
Nana Macharashvili - PhD in Political Science, Associate Professor of the Faculty of Social and Political Sciences of TSU.

For the newly developed democracies like Georgia problems regarding the parliamentary democracy are quite relevant. From the critical point of view the most essential problem is the limited possibilities and implementation of the oversight function of the Parliament. The problem itself is determined by the institutional subordination of the Parliament to the Executive branch and the real absence of the check and balance system in Georgia. The article also analysis the problems concerning the other functions of the Parliament on the basis of the semi-structural interviews of the MPs and representatives of non governmental sector, as well as the results of the focus group of the parliamentary staff members. The statistics of the Parliamentary activities indicates that the oversight function is fully simplified to the controlling of the parliamentary decisions. The semi-structural interviews as well as focus group discussions present several determinants of the limited possibilities for oversight in the Parliament of Georgia.

მორალის განვითარების თეორიები: პიაჟედან ნეოკოლბერგიანელებამდე

ნათია მესტვირიშვილი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტი, ფსიქოლოგიის მიმართულება, დოქტორანტი.

მორალური განვითარების საკითხი არ გამოირჩევა მრავალრიცხოვანი თეორიული მიდგომებით, რაც ფენომენის სირთულესა და მისი შესწავლის მეთოდების ნაკლებობაზე მიუთითებს. ამასთან ერთად, მორალური განვითარება დღემდე რჩება რთულ და ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებით გამოირჩეულ საკითხად ფსიქოლოგიაში.

მორალის განვითარების მეცნიერული შესწავლა დაკავშირებულია შვეიცარიელი მეცნიერის ჟან პიაჟეს სახელთან, რომელმაც გასული საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში მორალის განვითარების საკუთარი თეორია წარმოადგინა. ჟან პიაჟე იმ ფსიქოლოგთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა ნაშრომებიც დღემდე რჩება მორალური განვითარების თანამედროვე თეორიებისთვის მნიშვნელოვან ორიენტირად.პიაჟემ მორალი განსაზღვრა, როგორც სოციალური ნორმების პატივისცემა და ინდივიდში არსებული სამართლიანობის გრძნობა, რომელიც გულისხმობს ზრუნვას ადამიანთა შორის თანასწორობაზე. პიაჟეს მიხედვით, ინდივიდები სამყაროს შესახებ ცოდნას იძენენ და გარდაქმნიან გარემოსთან ურთიერთობის შედეგად. ჟან პიაჟე ცდილობდა მორალური განსჯის განვითარების დაკავშირებას ბავშვის ზოგად კოგნიტურ განვითარებასთან.პიაჟეს აზრით, იმის მიხედვით, თუ კოგნიტური ზრდის რომელ სტადიაზე იმყოფება ბავშვი, ის სხვადასხვა წონას ანიჭებს მოქმედების შედეგს და მოქმედი პირის განზრახვას.

პიაჟე გამოყოფს მორალური განვითარების ორ სტადიას. მორალური მსჯელობა იწყება ჰეტერონომიული საფეხურით,

რაც ხასიათდება წესებისა და მოვალეობების ზუსტი შესრულებით და ავტორიტეტისადმი მორჩილებით.

ჰეტერონომიულობას განსაზღვრავს ორი ფაქტორი: 1. ბავშვის კოგნიტური სტრუქტურა – პიაჟეს მიხედვით, ბავშვის აზროვნება ეგოცენტრულობით, ანუ ბავშვის მიერ სხვა ადამიანის შეხედულების გაზიარების უუნარობით ხასიათდება. ეგოცენტრულობა განაპირობებს ბავშვის მიერ საკუთარი აზრებისა და სურვილების სხვა ადამიანებზე პროექციას. ბავშვებისთვის უფრო მნიშვნელოვანია მოქმედების შედეგი, ვიდრე განზრახვა და მათ აქვთ მოლოდინი, რომ ცუდ საქციელს დაუყოვნებლივ მოჰყვება დასჯა. 2. ბავშვების სოციალური ურთიერთობები მოზრდილებთან – მოზრდილსა და ბავშვს შორის ბუნებრივ ურთიერთობაში მეტი ძალაუფლება მოზრდილებს აქვთ. პატარა ბავშვებში ძალაუფლების არქონა, უსუსურობა ბავშვურ ეგოცენტრიზმთან ერთად ქმნის ჰეტერონომიულ მორალურ ორიენტაციას.

თუმცა, სხვა ბავშვებთან ურთიერთობის ფონზე, როდესაც ჯგუფი ცდილობს შექმნას ისეთი თამაშის წესები, რომელიც ყველასთვის მისაღები იქნება, წესებისადმი ასეთი მორჩილება პრობლემატური ხდება.

ბავშვები თანდათან მორალური მსჯელობის ავტონომიურ საფეხურზე გადადიან, რომელიც ხასიათდება წესებისადმი კრიტიკული დამოკიდებულებით. ისინი აცნობიერებენ, რომ წესები იქმნება ადამიანთა შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე და აუცილებლობის შემთხვევაში მათი შეცვლა შესაძლებელია. ბავშვები იძენენ უნარს, ეს წესები შერჩევითად გამოიყენონ ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთთანამშრომლობის გათვალისწინებით. ამ უნარის ამოქმედება იწყება რეციპროკულობისა და ორმხრივი პატივისცემის საფუძველზე ბავშვის ზრდასთან ერთად, მოქმედი პირის განზრახვები უფრო მეტს იწონის მორალურობის შესახებ მისეულ განსჯაში. კოგნიტური უნარების განვითარებასთან ერთად ბავშვებს უვითარდებათ იმის უნარი, რომ ყურადღება მიაქცი-

ონ არა მხოლოდ შედეგებს, არამედ განიხილონ ორივე – შედეგებიცა და განზრახვებიც.

80-იან წლებში ლორენს კოლბერგმა განავრცო პიაჟეს მიერ შემუშავებული მორალის განვითარების სტადიები. კვლევის საფუძველზე, მან მორალური მსჯელობის 6 საფეხური გამოყო, რომლებიც 3 სტადიად გააერთიანა. ყოველი საფეხური მორალის საკითხებისადმი ხარისხობრივად განსხვავებულ მსჯელობებს ასახავს.

პრეკონვენციონალური სტადია ძირითადად ბავშვებისთვისაა დამახასიათებელი. ამ სტადიაზე მყოფი ადამიანი ქცევის ზნეობრიობის შესახებ უშუალოდ ქცევის შედეგებიდან გამომდინარე მსჯელობს.

კონვენციონალური სტადია ზოგადად მოზარდებისა და მოზრდილებისათვის არის დამახასიათებელი. ამ სტადიაზე მყოფი ინდივიდები ქცევის ზნეობრივობაზე იმის მიხედვით მსჯელობენ, თუ რამდენად შეეფერება ეს ქცევა საზოგადოებრივ შეხედულებებსა და მოლოდინებს.

პოსტკონვენციონალურ სტადიაზე ინდივიდის პერსპექტივა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საზოგადოება. მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდების მორალური მსჯელობა წესებისა და ნორმების პრინციპებს ეყრდნობა, ისინი უარყოფენ ამ წესებისა და ნორმების ერთგვაროვან გამოყენებას.

პირველი საფეხური – ორიენტაცია დასჯის არიდებასა და მორჩილებაზე – ფოკუსირებულია წესის დარღვევის და დასჯის თავიდან არიდებაზე. ადამიანი ცდილობს აიცილოს დასჯა და მიაჩნია, რომ ვინც ძლიერია, მართალიც ის არის. ეს საფეხური პიაჟეს მიერ გამოყოფილი პირველი საფეხურის მსგავსად ეგოცენტრიზმით ხასიათდება.

მეორე საფეხურზე, რომელსაც ჰედონისტურს ან ინსტრუმენტულ-რელატივისტურს უწოდებენ, ჩნდება მორალური რეციპროკულობა. ეს საფეხური ორიენტირებულია ქცევის პრაგმატულ ღირებულებაზე. მორალურ ქცევას პირადი ინტერესები განსაზღვრავს. ამ საფეხურზე მყოფი ადამიანი ცდი-

ლობს ჯერ საკუთარი სურვილები დაიკმაყოფილოს და მერე სხვების ინტერესებზეც იფიქროს. ,,სხვების'' მიმართ ინტერესი იზრდება, თუმცა ამას საფუძვლად უდევს პრაგმატულობა და არა სამართლიანობა ან ლოიალობა.

მესამე საფეხურია ინტერპერსონალური შეთანხმება, როდესაც ქცევის მორალურობას განსაზღვრავს სხვა ადამიანის მოლოდინები და სტერეოტიპული როლები. ამ საფეხურზე მყოფი ადამიანი ცდილობს გაამართლოს სხვათა მოლოდინები, რათა კარგი გამოჩნდეს მათ და საკუთარ თვალში, და ქცევის შესახებ მოქმედი პირის განზრახვის გათვალისწინებით მსჯელობს.

მეოთხე საფეხური ხასიათდება საზოგადოებაზე და სოციალური წესრიგის შენარჩუნებაზე ორიენტაციით. ქცევის სისწორის შესახებ მსჯელობა ხდება იმ იმ წესებისა და ნორმების ტერმინებში, რომლებიც დადგენილია ფართო სოციალური სისტემის მიერ. ინდივიდი მსჯელობს საზოგადოების წევრის პოზიციიდან გამომდინარე და სწორ ქცევად არსებული სოციალური სისტემის დაცვას მიიჩნევს.

მეხუთე საფეხურზე მყოფი ადამიანი აცნობიერებს, რომ წესები მხოლოდ სოციალური შეთანხმებაა და მათი დარღვევა შესაძლებელია სიტუაციის მიხედვით – ისეთ შემთხვევებში, თუ ისინი სამართლიანობას და საყოველთაო კეთილდღეობას არ ემსახურებიან. თუმცა, არსებობს ისეთი ძირითადი და გარდაუვალი წესები, როგორიცაა სიცოცხლის დაცვა და თავისუფლების მხარდაჭერა, რომლებიც ნებისმიერ სიტუაციაში დაცული უნდა იქნას.

ადამიანს უყალიბდება საკუთარი შეხედულება იმის შესახებ, თუ რა არის სწორი და რა – არასწორი, და უპირველეს ყოვლისა, ამ შეხედულების და არა – არსებული კანონებისა და წესების შესაბამისად მოქმედებს.

მეექვსე საფეხური გამოირჩევა უნივერსალურ ეთიკურ პრინციპებზე ორიენტაციით, რომლებიც უფრო ფართო და აბსტრაქტულია, ვიდრე მორალური პრინციპები. ადამიანი თავის თავს იგივე მოთხოვნებს უყენებს, რასაც სხვებს, და

აღიარებს ადამიანთა თანასწორობას. ადამიანები იშვიათ შემთხვევებში თუ აღწევენ ამ საფეხურს. რეალურად, მხოლოდ პირველ ხუთ საფეხურთან დაკავშირებით არსებობს შესაბამისი ემპირიული მონაცემები. თავად კოლბერგის ბოლოდროინდელ კვლევებშიც მეხუთე-მეექვსე საფეხურები გაერთიანებულია და, შესაბამისად, საუბარია ხუთსაფეხურიან მოდელზე.

კოლბერგის თეორიის თანახმად, მორალი ვითარდება უცვლელი თანმიმდევრობით, თუმცა ყველამ შეიძლება ვერც მიაღწიოს მორალის განვითარების უმაღლეს საფეხურს ინტელექტუალური სტიმულაციის ნაკლებობის გამო (Crain, 1985). რეალურად, როგორც აღინიშნა, მხოლოდ პირველმა ხუთმა საფეხურმა მოიპოვა არსებობის დამადასტურებელი ემპირიული მონაცემები. თუმცა, კროსკულტურულმა კვლევებმა დაადასტურა კოლბერგის სტადიების თანამიმდევრობის უნივერსალურობა.

კოლბერგის თეორია დაფუძნებული იყო მამაკაც ცდისპირთა მონაცემებზე და შესაბამისად, მხოლოდ მათ შეხედულებებს ასახავდა. კოლბერგის თეორიის წინააღმდეგ მიმართული ერთ-ერთი მძაფრი კრიტიკა სწორედ ამ საკითხს ეხებოდა. თუმცა, ამასთანავე გამოიკვეთა სქესის, როგორც ერთ-ერთი კრიტიკული ფაქტორის მნიშვნელობა ინდივიდთა მორალური პრინციპების განსაზღვრისას კოლბერგის თეორიის საფუძველზე ჩატარებული კვლევების შედეგების თანახმად, ქალებთან მორალური განვითარების უფრო დაბალი დონე ვლინდება, ვიდრე მამაკაცებთან.

კეროლ გილიგანმა (1982) ამ ფაქტის ასახსნელად წამოაყენა საკუთარი თეორია, რომლის თანახმადაც, მამაკაცები ქცევის მორალურობაზე წესებსა და აბსტრაქტულ პრინციპებზე დაყრდნობით მსჯელობენ. ქალებს კი უფრო მეტად ზრუნვაზე ორიენტირებული მორალი ახასიათებთ, რომელიც ემყარება პიროვნებათაშორის ურთიერთობებს და არა წესებს. შედეგად, ქალები და მამაკაცები განსხვავებულ ქულებს იღებენ მორალურ დილემებზე მსჯელობისას – ქალები, როგორც

წესი, მესამე საფეხურზე არიან, ხოლო მამაკაცები – მეოთხე და მეხუთე საფეხურებზე.

გილიგანი მორალურ მსჯელობაში არსებულ სქესთაშორის განსხვავებებს აღზრდას უკავშირებს. როგორც წესი, ბიჭებს ადრეული ბავშვობიდან ასწავლიან დამოუკიდებლობას, გოგონებს კი სხვების მიმართ ყურადღებასა და მზრუნველობას აჩვევენ. თუმცა, გილიგანი არ უარყოფდა, რომ ქალებიც და მამაკაცებიც შეიძლება ამჟღავნებდნენ საპირისპირო სქესისათვის დამახასიათებელ მორალურ მსჯელობებს (Crain, 1985).

90-იან წლებში, ელიოტ ტურიელმა გააკრიტიკა კოლბერგი და წამოაყენა სფეროს თეორია (domain theory), რომლის მიხედვითაც, მორალი და კონვენცია ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული სფეროა და არა ერთი მთლიანი სისტემა, როგორც ეს კოლბერგს მიაჩნდა. ტურიელი ერთმანეთისაგან განასხვავებს და ცალ-ცალკე განიხილავს მორალურ კონცეფციებს და სოციალურ კონვენციებს ანუ სოციალურ შეთანხმებას. მისი აზრით, ეს დაკავშირებულია ორი სოციალური მოვლენის ორ სხვადასხვა კლასთან. მორალური კონცეფცია ფოკუსირებულია იმ ეფექტებზე, რომლებიც კონკრეტულ ქცევას აქვს ან შეიძლება ჰქონდეს მეორე ადამიანის კეთილდღეობაზე. მაგალითად, ისეთ ქცევას, როგორიცაა ვინმესთვის უნებლიე ზიანის მიყენება, არსებითი გავლენა აქვს ადამიანის კეთილდღეობაზე და ეს გავლენა არსებობს სოციალური წესების და წყობის მიუხედავად. სოციალური კონვენცია კი ისეთ ქმედებებს ეხება, რომლებსაც არანაირი ინტერპერსონალური შედეგები არ მოყვება. მაგალითად, მიმართავ ადამიანს სახელით თუ ,,ქალბატონო"-ს ან ,,ბატონო'-ს უწოდებ, ამას არანაირი მნიშვნელოვანი გავლენა არ ექნება ადამიანების კეთილდღეობაზე. ის, თუ მიმართვის რომელი ფორმაა უკეთესი, განისაზღვრება და რეგულირდება გარკვეულ წესებზე სოციალური შეთანხმებით (Crain, 1985).

კოლბერგთან დაკავშირებული კრიტიკის საპასუხოდ ჯეიმს რესტმა და მისმა კოლეგებმა აიღეს კოლბერგის თეორიის ძირითადი იდეები, რომლებსაც საკუთარი იდეები დაუმატეს და შექმნეს მორალური განვითარების საკუთარი მიდგომა, რომელსაც ნეოკოლბერგიანული მიდგომა უწოდეს.

ნეოკოლბერგიანული მიდგომის წარმომადგენლები ეყრდნობიან მორალური ქცევის ოთხკომპონენტიან მოდელს. რესტის ოთხკომპონენტიანი მოდელის თანახმად, მორალის განვითარებაში გამოიყოფა მორალური ქცევის ოთხი ფსიქოლოგიური პროცესი: მორალური ყურადღება, მორალური მსჯელობა, მორალური მოტივაცია და მორალური ღირსება. მორალური ყურადღება გულისხმობს უნარს შეიცნო მორალური სიტუაცია. მორალური მსჯელობა გულისხმობს გადაწყვეტილების მიღებას მორალურად სწორი და არასწორი ქცევის შესახებ. მორალური მოტივაცია არის შინაგანი სურვილი მოიქცე მორალური სტანდარტების შესაბამისად. მორალური ღირსება გულისხმობს მორალურად სწორი ქცევის განხორციელების პიროვნულ განსაზღვრას მაშინაც კი, თუ სრულიად შესაფერისი იქნება მორალის თვალსაზრისით არასწორი ქცევის განხორციელება (Sabin, 2006).

კოლბერგის მიდგომის მსგავსად, ნეოკოლბერგიანული მიდგომისათვისაც დამახასიათებელია შემდეგი: 1. ამოსავალ წერტილად მიჩნეულია კოგნიცია; 2. ხაზს უსვამს ძირითადი ეპისტემოლოგიური კატეგორიების (მაგ.: უფლებები, მოვალეობა. სამართალი, სოციალური წყობა, რეციპროკულობა) პიროვნულ კონსტრუქციას. ეს არ გამორიცხავს კულტურული იდეოლოგიის წვლილს, თუმცა, ნეოკოლბერგიანული მიდგომა უფრო ფოკუსირებულია ინდივიდუალურ სოციალურ გამოცდილებაზე. 3. ცვლილებას განიხილავს, როგორც განვითარებას ანუ შესაძლებელია ვისაუბროთ არა მხოლოდ განსხვავებებზე მორალურ ორიენტაციაში, არამედ კოგნიტურ უპირატესობაზეც, სადაც ,,მაღალი უფრო უკეთესია" ფილოსოფიური და ნორმატიულ-ეთიკური გაგებით. 4. მოზარდებისა და

მოზრდილების განვითარებას განიხილავს, როგორც პირობითიდან პრინციპულ მორალურ აზროვნებაზე გადასვლას.

ნეოკოლბერგიანული მიდგომის წარმომადგენლების თვალსაზრისი მორალური მსჯელობების კოგნიტური სტრუქტურების შესახებ კოლბერგისეულისგან შემდეგი ხუთი ნიშნით განსხვავდება:

1. ნეოკოლბერგიანული მიდგომის თანახმად, განვითარება არის გამოყენების სიხშირის ცვლილება, რომელიც ნაკლებად კომპლექსურიდან უფრო კომპლექსური ხდება. კოლბერგისგან განსხვავებით, რომელიც განვითარებას საფეხურებზე ასვლის ტერმინებში განიხილავდა, ნეოკოლბერგიანელები განვითარებას განიხილავენ, როგორც ცვლილებას მარტივიდან რთულისაკენ.

2. ნეოკოლბერგიანული მიდგომის შემქმნელები მორალური საფეხურების ნაცვლად იყენებენ ტერმინს მორალური სქემები. მორალური სქემები შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ცოდნის ძირითადი სტრუქტურები, რომლებიც გამოიყენება სოციალურ კოოპერაციაში. მორალური სქემები ყალიბდება სოციალური ურთიერთობებიდან მიღებული გამოცდილების საფუძველზე და საზოგადოებაში არსებული ინსტიტუტების და როლური-სისტემების კონცეფციებია.

3. კოლბერგის საპირისპიროდ, რომელიც ცდილობდა ,,მსჯელობის ოპერაციების", მორალური აზროვნების ოპერაციების შესწავლას, ნეოკოლბერგიანული მიდგომა ორიენტირებულია ოპერაციების შინაარსობრივი შედეგების შესწავლაზე და არა კოგნიტური ოპერაციების გაზომვაზე. კოგნიტურმა კვლევებმა აჩვენა, რომ ჩვენ ვიცით ჩვენი ფსიქიკის მხოლოდ შინაარსი და არა ის, რაც ქმნის ამ შინაარსს (Rest, Narvaez, Bebeau, & Thoma, 1999., Swisher, Rizzo, & Marley, 2000).

4. კოლბერგმა თავისი საფეხურების ერთ-ერთ მახასიათებლად უნივერსალურობა გამოაცხადა. თუმცა, ნეოკოლბერგიანელები ემხრობიან მორალის თანამედროვე ფილოსოფოსების შეხედულებას, რომლის მიხედვითაც, მორალი არის სოციალური კონსტრუქცია, რომელიც გამომდინარეობს საზოგადო-

ების გამოცდილებიდან, კერძო ინსტიტუციონალური წყობიდან, მსჯელობებიდან და შეთანხმებებიდან, რომელსაც საზოგადოება უჭერს მხარს. ზოგადი მორალი შეიძლება განსხვავდებოდეს (ან მსგავსი იყოს) სხვადასხვა საზოგადოებისთვის.

5. მორალური მსჯელობების ინტერვიუს ნაცვლად, რომელიც ცდის პირებისაგან მოითხოვდა დილემების გადაჭრასა და მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ახსნას, ნეოკოლბერგიანული მიდგომის წარმომადგენლები მორალური მსჯელობების შეფასებისას უპირატესობას ანიჭებენ მრავლობითი არჩევანის ტესტს და ამას იმ მოსაზრებით ხსნიან, რომ ადამიანებს შეუძლიათ გადმოსცენ თავიანთი კოგნიციის პროდუქტი, მაგრამ არ შეუძლიათ გადმოსცენ ის ფსიქიკური ოპერაციები, რომლებიც გამოიყენეს ამ პროდუქტის მისაღწევად.

2002 წელს მორალური მსჯელობის უნარის კოლბერგისეულ განმარტებაზე დაყრდნობით ჯორჯ ლინდმა წამოაყენა ორგანზომილებიანი თეორია, რომლის მიხედვითაც, მორალური ქცევა განისაზღვრება, როგორც ორი განუყოფელი, თუმცა განსხვავებული ასპექტის მქონე ქმედება. ეს ასპექტებია: 1. პიროვნების აფექტური დამოკიდებულება კონკრეტული მორალური იდეალებისა და პრინციპებისადმი და 2. იდეალებისა და პრინციპების შესატყვისად მსჯელობის/ ქმედების უნარი.

მრავალი წლის განმავლობაში მიიჩნეოდა, რომ პიროვნება მორალურია იმ შემთხვევაში, თუ ის კარგად ასრულებს საზოგადოების მიერ დადგენილ ქცევის წესებს ან აქვს მორალურად გამართლებული განზრახვები. მორალური ქცევა მთლიანად განიხილებოდა აფექტურ სფეროში, რომელსაც შემეცნებასთან და უნარებთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა.

1912 წელს გერმანელმა ფსიქიატრმა მაქს ველი-სულმა აღმოაჩინა, რომ მორალური დამოკიდებულებები და ღირებულებები ვერ წინასწარმეტყველებენ არასრულწლოვანთა დამნაშავეობას. როდესაც მან გამოკითხა დამნაშავე და უდანაშაულო ახალგაზრდები მოპარვის შესახებ, აღმოჩნდა, რომ

ორივე ჯგუფი მსგავსად გმობდა მოპარვას. მოგვიანებით, ემპირიულად დადასტურდა, რომ ალტრუისტული დამოკიდებულებები და განზრახვები თითქმის არ იყო დაკავშირებული ალტრუისტულ ქცევასთან (Darley &Latane , 1968; Krebs, 1982).

ორგანზომილებიანი თეორია აერთიანებს სამივე – აფექტურ, კოგნიტურ და ქცევით ასპექტს და არ განიხილავს მათ განცალკევებულ კომპონენტებად, რომელთა დაკვირვება და გაზომვაც იზოლირებულად შეიძლება. მორალური იდეალები წარმართავს მორალურ ქცევას, თუმცა იმისთვის, რომ ქცევა იყოს მორალურად მყარი, მას სჭირდება განვითარებული მსჯელობის უნარები. ამასთან, ამ მოდელის თანახმად, მორალური პრინციპები და უნარები არაა განცალკევებული ერთმანეთისგან, უბრალოდ ისინი ქცევის 2 სხვადასხვა ასპექტია.

რადგან არ არსებობდა ინსტრუმენტი, რომელიც ერთდროულად, თუმცა განცალკევებულად, გაზომავდა ინდივიდის მორალური მსჯელობის უნარს და მის მორალურ დამოკიდებულებებს, ლინდმა შექმნა მორალური მსჯელობის ტესტი. ეს ტესტი შესაძლებელს ხდის ინდივიდის მორალურ პრინციპებზე დაყრდნობით მორალური პრობლემის მიმართ პრო- და კონტრარგუმენტების განსჯის უნარის შეფასებას, მიუხედავად მისი პოზიციისა ამა თუ იმ კონკრეტულ მორალურ პრობლემასთან დაკავშირებით. ამასთან, სხვა ინსტრუმენტების მსგავსად, იგი ზომავს ინდივიდის დამოკიდებულებებს კოლბერგის ექვსი საფეხურის მიხედვით.

მორალური მსჯელობის შესახებ არსებულ უახლეს თეორიებში კოგნიცია და ძირითადი ეპისტემოლოგიური კატეგორიები (უფლებები, მოვალეობები, სამართალი, სოციალური წყობა, რეციპროკულობა) კვლავ ამოსავალ წერტილად რჩება. მორალური განვითარების სფეროში არსებული თანამედროვე კვლევები უფრო მეტად აქცენტს ინდივიდუალური გამოცდილების მნიშვნელობაზე აკეთებენ, ვიდრე კულტუროლოგიური იდეოლოგიის გავლენაზე, ამავე დროს აღიარებენ, რომ მორა-

ლური მსჯელობის შეფასება შესაძლებელია არა მხოლოდ ცვლილების, არამედ განვითარების კოტექსტში.

Abstract

Natia Mestvirishvili–PhD student of the Faculty of Social and Political Sciences of TSU.

The following paper represents a review of moral development models discussed in a chronological order based on empirical and theoretical literature. It includes moral development theory of Jean Piaget, Laurence Kohlberg's stages of moral development, Carol Gilligan's gender theory James Rest's 4 stages component model of moral George Lind's Dual-aspect theory of moral behavior and development, Elliot Turiel's Domain theory. The review shows that in the modern theories about moral development starting point emphasizes cognition and main epistemological categories (duties, rights, justice, social order, reciprocity) and the studies in the sphere of moral development are focused rather on the importance of individual experience, than on the influence of cultural ideology.

გამოყენებულიდა ციტირებული ლიტერატურა:

1. არუთინოვი, ბ., ბალიაშვილი, მ., კეკელია, მ. - მორალური მსჯელობის ძირითადი ორიენტირები ქართველებთან
2. Crain, W.C., (1985) *Theories of development*. Prentice-Hall. 118-136.
3. G. Lind (2008). The meaning and measurement of moral judgment competence. Published in Fasko, Daniel, Jr. & Willis, Wayne, ads. Contemporary Philosophical and Psychological perspectives on moral development and education, pp. 185-220. Creskill, Hampton press.

4. GilliganCarol. *In a Different Voice: Psychological Theory and Women's Development.* Cambridge, Mass.: Harvard University Press, 1982.
5. Narvaez, D., & Bock, T. (2002). Moral schemas and tacit judjment or how the defining issues test is supported by cognitive science. *Journal of moral education, Vol.3, No.3,* 297-312.
6. Rest, J., Narvaez, D., Thoma, S., Bebeau M., Murial, J. (2000). A neo-kolbergian approach to morality research. *Journal of moral education, Vol.29, No.4, 381-395.*
7. Rest, J., Narvaez, D., Thoma, S., Bebeau M. (1999). A Neo-Kohlbergian approach: The DIT and the Schema theory. Educational psychology review, Vol.11, N0. 4. pp. 291-324
8. www.wikipedia.org.
9. www.tiger.edu

პოსტსაბჭოთა იდენტობა შავი ზღვის აუზის ქვეყნების დისკურსში

ნინო პოპიაშვილი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ფილოლოგიის დოქტორი

საბჭოური მენტალობა და საზოგადოებრივი ცხოვრება არ იცნობდა შავი ზღვის აუზის ქვეყნების ერთიანი იდენტობის საკითხს. ისევე როგორც შავი ზღვის აუზის სხვა ქვეყნებში, საბჭოთა საქართველოშიც ძალზე ცოტა იყო ცნობილი შავი ზღვის აუზის ქვეყნებისა და იმ მახლობელი ქვეყნების შესახებ, რომლებთანაც დაკავშირებაც შავი ზღვის საშუალებით იყო შესაძლებელი. ასევე საქართველოს, როგორც ამ აუზის კულტურული ნაწილის თავისი ადგილის შესახებ. საქართველოს იდენტობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია შავი ზღვის ქვეყნების კულტურულ-ისტორიული ურთიერთობების ისტორია.

ცივი ომის დასრულების შემდეგ, ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრები ერები თუ ეთნიკური ჯგუფები იდენტობის კრიზისმა მოიცვა. ამ პერიოდიდან იწყება წარსულისკენ, საკუთარი ეთნიკური და კულტურული ფესვებისკენ მიბრუნების შეუქცევადი პროცესი. ურთულესი პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ მრავალ ეთნიკური სახელმწიფოები, სადაც კონფლიქტური მეხსიერებების ფორმირებამ და ისტორიის განსხვავებულმა ინტერპრეტაციამ ეთნოპოლიტიკური დაპირისპირებების აღმოცენებას შეუწყო ხელი. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა საქართველო, სადაც პოსტსაბჭოთა პერიოდის დასაწყისში წარმოქმნილი პრობლემები დღესაც გადაუჭრელია. გამომდინარე ზემოთქმულიდან, იდენტობის, მეხსიერებისა და ისტორიის კომპლექსური კვლევა პრიორიტეტულ მნიშვნელობას იძენს.

შავი ზღვა, როგორც ურთიერთობების ისტორია და როგორც კულტურათა, რელიგიათა და ერების თანამედროვე ურთიერთობა მრავალმხრივ მნიშვნელოვანია პოსტსაბჭოთა იდენტობისათვის.გარდა საკუთრივ ისტორიული ურთიერთობებისა, აქტუალური გახდა შავი ზღვის ქვეყნების თანამედროვე, ანუ ახალი და უახლესი ურთიერთობები, რაც მნიშვნელოვნად განსხვავდება წარსული კავშირისაგან და ქმნის სრულიად ახალი ტიპის ურთიერთობების პერსპექტივას.

მცირე ერების თვითიდენტიფიკაციისა და კულტურული იდენტობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ერების კულტურულ სივრცესა და კულტურულ-გეოგრაფიულ გარემოს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყოფილმა სოციალისტურმა რესპუბლიკებმა არსებობა განაგრძეს, როგორც დამოუკიდებელმა ქვეყნებმა. ისინი ცდილობდნენ საკუთარი თავისათვის და ასევე მსოფლიოსათვის დაემტკიცებინათ ის განსაკუთრებული და გამორჩეული, რომლითაც ეს ქვეყნები ერთმანეთისაგან უთუოდ განსხვავდებოდნენ, მაგრამ საბჭოთა კავშირის არსებობის პირობებში ამ განსხვავების დემონსტრირება შეუძლებელი იყო.

გარდა თვითმყოფადობისა და საკუთარი განსხვავებულობის ჩვენებისა, საჭირო გახდა დასავლეთთან იმ ისტორიული საერთოს მოძიება და გახსენება, რაც საბჭოთა კავშირის არსებობის წლებში სრულილად მივიწყებული იყო. ბუნებრივია, ამ კუთხით შავი ზღვა ისტორიულ-კულტურული იდენტობის მთავარი ორიენტირი გახდა.

აღსანიშნავია, რომ შავი ზღვის რეგიონი, როგორც ერთიანი პოლიტიკური და ეკონომიკური სივრცე ისტორიულად არ არსებობდა, თუმცაღა ცივი ომის დასრულებამ რასაც შედეგად ნატოსა და ევროკავშირის აღმოსავლეთის მიმართულების გაფართოება მოყვა, ბუნებრივად შექმნა რეგიონული თანამშრომლობისა და საერთო რეგიონული იდენტურობის განვითარების აუცილებლობა.

უსაფრთხოების ახალმა გარემომ რეგიონი ახალი რეალობის წინაშე დააყენა. ტერორიზმის წინააღმდეგ გლობალუ-

რი ომის დაწყებამ, კასპიის და ცენტრალური აზიის ენერგეტიკული რესურსების დასავლეთისაკენ გზის გახსნამ, ევრო-კავშირისა და ნატოს გაფართოებამ რეგიონს სატრაზიტო დერეფნის ფუნქცია შესძინა და შავი ზღვა ევროპულ ზღვად გადააქცია. ამ რეგიონის საშუალებით საქართველო ახდენს საკუთარი ევროპული იდენტურობის დემონსტრირებას დაევრო-ატლანტიკური მისწრაფებების განხორციელებას. საქართველო აქტიურად მონაწილეობს რეგიონული თანამშრომლობის ორ ეკონომიკურ ფორმატში: შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია BSEC (Black Sea economic Coorperation), დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია – სუამი, (საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი და მოლდოვა).

1992 წლის 25 ივნისს შავი ზღვის აუზის 11 ქვეყნის: ალბანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბულგარეთი, საქართველო, საბერძნეთი, მოლდოვა, რუმინეთი, რუსეთის ფედერაცია, თურქეთი და უკრაინა, (სერბეთი შეუერთდა 2004 წლიდან) სახელმწიფო და მთავრობათა მეთაურებმა ბოსფორის განცხადების მიღებითა და სტამბოლის პროტოკოლის დეკლარაციის ხელმოწერით შექმნეს შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (BSEC), რომელსაც საფუძვლად დაედო საერთაშორისო სამართლის სხვა საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები, რომლებიც დაფიქსირებულნი არიან გაეროს ქარტიაში, ჰელსინკის დასკვნით აქტში, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის თუ სხვა შესაბამის დოკუმენტებში.

შავი ზღვის აუზის ქვეყნების წინაშე ერთი და იმავე სახის პრობლემები დგას: უსაფრთხოება, დემოკრატიის კონსოლიდაცია, ლიბერალური ღირებულებების დანერგვა, ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია, რაც საჭიროს ხდის ერთობლივ ძალისხმევას. მაგრამ გარდა ამ საერთო ინტერესებისა, არსებობს ასევე საერთო კულტურული მემკვიდ-

რეობა, რომლის რეაქტივაცია ცხელს შეუწყობს ერთიანი რეგიონული სივრცის ჩამოყალიბებას.

პოსტსაბჭოთა იდენტობისათვის საქართველოს, როგორც დამოუკიდებლობა მოპოვებულ ქვეყანას შავი ზღვის რეგიონალურ იდენტობას კიდევ ერთი დამატებითი მახასიათებელი და ღირებულება ჰქონდა. სწორედ შავი ზღვა გახდა ის კულტურულ-გეოგრაფიული ორიენტირი, რომლის მიხედვითაც საქართველო. როგორც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანა, თავისი კულტურული განვითარებით ევროპული და ზოგადად, დასავლური აზროვნების კონტექსტში მოიაზრება.

მნიშვნელოვანი ფაქტორი ევროპის კავშირში გასაწევრიანებლად გეოპოლიტიკური მდგომარეობაცაა. საქართველო, როგორც სამხრეთ კავკასიის ქვეყანა, რეგიონალურ კონტექსტში მოიაზრება, როგორც ორ მეზობელ და დაპირისპირებულ ქვეყნებს შორის (აზერბაიჯანი, სომხეთი), უმთავრესი და მნიშვნელოვანი პარტნიორი. სამხრეთ კავკასიის ერთიან რეგიონად ჩამოყალიბება ისეთი სახით, როგორც ეს მოხდა ბალკანეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში, თითქმის წარმოუდგენელია. ევროპის პოლიტიკის კვლევის ცენტრის მიერ წამოყენებული იდეა "სამხრეთ კავკასიის საზოგადოების" ჩამოყალიბების თაობაზე პრაქტიკულად განუხორციელებელია, რადგან საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს საკმაოდ განსხვავებული პოლიტიკური კულტურა, განვითარების სხვადასხვა სახის სამოქალაქო საზოგადოება და დემოკრატიულობის არაერთგვაროვანი დონე გააჩნიათ. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს ასევე მკვეთრად განსხვავებული საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია აქვთ აღებული, რაც, თუ არ გამორიცხავს, პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის პოლიტიკური გაერთიანების შექმნას. თუნდაც ის ფაქტი, რომ საქართველოსგან განსხვავებით სომხეთი დსთ-ს თავდაცვის პაქტში შედის, ნათლად აჩვენებს მსგავსი გეგმის უტოპიურობას, თუმცა, ბალტიისპირეთის სამ ქვეყანასა და სამხრეთ კავკასიის სამ ქვეყანას შორის 2005 წელს დადებული მეგობრობისა და თანამშრომლობის

ხელშეკრულება 3+3 ახალ პერსპექტივებს უსახავს საქართველოს ევრინტეგრაციისაკენ რეგიონალურ ჭრილში.

თანამედროვე სამყაროში სრული დამოუკიდებლობა აღარ არსებობს. არსებობს დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა. საბჭოთა კავშირის დაშლა, მასში შემავალი სუბიექტების თავისუფლებისადმი წყურვილის გამო მოხდა, მაგრამ არა დამოუკიდებლობის განსაკუთრებული აუცილებლობით. მისი დაშლის პროცესი სწორედ იმის გამო დაიწყო, რომ სადღაც სხვაგან არსებობდნენ სისტემები, რომლებმაც თავისუფლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა შეძლეს. მათი გავლენა და მათი მიზიდულობის ძალა ბევრად უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ის ადმინისტრაციული სისტემა, რომელიც რკინის ხელით მართავდა აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის კონტინენტურ სივრცეს.

ევროპული ინტეგრაცია თავისთავად აკნინებს ერი-სახელმწიფოების დამოუკიდებლობას, მათ სუვერენიტეტს, მაგრამ ის ამავე ერების თავისუფლების გარანტიებს ქმნის და იცავს.

ევროპული ინტეგრაციის ლოგიკა უსწრებს მოვლენებს, დროსა და სივრცეს. მისი აუცილებელი შედეგი და უალტერნატივო გამოსავალი ევროკავშირის შეუზღუდავი გაფართოებით ევროპაში არსებული ყველა ქვეყნის ერთ დიდ გაერთიანებაში ჩართვაა. ეს გაერთიანება ობიექტური აუცილებლობაა ახალი დროისა. კულტურული, საგანმანათლებლო, ინფორმაციული სივრცის გაერთიანება წინ უსწრებს ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური რეჟიმების ჰარმონიზაციას, მაგრამ აუცილებლად აიძულებს მათ შექმნან ურთიერთმსგავსი სისტემები, რომლებიც ავტომატურად გამოიწვევენ არსებული საზღვრების მოშლას და ისნტიტუტებს შორის სრული კოორდინაციის დამყარებას, ან მათ შერწყმას.

ასევე, აუცილებელია იმის აღიარება, რომ მიუხედავად ცივი ომის დასრულებისა, ევრაზიის კონტინენტზე არსებობენ ისეთი განსხვავებულ იდეოლოგიურ საფუძვლებზე აგებული

საზოგადოებები, რომელთა ინტეგრაცია ევროპასთან დროის ამ ისტორიულ მონაკვეთზე წარმოუდგენელია.

ევროინტეგრაცია მჭიდრო კავშირშია ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციასთან, რადგანაც ეს უკანასკნელი სწორედ იმ ძირეული ფასეულობების დასაცავად არის შექმნილი, რომელიც ევროპულ ინტეგრაციას უდევს საფუძვლად. ამ თვალსაზრისით, საქართველოს სწრაფვა, გაწევრიანდეს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში, სრულ თანხვედრაშია ევროკავშირში გაწევრიანების ალბათ უფრო შორეულ, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვან მიზანთან.

საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობის დახასიათება დღეისათვის შეიძლება მხოლოდ ამ კონტექსტში: უახლოვდება ქვეყანა თუ არა ევროპის კავშირს.

ვერც საქართველო, ვერც სხვა პატარა ან თუნდაც დიდი ქვეყანა ვერ მოახერხებს ისეთი ეკონომიკური ან პოლიტიკური მოდელით განვითარებას, რომელიც წინააღმდეგობაში მოვა დამკვიდრებულ ევროპულ ფასეულობებთან. მით უმეტეს, ის ვერ მოახერხებს ასეთ შემთხვევაში მდგრადი, სტაბილური განვითარების უზრუნველყოფას, რადგანაც, ევროპული ინტეგრაციის პროცესში მონაწილეობას თავისი წესები გააჩნია. დაახლოება ევროპის კავშირთან მოითხოვს ქვეყნის ისეთ ტრანსფორმაციას, რომელიც ევროპასთან ერთგვაროვან რეჟიმში ფუნქციონირებას უზრუნველყოფს.

დამოუკიდებლობამოპოვებული ყოფილი საბჭოთა სოციალისტური და დემოკრატიული ქვეყნებისათვის შავი ზღვის აუზის რეგიონი იქცა თანაბარუფლებიანი, სრულმნიშვნელოვანი ქვეყნების ურთიერთობების არეალად.

გამოყენებული და ციტირებული ლიტერატურა:

1. საქართველოს შავი ზღვის პოლიტიკა – შავი ზღვის იდენტურობის ჩამოყალიბება; Policy Paper Series, Number 4, 2008. Public Policy Knowledge Network;
2. http://irdb.ge/?p=672
3. ევროკავშირი და საქართველო, შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ, თბ., 1996
4. ს. კაპანაძე, საქართველოს და ევროკავშირის დაახლოების პერსპექტივები, თბ., 2004
5. ევროინტეგრაცია და საქართველო, თბ., 2003
6. კ. გოგოლაშვილი, ევროკავშირის გაფართოება გლობალიზაციის პირობებში, თბ., 2003
7. ევროპის კონსტიტუცია, თბ., 2004
8. ევროპის სამეზობლო პოლიტიკა, თბ., 2004
9. ევროკავშირის მოღვაწეობა, თბ., 2003

Nino Popiashvili

Post-Soviet Identity in the Discourse of the Black Sea Pool Countries

Abstract

The Soviet mentality and public life was not known by concepts of uniform identity of the Black Sea Pool countries. At the same time, in Georgia as well as in other countries of the Pool, very little was known about the nearest states, located at the coast of the Black Sea; so little was known about a place of the Georgia as to a cultural part of this space. However, for definition of identity of Georgia the history of mutual cultural relations between the countries, located in the Black Sea Pool has great value.

The Black Sea as a history of mutual relations and modern cultural, religious and national communications is a subject of interest from the point of view of Post-Soviet identity. Except historical interrelations, urgency has brought modern - new and the newest - communications essentially differing from the former communications and creating prospect of development of mutual relations of absolutely new type.

For self-identification and cultural identity of the small nation the cultural-geographical space and an environment, in which these people live has a special value. After disintegration of the Soviet Union the former socialist republics have continued the history as the independent states. They tried to prove to the world that they were special and original, differed from each other and were unable to reveal their individuality in the conditions of existence of the USSR.

Except revealing the originality, it was also necessary to underline that historical similarities existed, which connected these countries with the West but in the conditions of a life in the Soviet Union they were absolutely forgotten. It`s natural, that from this point of view the Black Sea became the main reference point of cultural-historical identity.

In a Post-Soviet reality independent Georgia had one more additional characteristic line and value for regional identity of the Black Sea Pool countries. The Black Sea became the cultural-geographical reference point, following which Georgia as the East European state, is perceived by the cultural development in a context as European and in general, as the part of Western thinking.

For the former Soviet Socialist countries, as well as for other democratic countries, the Black Sea Region is considered as the area of interrelation of the countries of equal rights and importance.

ისტორიის სახელმძღვანელო და ეთნიკური უმცირესობები: პრობლემები და პერსპექტივები

თამარ ქარაია
თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, პოლიტიკურ მეცნიერებათა მიმართულება, დოქტორანტი.

საქართველო მრავალეთნიკური ქვეყანაა. რომლის დაახლოებით 13%-თვის ქართული მშობლიურ ენას არ წარმოადგენს. რაც წარმოშობს უამრავ პრობლემას, რომელთა დიდი ნაწილი საზოგადოებაში ინტეგრაციასთან და განათლების პრობლემასთან არის დაკავშირებული. ამის საფუძვლები შეიძლება უახლოეს წარსულში ვეძიოთ, როდესაც საქართველოში ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში ძირითად საურთიერთობო ენას რუსული წარმოადგენდა და სახელმწიფო ენის ცოდნა პრიორიტეტული აღარ იყო, რაც რუსულენოვან სკოლებში ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა თავმოყრას განაპირობებდა. შესაბამისად რუსული ენის ცოდნა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს აძლევდა საზოგადოებასთან ინტეგრაციის და კარიერული წინსვლის საშუალებას.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამ მხრივ განსაკუთრებულ რთულ ვითარებაში იმ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები აღმოჩნდნენ, რომლებიც სასაზღვრო რაიონებში კომპაქტურად იყვნენ ჩასახლებულნი. უმთავრესად ესენი არიან სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები სომხები და ქვემო ქართლში მცხოვრები აზერბაიჯანელები. რუსულმა ენამ თანდათან დაკარგა საკომუნიკაციო ენის ფუნქცია, შესაბამისად რუსული ენის სწავლის მოტივაცია გარკვეულწილად ჩანაცვლებულ იქნა ქართული ენით, მაგრამ პრობლემები ამ მიმართულებით ჯერ კიდევ დიდია.

"საქართველოს კანონის ზოგადი განათლების შესახებ" თანახმად *საქართველოს მოქალაქეებს, რომელთათვისაც ქართული ენა არ არის მშობლიური უფლება აქვთ მიიღონ სრული*

ზოგადი განათლება მათ მშობლიურ ენაზე, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამასთანავე 2011 წლიდან ძალაში შედის შესწორება, რომლის თანახმად არაქართულენოვან სკოლებში სხვადასხვა საზოგადოებრივი მეცნიერებების, მათ შორის საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის გაკვეთილების ქართულ ენაზე წარმართვა სავალდებულო ხდება.[1]

მაგრამ ქართული ენის ცოდნის იმ დონის გათვალისწინებთ რასაც მოსწავლეები ავლენენ, აშკარაა, რომ ამ დებულების განხორციელება სიძნელეების წინაშე დადგება.[2] არაქართულენოვან საჯარო სკოლების მოსწავლეთა რაოდენობა არ არის უმნიშვნელო და 2008 წლის მონაცემებით მოსწავლე-

---

[1] ეთნიკური და ლინგვისტური მრავალფეროვნების პირობებში საქართველოს მთავრობა პასუხისმგებლობას იღებს ისეთი ერთიანი პოლიტიკის გატარებაზე, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს ყველა მოქალაქის ინტეგრაციას ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში... ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციისთვის საჭიროა სახელმწიფო ენის ცოდნა და მათი ლინგვისტური და კულტურული იდენტობის დაცვა.
ქართული ენის პროგრამა, თბილისი 2009. **http://www.diversity.ge/files/files/georg-lang-geo-2009.pdf**
ჩვენი მიზანია, შევუნარჩუნოთ ისტორიული სამშობლოს ენა ეთნიკურ უმცირესობებს, არ ვაპირებთ მათი მშობლიური ენის ქართულით ჩანაცვლებას, გვინდა მათ ქართული სახელმწიფო ენა საკომუნიკაციო საშუალებად შევასწავლოთ. ამის შემდეგ ეს მოსახლეობა შეძლებს თვითრეალიზაციას. *საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის კომიტეტის სხდომის ოქმი №93 2007.06.28*

[2] ეროვნულ უმცირესობათა მიერ ქართული ენის ცოდნის დონე

ეროვნული უმცირესობა	თბილისი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი
სომეხი	96.4%	24.6%	------
აზერბაიჯანელი	95.6%	------	16.9%

"National Integration and Tolerance in Georgia Assessment Survey Report" (October 2008),გვ. 36
http://www.una.ge/eng/artdetail.php?id=74&group=documents

თა საერთო რაოდენობის 8.79 %-ს შეადგენს.

ქართული ენის არცოდნასთან პირდაპირ კავშირშია ისტორიის სწავლების პრობლემა, რადგანაც სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი წიგნებით, რომლებიც როგორც წესი ქართულ ენაზეა, სწავლებას გამორიცხავს.

ასევე განვიხილავთ მეორესაკითხს, რომელიც თავად სახელმძღვანელოების შინაარსს ეხება, კერძოდ თუ როგორ არიან უმცირესობები წარმოჩენილნი ამ სახელმძღვანელოებში, და როგორია თავად მათი დამოკიდებულება ქართული სასკოლო წიგნებისადმი.

ცნობილია, რომ 2007 წლამდე სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში გამოყენებოდა შესაბამისად სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან შემოტანილი სახელმძღვანელოები, ხოლო უკვე 2007 წლიდან უმცირესობათა ენაზე ნათარგმნი სახელმძღვანელოების გამოყენება გახდა სავალდებულო. მაგრამ ამით პრობლემა არ გადაჭრილა, რადგანაც სახელმძღვანელოები ადრეც ითარგმნებოდა, მაგრამ ისინი მეზობელი სახელმწიფოებიდან შემოტანილი წიგნების ჩანაცვლებას ვერ ახდენდა.

დღესდღეობით ზემოთაღნიშნულ პრობლემას საზოგადოებაში არსებული სახელმწიფოს საგანმანათლებლო პოლიტიკისადმი ნეგატიური განწყობილებაც ემატება, რაც ძირითადად წიგნების შემოტანის აკრძალვით და სასწავლო კურიკულუმის პრიორიტეტებით არის განპირობებული.

მაგალითად: ჯავახეთის სომხური მოსახლეობა მიიჩნევს, რომ ერევნიდან სახელმძღვანელოების შემოტანის შეზღუდვით, თბილისი ცდილობს რეგიონში სომხეთის ისტორიის სწავლებას ხელი შეუშალოს. საქართველოს განათლების სამინისტროს სასწავლო გეგმის თანახმად სომხეთის ისტორია ფაკულტატურია და არასავალდებულო. ამას სომხეთის ისტორიის მასწავლებელთა მცირე რაოდენობა ემატება, მაგრამ მათი თქმით მთავარი პრობლემაა საქართველოს განათლების სამინისტროს გადაწყვეტილება რომლის მიხედვითაც, მეზობელი ქვეყნიდან სომხეთის ისტორიის სახელმძღვანელოების საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანა შეიზღუდა, რის გამოც ამ

საგნის სწავლება კიდევ უფრო გართულდა.[1]

10 წლის განმავლობაში ჯავახეთის სკოლებს სხვადასხვა საგნების სახელმძღვანელოებს სომხური მხარე საჩუქრად უგზავნიდა. როგორც საქართველოს განათლების სამინისტროში აცხადებენ, 2004 წელს მხარეები სიტყვიერად შეთანხმდნენ, რომ სომხურ მხარეს ჯავახეთში სომხეთის ისტორიის და გეოგრაფიის სახელმძღვანელოები არ უნდა შემოეტანა, მაგრამ ოფიციალური ერევანი ამ შეთანხმებას სისტემატიურად არღვევდა. დაწესებული შეზღუდვის მიუხედავად, სომხეთ-საქართველოს საზღვარს წიგნებით დატვირთული მანქანები უპრობლემოდ კვეთდნენ, მანამ სანამ საქართველოს მთავრობამ სახელმძღვანელოებით დატვირთული მანქანა 2007 წელს უკან არ მიაბრუნა, იმ მოტივით, რომ *სომხეთის ისტორიის სახელმძღვანელოების საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანა სანქცირებული არ არის.*

იგივე განმეორდა 2008 წელს. აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს პოზიცია შემდეგნაირია, რომ "სომხეთის ისტორიის" საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანა აკრძალულია თავად ამ წიგნის შინაარსიდან გამომდინარე, ის სამცხე ჯავახეთის მოსახლეობაში სეპარატისტულ განწყობილების ზრდას უწყობს ხელს, რაც თავის მხრივ ხელს უშლის საქართველოში მცხოვრები სომხების საზოგადოებასთან ინტეგრაციას.

ძირითად პრობლემას ის წარმოადგენს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანილი "სომხეთის ისტორიის" სახელმძღვანელოები შექმნილია სომეხი ისტორიკოსების, მიერ და ასახავს ქართული ისტორიოგრაფიისგან განსხვავებულ, ხშირ შემთხვევაში მასთან დაპირისპირებულ და შესაბამისად მიუღებელ ნარატივს.

განსხვავებული ვერსიების სახით შეიძლება მოვიყვანოთ ერთი მაგალითი, სომხეთის ისტორიის მე-8 კლასის სახელ-

[1] ერთი სამშობლოს ორი ისტორია. 29.05. 2009.
http://liberali.ge/node/61

მძღვანელოში სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები მოსწავლეები კითხულობენ, რომ მათი მშობლიური მხარე 1918 წელს სომხეთის შემადგენლობაში შედიოდა და რომ საქართველომ გადაწყვიტა ეს რეგიონი თავის საზღვრებში მოექცია, რის გამოც დაიწყო ომი ერევანთან.[1]

ხოლო საქართველოს ისტორიის მე-9 კლასის სახელმძღვანელოში წაიკითხავენ, რომ 1918 წელს საქართველოსთან ომი სომხეთმა იმიტომ დაიწყო, რომ საქართველოს ტერიტორიის ნაწილი – ჯავახეთიმიეთვისებინა.

ზემოთთქმულს ემატება სომეხი ისტორიკოსების ბრალდება საქართველოს მთავრობის მისამართით, რომ ეს უკანასკნელი ახორციელებს, ჯავახეთში მცხოვრები მოსახლეობის ასიმილაციის პოლიტიკას დაამახინჯებს ისტორიას.

80-იანი წლების ბოლოს, როცა ჯავახეთში ნაციონალური მოძრაობის ტალღა აგორდა, სომხეთის ისტორიის სწავლება ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა იყო. მაშინ ბევრმა ადგილობ-

---

[1]თუმცა მკვლევართა ნაწილი (ძირითადად სომეხი ეროვნების) მიუთითებს სომხეთის ისტორიაში საქართველოს როლის ნეიტრალურ ან დადებით ხასიათზე. მაგალითად ხაზგასმულია, რომ მე-V საუკუნეში კავკასია და ალბანეთი იყვნენ სომხეთის მოკავშირეები სასანიდური ირანის წინააღმდეგ. ინტერესთა თანხვედრის იდეა ქართველებსა და სომხებს შორის შემდეგაც ვითარდება არაბი ბიზანტიელი და სელჩუკი დამპყრობლების წინააღმდეგ. ვითარება იცვლება XX საუკუნის მოვლენების აღწერისას. თუმცა "სომხეთ საქართველოს ომის" ნაცვლად ნეიტრალური ტერმინი "სომხურ-ქართული დაპირისპირება გამოიყენება". (**История Армении в контексте мировой истории** *10-ый класс*) ხოლო მეორე სახელმძღვანელოში საუბარია მხარეთა დაპირისპირებაზე ლორესა და ჯავახეთის ტერიტორიის გამო: "1918 წლის დეკემბერში ბრძოლა ლორესათვის გადაიზარდა სომხურ-ქართულ ომში, რომელიც დასრულდა სომეხი სამხედროების მიერ ტერიტორიის დაკავებით, ხოლო ახალქალაქის ოლქი (ჯავახეთი/ჯავახკი) შეიერთა საქართველომ (**История Армении для 8-ого класса**)

Золян.М Закарян. Т. *Образы себя и образы других в учебниках истории Армении*კრებულში*Современные уебники истории на Южном Кавказе* под ред. Л. Веселого 2009 Assosiation for International Affairs.

რივმა სკოლამ ეს საგანი საკუთარი ინიციატივით შეიტანა სასწავლო პროგრამაში. ჯავახეთში სომხეთის ისტორიის სწავლებას თავად ერევანში პოლიტიკურ თემად განიხილავენ, ამ საკითხის გარშემო წარმოქმნილ პრობლემებს კი, ოფიციალური თბილისის მხრიდან ადგილობრივი სომხების შევიწროებად.

"თბილისი ჯავახეთში ძალიან უცნაურ პოლიტიკას ატარებს, რომლის მიზანი სომეხი მოსახლეობის ასიმილაციაა... საქართველოს ხელისუფლება სომხურ სკოლებს სთავაზობს წიგნებს, სადაც ისტორია სრულიად დამახინჯებულია. სომეხი ახალგაზრდები ამ სახელმძღვანელოში კითხულობენ, რომ თურმე ყარაბაღი, სიუნიკი, ლორი – სომხური ტერიტორიებიარარის..." – (საზოგადოებრივი ორგანიზაციების კავშირის" ერკირის" ხელმძღვანელი რობერტ თათოსიანი).[1]

მოსახლეობის განწყობა ისტორიის სწავლებისადმი შეიძლება ითქვას ერთგვაროვანია და მიუთითებს, რომ მათი ისტორიული სამშობლოს ისტორია ისევე მნიშვნელოვანია და თანასწორია მათთვის, როგორც საქართველოს ისტორია და მსოფლიოს ისტორია.[2]

საქართველოს განათლების სამინისტროში აცხადებენ, რომ სომხურ სკოლებში უფლება აქვთ ისწავლონ "სომხეთის ისტორია", როგორც ფაკულტატური საგანი. მაგრამ სახელმძღვანელოების დეფიციტის პრობლემასა და ორი ქვეყნის ისტორიის წიგნებში განსხვავებული ნარატივის არსებობის პრობლემაზე რეალურად არავინ მუშაობს.

როგორც ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ყოფილმა ხელმძღვანელმა სიმონ ჯანაშიამ განაცხადა, განათლების სამინისტრომ ორჯერ სცადა ისტორიის სახელმძღვანელოებში შინაარსობრივი წინააღმდეგობების პრო-

---

[1] ერთი სამშობლოს ორი ისტორია. 29.05. 2009. http://liberali.ge/node/61

[2] Gundarel. 2007, The *Teaching of History in Georgia. With special focus on the Armenian and Azeri Minorities and their representation in Georgian history textbooks*, History Teaching in Georgia: representation of Minorities in Georgian history textbooks. Geneva. Cimera , pp. 50

ბლემის გადაჭრა, თუმცა, ორივე ცდა უშედეგოდ დასრულდა.

რამდენიმე წლის წინ განათლების სამინისტრომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას სპეციალური კომისიის შექმნა შესთავაზა. კომისიის ფარგლებში ქართველ და სომეხ ისტორიკოსებს ერთად უნდა ემუშავათ და სადავო ისტორიულ მოვლენებზე საერთო პოზიცია ჩამოეყალიბებინათ. ხუთი ქართველი ისტორიკოსისგან დაკომპლექტებული კომისია შედგა. თუმცა, ეს ინიციატივა მალევე და უშედეგოდ დასრულდა ისე, რომ ქართველი ისტორიკოსები სომეხ კოლეგებს არ ცშეხვედრიან.

მიუხედავად ამისა საქართველოს განათლების სამინისტრო კიდევ ერთი ინიციატივით გამოვიდა: სომხეთის განათლების უწყებას თან ერთად უნდა შექმნილიყო სომხეთის ისტორიის ერთობლივი სახელმძღვანელო, სადაც ამა თუ იმ სადავო ისტორიული მოვლენის ყველა ვერსია მოხვდებოდა, მაგრამ აღნიშნულმა საკითხმა სომხური მხარის დაინტერესება არ გამოიწვია.

ერევანში კი პირიქით, საუბარია ქართული მხარის მიერ ინტერესის არქონაზე გადაჭრილიყო აღნიშნული საკითხი[1].

დაახლოებით მსგავსი სიტუაციაა ქვემო ქართლში აზერბაიჯანის ისტორიის სწავლებასთან მიმართებაში. აზერბაიჯანული ნარატივი, მსგავსად სომხურისა მიუღებელია ქართველი ისტორიკოსებისათვის.[2]

---

[1]"უარს ნამდვილად არ ვიტყოდით, ყოველ შემთხვევაში, დავსხდებოდით და ამ საკითხზე ვიმსჯელებდით მაინც", – სომხეთის განათლების სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის საქმეთა დეპარტამენტის ხელმძღვანელი ნუნევარდანიანი.
ერთი სამშობლოს ორი ისტორია. 29.05. 2009.
http://liberali.ge/node/61

[2]ჯ. სამუშიას კომენტარი: "აზერბაიჯანი, როგორც სახელმწიფო და ქვეყანა, იმდროს არც არსებობდა. ეს არ არის აზერბაიჯანის ისტორია. წიგნში მოცემულია ირანის, მაჰმადიანური საამიროების, ალბანეთის, შირვანის, ნაწილობრივ საქართველოს ისტორია და ყოველივე ეს შეკრულია აზერბაიჯანის ისტორიის ქარგის ქვეშ".

რივმა სკოლამ ეს საგანი საკუთარი ინიციატივით შეიტანა სასწავლო პროგრამაში. ჯავახეთში სომხეთის ისტორიის სწავლებას თავად ერევანში პოლიტიკურ თემად განიხილავენ, ამ საკითხის გარშემო წარმოქმნილ პრობლემებს კი, ოფიციალური თბილისის მხრიდან ადგილობრივი სომხების შევიწროებად.

"თბილისი ჯავახეთში ძალიან უცნაურ პოლიტიკას ატარებს, რომლის მიზანი სომეხი მოსახლეობის ასიმილაციაა... საქართველოს ხელისუფლება სომხურ სკოლებს სთავაზობს წიგნებს, სადაც ისტორია სრულიად დამახინჯებულია. სომეხი ახალგაზრდები ამ სახელმძღვანელოში კითხულობენ, რომ თურმე ყარაბაღი, სიუნიკი, ლორი – სომხური ტერიტორიებიარარის..." – (საზოგადოებრივი ორგანიზაციების კავშირის" ერკირის" ხელმძღვანელი რობერტ თათოსიანი).[1]

მოსახლეობის განწყობა ისტორიის სწავლებისადმი შეიძლება ითქვას ერთგვაროვანია და მიუთითებს, რომ მათი ისტორიული სამშობლოს ისტორია ისევე მნიშვნელოვანია და თანასწორია მათთვის, როგორც საქართველოს ისტორია და მსოფლიოს ისტორია.[2]

საქართველოს განათლების სამინისტროში აცხადებენ, რომ სომხურ სკოლებში უფლება აქვთ ისწავლონ "სომხეთის ისტორია", როგორც ფაკულტატური საგანი. მაგრამ სახელმძღვანელოების დეფიციტის პრობლემასა და ორი ქვეყნის ისტორიის წიგნებში განსხვავებული ნარატივის არსებობის პრობლემაზე რეალურად არავინ მუშაობს.

როგორც ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ყოფილმა ხელმძღვანელმა სიმონ ჯანაშიამ განაცხადა, განათლების სამინისტრომ ორჯერ სცადა ისტორიის სახელმძღვანელოებში შინაარსობრივი წინააღმდეგობების პრო-

---

[1]ერთი სამშობლოს ორი ისტორია. 29.05. 2009. http://liberali.ge/node/61

[2]Gundarel. 2007, The *Teaching of History in Georgia. With special focus on the Armenian and Azeri Minorities and their representation in Georgian history textbooks*, History Teaching in Georgia: representation of Minorities in Georgian history textbooks. Geneva. Cimera , pp. 50

ბლემის გადაჭრა, თუმცა, ორივე ცდა უშედეგოდ დასრულდა.

რამდენიმე წლის წინ განათლების სამინისტრომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას სპეციალური კომისიის შექმნა შესთავაზა. კომისიის ფარგლებში ქართველ და სომეხ ისტორიკოსებს ერთად უნდა ემუშავათ და სადავო ისტორიულ მოვლენებზე საერთო პოზიცია ჩამოეყალიბებინათ. ხუთი ქართველი ისტორიკოსისგან დაკომპლექტებული კომისია შედგა. თუმცა, ეს ინიციატივა მალევე და უშედეგოდ დასრულდა ისე, რომ ქართველი ისტორიკოსები სომეხ კოლეგებს არ ცშეხვედრიან.

მიუხედავად ამისა საქართველოს განათლების სამინისტრო კიდევ ერთი ინიციატივით გამოვიდა: სომხეთის განათლების უწყებას თან ერთად უნდა შექმნილიყო სომხეთის ისტორიის ერთობლივი სახელმძღვანელო, სადაც ამა თუ იმ სადავო ისტორიული მოვლენის ყველა ვერსია მოხვდებოდა, მაგრამ აღნიშნულმა საკითხმა სომხური მხარის დაინტერესება არ გამოიწვია.

ერევანში კი პირიქით, საუბარია ქართული მხარის მიერ ინტერესის არქონაზე გადაჭრილიყო აღნიშნული საკითხი[1].

დაახლოებით მსგავსი სიტუაციაა ქვემო ქართლში აზერბაიჯანის ისტორიის სწავლებასთან მიმართებაში. აზერბაიჯანული ნარატივი, მსგავსად სომხურისა მიუღებელია ქართველი ისტორიკოსებისათვის.[2]

---

[1] "უარს ნამდვილად არ ვიტყოდით, ყოველ შემთხვევაში, დავსხდებოდით და ამ საკითხზე ვიმსჯელებდით მაინც", – სომხეთის განათლების სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის საქმეთა დეპარტამენტის ხელმძღვანელი ნუნევარდანიანი.
ერთი სამშობლოს ორი ისტორია. 29.05. 2009.
http://liberali.ge/node/61

[2] ჯ. სამუშიას კომენტარი: "აზერბაიჯანი, როგორც სახელმწიფო და ქვეყანა, იმდროს არც არსებობდა. ეს არ არის აზერბაიჯანის ისტორია. წიგნში მოცემულია ირანის, მაჰმადიანური საამიროების, ალბანეთის, შირვანის, ნაწილობრივ საქართველოს ისტორია და ყოველივე ეს შეკრულია აზერბაიჯანის ისტორიის ქარგის ქვეშ".

მაგალითად მერვე კლასის აზერბაიჯანის ისტორიის სახელმძღვანელო იმით იწყება, თუ როგორ ცდილობდნენ ქართველები აზერბაიჯანის დაპყრობას. ამონარიდი აზერბაიჯანიდან შემოტანილი ისტორიის სახელმძღვანელოდან:

- "ქართველმა და სომეხმა ფეოდალებმა ბიზანტიის - შუამავლობით თურქ-სელჩუკებთან საბრძოლველად ჯვაროსნებთან დაამყარეს კავშირი. ამით ცდილობდნენ, კავკასიიდან გაეძევებინათ მუსლიმანური ფაქტორი და დაენაწილებინათ აზერბაიჯანული მიწები;
- 1120 წელს დავით მეოთხე თავს დაესხა შირვანს, გაატამტვერა ქალაქი გაბალა და, მისი შემოგარენი, წაიღო აზერბაიჯანის სიმდიდრე და წავიდა;
- 1122 წელს თბილისი ქართველების ხელში გადავიდა. 1166 წელს ქართველთა ჯარები თავს დაესხნენ ქალაქ დაბილს, რომელიც იმ დროს ელდენიზების სახელმწიფოს ეკუთვნოდა. მოკლეს 10 ათასი კაცი, ბავშვები და ქალები გააშიშვლეს და ტყვედ წაიყვანეს. მხოლოდ ქართველი ქალების პროტესტის შემდეგ დაუბრუნეს მათ სამოსი;
- ტიფლისი არანის (დღევანდელი აზერბაიჯანის ნანილია) ქალაქი იყო. მართალია, ბარდასა და დერბენტზე პატარა იყო, მაგრამ ქალაქი ყვაოდა და უმდიდრესი იყო";[1]

ზემოთაღნიშნული ფაქტები მოწმობს, რომ ისტორიის სომხური და აზერბაიჯანული სახელმღვანელოები ნაცვლად საქართველოს მოქალაქისა, შესაძლოა პოტენციური "მტრის" აღზრდის ხელშემწყობი ფაქტორი აღმოჩნდეს.

---

http://www.ambebi.ge/sazogadoeba/7550-qsheni-qveynis-dedaqalaqs-istoriis-sakhelmdzghvaneloshi-azerbaijanul-qalaqad-gickhadeben-da-es-argatsukhebsq.html#ixzz0lop8Tqyp

[1] შენი ქვეყნის დედაქალაქს ისტორიის სახელმძღვანელოში აზერბაიჯანულ ქალაქად გიცხადებენ და ეს არ გაწუხებს? 20-07-2009http://www.ambebi.ge/sazogadoeba/7550-qsheni-qveynis-dedaqalaqs-istoriis-sakhelmdzghvaneloshi-azerbaijanul-qalaqad-gickhadeben-da-es-argatsukhebsq.html

თავად ქართული სახელმძღვანელოების სომხურად და აზერბაიჯანულად თარგმნას 2007 წლამდე სოროსის ფონდი აფინანსებდა, ხოლო შემდეგ ეს საქმიანობა ბანკმა" რესპუბლიკამ" და ჰოლდინგმა "საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი" გაგრძელა. საბოლოო ჯამში დაგეგმილი იყო 21 სახელმძღვანელოს თარგმნა.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ მიღებული თარგმანი ვეღარ აკმაყოფილებდა მოთხოვნილ დონეს, რასაც ბეჭდვის შედეგად დაშვებული ხარვეზები და თან სახელმძღვანელოების ძვირადღირებულება ემატებოდა[1], შედეგად მაღალფასიან ქართულ ისტორიის წიგნებს ბაქოდან და ერევნიდან შემოტანილი უფასო სახელმძღვანელოებით ანაცვლებენ. მაგალითად ასევე მოხდა სამცხე ჯავახეთში, როდესაც გამომცემლობა "ინტელექტის" მიერ სომხურ ენაზე ნათარგმნ და დაიბეჭდილ კოტე ანთაძის მე-6 კლასის "ძველი მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო" რეალიზაცია საერთოდ ვერ მოხერხდა, მისი სომხური ალტერნატივის უფასოდ დარგების გამო.[2]

რაც შეეხება უშუალოდ ქართულ სახელმძღვანელოებში ეთნიკური უმცირესობების წარმოჩენას. ისტორიის სწავლების ახალი მიდგომის თანახმად საქართველოს ისტორიის ახალ სახელმძღვანელოებში საქართველოს ისტორია განხილულია მსოფლიო ისტორიის კონტექსტში, რამაც "სიმერას" მონაცემებით თავად საქართველოს ისტორიას მიაყენა ზარალი, რადგანაც "მე -7 კლასის სახელმძღვანელოში, რომლის მოცულობა დაახლოებით 350 გვერდია საქართველოს ისტორიას უძველესი დროიდან მე-18 საუკუნემდე, მხოლოდ 20 გვერდი ეთმობა"[3].

---

[1]აზერბაიჯანულ სკოლებში პედაგოგები აზერბაიჯანიდან შემოტანილი სახელმძღვანელოებით ასწავლიან
http://www.cida.ge/media/geo/reginfo.php?id=3019

[2] პაიჭაძე. დ. *საშუალო სკოლების სახელმძღვანელოების გამოცემასა და რეალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები,* რადიო "თავისუფლების" რუბრიკა "მეათე სტუდია"
http://www.tavisupleba.org/content/article/1522665.html

[3] Gigineishvili L. 2007. Post Reform History text-books in Georgia: Changing patterns and the issue of minorities in Georgian history, History

ამასთანავე ქართულ სახელმძღვანელოებზე საუბრისას ერთხმად მიუთითებენ მის ეთნოცენტრისტულ ხასიათზე და რომ ეს სახელმძღვანელოები მხოლოდ ეთნიკურად ქართველებისთვის იწერება და იმ პირთა ხსენებისას, რომელთაც გარკვეული როლი შეასრულეს საქართველოს ისტორიაში, მაგალითად ზაქარია და ივანე მხარგრძელები, რომლებიც ქურთული (სხვა ვერსიით სომხური) წარმოშობისანი იყვნენ, არ არის აღნიშნული მათი არაქართული წარმომავლობა.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ არის კონკრეტულ სახელმძღვანელოები სადაც განსხვავებული სურათია. მაგალითად: მე-10 კლასის სახელმძღვანელოში (პ. რამიშვილი) ხაზგასმულია, საქართველოს ერთ-ერთ უდიდესი მეფის დავით IV აღმაშენებლის ცოლების არაქართული წარმომავლობა.[1]

შესაბამისად, როგორც ორგანიზაცია "სიმერას" მიერ განხორციელებული პროექტის დასკვნით ნაწილშია საუბარი, საქართველოს ისტორიის ახალი სახელმძღვანელოებით ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ისწავლიან კოსმოპოლიტურ მსოფლიო ისტორიას, შესაბამისად ნაკლებ საქართველოს ისტორიას, რომელშიაც მათი წვლილი თითქმის, არ არის ასახული ან უკეთეს შემთხვევაში გაკვრით ეხება და რომელთანაც საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ძნელად თუ მოახდენენ.

თავის მხრივ სომხეთი და აზერბაიჯანი, მიუხედავად იმისა, რომ სახელმძღვანელოების შემოტანა საქართველოს ტერიტორიაზე აკრძალულია აქტიურად ეწევიან ისტორიის საკუთარი ვერსიის პროპაგანდას.

მაგალითად: სამცხე-ჯავახეთში, ყოველი წლის 28 მაისს სომხეთის დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ეწყობა სომხეთის ისტორიის ოლიმპიადა, რომელშიც გამარჯვებუ-

---

Teaching in Georgia: representation of Minorities in Georgian history textbooks. Geneva. Cimera , pp. 12

[1]GundareI. 2007, The *Teaching of History in Georgia. With special focus on the Armenian and Azeri*

Minorities and their representation in Georgian history textbooks, History Teaching in Georgia: representation of Minorities in Georgian history textbooks. Geneva. Cimera , pp. 47

ლი ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე უფასოდ ისწავლის, ხოლო აზერბაიჯანის საზღვრისპირა სოფლებში მაგალითად ვახტანგისში ყოველდღე გადმოდიან აზერბაიჯანელი მასწავლებლები და ბავშვებს აზერბაიჯანის ისტორიასა და გეოგრაფიას უფასოდ ასწავლიან[1].

მოცემული პრობლემის გადასაჭრელად გარდა სახელმძღვანელოების შინაარსის გადახედვისა, შესაძლოა არანაკლებ ეფექტური აღმოჩნდეს ისტორიის სახელმძღვანელოების ქართული ვერსიის თუ უფასოდ არა შეღავათიან ფასებში მაინც დარიგება, (საწყის ეტაპზე მაინც) რათა ისტორიის ქართულმა წიგნებმა კონკურენცია გაუწიოს აზერბაიჯანულ და სომხურ ალტერნატივებს, რომელიც მიუხედავად აკრძალვისა დღესაც შემოდის საქართველოს ტერიტორიაზე.

გარდა ამისა სასურველია სახელმძღვანელოების შინაარსში აისახოს, რომ საქართველოში გარდა ქართველებისა ასევე ცხოვრობდნენ სხვა ეთნოსის წარმომადგენლები და რომ მათ გარდა უარყოფითისა დადებითი წვლილიც შეიტანეს ქვეყნის განვითარებაში. მსგავსი დამოკიდებულება ხელს შეუწყობს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების საზოგადოებაში ინტეგრაციას და საქართველოს სრულუფლებიან მოქალაქედ აღქმას.

საქართველოს მიერ არჩეულ დემოკრატიის მშენებლობისთვის ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორად სამოქალაქო იდენტობის განვითარება გვესახება, რომელიც ერთიანი, სახელმწიფოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებას გულისხმობს. აღნიშნულის ჩამოყალიბებისთვის კი აუცილებელია საგანმანათლებლო პოლიტიკის იმ კუთხით მიმართვა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სკოლებში იზრდებოდეს არა ქართველი, სომეხი ან აზერბაიჯანელი არმედ საქართველოს მოქალაქე.

---

[1]შენი ქვეყნის დედაქალაქს ისტორიის სახელმძღვანელოში აზერბაიჯანულ ქალაქად გიცხადებენ და ეს არ გაწუხებს? 20-07-2009http://www.ambebi.ge/sazogadoeba/7550-qsheni-qveynis-dedaqalaqs-istoriis-sakhelmdzghvaneloshi-azerbaijanul-qalaqad-gickhadeben-da-es-argatsukhebsq.html

Abstract

Tamar Karaia – PhD Student of the Faculty of Social and Political Sciences of TSU.

The problem of teaching history to national minorities

Georgia is a multiethnic country and for about 13% of the population Georgian is not a native language. This fact couses multiple problems, the great majority of which are connected with the integration in society and the problem of education. The causes of the issue could be found in the recent past. In Georgia, as well as in the whole USSR the main language of communication was Russian and the learning of the national language was not a priority. Consequently the knowledge of the Russian language was an opportunity to the national minorities for the social integration.

The problem of teaching history is directly connected with the fact of not knowing the Georgian language as the textbooks approved by the state are in Georgian and cannot be used for national minorities as usual. (but from the 2010 the amendment will enter into force which will make mandatory to learn various sciences, among them Georgian history and Geography, in Georgian.)

It is known that before 2007 in Samtskhe-javakheti and Shida Qartli the textbooks from Armenia and Azerbaijan respectively were used. From 2007 it became mandatory to use translated versions of the books for the national minorities.

In the research, besides the content of the textbooks we also present the attitudes of the representatives of the national minorities towards the Georgian textbooks.

გამოყენებული და ციტირებული ლიტერატურა:

1. აზერბაიჯანულ სკოლებში პედაგოგები აზერბაიჯანიდან შემოტანილი სახელმძღვანელოებით ასწავლიან

http://www.cida.ge/media/geo/reginfo.php?id=3019

2. ბთკკ – პოლიტიკის კვლევის ჯგუფი. 2008, *ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის ანალიზი*
3. უიტლი ჯ. 2009, *საქართველოში სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების ინტეგრაცია; მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის ხუთი წელიწადი*ECMI-ს სამუშაო მოხსენება №44
4. მეხუზლა ს. როშე ე. 2009, *განათლების რეფორმა და ეთნიკური უმცირესობები.* ECMI-ს სამუშაო მოხსენება №46
5. საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის კომიტეტის სხდომის ოქმი №93 2007.06.28
6. *შენი ქვეყნის დედაქალაქს ისტორიის სახელმძღვანელოში აზერბაიჯანულ ქალაქად გიცხადებენ და ეს არ გაწუხებს?* 20-07-2009
   http://www.ambebi.ge/sazogadoeba/7550-qsheni-qveynis-dedaqalaqs-istoriis-sakhelmdzghvaneloshi-azerbaijanul-qalaqad-gickhadeben-da-es-ar-gatsukhebsq.html
7. პაიჭაძე. დ. 09.08. 2002.საშუალო *სკოლების სახელმძღვანელოების გამოცემასა და რეალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები,* რადიო "თავისუფლების" რუბრიკა "მეათე სტუდია"
   http://www.tavisupleba.org/content/article/1522665.html
8. Gigineishvili L. 2007. *Post Reform History text-books in Georgia: Changing patterns and the issue of minorities in Georgian history,* History Teaching in Georgia: representation of Minorities in Georgian history textbooks. Geneva. Cimera
9. Gundare I. 2007. *The Teaching of History in Georgia. With special focus on the Armenian and Azeri Minorities and their representation in Georgian history textbooks*, History Teaching in Georgia: representation of Minorities in Georgian history textbooks. Geneva. Cimera

პოლიტიკური ინტეგრაცია ევროკავშირში

გიზო ჭელიძე
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის, საერთაშორისო ურთიერთობის
მიმართულება, დოქტორანტი

„ბოლო ნახევარი საუკუნის მანძილზე ევროპული ინტეგრაცია იყო პრობლემატური, თუმცა წარმატებული."
ანდრეს მალამუდი (10. გვ.4)

შესავალი

ბოლო 60 წლის მანძილზე მსოფლიო თვალს ადევნებს ევროპის კონტინენტზე რეგიონული ინტეგრაციის უნიკალურ შემთხვევას – ევროკავშირის ჩამოყალიბებას. სახელმწიფოთა კოლექტიური თანამშრომლობის მრავალი მაგალითი არსებობს. უფრო მეტიც, დღეისათვის მოქმედ გავლენიან საერთაშორისო ორგანიზაციათა დიდი ნაწილი დაახლოებით ერთ პერიოდში შეიქმნა და განვითარდა, თუმცა ევროკავშირი თავისი ბუნებით ყველასგან განსხვავდება. ვფიქრობთ, ევროკავშირის უნიკალურობას ინტეგრაციის მისეული მოდელი და ყველასგან გამორჩეული ზეეროვნული (სუპრანაციონალური) მმართველობის ფორმა განაპირობებს.

1951 წელს ექვსმა ქვეყანამ თანამშრომლობა ქვანახშირის მოპოვებისა და ფოლადის წარმოების სფეროში დაიწყო, დღეს კი 27 წევრამდე გაზრდილი კავშირი ეკონომიკის თითქმის ყველა მიმართულებას აერთიანებს: საერთო სოფლის მეურნეობა, თევზჭერა, საბაჟო კონტროლი, საგარეო და საშინაო ვაჭრობა, ერთიანი ბაზარი, ერთიანი ვალუტა და სხვა. ამდენად სამართლიანად შეიძლება ვუწოდოთ ევროკავშირს "ეკონომიკური გოლიათი". მაგრამ, ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავების პარალელურად, რამდენად მიმდინარეობს პოლიტიკური ინტეგრაცია ევროკავშირში და თუ მიმდი-

ნარეობს განვითარების რა დონეს აღწევს ის დღეისათვის? სწორედ ამ კითხვაზე გვსურს გავცეთ პასუხი წინამდებარე ნაშრომში.

მიგვაჩნია, რომ პოლიტიკური ინტეგრაცია ევროკავშირში მისი შექმნის დღიდან დაიწყო და მრავალი წინააღმდეგობისა და დაბრკოლების მიუხედავად დღემდე გრძელდება. შეიძლება ითქვას, რომ 1992 წელს, მაასტრიხტის ხელშეკრულების მიღების შემდეგ, წევრმა სახელმწიფოებმა პოლიტიკის სფეროში თავიანთი სუვერენული უფლებების ევროპული ინსტიტუტებისადმი დელეგირება ოფიციალურად დაიწყეს. მაასტრიხტს მოჰყვა ამსტერდამისა და ნიცის ხელშეკრულებები, ასევე არშემდგარი ევროპის კონსტიტუციის პროექტი და ბოლოს, ლისაბონის ხელშეკრულება. ლისაბონის ხელშეკრულებას სარეფორმო ხელშეკრულებასაც უწოდებენ, რადგან იგი მნიშვნელოვნად ცვლის ევროკავშირში აქამდე არსებულ ინსტიტუციურ წყობას და კავშირი ინტეგრაციის ახალ საფეხურზე გადაჰყავს.

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი ინტეგრაციის წარმატებულ მოდელად ვაღიარეთ, ეს არ ნიშნავს, რომ ევროპული ერთობის ჩამოყალიბება დასრულებულად მიგვაჩნია. პირიქით, თემაში ნათლად წარმოვაჩენთ ევროკავშირს, როგორც ჩამოყალიბების პროცესში მყოფ სახელმწიფოთა გაერთიანებას. თუმცა მეცნიერთა ნაწილს, რომლებიც დაუსრულებელ კავშირზე აკეთებენ აქცენტს, იმაში ვერ დავეთანხმებით, რომ ევროპაში პოლიტიკური ერთობის ჩამოყალიბება მხოლოდ წარუმატებელი მცდელობაა.

გვსურს, თავიდან ავიცილოთ ევროკავშირის მიმართ ზედმეტად იდეალისტური თუ სუბიექტური მიდგომა. შესაბამისად ვეცდებით, უმეტესად ვაჩვენოთ არა ის, თუ როგორი შეიძლება ან უნდა ყოფილიყო ევროკავშირი, ან როგორი იქნება მომავალში, არამედ ყურადღებას გავამახვილებთ იმაზე, განვითრების რა ეტაპზეა ის დღეისათვის. თუმცა პროცესის დინამიურობის ნათლად წარმოსაჩენად წარსულ გამოცდილებასაც შევეხებით. ამდენად, ჩვენი უპირველესი სამიზნეა ინ-

ტეგრაციის დღევანდელი დინამიკა და მისი თანხვედრა თემის მთავარ თეზასთან.

თემის მთავარი თეზისი

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ეკონომიკური ინტეგრაციის გარღმავების შედეგად, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის უკვე დაიწყო თანამშრომლობა პოლიტიკური მიმართულებით. ანუ, როგორც ნეოფუნქციონალური თეორიის ფუძემდებლები ვარაუდობდნენ, ეკონომიკური ინტეგრაცია პოლიტიკურ ინტეგრაციაში გადაიზარდა ("გადაიღვარა").

მიგვაჩნია, რომ ბოლო წლებში ევროპის ერთ პოლიტიკურ ერთობად ჩამოყალიბების იდეა სულ უფრო აქტიური ხდება და რეალობას უახლოვდება კავშირის დამფუძნებელთა ოცნება „ერთიანი ევროპის" („ever closer union") შექმნის შესახებ. გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ ევროკავშირში 1992 წლიდან (მაასტრიხტის ხელშეკრულება) უკვე დაიწყო პოლიტიკური კავშირის შენება, რომელიც, 2005 წელს კონსტიტუციის ჩავარდნის მიუხედავად, დღესაც აქტიურად მიმდინარეობს. ეს პროცესი კიდევ უფრო გამყარდა 2009 წელის დეკემბრიდან, როდესაც ძალაში შევიდა ლისაბონის ხელშეკრულება და პოლიტიკური თანამშრომლობის გაღრმავების კუთხით ბევრ ინსტიტუციურ სიახლეს დაუდო სათავე.

თეორიული ჩარჩო

კონკრეტული ფაქტების განხილვის გარდა, ჩვენი მოსაზრების დამტკიცებას ნეოფუნქციონალური თეორიის გამოყენებით შევეცდებით. მიგვაჩნია, რომ ეს თეორია საკმაოდ კარგად ესადაგება ევროკავშირის ინტეგრაციის მოდელს.

ნეოფუნქციონალისტთა მტკიცებით, იმისათვის, რომ ინტეგრაცია წარმატებული აღმოჩნდეს, საჭიროა თანამშრომლობა დაიწყოს ეკონომიკის ერთ სფეროში ე.წ. "დაბალ პო-

ლიტიკაში" ("low politics"). ქვეყნებს შორის ეკონომიკის კონკრეტულ სექტორთა ინტეგრაცია ქმნის "ფუნქციურ წნეხს" (functional pressure) მომიჯნავე დარგების შესაერთებლად. ინტეგრაცია მიმდინარეობს ე.წ. "გადაღვრის" (spill-over) პრინციპით, როდესაც ერთ სფეროში დაწყებული ინტეგრაცია ეტაპობრივად გადაიღვრება სხვა სფეროებშიც. ამ პროცესში ნელ-ნელა ხდება ლოიალობის გადატანა ეროვნული დონიდან (ადგილობრივი მთავრობა) ევროპულ დონეზე (ევროპული ინსტიტუტები). (12. გვ. 51-52)

თუკი გადავხედავთ ევროკავშირის ისტორიას ეკონომიკური ინტეგრაცია სწორედ ამ სცენარით განვითარდა: "ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანებას" 6 წელში "ეკონომიკური გაერთიანების" შექმნა მოყვა. 60-იან წლებში ძალაში შესული საბაჟო კავშირი, 1992 წელს ერთიანი ბაზრის ჩამოყალიბებით დაგვირგვინდა, 70 წლების ბოლოდან სავალუტო სისტემის დანერგვა, 90-იანი წლების ბოლოს ერთიან ვალუტაზე - ევროზე გადასვლით დასრულდა.

რაც შეეხება პოლიტიკურ ინტეგრაციას, ნეოფუნქციონალური თეორიის მიხედვით, ის ეკონომიკური ინტეგრაციის აუცილებელი თანმდევი პროცესი და მისი საბოლოო შედეგია. კერძოდ, საწყის ეტაპზე იქმნება თანამშრომლობის მაკოორდინირებელი და მარეგულირებელი ორგანო (ასეთად შეიძლება ჩაითვალოს ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების უმაღლესი მმართველი ორგანო – "High Authority"), შემდგომში გაღრმავებული ეკონომიკური ინტეგრაცია კი ავტომატურად ქმნის ახალი ინსტიტუტების ჩამოყალიბების საჭიროებას, რადგან ინტეგრაციის პროცესის გაფართოება დამატებით მარეგულირებელ ორგანოების შექმნას მოითხოვს. რეალურად ასეც მოხდა: ჯერ კომისია, პარლამენტი და მინისტრთა საბჭო, მოგვიანებით კი ევროპული საბჭო შეიქმნა. ამდენად, პოლიტიკური ინტეგრაცია ეკონომიკური ინტეგრაციის მეტნაკლებად გარდაუვალი გვერდითი შედეგია.

"გადალვრის" პრინციპით მიმდინარე ინტეგრაციის გვირგვინად ნეოფუნქციონალისტები ეკონომიკური ერთობის პოლიტიკურ კავშირად გადაქცევას მიიჩნევენ: ეროვნული ელიტები სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ სუპრანაციონალურ დონეს; ისინი პოზიტიურად ეწყობიან ინტეგრაციის პროცესის მიმართ და გამოიმუშავებენ საერთო ინტერესებს; სუპრანაციონალური ინსტიტუტები და არასამთავრობო აქტორები ინტეგრაციის პროცესში ეტაპობრივად მეტ გავლენას იძენენ, მაშინ როცა ეროვნული მთავრობები და სამთავრობო აქტორები თანდათან კარგავენ ამ გავლენას და, საბოლოო ჯამში, ინტეგრაციის მზარდი მნიშვნელობა ქმნის წნეხს, პოლიტიკური კონტროლი და ანგარიშვალდებულება სუპრანაციონალურ დონეზე იქნას გადატანილი. (11 გვ. 479-480)

ნეოფუნქციონალიზმი ისტორიულ კონტექსტში – ეკონომიკური ინტეგრაცია

თეორიული ჩარჩოს ზოგადი მიმოხილვის შემდეგ, საინტერესოა, თვალი გავადევნოდ, როგორ ხდებოდა ნეოფუნქციონალიზმის საყრდენი პრინციპების პრაქტიკაში გატარება ევროკავშირის შექმნიდან დღემდე. იმას თუ, როგორ გრძელდება ეს პროცესი დღეს, მომდევნო თავებში შევეხებით. მანამდე კი თანმიმდევრულად მივყვეთ და გავაანალიზოთ ნეოფუნქციონალისტთა თვალთახედვიდან დანახული ინტეგრაციული ციკლი.

ა)ინტეგრაციის დასაწყისი

ევროკავშირში ნეოფუნქციონალური ინტეგრაციის ათვლის წერტილად შეიძლება ჩაითვალოს 1951 წელი, როდესაც "ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების" ხელშეკრულებას მოეწერა ხელი. ნეოფუნქციონალისტებისათვის 50-იანი წლები დიდი გამარჯვება იყო. პირველ რიგში აღსანიშნავია მათ თვალწინ მიმდინარე პროცესი, როცა ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების ჩამოყალიბებით თვალნათლივ და ისტორიაში პირველად მოხდა "ლოიალურობის გადატანა"

ეროვნული დონიდან სუპრანაციონალურ დონეზე ("High Authority"). ასევე დიდი გამარჯვება იყო ის, რომ ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება სულ რაღაც 6 წელიწადში უკვე უფრო ფართო ეკონომიკურ გაერთიანებად გარდაიქმნა (1957 წლის რომის ხელშეკრულება) ეს "გადაღვრის პრინციპის" კარგ მაგალითს წარმოადგენს.

ნეოფუნქციონალური თეორიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ერნსტ ჰაასი ამ ექვსწლიან პერიოდს "სუპრანაციონალურ წნეხს" უწოდებს, როცა ცალკეულმა ჯგუფებმა და ევროპულ სახელმწიფოთა მთავრობებმა თავიანთი მიზნების გადაფასება და ხელახალი ფორმულირება მოახდინეს და გეზი ერთიანი ევროპისკენ აიღეს. როგორც ისტორიამ გვაჩვენა, ამ ეკონომიკურმა გაერთიანებამ, რომის ხელშეკრულებიდან მოყოლებული დღემდე, სათავე დაუდო იმ დიდ ერთობას, რომელსაც დღეს ევროკავშირი მოიცავს.

ევროპის სავალუტო კავშირი (EMU)

ხანგრძლივ პროცესს უკავშირდება ინტეგრაცია საფინანსო და სავალუტო სფეროში. ამ დარგის გაერთიანების პირველი ინიციატივა 1969 წელს ჰააგის სამიტზე გაცხადდა. თუმცა ეს ინიციატივა 70-იან წლებში მსოფლიო სავალუტო ბაზარზე არსებული არეულობის გამო მნიშვნელოვანი დაბრკოლებების წინაშე აღმოჩნდა. 1979 წელს, საფრანგეთ-გერმანიის ერთობლივი ძალისხმევით პირველად ჩამოყალიბდა ევროპის სავალუტო სისტემა (European Monetary System) ევროპის სავალუტო სისტემის მთავარ მიზანი ევროგაერთიანების წევრ სახელმწიფოთა ვალუტებს შორის მერყეობის შემცირება და ინფლაციის დონის დარეგულირება წარმოადგენდა. შემოღებულ იქნა ახალი ევროპული სავალუტო ერთეული – ეკიუ. სავალუტო სისტემამ, ვალუტის კურსების სტაბილიზაციის კუთხით, მრავალი კრიზისის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ წარმატებას მიაღწია.

სავალუტო თანამშრომლობის ახალ ფაზაზე გადასვლის ხელისშემშლელი ფაქტორების აღმოსაფხვრელად, კაპიტალის მოძრაობის ლიბერალიზაციისა და საფინანსო ურთიერთობათა დახვეწისათვის უმნიშვნელოვანესი იყო 1989 წელს ევროკომისიის პრეზიდენტის ჟაკ დელორის ინიციატივა ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შექმნასთან დაკავშირებით. შემოთავაზება ითვალისწინებდა ერთიან სავალუტო სისტემაზე გადასავლის სამ საფეხურიან მოდელს, ეკონომიკური პოლიტიკის მეტ კოორდინაციას, ეროვნული საბიუჯეტო დეფიციტების დასაძლევად თანხების გამოყოფის ახალი წესების დამკვიდრებასა და კავშირის სავალუტო პოლიტიკაზე პასუხსიმგებელი ორგანოს – ცენტრალური ევროპული ბანკის შექმნას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ სტრატეგიის მესამე ფაზა – 1999 წლისთვის ევროპის ერთიან ვალუტაზე – ევროზე გაასვლა. სავალუტო კავშირმა გარდა იმისა, რომ გააადვილა ევროკავშირის შიგნით საფინანსო ოპერაციები, წევრ სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობა მნიშვნელოვნად გააღრმავა. ლისაბონის ხელშეკრულებით, 2009 წლიდან ევროპის ცენტრალურმა ბანკმა ევროკავშირის ინსტიტუტის სტატუსი შეიძინა.

ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შექმნა "გადაღვრის" პრინციპზე დამყარებული ინტეგრაციის კარგი მაგალითია. ამ სისტემის ჩამოყალიბება სხვადასხვა ინტენსიობით 20 წლის მანძილზე მიმდინარეობდა. ეს ოცწლიანი პერიოდი ნათლად ასახავს ფართომასშტაბიანი ინტეგრაციის მისაღწევად ეტაპობრივი განვითარების მნიშვნელობას.

როგორც დავინახეთ, სავალუტო სფეროში ინტეგრაცია საწყის ეტაპზე შედარებით ნაკლებამბიციური მიზნებით გამოირჩეოდა – ევროპაში სავალუტო სტაბილურობის ზონის შექმნა. თუმცა მას მომდევნო წლებში საკმაოდ ამბიციური ერთიანი სავალუტო პოლიტიკის ჩამოყალიბება მოჰყვა. სავალუტო სისტემის გარდა, სავალუტო კავშირის შექმნას ძლიერი ბიძგი მისცა ევროპის ტერიტორიაზე ერთიან ბაზრის ჩამოყალიბებამ. ამდენად, ეს კავშირი, როგორც გამოჩნდა, ერ-

თის მხრივ მანამდე არსებულ სავალუტო სისტემაზე აღმოცენდა, მეორეს მხრივ კი სავალუტო პოლიტიკის წარმატებაში დიდი მნიშვნელობა ერთიანი ბაზრის შექმნამ იქონია. ამ შემთხვევაში საქმე შეიძლება გვქონდეს ორი სახის ინტეგრაციასთან:

• ერთი ეს არის "გაღრმავება" ("deepening") – სავალუტო სისიტემის მაგალითზე და გამოცდილებაზე დაყრდნობით სავალუტო კავშირის შექმნა.

• მეორე ეს არის "გაფართოება" ("widening") – ერთი პოლიტიკიდან (ერთიანი ბაზარი) ინტეგარციის გადაღვრა მომიჯნავე და მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ ეკონომიკურ დარგში (სავალუტო პოლიტიკა).

გავიხსენოთ, რომ ეკონომიკური ინტეგრაციას, ნეოფუნქციონალისტთა მტკიცებით მარეგულირებელი ინსტიტუტების ჩამოყალიბება სდევს თან. ასეთ მარეგულირებელ ორგანოდ კი ევროპის ცენტრალური ბანკი გვევლინება, რომელმაც ბოლო ხელშეკრულებით უკვე მიიღო ინსტიტუტის სტატუსი.

ერთიანი ბაზარი

ევროკავშირის ინტეგრაციის ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამარჯვებად ევროპის ერთიანი ბაზარი ითვლება. ის ნეოფუნქციონალური თეორიისთვის საუკეთესო პრაქტიკულ გამოვლინებას წარმოადგენს. ერთიანი ბაზრის ისტორია კარგად გამოხატავს თუ როგორ შუძლია ინტეგრაციის გაღრმავება საკითხის აქტუალობას, წევრი სახელმწიფოების მხრიდან მიზანმიმართულ ქმედებებსა და კავშირის შიგნით თანხმობასა და ერთსულოვნებას.

მოკლედ ჩამოვთვლით ერთიანი ბაზრის მიღწევებს: ადამიანის, საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება; მუშაობისა და ბიზნესის წარმოების თავისუფლება; ბიუროკრატიული, პროცედურული და კომერციული ბარიერების გაუქმება ან მათი მინიმუმამდე შემცირება –

კვოტებისა და ტარიფების მოხსნა, ამასთანავე ე.წ. "არასატარიფო ბარიერების" აღმოფხვრა; სოციალური დაცულობის ზრდა; ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო საკვები; სწრაფი, იაფი და მოხერხებული მგზავრობა; თავისუფალი კონკურენცია და მონოპოლისტური და პროტექციონისტური საქმიანობის შეზღუდვა; მეტი მოქნილობა და ეფექტურობა და ბაზრის რეგულირების ერთიანი ჰარმონიული სისტემა. (15 გვ.)

შეგვიძლია თამამად ვამტკიცოთ, რომ ერთიანი ბაზარიც "გადაღვრის პრინციპით" ჩამოყალიბდა. 50-იან წლებში დაწყებული სავაჭრო თანამშრომლობა, 60-იან წლებში საბაჟო კავშირის შექმნით გაგრძელდა - წვერმა სახელმწიფოებმა თავისი ნებით გააუქმეს ტარიფები და კვოტები. 70-იანი წლებში წარმოშობილმა ეკონომიკურმა პრობლემებმა, ერთმანეთთან გამარტივებული ვაჭრობით მიღებულმა სარგებელმა, საერთაშორისო ასპარეზზე არსებულმა გამოწვევებმა და მზარდმა კონკურენციამ, საბაჟო სფეროში თანამშრომლობა ერთიანი ბაზრით დააგვირგვინა.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ინტეგრაცია ხშირად აღმოჩენილა კრიზისულ ვითარებაში, როცა წინა პლანზე იწევდა ე.წ. "ევროსკეპტიციზმი" (დე გოლის მმართველობის დეკადა, 1970 წლებში მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური დაღმასვლა და სანავთობო კრიზისი, 80-იან წლებში მარგარეტ ტეტჩერის აგრესიული პოლიტიკა). ამ დროს ინტეგრაციონისტებს ხშირად უჭირდათ იმის ახსნა, თუ რატომ არ გრძელდებოდა ინტეგრაცია ისე, როგოც ამას წინასწარ ელოდნენ ნეოფუნქციონალისტები. პრობლემები ამ მხრივ დღესაც არსებობს, მაგრამ ევროკავშირის ისტორიისთვის ზოგადი თვალის გადავლებითაც ნათელია, რომ ინტეგრაცია, დარგობრივი გადაღვრა, სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის გაღრმავება თუ გაფართოება ერთ დინამიკურ პროცესს წარმოადგენს, მხოლოდ არასწორხაზოვანი და არათანაბარმიმდევრული ინტენსივობით.

ნაშრომის მიზანი არაა შეისწავლოს ერთიანი ბაზრის, ერთიანი ვალუტისა და ეკონომიკური თანამშრომლობის სხვა მი-

მართულებების სუსტი და ძლიერი მხარეები, გააკეთოს დასკვნები ევროკავშირის ეკონომიკის მდგრადობასთან დაკავშირებით. ეს სხვა განხილვის თემაა. ეკონომიკური ინტეგრაციის მაგალითები პროცესის დინამიურობის საჩვენებლად მოვიხმეთ.

ნეოფუნქციონალური მიდგომა დღეისთვის – პოლიტიკური ინტეგრაციისკენ

აქ შეგვიძლია ჩვენს მიერ ზემოთ დასმულ კითხვას დავუბრუნდეთ: თუკი ევროკავშირმა ფართომაშტაბიან ეკონომიკურ ინტეგრაციას უკვე მიაღწია, შექმნა და განავითარა ამ პროცესის მარეგულირებელი მმართველი ინსტიტუტები, ნეოფუნქციონალისტების ლოგიკით, ხომ არ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ მიმდინარეობს ინტეგრაციის გადადინება მის დასკვნით ფაზაში – პოლიტიკის სფეროში და ევროპის კონტინენტზე, ევროკავშირის სახით, ერთიანი პოლიტიკური აქტორი ყალიბდება?

ბევრი ევროკავშირს არშემდგარ პოლიტიკურ ერთობად მოიაზრებს, მას "ეკონომიკურ გოლიათს და პოლიტიკურ ჯუჯასაც" უწოდებდნენ. ამის მიზეზად სახელდება ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე მიმდინარე საომარ მოქმედებებში ევროკავშირის არაეფექტური ჩარევა, ასევე – წევრი ქვეყნების არაერთსულოვნება ერაყის ორივე ომის დროს (1991, 2003 წწ.) და სხვა მაგალითები.

ამ სისუსტეების მიუხედავად მიგვაჩნია, რომ ინტეგრაციის პროცესი არ შეჩერებულა და წლიდან წლამდე სულ უფრო მეტ პროგრესს აღწევს. იყო სტაგნაციის პერიოდები, თუმცა უკუსვლას არასდროს ჰქონია ადგილი. დანამდვილებით შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ სახელმწიფოთა მიერ ევროპულ დონეზე გადატანილი საკითხები უკან – ეროვნულ დონეზე აღარ დაბრუნებულა. ანუ სფეროებში, სადაც ინტეგრაცია უკვე დაიწყო, პროცესი უკან არ შებრუნებულა.

უფრო მეტიც, ისიც შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირის თითოეული სუსტი მხარე ან კონკრეტული კრიზისული ვითარება დამატებითი მოტივაციაა წევრი ქვეყნებისთვის, რომ მეტ შეკავშირებულობას მიაღწიონ. ბალკანეთისა და ერაყის ომებმა კატალიზატორის ფუნქცია იკისრეს და პოზიტიური როლიც შეასრულეს ევროპის გამოსაფხიზლებლად. გარდა ამისა, გაზრდილი კონკურენცია საერთაშორისო არენაზე, ტერორიზმი, ეთნოკონფლიქტები და სხვა გლობალური პრობლემები ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს ევროკავშირს. თუკი ისტორიას გადავხედავთ, ყველა მნიშვნელოვან ინტეგრაციულ ნაბიჯს წინ აუცილებლად უძღვოდა კონკრეტული კრიზისი.

თითოეული ხელშეკრულების შემდეგ ევროპა მეტად ინტეგრირებული ხდება, სულ უფრო ფართოვდება ევროპული ინსტიტუტების კომპეტენციის სფერო. იზრდება მათი ფუნქციები და ძალაუფლება. ასევე თვალშისაცემია ზეეროვნული (სუპრანაციონალური) მმართველი ორგანოების (კომისია და პარლამენტი) პოზიციათა გამყარება. სუპრანაციონალიზმის ზრდა პირდაპირ კავშირშია ევროკავშირის ფედერალური ხასიათის გაძლიერებასთან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სწორედ სუპრანაციონალური მმართველობით განსხვავდება ევროკავშირი სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან, რომელთა უმრავლესობა მთავრობათშორისი ფორუმის ხასიათს ატარებს. სუპრანაციონალური (ზეეროვნული) მმართველობა მოიცავს იმ სფეროებს, რომლებშიც წევრმა სახელმწიფოებმა საკუთარი ნებით დათმეს თავიანთი სუვერენული უფლებები და გადაწყვეტილების მიღების ფუნქცია ევროკავშირის ინსტიტუტებს გადასცეს. ამ სფეროებში ევროკავშირის ინსტიტუტების მიერ მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულოა კავშირში შემავალი ყველა ქვეყნისათვის. ანუ ეროვნული დონიდან საკითხები ევროპულ დონეს გადაეცა და გადამწყვეტი როლი მას მიენიჭა.

თუმცა, სუპრანაციონალურის გარდა, ევროკავშირში ასევე გამოიყოფა მთავრობათშორისი მმართველობა, რითაც

ევროკავშირი ემსგავსება სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს. აქ შედის ის სფეროები, რომლებშიც წევრ სახელმწიფოებს არ დაუთმიათ მართვის სუვერენული უფლებები, მხოლოდ ერთობლივ თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.

საგარეო, თავდაცვის, უსაფრთხოების, საშინაო და იუსტიციის საკითხებში ერთიანი პოლიტიკის შემუშავება 1992 წლის მაასტრიხტის ხელშეკრულების შემდგომ დაიწყო. სწორედ მაასტრიხტში ჩაეყარა საფუძველი ევროპაში პოლიტიკური კავშირის შექმნას. მართალია, მანამდეც არსებობდა პოლიტიკური ერთობის ჩამოყალიბების რამდენიმე მცდელობა, მაგრამ ყველა მათგანი უშედეგო აღმოჩნდა. უფრო მეტიც, ჯერ კიდევ 50-იან წლებში გაჩნდა იდეა, ეკონომიკური გაერთიანების პარალელურად, პოლიტიკური და თავდაცვის გაერთიანებებიც ჩამოეყალიბებინათ. თუმცა 1992 წლამდე იგი არ განხორციელებულა. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს ნეოფუნქციონალური თეორიის ამოსავალ პრინციპს, რომ პოლიტიკის სფეროში ინტეგრაციის დაწყებას ჯერ ეტაპობრივი ეკონომიკური ინტეგრაცია უნდა უსწრებდეს წინ. სწორედ ამ პრინციპით განსხავდებიან ნეოფუნქციონალისტები ფედერალისტებისგან, რომლებიც ინტეგრაციის დასაწყისშივე პოლიტიკური კავშირის ("ევროპის შეერთებული შტატების") შექმნას უშედეგოდ ისახავდნენ მიზნად.

ეროვნული სუვერენიტეტის კუთხით ისეთი მტკივნეული საკითხები, როგორიცაა ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსი, თავდაცვა და უსაფრთხოება, მთავრობათშორის დონეზე გადასაწყვეტ საკითხებად რჩება და მათზე ზეეროვნულ ორგანოებს ფაქტიურად არ მიუწვდებათ ხელი. თუმცა ის ფაქტი, რომ ამ სფეროში ერთობლივი ჩარჩოების ჩამოსაყალიბებლად თანამშრომლობა დაწყებულია პროგრესულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ისტორიულად ცნობილია, რომ მრავალ სფეროში მთავრობათშორის დონეზე თანამშრომლობის დაწყებას თან მოჰყვა შემდგომში ამ საკითხების ზეეროვნულ დონეზე გადატანა. ამის კარგი მაგალითია ამსტერდამის ხელშეკრულება, რომლის შედეგადაც საკითხთა გარკვეული ნაწი-

ლი მესამე სვეტიდან (მთავრობათშორისი სვეტი) პირველ სვეტში (გაერთიანების სვეტი) გადავიდა.

ლისაბონის ხელშეკრულებამ თანამშრომლობის სფეროების "კომუნიტარიზაციის" უფრო კარგი გარემო შექმნა. მან საერთოდ გააუქმა საკითხთა სვეტებად დაყოფა და ევროკავშირი საერთაშორისო ასპარეზზე მოქმედ ერთ იურიდიულ აქტორად ჩამოაყალიბა. ეს ნაბიჯი მნიშვნელოვნად შეუწყობს სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის გაზრდას და გაერთიანების დონეზე დამატებით ახალი სფეროების გადატანას. გაერთიანების დონის გაფართოება კი პოლიტიკური ინტეგრაციის ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა.

სვეტების გაუქმება ევროკავშირის კიდევ ერთი გრძელვადიანი მიზნის განხორციელებას წარმოადგენს. 2001 წელს ქალაქ ლაკენში (ბელგია) გამართულ ევროპულ სამიტზე ევროპელმა ლიდერებმა მიზნად დაისახეს, რომ საერთაშორისო არენაზე ევროკავშირის ერთ ძლიერ მოქმედ აქტორად ჩამოსაყალიბებლად ზომები მიეღოთ. მეტი შეკავშირებულობისათვის გადაწყდა, რომ დადგა დრო, ევროკავშირი "ერთ ხმაზე" ლაპარაკობდეს.

ვერ ვიტყვით, რომ დღეს ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყდა და ევროკავშირის 27-ვე წევრი სახელმწიფო საგარეო პოლიტიკის წარმოების დროს "ერთ ხმაზე" საუბრობს, თუმცა ამ მიზნის მისაღწევად ლისაბონის ხელშეკრულებამ საკმაოდ ბევრი ძირეული ინსტიტუციური ცვლილება შემოიტანა.

ლისაბონის ხელშეკრულება

ლისაბონის ხელშეკრულება მართლაც რეფორმისტულ ხასიათს ატარებს. 1992 წელს მაასტრიხტის ხელშეკრულებით ევროგაერთიანება ევროკავშირად გადაკეთდა და ეკონომიკური თანამშრომლობის პარალელურად, წევრ სახელმწიფოთა შორის პოლიტიკური თანამშრომლობა დაიწყო. 2009 წელს კი ლისაბონის ხელშეკრულებით ეს კავშირი კიდევ უფრო დაიხვეწა და გამყარდა.

ამ ორი ხელშეკრულების უბრალო შედარებაც კი ცხადყოფს, რომ პოლიტიკური ინტეგრაცია თუ დაჩქარებული ტემპებით არა აღმავალი ინტენსიობით ნამდვილად ვითარდებოდა. ისევ ისტორია რომ გავიხსენოთ – ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნის იდეა ჯერ კიდევ 1957 წელს რომის ხელშეკრულებაში გაჟღერდა, რეალურად კი ერთიან ბაზარზე გადასვლა ევროპამ 1993 წლიდან შეძლო. თან ცნობილია, რომ ეკონომიკის დარგში ინტეგრაცია, ეკონომიკური სარგებლიანობიდან გამომდინარე, პოლიტიკურ ინტეგრაციასთან შედარებით ადვილად მიმდინარეობს. ის ამავდროს შედარებით ნაკლებად მტკივნეულია წევრი სახელმწიფოებისათვის. პოლიტიკის სფეროში სუვერენული უფლებების დათმობა კი მეტ სირთულეებს აწყდება.

პოლიტიკური ინტეგრაციის ამგვარი ხასიათის მიუხედავად, ლისაბონის ხელშეკრულება საგრძნობ წინსვლად მიგვაჩნია. მეტი შეკავშირებულობის მისაღწევად, ინტეგრაციის გასაღრმავებლად, ახალ გამოწვევებთან გასამკლავებლად, საერთაშორისო ასპარეზზე ერთიანი პოზიციით გამოსვლისთვის ანუ ევროკავშირის "ერთ ხმაზე ასალაპარაკებლად" გატარდა შემდეგი ცვლილებები:

ა) ევროპული საბჭო:

• შეიძინა დამოუკიდებელი და ფორმალური ინსტიტუტის სტატუსი. ოფიციალურად დაევალა ევროკავშირის ზოგადი პოლიტიკური მიმართულებისა და პრიორიტეტების განსაზღვრა. ევროპულ საბჭოს ინეტგრაციის გაღრმავების კუთხით შექმნის დღიდან ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს. 70-იან წლებში მისი დაფუძნება იმ დროს არსებული ძნელად დასაძლევი შიდა თუ გარე პრობლემების (მსოფლიო ეკონომიკაში არსებული კრიზისი, გაერთიანებაში თანამშრომლობის გაღმავების საჭიროება) მოსაგვარებლად გადაწყდა. დღემდე ყველა ძირითადი ახალი პოლიტიკური მიმართულების ინიციატორი ევროპული საბჭო იყო. ამდენად მისი ინსტიტუციონალიზაცია პოლიტიკური ინტეგრაციის კუთხით პროგრესულ მოვლენად მიგვაჩნია. თან, ჩვენის აზრით, ევრო-

პული საბჭო, წარსულთან შედარებით, მეტად "კომუნიტარულ" ხასიათს ატარებს. ეს, ალბათ ცალკე მსჯელობის თემაა. თუმცა მეტი თვალსაჩინოებისთვის დღევანდელ მდგომარეობას შევადარებდი დე გოლისა და მარგარეტ ტეტჩერის პერიოდებს.

• 6 თვიანი როტაციული წესით დანიშნული ევროპული საბჭოს პრეზიდენტის ნაცვლად შემოღებულ იქნა 2 წელიწად ნახევრის ვადით არჩეული პრეზიდენტის ახალი პოსტი. ეს ცვლილება საქმის განგრძობადობისა და ევროპული საბჭოს უფრო ეფექტურად მუშაობის კუთხით ძალზედ მნიშვნელოვანია. პრეზიდენტმა შეითავსა ევროკავშირის საგარეო წარმომდგენლის ფუნქცია, ისე რომ, არ უნდა მოხდეს საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომოდგენლის ფუნქციათა გადაკვეთა. რეფორმირებული საბჭოს პირველ პრეზიდენტად წევრი სახლემწიფოების ლიდერებმა ნეიტრალური კანდიდატი, ბელგიის ყოფილი პრემიერ მინისტრი, ჰერმან ვან რომპეი (Herman Van Rompuy) აირჩიეს. ეს ნაბიჯიც მიუთითებს, რომ ევროპას დღეს საქმეზე ორიენტირებული პიროვნება და არა ოდიოზური, მოკაშკაშე ფიგურა სჭირდება. შერჩევის პროცესში ყველაზე რეალურ კანდიდატად ტონი ბლერი სახელდებოდა, თუმცა ევროკავშირმა არჩევანი ნაკლებად ამბიციურ კანდიდატზე გააკეთა.

ბ) უმაღლესი წარმომადგენლის პოსტი

• შეიქმნა საერთაშორისო არენაზე საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში კავშირის ერთიანი წარმომადგენლის თანამდებობა. საკონსტიტუციო ინიციატივაში მას საგარეო საქმეთა მინისტრიც ეწოდებოდა. ეს პოსტი თავდაპირველად ამსტერდამის ხელშეკრულებით ჩამოყალიბდა, თუმცა ლისაბონის ხელშეკრულებით საკმაოდ გაფართოვდა და გამყარდა. ნეოფუნქციონალური თეორიით თუ მივუდგებით, "გადაღვრა" მოხდა კონკრეტული თანამდებობის ფუნქციური გაძლიერების კუთხით.

• პირველ უმაღლეს წარმომადგენლად შერჩეულ იქნა კეტრინ ეშტონის კანდიდატურა. იგი ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის ფუნქციის გარდა ითავსებს საგარეო საქმეთა კომისრისა და კომისიის პირველი ვიცე-პრეზიდენტის პოსტებს, ანუ ხდება კომისიის წევრი. ასევე ავტომატურად ინიშნება საგარეო საკითხთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე. ამ ცვლილებით უმაღლესი წარმომადგენელი ერთდროულად ორ ორგანოში (კომისია და საბჭო) ხელმძღვანელობს საგარეო პოლიტიკას. თანამდებობათა ამგვარი გაერთიანება ევროკავშირის ინსტიტუტებს, მითუმეტეს ზეეროვნულ და მთავრობათშორის ორგანეობს შორის კოორდინაციას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს.

• საგარეო წარმომადგენლობის მეტი ეფექტურობისათვის, შეიქმნა დამოუკიდებელი ორგანო – ევროპის საგარეო საქმეთა სამსახური. ეს სამსახური კოორდინაციას გაუწევს ევროკავშირის საგარეო, თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკას.

ფაქტიურად ევროკავშირში ჩამოყალიბდა საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი და საგარეო საქმეთა სამინისტრო. ეს, პოლიტიკური ინტეგრაციის კუთხით, უმნიშვნელოვანესი წინ გადადგმული ნაბიჯია. ამ გადაწყვეტილებით, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკას მსოფლიოში ერთი ადამიანი წარადგენს, რომელსაც საგარეო საქმეების კოორდინაციისთვის გაზრდილი უფლებები და რეალური, იურიდიული დოკუმენტით დადასტურებული წონა ექნება. ასევე ექნება საკუთარი უწყება. ეს პირდაპირ ეხმაურება ლაკენის შეთანხმების ერთერთ ძირითად მიზანს, რომელიც ევროკავშირის საერთაშორისო არენაზე "ერთიანი ხმით" წარდგენასა და ქვეყნებს შორის საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში გაზრდილ თანამშრომლობას ითვალისწინებს.

კრიტიკოსები ლისაბონის ხელშეკრულებას სამ მაღალ ჩინოვნიკს (ევროპული საბჭოსა და კომისიის პრეზიდენტები და უმაღლესი წარმომადგენელი) შორის უფლებამოსილებათა არასათანადო გამიჯვნაში ადანაშაულებენ. ამის ნიადაგზე კი

მათ შორის ხშირ კონფრონტაციას ვარაუდობენ. ლისაბონის ხელშეკრულება პრეზიდენტებსა და ინსტიტუტებს შორის კომპეტენციის განაწილების ზოგად ჩარჩოებს აყალიბებს. ვფიქრობთ, როცა უპრეცედენტო და საკმაოდ მასშტაბური პოსტების შექმნასა და დანერგვას ეხება საქმე, კონკრეტიკა საფუძველს მოკლებულიც შეიძლება იყოს. ფუნქციათა რეალური გამიჯვნა ძირითადად პრაქტიკული საქმიანობის დროს ხდება და ამის საკმაო გამოცდილება უკვე აქვს ევროკავშირს. ამგვარი მიდგომა, უფრო ეფექტური და რეალობას მორგებულია.

სკეპტიკოსთა შორის არსებობს ეჭვი იმის შესახებ, რამდენად რეალური გავლენა ექნება უმაღლეს წარმომადგენელს, რადგან ვარაუდობენ, რომ ძლიერი ევროპული ქვეყნის მმართველი პირები მას საგარეო საქმეებში ლიდერობას არ დაუთმობენ. თუმცა შექმნისთანავე ევროკავშირში არც ერთი ინსტიტუტი ან პოსტი არ ყოფილა ძლიერი და მისი ფუნქციებისა და წონის გაზრდა წლების მანზილზე საფეხურებრივად ხდებოდა. ამის კარგი მაგალითია ევროპარლამენტი:

ევროპარლამენტი

1951 წლის პარიზის ხელშეკრულებით შექმნილი "საერთო ასამბლეა" საკმაოდ შეზღუდული იყო და მხოლოდ საკონსულტაციო ფუნქციებს ატარებდა. რომის ხელშეკრულების შემდეგ, მან შეიცვალა სახელი და გახდა "ევროპის საპარლამენტო ასაბლეა", რომელიც პირველად 1958 წელს შეიკრიბა. სწორედ ამ დღიდან იწყება დღევანდელი პარლამენტის ისტორია. 1967 წელს ევროპული გაერთიანებების შერწყმის შემდეგ მას "ევროპარლამენტი" ეწოდა და მასში სამივე გაერთიანების ასამბლეა შევიდა.

ეკროპარლამენტის ფუქნციები წლების მანძილზე იზრდებოდა. ეტაპობრივად პარლამენტს, საბჭოსთან ერთად კანონშემოქმედებითობისა და ბიუჯეტის დამტკიცების უფლებაც გადაეცა. ისტორიულ თარიღად ითვლება 1979 წელი,

როცა ევროპარლამენტის პირველი პირდაპირი არჩევნები ჩატარდა და ევროპარლამენტარები უშუალოდ ევროპის მოსახლეობამ აირჩია. მანამდე ევროპარლამენტარებს წევრი სახელმწიფოები თავისი შერჩევით გზავნიდნენ და, ფაქტობრივად, დეპუტატის პოსტი იყო დანიშვნითი და არა – არჩევითი, რაც ჩრდილს აყენებდა ევროპარლამენტის დემოკრატიულობას.

ევროპარლამენტის ფუნქციები და როლი განსაკუთრებით გამყარდა ლისაბონის ხელშეკრულებით. იგი უფლებრივად გაუთანაბრდა საბჭოს, როგორც კანონების მიღებაში, ასევე ბიუჯეტის დამტკიცებაში. დღეისათვის ის გაცილებით ანგარიშგასაწევი ძალაა ევროკავშირის სხვა ინსტიტუტებთან ურთიერთობის დროს.

ლისაბონის ხელშეკრულებით "ძირითად საკანონმდებლო პროცედურად" თანაგადწყვეტა იქცა. თანაგადაწყვეტის დროს პარლამენტი კანონპროექტის განხილვასა და კანონის მიღებაში სრულად მონაწილეობს და საბჭოს სრულუფლებიანი პარტნიორია. კანონთა ძირითადი ნაწილი უკვე თანაგადაწყვეტით მიიღება (ეს პროცედურა 40 ახალ სფეროზე გავრცელდა).

პარლამენტმა 70-იან წლებში მოიპოვა ბიუჯეტის განხილვასა და დამტკიცებაში მონაწილეობის უფლება. თუმცა 2009 წლამდე მისი გავლენა არ ვრცელდებოდა მთლიან ბიუჯეტზე: პარლამენტს არ ჰქონდა საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლება ე.წ. "სავალდებულო დანახარჯებზე" (სოფლის მეურნეობასა და საერთაშორისო შეთანხმებებზე გათვალისწინებული დანახარჯები, მთლიანი ბიუჯეტის დაახლოებით 45%), აქ გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად იღებდა საბჭო. ლისაბონის ხელშეკრულების მიხედვით, პარლამენტი უკვე მონაწილეობს ბიუჯეტის მთლიანად დამტკიცებაში.

დღეისთვის უკვე საკმაოდ გაზრდილია პარლამენტის კონტროლი სხვა ინსტიტუტებზე:

- პარლამენტი ამტკიცებს ევროპული საბჭოს მიერ შერჩეულ კომისიის პრეზიდენტს. ლისაბონის ხელშეკრულებით, ევრუპულმა საბჭომ კომისიის პრეზიდენტობის კანდიდატი

უნდა შეარჩიოს ევროპარლამენტის ბოლო არჩევნების შედეგების გათვალისწინებით. ეს კომისიის პრეზიდენტს პარლამენტის წინაშე დამატებით ანგარიშვალდებულებას უჩენს.

• პარლამენტი ასევე ამტკიცებს კომისართა კოლეგიას. აქვს კომისიის დათხოვნის უფლება. უმტკიცებს კომისიას ყოველწლიურ პროგრამას და განვლილი წლის ფინანსურ გეგმას.

• პარლამენტი ამტკიცებს ევროპის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტსა და აღმასრულებელ საბჭოს. ბანკის პრეზიდენტი ვალდებულია წარუდგინოს პარლამენტს ყოველწლიური მოხსენება.

• პარლამენტი ირჩევს ევროპის ომბუცმენს, რომლის ფუნქციაცაა ევროკავშირის ინსტიტუტების წინააღმდეგ მოსახლეობის სარჩელების განხილვა.

• პარლამენტი ნიშნავს ევროკავშირის აუდიტორთა სასამართლოს წევრებს.

• პარლამენტთან ანგარიშვალდებულია უმაღლესი წარმომადგენელიც. მას მუდმივად უნდა ჰქონდეს ახლო კავშირი პარლამენტთან და მოვალეა, რეგულარულად გაიაროს კონსულტაციები. (http://euobserver.com/9/28878) ამგვარი კონსულტაციები და უმაღლესი წარმომადგენლის მოხსენებები პარლამენტში უკვე დაიწყო. მიმდინარეობს დებატები ევროპის საგარეო საქმეთა სამსახურის სტრუქტურასა და ფინანსირების საკითხებთან დაკავშირებით.

ახალი ინიციატივები

როგორც დავინახეთ, პარლამენტი "გადაღვრის" პრინციპით უფლებრივი გაძლიერების თვალსაჩინო მაგალითია. იგი ზეეროვნული მმართველობის ფლანგზე კომისიის ძლიერ მოკავშირედ ჩამოყალიბდა. კონკრეტული პრეცედენტების შედეგად, პარლამენტის როლი უფრო იზრდება. შეგვიძლია თამამად ვამტკიცოთ, რომ პოლიტიკური ინტეგრაციის ყველაზე აქტიური ფაზა 2009 წლის ბოლოს, ლისაბონის ხელშეკრულე-

ბის ძალაში შესვლის შემდეგ დაიწყო. რადგან ამ ეტაპზე მიმდინარეობს ხელშეკრულებაში გაწერილი ფუნქციებისა და უფლება-მოვალეობების პრაქტიკაში დანერგვა. ეს პროცესი კი აუცილებლად გულისხმობს ახალ-ახალ ინიციატივებსა და პოლიტიკური თანამშრომლობის მეტად გაღმავებას.

საინტერესოა პარლამენტის ბოლოდროინდელი ინიციატივები:

1. ევროკომისიის წევრები, პარლამენტართა მსგავსად, საერთო ევროპული არჩევნების შედეგად იქნენ არჩეულნი. ევროპარლამენტის მიმდინარე პრეზიდენტის ჯერზი ბუზეკის ღრმა რწმენით, ეს ნაბიჯი კომისრებს ევროკავშირის მოქალაქეების წინაშე მეტად "ხილულს" გახდის და მათ "დემოკრატიულ მანდატს" მიანიჭებს. "ამას არ ექნება მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობა, კომისია შეიძენს უფრო ძლიერ დემოკრატიულ ლეგიტიმურობას და გაძლიერდება, როგორც ინსტიტუტი." - განაცხადა ბუზეკმა 2010 წლის მარტში ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში გამოსვლის დროს. (http://euobserver.com/9/29742) მართლაც, პარლამენტის ინიციატივა კომისიას, მეტად დემოკრატიულსა და ეროვნული გავლენისგან დამოუკიდებელს გახდის. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა პარლამენტი კომისიის უფლებრივ გაძლიერებას ითხოვს, ან პირიქით. ორივე ზეეროვნული ორგანო ერთმანეთის გასაძლიერებლად საბჭოს წინააღმდეგ მუდმივად აქტიურ მეტოქეობაშია ჩართული.

2. ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა გააკეთოს ყოველწლიური საანგარიშო მოხსენება პარლამენტში, ისე როგორც ქვეყნის პირველი პირები გამოდიან მოხსენებით თავიანთ ეროვნულ პარლამენტებში. ეს ინიციატივა ევროპული საბჭოს პრეზიდენტს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულს გახდის, რაც ხელს შეუწყობს პარლამენტის გავლენის ზრდას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზეეროვნული მმართველობის ფუნქციური ზრდა პირდაპირ კავშირშია ევროკავშირის ფედერაციული ხასიათის ზრდასთან. აქამდე არსებული წესით, ევ-

როპული საბჭოს პრეზიდენტი მხოლოდ სამიტის დასრულების შემდეგ აბარებს ანგარიშს პარლამენტს. პარლამენტის პრეზიდენტი კი სამიტზე მხოლოდ გახსნით ნაწილში მონაწილეობს, როდესაც სიტყვით მიმართავს სხდომის დამსწრეებს, აცნობს განსახილველ საკითხებთან მიმართებაში ევროპარლამენტის პოზიციას და შემდეგ ტოვებს დარბაზს.

ეს ინიციატივები კარგად წარმოაჩენს ევროკავშირში დამკვიდრებულ პრაქტიკას, როცა კონკრეტული ხელშეკრულების მიღების შემდეგაც იჩენს თავს ახალი წინადადებები, რომლებიც ინტეგრაციის სხვა სფეროებზე გავრცელების ან თანამშრომლობის გაღრმავებისკენაა მიმართული.

დასკვნა

ამდენად, ზემოთ მოყვანილი ფაქტები გვაძლევს იმის მტკიცების საფუძველს, რომ ეკონომიკური ინტეგრაცია 90-იანი წლების შემდეგ ნამდვილად გადაიზარდა პოლიტიკურ თანამშრომლობაში. ნელ-ნელა, თუმცა აღმავალი პროგრესით, მიმდინარეობს პოლიტიკური კავშირის გაძლიერება. თემაში შევეცადეთ წარმოგვეჩინა პოლიტიკური ინტეგრაციის კუთხით არსებული თანამედროვე დინამიკა, რომელიც სათავეს ევროპული გარეთიანების ჩამოყალიბების პირველივე დღიდან იღებს. ავსახეთ, როგორ მიესადაგებოდა და მიესადაგება ინტეგრაციის პროცესი ნეოფუნქციონალისტების მიერ წამოყენებულ პრინციპებს.

განსაკუთრებით გავამახვილეთ ყურადღება ლისაბონის ხელშეკრულებით ინიცირებულ ინსტიტუციურ გარდაქმნებზე, რომლებიც კავშირის ფედერალურ ხასიათის გამყარებისკენ არის მიმართული. ახალი შეთანხმებით მნიშვნელოვნად გაიზარდა კომისიის, პარალმენტის, მინისტრთა და ევროპული საბჭოების ფუნქციები, დაიხვეწა მათი ორგანიზაციული სტრუქტურა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურა. გადაიდგა ნაბიჯები ევროკავშირის დემოკრატიულობის ზრდის-

კენ. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ხელშეკრულებით შეთანხმებული პუნქტების პრაქტიკაში დანერგვა და ადაპტაცია.

არ გვაქვს იმის ილუზია, რომ ევროკავშირი წარმოვაჩინოთ, როგორც უხარვეზო და მძლავრი პოლიტიკური ერთობა. თუმცა იმის მტკიცება ნამდვილად შეიძლება, რომ პოლიტიკური ინტეგრაცია უკვე აქტიურად მიმდინარეობს და წლიდან წლამდე ევროპულ სახელმწიფოთა გაერთიანება სულ უფრო ძლიერ საერთაშორისო აქტორად ყალიბდება.

მოყვანილი არგუმენტები, ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, შედარებით ზოგად ხასიათს ატარებს. ვფიქრობთ, ამ ფორმატში მეტი დეტალიზაცია არც იყო საჭირო, რადგან ჩვენს ძირითად მიზანს თემის აქტუალობაზე ხაზგასმა და ზოგადი სურათის დახატვა წარმოადგენდა. თუმცა მიგვაჩნია, რომ ნაშრომის ძირითადი თეზისის გარშემო უფრო სიღრმისეული და მასშტაბური კვლევაა ჩასატარებელი. ეს უკეთ წარმოაჩენს ევროინტეგრაციის პროცესს პოლიტიკურ ჭრილში. ამ მიმართულებით მუშაობა უკვე დაწყებული გვაქვს და საბოლოო შედეგებს უფრო ფართომასშტაბიან ნაშრომში წარმოვადგენთ.

გამოყენებულიდაციტირებული ლიტერატურა:

1. გოგოლაშვილი კახა და კაპანაძე სერგი, ევროკავშირის ინსტიტუტები და პოლიტიკა, თბილისი, 2006,
2. ლეონარდი დიკ, ევროკავშირის სახელმძღვანელო, თბილისი, 2002,
3. ჯავახიშვილი ბიძინა (შემდგენელი), სიტყვარი - ევროპის კავშირი: პოლიტიკა და მმართველი ორგანოები, ევროკომისიის წარმომადგენლობა საქართველოსა და სომხეთში, თბილისი, 2003,
4. Bache Ian and George Stephen, Politics in the European Union, Second Edition, Oxford University Press, New York, 2006,

5. Draft Treaty Establishing A Constitution For Europe, *Adopted by consensus by the European Convention*, 2003,
6. Joint Study – CEPS, EPC, EGMONT, The Treaty of Lisbon Implementing the Institutional Innovations, 2007,
7. Haas Ernst B.: International Integration: The European and the Universal Process, *International Organization*, Vol. 15, Issue 3 (Summer 1961),
8. Haas Ernst B. 1975. The Obsolescence of Regional Integration Theory. Berkeley: University of California,
9. Lindberg Leon N., Political Integration: Definitions and Hypotheses, *The political Dynamics of European Economic Integration,* 1963, *reprinted in: The European Union, Readings on the Theory and Practice of European Integration eduted by Brent F. Nelsen and Alexander Stubb. Third Edition, 2003,*
10. Malamud Andres, Spillover in European and South American Integration, *Prepared for delivery at the 2001 meeting of the Latin American Studies Association, Washington D.C.*, 2001,
11. Nugent Neil: The Government and Politics of the European Union, Duke University Press, Fifth Edition, 2003, Chapter 7,
12. Rosamond Ben: Theories of European Integration, London, Mocmilan, 2000
13. Treaty of Lisbon, 2007,
14. Wallace Helen and Wallace William, Policy-Making in the European Union, Sixth Edition, Oxford University Press, New York, 2005.
15. European Commission: It's a better life, How the EU's single market benefits you, DG Press and Communication, 2002

Web resources:
http://europa.eu.int/
http://www.euobserver.com/
http://www.euractiv.com
http://www.wikipedia.org

Abstract

Gizo Chelidze – PhD Student of the Faculty of Social and Political Sciences of TSU.

The presented research aims to discuss the EU integration process in the context of politics. We argue that, since the economic integration has been deepened, an active phase of political integration in the EU has started. Despite the fact, that we still can not consider the EU as a single and full-scale political actor on international stage, we strongly consider that the political integration of the EU has started since its establishment and the process still continues, despite many resistance and obstacles. In addition we assume, that since 1992 Maastricht Treaty, the member states officially started delegating their sovereign rights in the political sphere to the European institutions. Maastricht was followed by Amsterdam and Nice treaties, as well as the failed Constitutional Treaty and finally the Lisbon Treaty. The Lisbon Treaty is also called Reform Treaty, because it considerably changes the institutional order of the EU which existed before and pulls the Union into the new and higher level of integration. To prove the main thesis of the research we use the Neofunctional theory. We are convinced that Neofunctionalism mostly fits to the EU integration model.

ახალგაზრდული იდენტობები ბრიკოლაჟის გზით თანამედროვე საქართველოში

ლია წულაძე
ასოცირებული პროფესორი,სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კვლევის მიზანი. თანამედროვე ეპოქაში, რომელიც სწრაფი სოციოკულტურული ცვლილებებით გამოირჩევა, განსაკუთრებით მრავალფეროვანია სხვადასხვა ახალგაზრდული ჯგუფები თუ სუბკულტურები. სოციალურ მკვლევართა აზრით, ,,ისინი აშკარა დამოუკიდებლობას ავლენენ იმ მოდელებისაგან, რომლებიც ფართო საზოგადოებას მართავს... კულტურის ცოდნა საზოგადოების დონეზე აღარაა საკმარისი ამ ჯგუფების რეპრეზენტაციების განჭვრეტისა და ახსნისათვის (Camilleri & Malewska-Peyre, 1997, გვ. 45). ამასთან, სხვადასხვა სუბკულტურების ღირებულებებისა და შეხედულებების გაცნობა საშუალებას აძლევს ინდივიდებს, ,,მათი საზოგადოების მიერ მიწოდებული მრავალფეროვანი მასალის პიროვნული მანიპულირება მოახდინონ... ასეთ პირობებში, გამოცდილებით მიღებული კულტურა მნიშვნელოვნად განსხვავდება საზოგადოებისაგან მიწოდებული კულტურისაგან" (იქვე, გვ. 46).

წარმოდგენილი კვლევის მიზანია თანამედროვე საქართველოში ახალგაზრდების ,,გამოცდილებით მიღებული კულტურის" შესწავლა, ჩვენება იმისა, თუ როგორ ახდენენ ისინი როგორც ადგილობრივი, ისე გლობალური კულტურის მიერ მიწოდებული ,,მრავალფეროვანი მასალის მანიპულირებას" და გარკვევა იმისა, იწვევს თუ არა ეს ,,მანიპულირება" ახალი ტრადიციის შექმნას (Hobsbawm & Ranger, 1983). სამიზნე ჯგუფს შეადგენენ 16-21 წლის ახალგაზრდები და კვლევა

ფოკუსირებულია იმ აქტივობების შესწავლაზე, რომელთაც თავისუფალი დროის გასატარებლად იყენებენ, რადგან სწორედ ამგვარი აქტივობები ასახავს მათ ცხოვრების სტილსა და შემოქმედებითობას.

კვლევის მეთოდოლოგია. შევეცადე რა, მაქსიმალურად დამეახლოვებინა სამეცნიერო და ყოველდღიური ცხოვრების სფეროები, რისთვისაც აუცილებელი იყო ,,ობიექტური დისტანციის დაძლევა მკვლევრის სამყაროსა და საკვლევი ობიექტების კულტურულ სამყაროებს შორის" (Narayan, გვ. 672), ვხელმძღვანელობდი ვ. გრისუოლდის მიერ შემოთავაზებული არგუმენტებით კულტურის სოციოლოგიის საკვლევი ოთხი უმთავრესი ასპექტის შესახებ, როგორიცაა მნიშვნელობა, ძალაუფლება, ქმედება და ჰეგემონია (Griswold, 1992, გვ. 324-326). ჩემი შეხედულებით, რაც უფრო მეტად იქნებოდა შესაძლებელი ,,ობიექტური დისტანციის დაძლევა" მკვლევარსა და საკვლევ ობიექტებს შორის ოთხივე პარამეტრის საფუძველზე, მით უფრო მეტად წაიშლებოდა საზღვრები სამეცნიერო და ყოველდღიური ცხოვრების სფეროებს შორის. სწორედ ეს იყო მთავარი მოტივი კვლევაში ჩემი სტუდენტების, როგორც თანამკვლევრების, ჩართვისა და ახალგაზრდული კულტურის ანალიზის მცდელობისა მათი თვალსაწიერიდან, რადგან აშკარა იყო, რომ, ოთხივე პარამეტრის გათვალისწინებით, ნაკლები ,,ობიექტური დისტანცია" არსებობდა ჩემს სამიზნე ჯგუფსა და ჩემს თანამკვლევრებს შორის, ვიდრე ჩემს სამიზნე ჯგუფსა და ჩემს შორის.

ამ მიზნით, 25 სიღრმისეული ინტერვიუს ჩატარების და თბილისის ყველაზე პოპულარულ მუსიკალურ კლუბებში დაკვირვებების განხორციელების შემდეგ, აგრეთვე პოპულარული ახალგაზრდული ინტერნეტ-ფორუმების (www.forum.ge, www.boke.ge, www.anime.ge) ანალიზის შედეგად, შევარჩიე 12 სტუდენტი (მამრობითი და მდედრობითი სქესის, განსხვავებული სოციოეკონომიკური საფუძვლების მქონე და სწავლე-

ბის სხვადასხვა საფეხურზე მყოფი) და ვთხოვე თითოეულს, ორი სილრმისეული ინტერვიუ ჩაეტარებინა მისივე სოციალური წრის წარმომადგენელ 16-21 წლის ახალგაზრდასთან (ჩემს თანამკვლევრებს თავადვე უნდა განესაზღვრათ მათი სოციალური წრის წარმომადგენლები). გარდა ამისა, მათ დაკვირვებები უნდა განეხორციელებინათ თბილისის პოპულარულ მუსიკალურ კლუბებში და რეფლექსია უნდა მოეხდინათ დისკუსიებზე, რომლებიც პოპულარულ ახალგაზრდულ ინტერნეტ-ფორუმებზე იმართებოდა. სულ ბოლოს, ჩემი თანამკვლევრები ორ ჯგუფად დავყავი და ორი ფოკუს ჯგუფი ჩავატარე, რათა გამერკვია, თუ როგორ მოახდენდნენ ერთმანეთის ინტერპრეტაციების სპონტანურად შეფასებას. ჩემი თანამკვლევრების მიერ მოპოვებულმა და ინტერპრეტირებულმა მონაცემებმა საშუალება მომცა, ინტერპრეტირებული რეალობის მეორადი ინტერპრეტაცია მომეხდინა, როგორც გირცისეული ანალიზის ("thick description") განხორციელების საშუალება.

კვლევის შედეგები. ამგვარად, როგორ დამეხმარნენ ჩემი სტუდენტები, როგორც თანამკვლევრები, ,,ობიექტური დისტანციის დაძლევაში მკვლევრის სამყაროსა და საკვლევი ობიექტების კულტურულ სამყაროებს შორის" და რა აღმოვაჩინე მათი ინტერპრეტაციების საფუძველზე, რაც სხვა მხრივ ჩემთვის არახელმისაწვდომი იქნებოდა?

პირველი საკითხი, რომელმაც ამ მიმართულებით ჩემი ყურადღება მიიპყრო, მუსიკალურ კლუბებში ვიზიტთან დაკავშირებით ახალგაზრდების შეხედულებები იყო. საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ თბილისში მუსიკალურ კლუბებში სიარული საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა, შედარებით მაღალი შემოსავლის მქონე ადამიანებისთვისაც კი. რა მიზეზებს ასახელებენ თავად ახალგაზრდები იმის ასახსნელად, თუ რატომ არ დადიან მუსიკალურ კლუბებში და რა განსხვავებაა მათი თანატოლებისთვის (ჩემი თანამკვლევრებისთვის) და მკვლევრისთვის (ჩემთვის) განკუთვნილ ვერსიებს შორის?

თანატოლებთან ინტერვიუში ახალგაზრდები აღნიშნავდნენ, რომ მუსიკალურ კლუბებში თვეში ერთხელ ან უფრო იშვიათადაც კი დადიოდნენ მატერიალური საშუალების უქონლობის გამო და გამოთქვამდნენ სურვილს, უფრო ხშირად ეარათ კლუბებში, რადგან ,,ქლაბინგი" ("clubbing") თანამედროვე მოდურ ტენდენციად მიაჩნდათ. ჩემთან ინტერვიუში კი ისინი ხშირად აღნიშნავდნენ, რომ კლუბებში სიარული საქართველოში ,,ცუდ ტონად" ითვლებოდა და ,,სერიოზულად ვერ აღიქმებოდა, რადგან ახალგაზრდები იქ, უმეტესად, ერთმანეთის გასაცნობად და მცირეხნიანი ურთიერთობების დასამყარებლად" დადიოდნენ, რაც ქართულ ტრადიციებს ეწინააღმდეგება (ნატალია, 18 წლის).

ამდენად, ახალგაზრდები ორი სახის ნარატივს გვთავაზობენ: ერთ შემთხვევაში ისინი ცდილობენ, მოდურად გამოიყურებოდნენ, მეორე შემთხვევაში კი - ტრადიციულად. ამ კონტექსტში გვახსენდება რიჩარდსონის მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაცია, რომელიც კვლევის ობიექტთა ორ განსხვავებულ ნარატივს აღწერს: ,,კულტურულ ისტორიებს," რომელთაც რესპონდენტები ნორმატული წესრიგისა და მმართველი ინტერესების პოზიციიდან გვიამბობენ, და ,,კოლექტიურ ისტორიებს," რომელთაც ისინი კულტურულ ისტორიაში მარგინალიზებული ადამიანების პოზიციიდან გვიამბობენ (Richardson in Miller & Glassner, 2004, გვ, 130). რესპონდენტთა ნარატივების კულტურულ და კოლექტიურ (მე ვიტყოდი ,,სუბკულტურულ") ისტორიებად დაყოფა კოდებსა და ქმედებებს შორის ურთიერთმიმართებას ასახავს და გვიჩვენებს, თუ რა გავლენას ახდენს ,,კოდის მოთხრობა" სოციალური რეალობის განსხვავებული ვერსიების წარმოქმნაზე (Jimerson & Oware, 2006, გვ. 24-50). ჩვენს შემთხვევაში, ეს ორი განსხვავებული ნარატივი ასახავს ქართველი ახალგაზრდების ურთიერთსაპირისპირო მისწრაფებებს ტრადიციულობისა (მოთხრობილი მკვლევრისთვის/ჩემთვის ,,კულტურული ისტორიის" პოზიციიდან) და თანამედროვეობისადმი (მოთხრობილი თანა-

ტოლებისთვის/ჩემი თანამკვლევრებისთვის ,,კოლექტიური ისტორიის" პოზიციიდან), და სწორედ ამ ორი ტიპის მონათხრობის კულტურის ჭრილში კონტექსტუალიზაციამ უნდა დაგვანახოს რეალური სურათი.

ამგვარი კონტექსტუალიზაცია კი ცხადყოფს, რომ დღეს ტრადიციულობა ნამდვილად არ წარმოადგენს მოდურ ტენდენციას. მაშ, რა მიაჩნიათ მოდურად თანამედროვე ქართველ ახალგაზრდებს? კვლევის საფუძველზე გამოვლინდა სამი მოდური ტენდენცია ქართველ ახალგაზრდებში: ,,გამორჩეულობა" (,,ინდივიდუალობა"), ,,ინტელექტუალობა" (უფრო სწორედ, ინტელექტუალური იმიჯის ქონა) და ,,ეროვნულობა." აღსანიშნავია, რომ, თუმცა ტრადიციულობა, მოძველებული შეხედულებების ტარებისა და სიახლეებისადმი მიუღებლობის თვალსაზრისით, არაპოპულარულადაა მიჩნეული, ,,ეროვნულობა," როგორც იმ კულტურული თავისებურებების შენარჩუნება, რაც ქართულ კულტურას სხვებისაგან გამოარჩევს, იქნება ეს ქართული პოლიფონია, ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები, ქართული სუფრის ტრადიციები და ,,ქართული ურთიერთობებიც" კი, რაშიც ახალგაზრდები, უმთავრესად, ემოციურ მიჯაჭვულობასა და შიდა ჯგუფის წევრების მხრიდან მხარდაჭერას გულისხმობენ, დღესაც საკმაოდ პოპულარულადაა მიჩნეული.

ახალგაზრდებისათვის გამორჩეულობის/ინდივიდუალობის მნიშვნელობა არაერთხელაა ხაზგასმული ახალგაზრდული კულტურებისა და სუბკულტურების როგორც კლასიკურ, ისე თანამედროვე კვლევებში. როგორ აღიქმება ,,გამორჩეულობა" ქართველი ახალგაზრდების მიერ და რამდენად ახლოსაა რესპონდენტების, მათი თანატოლების (ჩემი თანამკვლევრების) და მკვლევრის (ჩემი) შეხედულებები?

რესპონდენტების სიტყვებით, გამორჩეული ახალგაზრდა არ ჰგავს ,,ტიპიურ ახალგაზრდას, რომელზეც გავლენის მოხდენა ძალიან მარტივია, რადგან მისთვის მოსახერხებელია, იყოს კონფორმისტი... ტიპიურ ახალგაზრდებს ახასიათებთ სხვების მსგავსი გემოვნება, აცვიათ სხვების მსგავსი ტანსაც-

მელი და უსმენენ მსგავს მუსიკას. ისინი არ ცდილობენ, მასისგან გამოირჩეოდნენ, იყონ უფრო ინტელექტუალები, პირიქით, მათ პანიკურად ეშინიათ გამორჩეულობის" (თინათინი, 19 წლის). ამის საპირისპიროდ, გამორჩეული ახალგაზრდა ,,ნამდვილად არ არის ჩვეულებრივი და სტანდარტული, როგორც ,მასობრივი ტიპი.' მას მრავალმხრივი ინტერესები და მრავალფეროვანი გემოვნება აქვს... ის გაცილებით მეტს ფიქრობს და გაცილებით შემოქმედებითია, ვიდრე სხვები" (დავითი, 19 წლის).

და აღსანიშნავია, რომ რესპონდენტები არათუ იდენტურად აფასებენ გამორჩეულ და არაგამორჩეულ ახალგაზრდებს, არამედ იდენტური ტერმინებითაც კი ამკობენ: ,,ინდივიდუალები" და ,,მასობრივი ტიპები." როგორც რაოდენობრივმა კონტენტ-ანალიზმა გამოავლინა, ,,ინდივიდუალების" დახასიათებისას რესპონდენტები შემდეგ ცნებებს იყენებენ: მრავალფეროვანი, არასტანდარტული, მრავალმხრივი, ინტელექტუალური, შემოქმედებითი და სხვ., ხოლო ,,მასობრივი ტიპების" შეფასებისას, უმეტესად, შემდეგი ტერმინები გამოიყენება: სტანდარტული, ჩვეულებრივი, ერთფეროვანი, მიმბაძველი, კონფორმისტი და სხვ.

,,ინდივიდუალებსა" და ,,მასობრივ ტიპებს" შორის ამგვარი დაყოფა საოცრად წააგავს სარა თორნტონის რესპონდენტების მიერ ბრიტანელი ახალგაზრდების ,,ჰიპად" და ,,მეინსთრიმად" დაყოფას, რომელთა მახასიათებლები ჩვენი რესპონდენტების მიერ გამოყოფილი მახასიათებლების იდენტურია (Thornton, 1996, გვ. 115):

ჰიპი	მეინსთრიმი
მრავალფეროვანი	ჰომოგენური
ალტერნატიული	სწორხაზობრივი
რადიკალი	კონფორმისტი
გამორჩეული	ჩვეულებრივი

ხედავენ რა, რომ მათი თანატოლები ძალიან ცდილობენ, გამორჩეულები იყონ, თუმცა მათი მცდელობები საკამოდ ჰომოგენურია, და აცნობიერებენ რა, რომ მათ, შესაძლოა,

მსგავსი მისწრაფებები მიეწეროთ, ჩემმა თანამკვლევრებმა საკმაოდ საინტერესო სტრატეგია შეიმუშავეს საკუთარი თავის ინდივიდუალისტური ამბიციების მქონე თანატოლებზე მაღლა დასაყენებლად. ეს სტრატეგია თვალსაჩინო იყო მათთან ფოკუსური ჯგუფების ჩატარებისას: ,,სინამდვილეში, ეს ახალგაზრდები სულაც არ არიან სხვებისგან გამორჩეულები და გამორჩეულობა მათთვის სასურველ და არა რეალურ მდგომარეობას წარმოადგენს" (მარიამი, 21 წლის); ,,ყველა ცდილობს, განსხვავებული იყოს, არადა, ეს აზრს მოკლებულია... ახლა ვხვდები, რა გამოგვარჩევს მე და ჩემს მეგობრებს ჩვენი თანატოლებისგან - ჩვენ არასდროს ვცდილობთ, ვიყოთ გამორჩეულები" (თაკო, 20 წლის).

წინამდებარე ციტატები ნათელყოფს, თუ როგორ ყალიბდება ავტო- და ჰეტეროსტერეოტიპები და როგორ ახდენენ ახალგაზრდები ერთმანეთის სტიგმატიზებას შიდა/გარე ჯგუფისადმი კუთვნილების საფუძველზე. რესპონდენტების თანახმად, მათი მეგობრების ვიწრო წრე (შიდა ჯგუფი) გამორჩევა მრავალფეროვანი გემოვნებით, მრავალმხრივი ინტერესებით და ინტელექტუალური მისწრაფებებით, განსხვავებით მათი თანატოლებისგან, რომლებსაც ერთფეროვანი გემოვნება, კონფორმისტული ორიენტაცია და ინტელექტუალური მისწრაფებების ნაკლებობა ახასიათებთ. ჩემი თანამკვლევრებიც ხაზს უსვამენ მათ გამორჩეულობას, თუმცა განსხვავებული გზით - მათი შიდა ჯგუფი (,,ჩვენ") თანატოლებისგან იმით განსხვავდება, რომ ისინი არც კი ცდილობენ, გამორჩეულად გამოიყურებოდნენ.

როგორც ზემოთქმული ადასტურებს, ახალგაზრდები, ჩვეულებრივ, გამორჩეულობას ინტელექტუალობასთან აკავშირებენ და მათ შიდა ჯგუფს ამ ორივე მახასიათებელს მიაწერენ (არა აქვს მნიშვნელობა, სინამდვილეში რა კულტურული კაპიტალის მატარებელნი არიან). ამ კონტექსტში აუცილებელია ჩემი თანამკვლევრების მიერ მოწოდებული საინტერესო ინფორმაცია წარმოვადგინო. აღმოჩნდა, რომ ქვეყანაში მიმდინარე სოციოკულტურული ცვლილებებისა და საგანმა-

ნათლებლო რეფორმების ფონზე, განსაკუთრებით ,,მოდური გახდა, იყო ინტელექტუალი," თუმცა, ხშირად, ეს უფრო იმიჯს, ვიდრე რეალურ მისწრაფებას წარმოადგენს. აღმოჩნდა, რომ ბევრი ახალგაზრდა, ინტელექტუალურად რომ გამოიყურებოდეს, ლიტერატურულ კაფეებში დადის, სადაც, შესაძლოა, მთელი ღღე უქმად გაატაროს და ერთი გვერდიც კი არ წაიკითხოს, სამაგიეროდ, სხვებს აჩვენოს, რომ დინებას არ ჩამორჩება და უახლეს ლიტერატურულ მიღწევებს ეცნობა. ერთ-ერთი ჩემი თანამკვლევარი იმაშიც კი გამომიტყდა, რომ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში შინიდან მიტანილ კომიქსებს კითხულობდა, სხვებს კი ეგონათ, რომ სამეცნიერო ლიტერატურას ეცნობოდა. და აღმოჩნდა, რომ ეს საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკა იყო ახალგაზრდებს შორის, რის შესახებაც ყველამ იცოდა, თუმცა მასზე საუბარს თავს არიდებდნენ. ამგვარი ქმედება, რაც ქართველი ახალგაზრდებისთვის ,,კულტურული ინტიმურობის" (Herzfeld, 2005) საფუძველს წარმოადგენს, პირდაპირ ეხმიანება დევიდ მაგლტონის დასკვნას, რომ, განსხვავებით მოდერნული ახალგაზრდული კულტურებისგან, რომლებიც ღირებულებებსა და რწმენებს უსვამდნენ ხაზს, პოსტმოდერნული ახალგაზრდული კულტურები გარეგნული იმიჯითა და სტილით არიან მოხიბლულნი (Muggleton, 2002).

ინტელექტუალობის ერთ-ერთ გამოხატულებას ქართველი ახალგაზრდებისთვის მათი სლენგიც წარმოადგენს. აღმოჩნდა, რომ ქართული ახალგაზრდული სლენგი ყველა იმ დისკურსული მახასიათებლით გამოირჩევა, რაც მარსელ დანესიმ ამერიკული და იტალიური თინეიჯერული სლენგების შედარებისას აღწერა, იქნება ეს ენის ემოციური, კონოტაციური თუ კლიშე-კოდური პროგრამირება (Danesi, 1994, p.99). ამჟამად ჩემს მიზანს არ წარმოადგენს ქართული ახალგაზრდული სლენგის ამ უნივერსალური მახასიათებლების განხილვა, არამედ მსურს, ყურადღება მის კულტურულ-სპეცი-

ფიკურ თავისებურებებზე გავამახვილო, რაშიც ისევ ჩემს თანამკვლევრებს უნდა ვუმადლოდე.

ქართული ახალგაზრდული სლენგის უამრავი მაგალითის მოყვანით და მათი თანატოლების მიერ ფართოდ გამოყენებული ფრაზეოლოგიის ინტერპრეტაციის საფუძველზე, ჩემმა თანამკვლევრებმა შემდეგი დასკვნისადმი მიბიძგეს: თურმე, როცა მათ თანატოლებს ვინმეს შეურაცხყოფა ან მისი პროვინციალიზმის დაცინვა სურთ, ისინი, უმეტესად, ,,რუსულ-ქართულ" სლენგს იყენებენ, რაც, სინამდვილეში, რუსული სიტყვების გადმოქართულებას წარმოადგენს და ამ ორი ენის თავისებურ ჰიბრიდს ქმნის. ჩვენი ინტერვიუებიდან უამრავი ამგვარი ,,ჰიბრიდი" გამოვლინდა, თუმცა ამჟამად მხოლოდ იმ რამდენიმე მაგალითს დავჯერდები, რაც რაოდენობრივი კონტენ-ანალიზის საფუძველზე იქნა შერჩეული: ,,ნუ ბლატაობ," ,,რა როჟაა," ,,რიჟა ბაზარია," ,,მაგარი პრატივნია" და სხვ. ხოლო, როცა ახალგაზრდებს სურთ, ,,მაგრები" გამოჩნდნენ ან ინტელექტუალურად ჟღერდნენ, ისინი მსგავსი ტიპის ,,ინგლისურ-ქართულ" სლენგს იყენებენ, რომლის გავრცელებული ნიმუშებიც ისევ რაოდენობრივმა კონტენტ-ანალიზმა გამოავლინა: ,,მაგარი ქულია," ,,ეს მუსიკა ლაითია," ,,დამიმესიჯე," ,,ფრომოუშენი გაუკეთეს" და სხვ.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ახალგაზრდული სლენგი ქვეყნის დომინანტურ პოლიტიკურ დისკურსს ასახავს და მასში თავს იჩენს საქართველოს განწყობა მისი მჩაგვრელი მეზობლის მიმართ, ამიტომ ის არ უნდა ჟღერდეს უჩვეულოდ იმ პირობებში, როცა რუსეთი საქართველოს ძირითად მტრადაა მიჩნეული, შეერთებული შტატები კი - მის მთავარ მეგობრად და მოკავშირედ, არაფერი რომ ვთქვათ იმ ფაქტის შესახებ, რომ თავად ინგლისური ენა გლობალიზაციის ენაა და ქართველ ახალგაზრდებში რუსულ ენას კარგა ხანია ჩამოართვა ,,მეორე ენის" სტატუსი.

და ბოლოს, კიდევ ერთი მოდური ტენდენცია, რომელიც კვლევამ გამოავლინა, ,,ეროვნულობაა," თუმცა, გამორჩეულობის და ინტელექტუალობის მსგავსად, ისიც, ხშირად, უფ-

რო იმიჯის თუ ფასადის სახითაა შენარჩუნებული. ახალგაზრდების აზრით, ,,იყო ეროვნული" ნიშნავს, უსმენდე ქართულ ტრადიციულ მუსიკას, მღეროდე ქართულ ხალხურ სიმღერებს (თუ რთულ პოლიფონიას არა, სუფრულ სიმღერებს მაინც) და აუცილებლად შეინარჩუნო ,,ქართული ურთიერთობები." რა უნდა გამხდარიყო დღეს ,,ეროვნულად ყოფნის" ასეთი პოპულარობის მიზეზი და რამდენად გულწრფელია ამგვარი მისწრაფება ,,ეროვნულობისკენ"?

რესპონდენტების შეხედულებებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ,,ეროვნულობის" ხაზგასმა თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროში ,,კულტურული ინტიმურობის" შენარჩუნების ძირითადი სტრატეგიაა. ის არა მარტო ,,ეროვნული სულის" დაცვის საშუალებაა მაშინ, როცა არსებობს ძლევამოსილი მეზობლის მიერ ოკუპაციის რეალური საფრთხე, არამედ იმ დასავლური ტენდენციებისთვის წინააღმდეგობის გაწევის მექანიზმიცაა, რომელთაც ჩვენი საზოგადოება ,,დამახინჯებულად ითვისებს" (ქეთი, 18 წლის). ახალგაზრდების მთავარ სატკივარს ,,თავისუფლების" დასავლური გაგება წარმოადგენს, რომელიც, მათი თქმით, მათი თანატოლების მიერ ,,გარყვნილებადაა" გაგებული: ,,მიუხედავად იმისა, რომ უნდათ თავისუფლები იყონ, მათ არ ესმით ამ თავისუფლების არსი... ეს ალბათ ჩვენი მენტალიტეტის ბრალია. ზღვარი დაიკარგა, ზღვარი აღარ არსებობს თავისუფლებასა და გარყვნილებას შორის" (სალომე, 20 წლის).

ჩემმა თანამკვლევრებმა ამ საკითხზე არაჩვეულებრივი რეფლექსია მოახდინეს. მათ დაუფარავად აღიარეს, რომ მიუხედავად სხვებისთვის მიწერისა, თავად ისინიც და მათი შიდა ჯგუფიც დასავლური პრაქტიკების კოპირებას ახდენენ; თუმცა, მათი აზრით, მთავარ პრობლემას არა ამ პრაქტიკების ,,დამახინჯება," არამედ მათი გაუაზრებელი კოპირება წარმოადგენდა: ,,ვერ დამთავრდა საქართველოში პრორუსული და პროამერიკული კულტურის გადმოღების ეპოქა და არა და არ დაიწყო პროქართული ეპოქა... ბოლოს და ბოლოს, ამერიკა ვერ გვასწავლის, როგორ შევქმნათ ისტორია; ამერიკას შეუძ-

ლია გვასწავლოს, როგორ შევქმნათ დემოკრატია და არა კულტურა.ქართველებმა დემოკრატიის მხოლოდ ის პრინციპები უნდა ავიღოთ მაგალითად, რომლებიც ქართულ პრინციპებსა და რეალობას შეესაბამება" (ანანო, 19 წლის).

მართალია, ჩემი თანამკვლევრები აღიარებდნენ, რომ მიმდინარე გლობალიზაციის პირობებში გარიყულად ყოფნა არა მარტო შეუძლებელი, არამედ ირაციონალურიცაა, ისინი ხაზს უსვამდნენ იმ ფაქტს, რომ ისეთი პატარა ქვეყნებისთვის, როგორიც საქართველოა, და რომელთაც წილად ხვდათ დიდი სახელმწიფოების მხრიდან ოკუპაცია, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო ,,ეროვნული სულის" შენარჩუნება, თუმცა მოდერნიზებული ფორმით. ამიტომაცაა, რომ მათ მიერ გამოკითხული ახალგაზრდების დიდი ნაწილი კვლავ ქართულ სუფრულ ტრადიციებს მისდევს, თუმცა სადღეგრძელოების ტრადიციული სისტემის ადაპტაციას ახდენს, კვლავ ქართულ ხალხურ მუსიკას და პოლიფონიას უსმენს, თუმცა, უმეტესად, მათ მოდერნიზებულ ვერსიებს (ინტერვიუებიდან გამომდინარე, ,,შინი" და ,,ასსა-ფართი" ახალგაზრდების მიერ ყველაზე პოპულარულ ქართველ შემსრულებლებად არიან მიჩნეულნი) და უარს ამბობს ქართული პოპის მოსმენაზე, რომელიც, მათი სიტყვებით, ,,დასავლური პოპის უგემოვნო მიბაძვას წარმოადგენს" (სანდრო, 16 წლის).

ამ კონტექსტში მარტინ რობერტსის მიერ შემოთავაზებული თანამედროვე სუბკულტურული პრაქტიკის ფორმები გვახსენდება, რომლებიც აღწერს როგორც სუბკულტურულის როლს გლობალიზაციის პირობებში, ისე გლობალიზაციის როლს სუბკულტურებისთვის. ქართველ ახალგაზრდებს შორის გავრცელებული ,,ეროვნულობის" მოდური ტენდენცია უნდა წარმოადგენდეს სუბკულტურულ პრაქტიკას, რომელიც მიისწრაფვის კულტურული განსხვავებულობისაკენ, რაც გულისხმობს ,,კულტურულ სხვად" ("cultural other") ყოფნას და რასაც რობერტსი ,,პრიმიტივისტულ წარმოსახვას" ("primitivist imaginary") უწოდებს (Roberts, 2005, გვ. 579), თუმცა, ნე-

გატიური შეფასებითი კონოტაციის გამო, თავად ტერმინი სადავოდ მიმაჩნია.

დასასრულს, როგორ აფასებენ თავად ახალგაზრდები ლოკალურისა და გლობალურის და აღმოსავლურისა და დასავლურის ურთიერთმიმართებას ქართულ ახალგაზრდულ კულტურაში? რესპონდენტების თანახმად, რადგან საქართველო, ისტორიულად, ევროპასა და აზიას შორის ,,ხიდად" ითვლებოდა, როგორც მისი დომინანტური, ისე ახალგაზრდული კულტურები ყოველთვის ახდენდნენ დასავლური და აღმოსავლური კულტურების ელემენტების კომბინირებას. რესპონდენტების მიერ შემოთავაზებული დასავლური კულტურული მახასიათებლების ჩამონათვალი საკმაოდ ფართოა და ისეთ ელემენტებს მოიცავს, როგორიცაა ინდივიდუალიზმი, ახალგაზრდების მატერიალური დამოუკიდებლობა მშობლებისგან, არჩევანის თავისუფლება, სქესობრივი ურთიერთობების თავისუფლება, გენდერული თანასწორობა და სხვ. აღმოსავლური კულტურული მახასიათებლების ჩამონათვალი კი, ძირითადად, შემდეგ სამ ელემენტს მოიცავს: ახალგაზრდების მატერიალური დამოკიდებულება მშობლებზე, მამაკაცებსა და ქალებს შორის ტრადიციული ურთიერთობები, რომელშიც ადგილი არა აქვს გენდერულ თანასწორობას და სქესობრივი ურთიერთობების მკაცრი რეგულაცია.

რეფლექსირებას ახდენენ რა მათი თანატოლების მიერ წარმოდგენილ დასავლური და აღმოსავლური კულტურული მახასიათებლების ჩამონათვალზე და აცნობიერებენ რა, რომ მათ საფუძველზე, ქართული ახალგაზრდული კულტურა აღმოსავლურ და არა დასავლურ კულტურათა რიცხვს მიეკუთვნება, ჩემი თანამკვლევრები ცდილობენ აღმოსავლურ და დასავლურ კულტურულ მახასიათებლებს შორის ბალანსის დამყარებას და აღნიშნავენ, რომ, თუმცა ქართული კულტურა აღმოსავლური კულტურებისთვის ჩვეული გარკვეული თავისებრებების მატარებელია, თანამედროვე პირობებში დასავლური გავლენები გაცილებით ძლიერია, რაც აისახება კიდეც ,,სტილსა და ჩაცმულობაში, მუსიკალურ გემოვნებაში, სქე-

სობრივი ურთიერთობებისადმი ცვალებად დამოკიდებულებაში და სხვ." (მაია, 17 წლის). ,,უდავოა, რომ გლობალიზაციის პირობებში დასავლური გავლენები გაცილებით ძლიერია, თუმცა ჩვენი ახალგაზრდული კულტურა არც სუფთა დასავლურია და არც აღმოსავლური, ის *სუფთა ქართულია*... ქართულად ხდება ეს ყველაფერი. რაღაც ინოვაციები არის, მაგრამ მაინც ტრადიციულ ფარგლებშია ისევ. თითქოს არის თავისუფლება, მაგრამ სხვებზე დამოკიდებული თავისუფლება... ეს არის ქართული სინამდვილე" (მარი, 20 წლის).

და მართალია, ეს ახალგაზრდები არ იცნობენ ფრიდმანის შეხედულებებს, რომ გლობალური კულტურული ობიექტები ყოველთვის ლოკალიზებას განიცდის, ანუ ახლებურადაა დანახული და შეთვისებული ადგილობრივი მოსახლეობის მიერ, და არც ,,ბრიკოლაჟის" ცნების შესახებ სმენიათ, რომელიც ფართოდ გამოიყენება კლარკის, ჰებდიჯის, უილისის, კაიზერის და სხვების ნაშრომებში, მათი მოსაზრებები ნათლად მიუთითებს ლოკალიზაციის მნიშვნელობასა და ბრიკოლაჟის როლს ქართულ ახალგაზრდულ კულტურაში: ,,ვერავინ ვერ აითვისებდა და ვერავინ ვერ *გადმოაქართულებდა*, ვთქვათ, ევროპულ კულტურას ისე, როგორც საქართველოში მოხდა. საბოლოო ჯამში, სპეციფიკური ნაზავი გამოვიდა. პრინციპში, ჩვენი ფსიქიკაა უკვე დანაწევრებული იმიტომ, რომ აღარც ის ვართ, აღარც ეს ვართ, რაღაც ამორფულები ვართ" (თინათინი, 19 წლის).

ამგვარად, ახალგაზრდები ხაზს უსვამენ ქართული ახალგაზრდული კულტურის გამორჩეულობას, რადგან მსოფლიო ინოვაციების ქართულ ტრადიციებთან კომბინირება უნიკალურ სინთეზს იძლევა, რომელიც სხვაგან ვერაფრით გამეორდება. სხვა ყველაფერთან ერთად, თავისუფლების ცნებაც კი კულტურულ-სპეციფიკურად აღიქმება ქართველი ახალგაზრდების მიერ. და რაც არ უნდა იყოს ქართული ახალგაზრდული კულტურის შემადგენელი ელემენტები - დასავლური, აღმოსავლური, თუ მათი ,,სპეციფიკური ნაზავი" -

ის მაინც ქართულად რჩება, რადგან ეს ელემენტები ყოველთვის ,,გადმოქართულებულია."

ნაშრომის დასასრულს, წარმოგიდგენთ ბრიკოლაჟის თვალსაჩინო მაგალითს, რომელსაც თანამედროვე ალტერნატიული მუსიკის შემქმნელი ერთ-ერთი DJ გვთავაზობს: ,,მე, შესაძლოა, გამოვიყენო დასავლური ელემენტები ჩემი ქართული ესკიზის შესამკობად, მაგრამ ის მაინც ყოველთვის ქართულად რჩება და ეს განსაკუთრებულ სიამაყეს მანიჭებს!" (ირაკლი, 21 წლის).

Lia Tsuladze

Youth Identities through Bricolage in Modern Georgia

The paper discusses how youth identities are constructed through bricolage in modern Georgia. Based on the assumption that in the contemporary changeable world, the fact of being exposed to the values and lifestyles of different subgroups or subcultures gives individuals "the power of a personal manipulation of the diversified materials provided by their society ... [and] under these conditions, the culture that is experienced differs notably from the culture that is given" (Camilleri, Malewska-Peyre, 1997), my aim is to explore this "experienced culture" of youth in modern Georgia, to demonstrate how the youth manipulate "diversified materials" provided by both their local society and the global culture, and to find out whether it results in the invention of a new tradition. The research has focused on youth's leisure activities as the ways of representing their lifestyle and expressing their creativity, and my target group has been the youth aged 16-21.

Attempting to bring closer "the world of engaged scholarship and the world of everyday life" (Narayan, 1993), I have involved my students as co-researchers in the study aiming to analyze youth culture seen from the perspective of youth themselves, as these co-

researchers represent the same age group involved in similar cultural practices as the target group. Thus, the ultimate findings come from the comparison between the interpretations by my students and me, and the secondary interpretation by me as a means of gaining a "thick description" (Geertz, 2000). Such an approach has proved to be especially revealing in identifying research subjects' different kinds of narratives, namely, "cultural stories" - "told from the point of view of the ruling interests and the normative order" and "collective stories" - told from the perspective of those "who are silenced or marginalized in the cultural story" (Richardson in Miller & Glassner, 2004). In our case, these two distinct narratives have illustrated the research subjects' contradictory aspirations toward tradition (told to me from the perspective of "cultural story") and modernity (told to their peers/my co-researchers from the perspective of "collective story"), and helped me get closer to the real implications of three most fashionable trends among contemporary Georgian youth revealed by the research - "being distinctive," "being intellectual," and "being national."

გამოყენებული და ციტირებული ლიტერატურა:

სურმანიძე, ლ. *ქართული კულტურის ზოგიერთი ორიენტაცია*. ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი, თბილისი, 2000.

წულაძე, ლ. *სოციალიზაციის ზოგიერთი პრობლემა ქართული კულტურის კონტექსტში (ავტონომიურობა და სანქციები)*. საკანდიდატო დისერტაცია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2003.

Appadurai, A., 'Disjuncture and Difference in the Global Cultural Economy' in *Modernity at Large*. A. Appadurai(ed), University of Minnesota Press, 1996, pp. 27-47.

Camilleri, C. and Malewska-Peyre, H., 'Socialization and Identity Strategies' in *Handbook of Cross-Cultural Psychology* (2nd ed), Vol. 2. J.W. Berry, Y. H. Poortinga and J. Pandey (eds), Allyn and Bacon , Boston, 1997, pp. 43-67.

Danesi, M., *Cool: The Signs and Meanings of Adolescence.* University of Toronto Press, Toronto, 1994.

Geertz, C., *The Interpretation of Cultures.* Basic Books, New York, 2000.

Griswold, W., 'The Sociology of Culture: Four Good Arguments (and One Bad One)'. *Acta Sociologica*, vol. 35, 1992, pp. 323-328.

Hebdige, D., *Subculture: The Meaning of Style.* Routledge, London and New York, 1979.

Herzfeld, M., *Cultural Intimacy* (2nd ed). Routledge, New York, 2005.

Hobsbawm, E. and Ranger, T., *The Invention of Tradition.* Cambridge University Press, Cambridge, 1983.

Jimerson, J. B. and Oware, M. K., 'Telling the Code of the Street: An Ethnomethodological Ethnography'. *Journal of Contemporary Ethnography*, vol. 35 (1), 2006, pp. 24-50.

Miller, J. and Glassner, B., 'The 'Inside' and the 'Outside'- Finding Realities in Interviews' in *Qualitative Research: Theory, Method and Practice* (2nd ed). D. Silverman (ed), Sage Publications, London, 2004, pp. 125-139.

Muggleton, D., *Inside Subculture:The Postmodern Meaning of Style (Dress, Body, Culture).* Berg, Oxford and New York, 2002.

Narayan, K., 'How Native is a "Native" Anthropologist?'. *American Anthropologist,* vol. 95 (3), 1993, pp. 671-686.

Roberts, M., 'Notes on the Global Underground: Subcultures and Globalization' in *The Subcultures Reader* (2nd ed.). K. Gelder (ed), Routledge, London and New York, 2005, pp. 575-586.

Straw, W., 'Communities and Scenes in Popular Music' in *The Subcultures Reader* (2nd ed.). K. Gelder (ed), Routledge, London and New York, 2005, pp. 469-478.

ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში

მაია წურწუმია
სოციალ-პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა
მიმართულება, დოქტორანტი

სამოქალაქო საზოგადოების იდეა, რომელიც მანამდეც ფართოდ განიხილებოდა სოციალურ და პოლიტიკურ აზროვნების ისტორიაში, "დემოკრატიზაციის მესამე ტალღის" გააქტიურებასთან ერთად უაღრესად აქტუალური გახდა. სსრკ-ს დაშლის შემდგომი ცვლილებები წარიმართა დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების დამკვიდრების ლოზუნგით. კომუნიზმიდან განთავისუფლების შემდგომ საქართველოში ყალიბდება ქცევის ახალი წესები, დემოკრატიული პროცედურები და ინსტიტუტები, თუმცა ისიც ცხადია, რომ საქართველო ჯერაც ვერ მიუახლოვდა დემოკრატიის სასურველ მოდელს. ამდენად სამოქალაქო საზოგადოების პრობლემა, რომელიც ანიჭებს დემოკრატიას მის ნამდვილ შინაარს, ცენტრალურ საკითხად რჩება პოლიტიკოსებისა და პოლიტოლოგების წრეში. სამოქალაქო საზოგადოების მახასიათებლები და ფუნქციები სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულია, რასაც განაპირობებს ქვეყნის ისტორია და არსებული სოციალური გარემო. საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ბირთვს წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მოწოდებულნი არიან ასახონ მოქალაქეთა ინტერესებისა და საჭიროებების ფართო სპექტრი. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო ორგანიზაციებს უნდა შეეძლოთ თანაბრად გამოხატონ თავიანთი წევრების, კაცების და ქალების საჭიროებები, მაგრამ როგორც ჩვენს მიერ შესწავლილი ქალთა ორგანიზაციების ლიდერებმა განაცხადეს, არასამთავრობო ორგანიზაციების

ნაწილი და მედია, როგორც საინფორმაციო სამოქალაქო ინსტიტუტი საქართველოში, ნაკლებად ინტერესდება გენდერული პრობლემებით, ამიტომ ქალთა ორგანიზაციებმა საკუთარ თავზე აიღეს ეს ფუნქცია.

უნდა აღინიშნოს რომ ქალთა ორგანიზაციის ქვეშ ჩვენ ვგულისხმობთ გაერთიანებას, რომელიც ახორციელებს მოქმედებათა ფართო სპექტრს ქალთა ინტერესების დაცვისათვის.

ქალთა ორგანიზაციების პრიორიტეტული მიმართულებებია: ქალთა მიმართ ძალადობა, მათ შორის ოჯახური ძალადობა, დისკრიმინაციული სამსახურებრივი პრაქტიკა, გადაწყვეტილების მიღების პროცესზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, ნეგატიური გენდერული სტერეოტიპები. აღნიშნული ორგანიზაციები მუშაობენ შემდეგ საკითხებზე: ქალთა უფლებების დაცვა, მათთვის იურიდიული დახმარება. ზოგიერთი ჯგუფი სპეციალიზირდება კონკრეტულ საკითხებზე სამართლებრივი დახმარების აღმოჩენაზე. შემდეგ მოდის საგანმანათლებლო საუბრების, ტრეინინგებისა და სემინარების ჩატარება, კონფერენციების მოწყობა, გენდერული პროგრამების შექმნა უნივერსიტეტებში, წიგნების, კვლევების გამოცემა. არასამთავრობო ორგანიზაციებში მოღვაწე ქალები მიიჩნევენ, რომ მათი ერთ-ერთი მთავარი მიღწევა არის ის, რომ თანდათანობით ხდება გენდერული უთანასწორობის პრობლემის აღიარება. ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრის წარმომადგენელი ქალბატონი მაია კუპრავა აცხადებს, რომ ტრეინინგ-სემინარების მიმდინარეობის დასაწყისში ქალთა დიდი ნაწილი არ აღიარებს, რომ ის არის რაღაც ნიშნით ჩაგრული, მაგრამ სემინარების ბოლოს მათი ხედვები მნიშვნელოვნად იცვლება.[2] ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობის შედეგად მიღწეული პროგრესი შესამჩნევია სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებისა და სხვა ოფიციალური პირების ცოდნის ამაღლების კუთხით ადამიანთა ვაჭრობისა და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. შემდეგ პოპულარულ თემად შეგვიძ-

ლია დავასახელოთ ქალთა შესაბამისი ინფორმაციული უზრუნველყოფა. ამ მხრივ აღსანიშნავია სამხრეთ კავკასიის გენდერული ქსელის ინტერნეტპორტალი www.ginsc.net. ამ საიტზე მომხმარებელს საშუალება აქვს მოიპოვოს ინფორმაცია გენდერული თანასწორობის, ტრეფიკინგისა და ოჯახში ძალადობის სფეროში არსებული მოვლენების შესახებ. ასევე შეუძლია გაეცნოს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ქალთა უფლებების დაცვის სფეროში არსებულ კანონმდებლობას, ნორმატიულ აქტებს, ჩატარებულ კვლევებს. მის ფარგლებში მოეწყო 2007-2008 წლებში რამდენიმე ონლაინ კონფერენცია, ოჯახური ძალადობის, ტრეფიკინგის, ასევე 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების თემებზე. საქართველოში საინფორმაციო ტექნოლოგიებში ლიდერ ორგანიზაციად უნდა დავასახელოთ ქალთა საინფორმაციო ცენტრი. მას გააჩნია ბაზა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების საკონტაქტო ინფორმაციების შესახებ. ორგანიზაციაში ეწევიან სატელეფონო და პირდაპირ კონსულტაციებს ცალკეულ პიროვნებებთან. როგორც ქალთა საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელმა ელენე რუსეცკაიამ პირად ინტერვიუში განაცხადა, 2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს შორის საომარი მოქმედებების მიმდინარეობის პირობებში, ისინი ინფორმაციას რუსულ და ინგლისურ ენებზე ავრცელებდნენ გენდერული საინფორმაციო პორტალის მეშვეობით, რომელიც არ იყო იმ დროს სხვა წყაროების მსგავსად დაბლოკილი. ამდენად მათ გაჰქონდათ საქართველოს პოზიციის ამსახველი ინფორმაცია საერთაშორისო დონეზე. აღნიშნულმა საიტმა შეასრულა ერთგვარი მედია სააგენტოს ფუნქცია ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე. ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები უშვებენ გაზეთებს, ჟურნალებს, სხვადასხვა ბიულეტენებს, წიგნებსა და ბროშურებს. არსებობენ ორგანიზაციები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან მრავალშვილიან დედათა პრობლემებზე, ინვალიდთა დაცვაზე, ეწევიან ქველმოქმედებას.

ქალთა საინფორმაციო ცენტრის კლასიფიკაციით, ყველაზე პრიორიტეტული თემა, რომელზეც ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები მუშაობენ არის ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა და ქალთა მონაწილეობის გაზრდა პოლიტიკურ ცხოვრებაში. სწორედ მათ ძალისხმევას უნდა დავუკავშიროთ "ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებს შესახებ" კანონის არსებობა. ძალადობის მსხვერპლს იცავს სახელწიფო მექანიზმები. ეს არის დაკავებისა და დაცვის ორდერები. კანონის ერთ-ერთი ინიციატორის, 2004-2008 წლებში გენდერული თანასწორობის საპარლამენტო საბჭოს ხელმძღვანელის ქეთი მახარაშვილის თქმით, კანონმა გაამართლა თავისი მოლოდინი. მისი "ძალაში შესვლის შემდეგ, უკვე 6 თვის მერე პოლიციასა და სასამართლოში შეტანილი იყო საქმეები, აღძრული ოჯახური ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით.[3] კანონის მიღების შემდეგ 2007 წლის პირველ ნახევარში გაცემულ იქნა 300 ორდენი.[4] ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები ასევე უწევენ ქალებს ფსიქოლოგიურ და იურიდიულ დახმარებას. ამ ორგანიზაციების ბაზაზე არსებობს ე.წ. შელტერები – თავშესაფარი ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის. თუმცა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები უჩივიან არასტაბილურ დაფინანსებას და მიიჩნევენ, რომ კარგი იქნება, თუ მათ დააფინანსებს სახელწიფო. აღსანიშნავია ასევე, რომ კანონის მონიტორინგის თვალსაზრისით, არსებობს სახელწიფო სტრუქტურა. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში ფუნქციონირებს ტრეფიკინგის საბჭო, რომელმაც შეითავსა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ კანონის მონიტორინგიც.

საკმაოდ აქტიურია არასამთავრობო სექტორი ქალთა გადაწყვეტილების მიღებისა და საერთოდ ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდის კუთხით. ისინი განსაკუთრებით აქტიურად მუშაობენ პარტიის წევრ ქალებთან. ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრის ინიციატივით შეგროვდა 32 ათასი ხელმოწერა საარჩევნო კანონმდებ-

ლობაში გენდერულად დაბალანსების კუთხით ცვლილებების შეტანის მოთხოვნით. საუბარი იყო პოლიტიკური ქვოტების, როგორც დროებითი მოვლენის, შემოღების აუცილებლობაზეც. საბოლოო ჯამში გენდერული თანასწორობის შესახებ კანონში გათვალისწინებულ იქნა გარკვეული ფინანსური ჯარიმები გენდერულად დაუბალანსებელი პოლიტიკური პარტიებისთვის. ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ დღეს მოღვაწე ქალები არ არიან სრულუფლებიანი პოლიტიკური სუბიექტები, მხოლოდ მათ სახეს და სახელს იყენებენ მამაკაცები პარტიის წარმატებისთვის.[5]

ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები მონაწილეობენ სამშვიდობო მისიებში. UNIFEM-ის რეგიონალური პროექტის "ქალები კონფლიქტის პრევენციისა და მშვიდობის მშენებლობისათვის სამხრეთ კავკასიაში", მხარდაჭერით 2002 წელს დაარსდა ქალთა ქსელი – ქალთა ერთობა მშვიდობისათვის. მათ საკუთარ მიზნად დაისახეს ქალთა მონაწილეობით მშვიდობისა და გენდერული თანასწორობის მიღწევა. ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები აწყობენ შეხვედრებს კონფლიქტურ რეგიონებში. "გენდერული განვითარების ასოციაციის" ხელმძღვანელის ნანა ჭანიშვილის თქმით, "საქართველოში მცხოვრებ ოს ქალთა საერთაშორისო ასოციაცია" და მისი ხელმძღვანელი იზო ტიგიევა დიდ დახმარებას უწევდა მათ ოს ქალებთან ურთიერთობის დამყარებაში.

ქალთა ორგანიზაციები მუშაობენ ქველმოქმედების კუთხით. მაგალითად, რუსეთ საქართველოს შორის 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ხორციელდებოდა შეხვედრები დევნილებთან, მათი საჭიროებების შესწავლა და დახმარების აღმოჩენა. ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები ასევე მუშაობენ ქალთა დასაქმების, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა მიმართულებებით.

ყოველივე ზემოთაღნიშნულის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებმა მიაღწიეს გარკეულ სიმწიფეს და დაიმკვიდრეს საკუთარი ადგილი

ქართულ არასამთავრობო სექტორში. ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები განვითარების იმ ეტაპზე იმყოფებიან, როდესაც შეუძლიათ ქვეყანაში მიმდინარე ცალკეულ პროცესებზე ზეგავლენის მოხდენა. პარლამენტში არსებობს გენდერული თანასწორობის საკონსულტაციო საბჭო, რომელიც არასამთავრობო სექტორთან აქტიურად თანამშრომლობს. ამ თვალსაზრისით ბოლო დროს ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის მიღება, რომელიც შემუშავდა გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის ფარგლებში "გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში."

თუმცა ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები ამჟღავნებენ მთელ რიგ ისეთ სისუსტეებს, რაც ზოგადად დამახასიათებელია ქართული სამოქალაქო სექტორისათვის. აქედან აღსანიშნავია სოლიდარობის ნაკლებობა და კორდინირებულ მოქმედებათა სისუსტე. ამ მხრივ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 2000 წელს ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციის შექმნა. არასამთავრობო სექტორში მოღვაწე ადამიანები მიიჩნევენ, რომ ამ კოალიციის მთავარი დადებითი მხარე იყო ის, რომ მან ინფორმაციის გაცვლისა და ურთიერთგაცნობის ფუნქცია იკისრა. ამჟამად კოალიცია, როგორც მისი ყოფილი წევრები აცხადებენ, ქმედითი აღარ არის.[6]

ამავე დროს იკვეთება ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების მოქმედებათა ვიწრო, კარჩაკეტილი ხასიათი. ზოგიერთი მათგანი მხოლოდ ფორმალურად არსებობს. მაგალითად, ქალბატონი მაია კუპრავა, რომელიც ითვლება "მარტოხელა მშობელთა ასოციაციის" დირექტორად, აცხადებს რომ ეს ორგანიზაცია დიდი ხანია არ ფუნქციონირებს, თუმცა იგი კვლავ განაგრძობს ქალაქდზე არსებობას ქალთა საინფორმაციო ცენტრის ბაზაში, ასევე როგორც ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციის წევრი.[7] იმ ორგანიზაციების რიცხვი, რომლებიც რეალურად მუშაობენ ქალთა პრობლემატიკაზე მცირეა, საბოლოო ჯამში სახეზე გვაქვს ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების ფრაგმენტული აქტივობა. მათი

მოღვაწეობის არასტაბილურობას განაპირობებს ასევე ფინანსური რესურსების სიმწირე, ბევრ მათგანს არ აქვს ოფისი, საიტი, პროექტებზე მუშაობა ხდება დიდი შესვენებების გაკეთებით. საქართველოში ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების უმეტესობა დამოკიდებულია დასავლურ დახმარებაზე. დონორული ორგანიზაციების დახმარება მიმართულია საქართველოს დემოკრატიული ტიპის სახელწიფოდ ჩამოყალიბებისაკენ, თუმცა ამან ნეგატიური შინაარსიც შეიძინა. როგორც ნაშრომში "გენდერი და დემოკრატიზაცია" საქართველო 1991-2006" არის აღნიშნული, დონორებს შორის "გამართულმა არაჯანსაღმა კონკურენციამ ასეთივე არაჯანსაღი კონკურენციის გარემო შექმნა არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის საქმიანობის, სფეროებისა და რესუსრსების მოსაპოვებლად."[8] საზოგადოების ნაწილიც გამოთქვამს ეჭვს, რომ ქალთა ორგანიზაციები განიცდიან დონორების დიდ გავლენას, ამიტომ ისინი საკუთარი ქმედებების განხორციელებისას უფრო მეტად ორინენტირებულნი არაინ დონორებზე, ვიდრე საზოგადეობაზე. ხდება ზოგიერთ შემთხვევაში გენდერული უთანასწორობის პრობლემის რადიკალიზაცია, რაც საზოგადოების ნაწილის, მათ შორის ქალების მხრიდანაც, იწვევს პროტესტს, ხოლო მათ მიერ განხორციელებული აქტივობა კი ემსგავსება იძულებითი ემანსიპაციის კამპანიას.

არასამთავრობო სექტორისათვის კვლავ პრობლემას წარმოადგენს კვალიფიციური კადრების არსებობა, მუდმივად ხდება მათი გადინება სახელწიფო და საერთაშორისო სტრუქტურებში, სადაც ისინი პოულობენ მეტ შესაძლებლობებს საკუთარი მოთხოვნების რეალიზაციისთვის. ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები, როგორც ზოგადად სამოქალაქო სექტორი კვლავ განიცდის საზოგადოებრივ იმიჯთან დაკავშირებულ, ისევე როგორც საზოგადოების მხრიდან ცნობადობას პრობლემებს. გენდერული თანასწორობის დამცველი ლელა ხომერიკი მიიჩნევს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები არ არიან ვარსკვლავები, რომ მათ ყველა იცნობდეს. ექსპერტთა სხვა ნაწილი, ისევე როგორც ქალბა-

ტონი ლელა, ამას უკავშირებს მედიის გენდერულად არამგრძნობელობას. ისინი მიიჩნევენ, რომ მედია ორიენტირებულია აგერესიულ ინფორმაციაზე, ამიტომ არ ხდება იმ პოზიტიური მოვლენების გაშუქება, რომელიც NGO-ების საქმიანობას უკავშირდება. მედიას დიდი როლი ეკისრება საზოგადოების სოციალიზაციის საქმეში. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტიკაში უმეტესად ქალები არიან დასაქმებული, ის უფრო მეტად უწყობს ხელს სტერეოტიპული აზროვნების დამკვიდრებას. თუმცა არასამთავრობო სექტორს თვითონაც აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის გარკვეული უნარჩვევები, აწყობს პრესკონფერენციებს, შეხვედრებს, არსებობს გენდერის საკითხზე მომუშავე ჟურნალისტთა ქსელი.

ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებმა მიაღწიეს განვითარების გარკვეულ საფეხურს, დაუგროვდათ ერთობლივი მუშაობის გამოცდილება და ქართული სამოქალაქო სექტორის ანგარიშგასაწევ აქტორებად იქცნენ. მაგრამ ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, მათ წარმატებებს აქვთ ფრაგმენტული ხასიათი, ქალთა ორგანიზაციები ჯერჯერობით ვერ ახერხებენ სახელმწიფო დონეზე აქტიური ლობირება გაუწიონ ქალთა ინტერესებს, ასევე სუსტია მათი გავლენა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე.

Abstract

Maia Tsurtsumia–PhD student of the Faculty of Social and Political Sciences of TSU.

Non-governmental organisations of women in the process of civil society development

One can consider the 90-ies of the 20th century as a point of the beginning of the creation of modern non-governmental organizations working on a gender issue. In this period Georgia

was in the process of formation as a democratic state and a civil society has begun developing simultaneously. For the present, the formations of women's movement definitively is not finished, though the female organizations have reached a certain step of development as they can influence the separate processes occurring in the country. At the same time their success has the incidental and limited character. Nowadays they are not in a position to give an active support and lobby the interests of women at the state level as their influence on public opinion formation is insignificant.

გამოყენებული და ციტირებული ლიტერატურა:

1. ნოდია გია, სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში: მიღწევები და გამოწვევები. სტრატეგიის განაცხადი. მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბილისი, 2005
2. საბედაშვილი თამარ, გენდერი და დემოკრატიზაცია, საქართველო 1991-2006, თბილისი, 2007
3. სანიკიძე ლია, პატარიძე თამარ, ალადაშვილი ირმა, მესხი მარი, ნოიბაუერი

ვიოლეტა, რეალობა: ქალთა თანასწორი უფლებები და შესაძლებლობები

საქართველოში, პოლიგრაფ +, თბილისი, 2006.
4. საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ
5. ქალი და კაცი საქართველოში, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისი 2008
6. ციხისთავი ნინო, იმედაძე რუსუდან, გენდერული პოლიტიკის განხორციელება საქართველოში, კავკასიის ქალთა ქსელი, 2002

7. ."ძალადობა საქართველოში – გენდერული დამოკიდებულების კვლევა, ქალთა საკონსულტაციო ცენტრი "სახლი". Oxfam, თბილისი 2002
8. წურწუმია მაია, სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება საქართველოში, თბილისი 2006
9. *Assessment of needs of women's movement in Georgia*
Briefing-paper for the international development agencies and grantmaking institutions, Women's Information Center, Tbilisi 2007
10. Bringing Security Home: Combating Violence against women in the OSCE Region. A Complication of Good Practices 2009 www.osce.org/gender
11. Men and Women in Politics: Democracy Still in the Making. A World Comparative Study, Inter-Parliamnetary Union, 1997

მითითებული სქოლიო:

1. წყარო: პირადი ინტერვიუ, ჩაწერილია 2009 წლის 11 თებერვალს
2. იხ. http://www.ginsc.net-ზე ინტერნეტ კონფერენცია "უთხარი უარი ქალების წინააღმდეგ ძალადობას." მონაწილეთა პასუხები, მახარაშვილი ქეთი
3. იქვე, მონაწილეთა პასუხები, გულიკო ბექაური.
4. წყარო: კვირის პალიტრა, 2010-05-07 "დემოკრატიისათვის მიუღებელია პოლიტიკა ქალის გარეშე"
5. წყარო: ქვემოთ მითითებული ინტერვიუები
6. წყარო: პირადი ინტერვიუ, ჩაწერილია 2009 წლის 11 თებერვალს
7. საბედაშვილი თამარ, გენდერი და დემოკრატიზაცია, საქართველო 1991-2006, თბილისი, გვ.45

ინტერნეტ მასალები:

1. http://www.wcg.org.ge
2. http://www.wicge.org
3. http://www.ginsc.net/
4. http://www.unece.org/stats/gender/web

ინტერვიუები:

1. ინტერვიუ ელენე რუსეცკაიასთან, ქალთა საინფორმაციო ცენტრი, ჩაწერილია 2009 წლის 28 იანვარს
2. ინტერვიუ ნანა ბერეკაშვილთან, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი; ჩაწერილია 2009 წლის 3 თებერვალს
3. ინტერვიუ ლელა ხომერიკთან, გენდერული თანასწორობის საკითხთა ექსპერტი, ჩაწერილია 2009 წლის 5თებერვალს
4. ინტერვიუნანა ჭანიშვილთან, გენდერული განვითარების ასოციაცია, ჩაწერილია 2009 წლის 9 თებერვალს.
5. ინტერვიუ მაია კუპრავასთან, ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი, ჩაწერილია 2009 წლის 11 თებერვალს.

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge